ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF
HISTORY AND ETHNOLOGY

ისტორიულ-ეთნოლოგიური
ძიებანი

XIII

STUDIES IN HISTORY AND ETHNOLOGY

თბილისი – 2011
Tbilisi – 2011

YDK 39(=353.1)+94(479.22)
(082) 0885
ISSN 1512-2727

ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანის წარმოდგენილი XIII ნომერი, წინა გამოცემების მსგავსად ეძღვნება საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის საკითხებს. კრებული განკუთვნილია საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის მკვლევართათვის და მკითხველთა ფართო წრისთვის.

რედაქტორი: ხათუნა იოსელიანი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ სონღულაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ლავრენტი ჯანიაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
რუსუდან ლაბაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
მედეა გოგოლაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტი: გელა საითიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

Editor in chief: Doctor of History
Khatuna Ioseliani

Editorial board:
Doctor of History Avtandil Songhulashvili
Doctor of History Lavrenti Janiashvili
Doctor of History Rusudan Labadze
Doctor of History Medea Gogoladze

Reviewer: Gela Saitidze Doctor of History

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლეილა ხურცია

გამოცემულია ავტორთა ხარჯით

კრებულში გამოქვეყნებულ ნაშრომებზე საავტორო უფლებები ეკუთვნით ავტორებს.

ხათუნა იოსელიანი
გიორგი მამარდაშვილი

ტრადიციული კულტურის და მენტალობის როლი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტის მოგვარებაში

აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტის მრავალმხრივი შესწავლაა საჭირო, ამ კონფლიქტის არაორდინალურობის გამო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პრობლემის ანთროპოლოგიური კუთხით კვლევა; მართებულადაა აღნიშნული „ტრადიციული მედიაციისა“ და კულტურის როლი ამ დაპირისპირების მოგვარებაში, რაც სწორედ ანთროპოლოგების მიერ უნდა იქნას გამოკვლეული, შეფასებული და მოკლენების წარმმართველი ჯგუფის – პოლიტიკოსებისთვის მიწოდებული.

ნაცნობ ხელთ არსებული ეთნოგრაფიული, ბეჭდვითი და ელექტრონული პრესის მასალებზე დაყრდნობით, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამ ლოკალური კონფლიქტის მოგვარებაში ერთ-ერთი უმთავრესი როლი სწორედ რომ ტრადიციული ურთიერთობების ჯერ კიდევ არსებული ნაშთების, კულტურის და მენტალიტეტის ერთიანობის გააზრებულმა და მართებულმა გამოყენებამ უნდა ითამაშოს.

საკითხი მეტად რთულია და ამავე დროს განსაკუთრებით ფაქიზი, ვინაიდან განხილვის საგანია სომარ კონფლიქტში მონაწილე, ორი, თავის დროზე ინტენსიური და ორგანული კავშირების მქონე, ხალხი კონფლიქტის დროს და შემდეგ. ერთმანეთის მიმართ მხარეს მდგომი ხალხის ურთიერთობა; ამ ურთიერთობების პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების წარმოჩენა; (რისი მაგალითებიც უსჯად მოგვეპოვება). ერთადერთი, რამაც შეიძლება ეს მტკივნეული თემა ორივე მხარისთვის მისა-

ლები გახადოს, არის აბსოლუტური ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, რითიც ვიხელმძღვანელებთ ჩვენი კვლევის პროცესში.

წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ არსებული და ორივე მხარის მიერ შენარჩუნებულ-შემონახული ურთიერთობები, გარკვეულწილად, საერთო ტრადიციული კულტურა და მენტალობა, აშკარად იძლევა იმის საფუძველს, რომ გარკვეული დროის მანძილზე, კიდევ შეიძლება ამ კონფლიქტის მოგვარება, თუ ქვემოთ ბერკეტი სწორედ და მიზანმიმართულად იქნება გამოყენებული.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტი არ არის მოკლე პერიოდში წარმოშობილი. მიუხედავად იმისა, რომ მისი განვითარება ძირითადად გარეშე ძალების ინსპირაციით მოხდა, გარკვეული საფუძვლები ადგილზეც არსებობდა და სწორედ მათზე მიზანმიმართულმა ქმედებებმა გახადა შესაძლებელი ამ კონფლიქტის ასეთი სახითა და მასშტაბებით გაღვივება. ამ კუთხით მოკლე ისტორიული ექსკურსის შედეგად ასეთი სურათი იქმნება: აფხაზეთი, მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის ადრეული ეტაპიდანვე ქვეყნის ორგანული ნაწილი იყო; გარკვეული პრობლემები, ცხადია, არსებობდა, რასაც ძირითადად განაპირობებდა რეგიონალური სეპარატიზმი და განსაკუთრებით აფხაზეთის მდებარეობა – ის საქართველოს უკიდურესი ჩრდილოდასავლეთი მხარე იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის დაბრკოლებები, რაც ახლდა ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, თითქმის იდენტური იყო აფხაზეთთან მიმართებაშიც, როგორიც საქართველოს დანარჩენ კუთხეებთან. შემდგომ პერიოდში, აფხაზეთი და აფხაზური ელემენტი, ფაქტობრივად, ქვეყნის გამაერთიანებელ, დომინანტ ფაქტორად გვევლინება, რაც ისევ ცალსახად ადასტურებს, რომ ეს ეთნოგრაფიული კუთხე ქართული სა-

ხელმწიფოს, ქართველური ჯგუფების ორგანული და განუყოფელი ნაწილი იყო.

გვიანშუასაუკუნეებში, ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, მორღვეული ცენტრალური ხელისუფლებისა და შესუსტებული კულტურულ-ეკონომიკური კავშირების შედეგად, ამ კუთხეში, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში, სეპარატისტული მისწრაფებები გაღვივდა, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი აფხაზეთში – სახელმწიფოსგან ფაქტობრივად დაკვეთილ კუთხეში, XV-XVIII საუკუნეებში ჩრდილოკავკასიელი ტომების აქტიურმა ჩამოსახლებამ.

მიუხედავად სირთულეებისა, მსგავსი, საერთო კავკასიური მენტალიტეტის გამო, ეს პროცესები ნელ-ნელა რეგულირდება და ურთიერთობაც ლაგდება; ადგილზე არსებული უფრო მაღალი კულტურა, ცხოვრების წესი, ბუნებრივი პირობები, ხელს უწყობს ადაპტაციის პროცესს. იქმნება შერეული ოჯახები, ყალიბდება მჭიდრო ურთიერთობები, დიდ როლს თამაშობს ტრადიციული ხელოვნური დანათესავების ფორმები (ნათელმირონი, ძიძა-მორდუა, მეგობრობა-ძმაკაცობა, მესიბლობა, სტუმარ-მასპინძლობა). ჩამოთვლილი ურთიერთობების ფორმები სწორედ ის საფუძვლებია, რომელთა შედეგები ჯერ კიდევ არსებობს, მიუხედავად საეჭვო ვითარებისა.

ამის შემდეგ მიმდინარეობს აქტიური და ნეგატიური ჩარევა გარეშე ძალების მიერ, რაც არ იძლევა პროცესის ბუნებრივად და ლოგიკურად განვითარების საშუალებას. კავკასიაში "დიდი" სახელმწიფოების პოლიტიკური ინტერესების შეჯახების გამო ხნდება ხანმოკლე და მცირე კონფლიქტები, რომლის დარეგულირებაც შესაძლებელი იყო. თუმცა, ეს ცვლილებები დაილექა ხალხის სოციალურ მეხსიერებაში, რაც შემდეგ ასევე ნეგატიურად იქნა გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისთვის.

ჩვენს ხელთ არსებული მასალა, რაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ომის და ომის შემდგომი პერიოდის ურთიერთობებს შეეხება, მეტად მრავალფეროვანია, შეიძლება ითქვას მკვეთრად განსხვავებული და რადიკალურად საპირისპირო – ჩანს, როგორც დაუნდობელი, მტრული, ასევე მოყვრული და ჰუმანური დამოკიდებულება ორივე მხარის მიერ. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ურთიერთობის პოზიტიურ ასპექტებზე.

საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას, ხშირი იყო აფხაზების მიერ ქართველების მოსალოდნელი საფრთხის შესახებ წინასწარ გაფრთხილების, ქართველების შეფარების და გადარჩენის ფაქტები. ანალოგიურ ქმედებებს ჰქონდა ადგილი ქართველების მხრიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული სისასტიკით და დაუნდობლობით გამოირჩეოდნენ სხვა ეთნოსების წარმომადგენლები, რომელთაც ნაკლები კულტურულ-ტრადიციული ურთიერთობები გააჩნდათ როგორც ქართველებთან, ისე აფხაზებთან.

ომმა, რომელიც ფატალური შედეგით დასრულდა ქართველებისთვის და არც აფხაზებისთვის აღმოჩნდა მომგებიანი, საბოლოოდ ვერ გაწყვიტა ურთიერთობა ქართველებსა და აფხაზებს შორის. ომის შემდგომი პერიოდი ამის ნათელი დადასტურებაა. სხვადასხვა რესპოდენტებთან მოძიებული მასალით დგინდება, რომ ეს ურთიერთობები დღემდე გრძელდება. არსებობს სატელეფონო კავშირები, ფარული მისვლა-მოსვლა. აფხაზები დღემდე უფრთხილდებიან თავიანთი ნათესავი-მეგობარი თუ მეზობელი ქართველების სახლებს. აწვდიან ინფორმაციას ქართველებს, თუ რა მდგომარეობაშია მათი საცხოვრებელი და ა.შ.

"მახსოვს, სუსლოვი რომ მოკვდა მაშინ ძალიან შეწუხებულები იყვნენ აფხაზები: „მფარველი მოგვიკვდაო". რუსების გავლენის ქვეშ იყვნენ, თორემ ჩვენ და აფხაზებს გასაყოფი არაფერი გვქონდა, ძმებივით

ვიყავით ყოველთვის, მეზობლები ყველანი აფხაზები მყავდა და არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა [2, 115-116] – ასე იგონებს ომამდელ სიტუაციას ერთ-ერთი რესპოდენტი. ამ მოკლე შეფასებაში ნიშანდობლივია, რომ ომგამოვლილი და თავადაც ნაომარი კაცი კონფლიქტის მოთავეებად არა აფხაზებს, არამედ რუსებს მიიჩნევს და არავითარი გაღიზიანება არ აქვს აფხაზების მიმართ. ამავე რესპოდენტის შეხედულებით რუსეთის მიერ ინსპირირებულ კონფლიქტს არც თუ ისე დიდი ხნის წარსული აქვს: **„ოქროს მთებს შეჰპირდნენ რუსები აფხაზებს და მოტყუვდნენ... კარგის მეტი სათქმელი იმათზე (აფხაზებზე) არაფერი მაქვს, მაგრამ არძინბა რომ მეთაურად დაჯდა აფხაზეთში, იმის მერე ძალიან აირია ცხოვრება. ბოლო წლებში, ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში, ბავშვების სახელმძღვანელოშიც კი ეწერა, რომ ქართველი არის აგრესორი, ცუდის მკეთებელი, აფხაზების მტერი და მაშინ აირია ყველაფერი“** [2, 117]. აქ ჩანს, რომ რესპოდენტის მეხსიერება სრულიად თავისუფალია და „დაუბინძურებელი“ ისტორიული გარჩევებისგან, მისი მეხსიერება არ ინახავს გასული საუკუნეების დაპირისპირებას, რაც, დამახასიათებელი იყო საქართველოს სხვა რეგიონებისთვისაც და რაც შეიძლება არასწორი და მიზანმიმართული ინტერპრეტაციის შედეგად მე-20-ე საუკუნე'ში არსებული კონფლიქტის ერთერთ საფუძვლად იქნას მიჩნეული. რესპოდენტი, მარტივი და მისთვის მისაღები არგუმენტებით ასაბუთებს აფხაზეთის გაუცხოებას.

საინტერესოა სხვა მთხრობლის, აქტიურად ნაბრძოლი კაცის ნააზრევი: **„კარგი ურთიერთობა იყო, კარგი ვითარება იყო ქვეყანაში, არც ომი იყო და არც არაფერი საშიში, მაგრამ დამთარდა ჩვენი ბედნიერება! ხუთი წელი ვიმუშავე და აირია ქვეყანა, მერე ავტომა-**

ტურად ჩავებით ყველანი ომში. მაშინდელი პოლიტიკა ასეთი იყო მთავრობისაგან და კურსიც, რომ გული ვი-საც ექნებოდა და „ქართველი ვარო“ იტყოდა, ის აუცი-ლებლად იარაღს აიღებდა ხელში. დღევანდელივით გარკვეული რომ ვყოფილიყავით პოლიტიკაში, მაშინ შეიძლება არც აეღო იარაღი კაცს. ამიტომაც ბევრი ცუდი მოხდა მაშინ“ [2, 212]. ეს სიტყვები იმ კაცს ეკუთვნის ვისაც უამრავი მეგობარი, ნათესავი, ოჯახის წევრი ომში დაეღუპა, იბრძოდა ომის ბოლომდე, მეთაურობდა კოდორის ხეობის დაცვას და ერთ-ერთმა ბოლომ დატოვა აფხაზეთის ტერიტორია. აქაც იგივე აზრი ჩანს, რაც წინა რესპოდენტის ფრაზაში. პოლიტიკური კურსი და მაშინდელი, 90-იანი წლების საერთო ფონი – ესაა მიზეზი იმისა, რომ ომში ასე მყისიერად და მასობრივად ჩაერთო აფხაზეთის ტერიტორიის მოსახლეობა. მიუხედავად დიდი რწმენისა, რომ ის მართალ საქმეს აკეთებდა ომში, მას დღევანდელობის გადმოსახედიდან, საკუთარი და მისი თანამოაზრეების ქმედების ჭეშმარიტებაში ეჭვი ეპარება. ესაა მგონი პირველი ნაბიჯი, რაც კონფლიქტში მონაწილეების ფსიქიკაში ურთიერთშერიგების და ძველი წყენის დავიწყების საფუძველს შეამზადებს. დაპირისპირებულებში, პირობითად „დამარცხებულებში“ და „გამარჯვებულებში“ საომარ ქმედებებში მონაწილეობა, თუნდაც ომის შედეგები არ უნდა იყოს საამაყო. „ნაროდ პობედიტელ“ ასე უწოდებს თავს აფხაზების ნაწილი; ახალგაპრეზიდენტებულმა ანქვაბმა პირველი რაც გააკეთა ის იყო, რომ საკუთარი გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებში, აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე საომარი ქმედებების „გმირებს“ მიუძღვნა. რა თქმა უნდა, ეს, რაღაც დონით პოლიტიკოსის პიარისთვის გაკეთებული სვლა იყო. თუმცა კარგად ასახავს დღევანდელი აფხაზეთის დე ფაქტო სახელმწიფოს შიდა განწყობასა და კურსს. სამწუხაროდ, არ მიგვიწვდება

ხელი აფხაზეთში მცხოვრებ რესპოდენტებზე და არ ვიცით უშუალოდ მათი დამოკიდებულება ამ ომისადმი.

მეტად საინტერესო გვესმენება სოხუმიდან დევნილი მორიგი რესპოდენტის დამოკიდებულება ამ ყველაფრისადმი. ის სამართალდამცავ სტრუქტურაში წლების მანძილზე მუშაობდა ომამდე და ომის პერიოდში. განსაკუთრებით საინტერესოა მისი არაადეკვატური პოზიცია აფხაზების მიმართ, რომელთა გამო მან ომში მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი დაკარგა. „აგრესია თავიდან მქონდა. ომის შემდეგ ხარკოვში წავედი სამუშაოდ. ქარხანაში მოვეწყვე. იქ ჩემდა გასაკვირად სოხუმელმა ნაცნობმა აფხაზებმა მომაკითხეს. უკრაინის ტელევიზიამ ჩემს შესახებ გადაცემა გააკეთა და ამ გადაცემის მეშვეობით გაუგიათ ჩემი ადგილსამყოფელი. დანახვისას პირველად გავიფიქრე, რომ დავხოცავ, მაგრამ ნელ-ნელა გადამიარა. მათი პირველი სიტყვა იყო „მი ჟე ბრატია?“ სწორედ ამიტომ მოგაკითხეთო. ამის შემდეგ ნელ-ნელა დავწყნარდი. ვისაუბრეთ. ცოტა ჩვენებურადაც წავუქეიფეთ. თუმცა ამ აფხაზს ნაცნობები და მეგობრები არ ურჩევდნენ ჩემთან ურთიერთობას. გამწარებული კაცია და რაიმე არ დაგიშავოსო. აფხაზს უთქვამს: „თუ რაიმე დავაშავე შეუძლია დამხვრიტოს კიდეცო“. ალბათ შესაბამისი სტრუქტურები ჩვენს ურთიერთობას თვალყურს ადევნებდნენ და ამიტომ მეგობრებმა მირჩიეს რომ ჩემს სოხუმელ მეგობრებთან მაინც და მაინც გახშირებული ურთიერთობა არ მქონოდა. ერთერთ შეხვედრისას მან ომის კადრების ამსახველი კასეტა გადმომცა: „შეიძლება გამოგადგესო. ამას იმიტომ გაძლევ რომ რაც კი შენ ტელევიზიით ომის შესახებ ისაუბრე ყველაფერი მართალი იყოო“. საერთოდ, საუბრებში ჩემი სოხუმელი ნაცნობების მხრიდან იგრძნობოდა, რომ ისინი ჩვენს წინაშე დამნაშავედ გრძნობდნენ თავს [4].

მოყვანილ მაგალითში ნათლად ჩანს, რომ ომის დროს დაპირისპირებული ადამიანები უცხო ქვეყანაში ერთმანეთთან ურთიერთობას არ ერიდებიან. პირიქით ეძებენ ხელსაყრელ მომენტებს საუბრისათვის.

იგივე რესპოდენტის გადმოცემით ომის დროს იყო ფაქტები როდესაც დაპირისპირებული მხარეები მშვიდობიან მოსახლეობას რისკის ფასად პატრონობდა და იცავდა. ამის მაგალითია, სოფელ ახალსოფლის აფხაზების საქციელი, რომლებიც „ინახავდნენ“ თანასოფლელ ქართველებს. ჩემს მშობლიურ სოფელ მარანში იყო რამოდენიმე ძალიან ამაზრზენი ფაქტი. რის შემდეგაც მოსახლეობის დარჩენილმა ნაწილმა ტყეს შეაფარა თავი. ჩემმა თანასოფლელმა, სომეხი ეროვნების კაცის ოჯახმა მეზობელი ქართველების სახლები არ დააწვევინა მეომრებს, ხოლო ამ ოჯახის შვილიშვილებს, ახალგაზრდა ბიჭებს ტყეში გახიზნულთათვის სანოვაგე დაჰქონდათ [4].

რადგან აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ერი ვახსენეთ „კოდორული ქრონიკებიდან“ ერთ მსგავს ისტორიას გავიხსენებთ. რომელიც, თუმცა ომის თემას არ ეხება მაგრამ კარგად ასახავს დალელი სვანებისა და ყარაჩაელების ურთიერთობას; რაც ომმა და საომარმა სიტუაციამ შეუწყვიტა. დალის ხეობის სვანები და ყარაჩაელები რუსეთის სასაზღვრო ჯარებმა დააცალკევეს და მათ შორის მიმოსვლა შეუძლებელი გახადეს. მთხრობლის თქმით, მას ყარაჩაელებში დიდი საძმო და სამეგობრო ყოლია. ოჯახებით ურთიერთობდნენ თურმე. სოგი უღელტეხილზე რომ გადმოდიოდა ამათთან ჩერდებოდა და შემდეგ მიდიოდნენ სოხუმში დასასვენებლად. **„იქიდან ჩვენ საქონელი დაგვყავდა. ოცდაათი, ორმოცი სული მოგვყავდა უფულოდ. მეორე ასვლაზე მიგვქონდა ხშირად ფული მათთვის, იმიტომ რომ ურთიერთნდობა გვქონდა ომის დროს ლტოლვილები რომ მოდიოდნენ დალის ხეობა-**

ზე ყარაჩაელმა მეგობრებმა, ძმებმა ბიმურზამ და ბექ-მურზამ მომინახულეს. უფიქრიათ, გაჭირვება ექნებათ და რასაც კი ორი კაცი მოერია ყველაფერი მომიტანეს. იმ დღეს გავუმასპინძლდი. მეორე დღეს მამაჩემის საფლავზე წავიდნენ და თავისებურად დაიტირეს. უკან გაბრუნებულები გავაცილეთ. მერე გავიგეთ რომ უღელტეხილზე ბიმურზას გული გასკდომია. იმ ღამეს თოვლში დაუმარხავს ბექმურზას ძმა. სამწუხაროდ სამძიმარზეც ვეღარ მიდივართ“ [2, 235].

ეს მაგალითი ომის დროს და მის შემდგომ სიტუაციებში უშუალოდ დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთობებს არ ეხება, მაგრამ ცხადად გვიჩვენებს თუ რა ურთიერთობები შეიძლება ჰქონდეთ ერთი შეხედვით განსხვავებული კულტურის ხალხებს და როგორ უშლის ხელს მათ ურთიერთობებს საომარი ქმედებები. ცხადია, საომარი მდგომარეობის შეწყვეტის და მშვიდობის დამყარების მომხრეები არიან ქედს იქით და ქედს გადმოღმა დარჩენილი მეგობრები.

ისევ წინა რესპოდენტს დაუბრუნდეთ – მისი მოგონებებიდან ორს გავიხსენებთ: „სოფელ შრომასთან მომხდარ შეტაკებაში აფხაზების მხრიდან ბლომად მეომარი დაიღუპა. საომარი ქმედებების გამო მათი დროულად მიწისთვის მიბარება ვერ მოხერხდა. უპატრონო გვამებს ღორები და გარეული ცხოველი დაესია. აქეთა მხრიდან სიმაღლეებზე მდგარი მეომრები შეძლებისდაგვარად ხოცავდნენ მათ. რამოდენიმე დღის შემდეგ ტექნიკის დახმარებით მოხერხდა მათი ერთად დამარხვა. გარდაცვლილთა ჭირისუფალმა გარკვეული დროის შემდეგ მოინდომეს მათი გადასვენება. ამის გამო დროებით მოხდა ცეცხლის შეწყვეტა. აფხაზურმა მხარემ თავიანთი მიცვალებულები წაასვენეს. გუმისთის ხიდამდე გავაცილეთ აფხაზები. დამშვიდობებისას ოთხმოცი წლის მოხუცმა სათითაოდ გადაგვკოცნა და რუსულად გვითხრა: „ამაში თქვენ

დამნაშავეები არ ხართ, მოვა დრო ყველაფრის თქმის და ყველაფრის გამოაშკარავებისო“ [4]. გარდა ამისა ეს მოხსრობელი იხსენებს შემთხვევებს, როდესაც ომის საწყის პერიოდში თვით აფხაზეთის დელეგანდელი დე ფაქტო პრეზიდენტი, ალექსანდრე ანქვაბი პირადი ავტორიტეტის ხარჯზე ახერხებდა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის დაცვას. მისივე ხელმძღვანელობით ხდებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის ურთიერთგაცვლა. შესაძლოა ვინმემ იფიქროს, რომ ანქვაბი უბრალოდ საკუთარი სარგებლიანობის გამო იქცეოდა ასე – ის ქართველებს იცავდა იმიტომ, რომ შემდეგ ქართული მხარისგან იგივეს ითხოვდა აფხაზების მიმართ. თუმცა ჩვენი რესპოდენტი ასეთ შეფასებას ჭოჭმანობს და აღნიშნავს რომ ანქვაბი, საკმაოდ სამართლიანი და დისციპლინირებული კაცია [4].

ამავე რესპოდენტის თქმით, ომს აფხაზეთში აფხაზთა დიდი ნაწილი უჭერდა მხარს. ომის დაწყებამდე ომის მომხრე და მოწინააღმდეგეთა რაოდენობა აფხაზებს შორის თანაბარი იყო. ომის საწყის პერიოდში აფხაზეთის ტერიტორია დატოვა აფხაზური მოსახლეობის ოცმა პროცენტმა, ხოლო დანარჩენი ომში ჩაება.

უნდა აღინიშნოს რომ აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან ლტოლვილი რესპოდენტების განწყობას ლაიტმოტივად გასდევს აფხაზების მიმართ არააგრესიული და მათდამი როგორც მოტყუებული ხალხისადმი დამოკიდებულება. გაგრაში მცხოვრები რესპოდენტის მიერ, ასევე საღადაა შეფასებული საომარი მოქმედებების მიზეზები და მიმდინარეობა. ის გაგრაში „ატკის (მანქანების კორპორაციის) დირექტორი იყო. შემდეგ ომის აქტიური მონაწილე. გაგრის დაცემის შემდეგ 8-დღე ტყე-ტყე მოდიოდა და ძლივს გადაირჩინა თავი. მიუხედავად ამდენი გაჭირვებისა, მიუხედავად იმისა, რომ მას მთელი თავისი ქონება აფხაზეთში დარჩა და გადაუწვეს სახლ-კარი,

ელემენტარული გაბოროტება არ გააჩნია აფხაზების მიმართ. ამ ომს ის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად თვლის. „ომამდე დაიწყეს სამსახურებში (მაღაზიებში, რესტორნებში, გარაჟებში და ა.შ) აფხაზების იძულებით აყვანა. დავალება იყო მთავრობისგან სოფლებიდან ჩამოყვანილი აფხაზების რა რაოდენობა უნდა მიგველო სამსახურში. მათ დღე და ღამე ეუბნებოდნენ, „ეს თქვენი მიწაა, ქართველები კი დამპყრობლები არიანო„ მიუხედავად ამისა, ჩვენ იდეალური ურთიერთობა გვქონდა, საუკეთესო მეზობლობა, არასოდეს გამიგია, რომ აფხაზს თავისი სახელმწიფო სდომებოდა, სანამ არძინბა ჩამოვიდოდა ყველაფერი კარგად იყო[3].

ამ შეფასებიდან ნათლად ჩანს, რომ საომარი მოქმედებებისთვის ნიადაგი უფრო ადრიდან, ხელოვნურად მზადდებოდა.

ამავე რესპოდენტის შეფასებით, აფხაზი სტუმართმოყვარე და კარგი მეზობელი იყო: „აფხაზს რომ პატივი სცე და საქმე გაუკეთო, ეცდება რომ ათმაგად გადაგიხადოს„ მათთან საერთო ენის გამონახვა ახლაც შეიძლება. ერთი ლტოლვილი ცხოვრობს აქ ცოლი აფხაზი ჰყავს და დედაც აფხაზი ჰყავდა, რომელიც გაგრაში დარჩა. ამის წინეებში გარდაეცვალა დედა და ჩასული იყო გაგრაში. ჩემმა მეზობელმა და ნაცნობმა აფხაზებმა, ყველამ მოკითხვა დაუბარა ჩემთან. ერთ ჩემ მეზობელ აფხაზს ღვინის გამოგზავნა სდომებია ჩემთვის: „ჩემი დაწურული „იზაბელას„ (ყურძნის ჯიშია) ღვინო უყვარდაო„[3].

აღნიშნული რესპოდენტის თქმით, აფხაზი და ქართველი მეზობლები ერთმანეთს იცავდნენ: „თუ ჩემ მეზობელ აფხაზს შეუვარდებოდა ვინმე, მე გავრბოდი მათ დასაცავად, თუ ჩვენ შემოგვეჭრებოდნენ, მაშინ აფხაზები მოდიოდნენ საშველად. ომის მერე აფხაზები სამი დღე იცავდნენ ჩემს სახლს, მაგრამ შემდეგ

გუდაუთელებმა მაინც გადაწვეს. მერე ჩემს მეზობელ აფხაზებს ამის გამო პრობლემაც კი შეექმნათ – ალბათ შეკრულები იყავით ქართველებთანო„ [3].

ამდენად მოყვანილი მასალა კიდევ ერთხელ ადასტურებს აფხაზებსა და ქართველებს შორის ნორმალურ, მეტიც – კეთილგანწყობილურ ურთიერთობას, რომელიც საომარი მოქმედებების და მის შემდეგაც არსებობდა. ეს განწყობა, რომელიც ომის მონაწილე ადამიანს გააჩნია, რომელმაც ცვლაფერი დაკარგა და დღეს ლტოლვილია საკუთარ სამშობლოში, არ შეიძლება ხელოვნური იყოს. ქართველებსა და აფხაზებს შორის მყარი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების გარდა მჭიდრო კულტურული და ყოფითი ურთიერთობები არსებობდა. ხანგრძლივი პერიოდის ერთად ცხოვრების შედეგად, თითქმის საერთო ცხოვრების წესი და ტრადიციები ჩამოყალიბდა. მათ ერთმანეთისგან გადაიღეს ის წეს-ჩვეულებები, რასაც მოსაწონად მიიჩნევდნენ; ეს კარგად ჩანს თუნდაც კვების კულტურაში და სხვადასხვა ტრადიციებში [1, 131-132].

ჩვენ არ გვინდა საკითხი ისე წარმოვაჩინოთ, თითქოს ამ ეტაპზე ქართველებსა და აფხაზებს შორის იდეალური ურთიერთობაა და მათ ამ კონფლიქტის შემდეგ ერთმანეთის მიმართ არავითარი გაღიზიანება არ გააჩნიათ, უბრალოდ, რესპოდენტებთან მუშაობამ თავისთავად გამოაჩინა, რომ მათი ცნობიერება, მათი მეხსიერება ჯერ კიდევ მყარად ინარჩუნებს ურთიერთობაში არსებულ პოზიტივს და ამავე დროს, რეალურად აფასებენ შექმნილ სიტუაციას.

დამოწმებული მასალა სრულიად საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი არ არის ორგანული ხასიათის და ის გარედან, ხელოვნურადაა ინსპირირებული. ამავე დროს, ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ ჯერ კიდევ არსებული ურთიერთობების, ტრადიციული კულტურისა

და მსგავსი მენტალიტეტის როლი, მისი სწორი და დროული გამოყენება უმნიშვნელოვანესია არსებული კონფლიქტის მოგვარებაში.

აქ მივადექით ერთ-ერთ, ჩვენი აზრით უმთავრეს პრობლემას, რომელსაც შეუძლია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ქართველების და აფხაზების მომავალი ურთიერთობები.

აქამდე დამოწმებული მასალა (ანუ ფაქტები) შეეხებოდა იმ თაობას, რომელსაც უშუალოდ ჰქონდა ერთმანეთთან რეგორც კულტურულ-ყოფითი, ისე საომარი ურთიერთობა. ანუ მათი ისტორიული მეხსიერება დატვირთული იყო და არის ტრადიციული ურთიერთობის წესებით, ჩვეულებებით, კულტურით, მენტალიტეტით.

ამ პერიოდში, რომელსაც შეიძლება დავარქვათ „გაუცხოების პერიოდი“, გაიზარდა ახალი თაობა, რომელიც ძირითადად მოკლებულია ტრადიციული ურთიერთობების მრავალფეროვნებას და შეიძლება ითქვას, „საინფორმაციო ვაკუუმსა“ და მიზანმიმართულ "საინფორმაციო ტერორშია" მოქცეული. მათთვის თითქმის არ არ ნაკლებად არსებობს ერთიანი კულტურის და მენტალიტეტის თანამონაწილეობის შეგრძნება, პირიქით, წარმატებულად ხდება საქართველოს სახელმწიფოს და ქართველის, როგორც მტრის ხატის დამკვიდრება. გაწყვეტილია კულტურულ-ეკონომიკური კავშირები, ეს ყველაფერი კარგადაა ასახული ინტერნეტმედიაში, რაც დღეს მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

სწორედ სოციალური ქსელების მეშვეობით ხდება დღეს ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების დიალოგი. სოციალურ ქსელში ძირითადად ახალგაზრდობაა ჩაბმული. არიან საშუალო ასაკის ხალხიც, ძირითადად ინტელიგენციის წარმომადგენლები (ჟურნალისტები, ხელოვნების მუშაკები, პედაგოგები). ერთი რამ თვალშისაცემია – მათ გვერდებზე მრავლადაა ფოტო-

ები აფხაზური სახელმწიფო ატრიბუტიკისა, თავისუფლების ღღისადმი (ომში გამარჯვების) მიძღვნილი პარადების ამსახველი კადრები. შექმნილია საიტები სადაც მიმოხილულია აფხაზეთის ისტორიის საკითხები, პროპაგანდირებულია აფხაზური ცხოვრების წესი, გამოყალიბებულია ვითომდაც მარტო აფხაზებისთვის დამახასიათებელი სნეობრივი კოდექსი „აფსუარა“, რომლის ძირითადი იდეალები არაფრით განსხვავდება სხვა ტრადიციული კავკასიელი ხალხების ცხოვრების წესისგან. ფორუმებზე აფხაზური ეროვნების მომხმარებლისგან ვერ გაიგონებთ ერთ ფრაზასაც კი სადაც ისინი ოდნავ მაინც გამოხატავენ სინანულს მომხდარის გამო. საუბრები იმის შესახებ, რომ აფხაზები ისეთივე ავტოქტონები არიან ამ ქვეყნისა, როგორც ქართველები ყოველთვის ხიხში შედის. თქვენ თქვენთვის ჩვენ ჩვენთვისო – არის ყველაზე მშვიდობიანი და ნეიტრალური პასუხი. ზოგი უფრო შორსაც მიდის და აშკარა ანტიქართულ პათოსს ამჟღავნებს. არც ერთი მათგანისგან არ იგრძნობა და დაინტერესება თუ რას შვრებიან მათი ყოფილი მეზობლები, ანუ იქიდან დევნილები. ვინც არ იბრძოდა იმათ არავინ დევნიდაო, თვითონ წავიდნენო ამბობენ აფხაზები, მაგრამ საკითხზე ჩაღრმავება და კონტრკითხვები უკლებლივ სუფევლას გაღიზიანებას და ზოგ შემთხვევაში მათი მხრიდან „ზედმეტად აქტიური“ თანამოსაუბრის დაბლოკვასაც იწვევს. თუმცა არიან ისეთები, ვინც ინტერესდება კრიმინოგენული სიტუაციით საქართველოში, რომლებიც არ დაგზარდებიან გესაუბრონ კულტურის ან რელიგიის საკითხებზე. უფრო აქტიური მოსაუბრეები არიან ქალები.

ჩვენი აზრით ინტერნეტსივრცე და სოციალური ქსელები მთლიანობაში არ ასახავს აფხაზი ერის განწყობას, თუმცა დიდწილად ემთხვევა ხალხის განწყობას. თან ეს საშუალებები ალბათ სპეცსამსახურების

კონტროლისა აცვანილი და ამიტომაც ბევრი ერიდება გულახდილ საუბარს. გარდა ამისა ამ საშუალებებით ძირითადად ინტელიგენცია სარგებლობს და მათში როგორც სხვა მთხრობლებისგან ვიცით ყოველთვის მაღალი იყო ანტიქართული განწყობა.

ჩვენ ხელთ არსებული მრავალფეროვანი მასალის საფუძველზე, შეიძლება ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა: სანამ არსებობს ის თათბა, რომელთაც ერთმანეთთან აკავშირებდა ტრადიციული ცხოვრების წესი, თითქმის ერთიანი კულტურა, სოციალურ-ეკონომიკური და ნათესაური ურთიერთობები; ამავე დროს იქნენ ამ უსაფუძვლო კონფლიქტის მონაწილეები და დაპირისპირებული მხარეები, ჯერ კიდევ შეიძლება ამ კონფლიქტის მოგვარება – ისევ და ისევ "ტრადიციული ურთიერთობების, კულტურის და მენტალიტეტის" სწორად გამოყენების საფუძველზე. ჩვენი აზრით, ეს მესიჯი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს პოლიტიკურმა ელიტამ, რათა კონსენსუსის კალაპოტში მოექცეს სხვა სახელმწიფოების ინტერესებით გამოწვეული კონფლიქტი და გამოსახოს ვითარება კავკასიაში, რომელსაც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ადგილი უჭირავს.

ლიტერატურა

1. რ. იოსელიანი, კოდორის (resp. დალის) ხეობის ეთნოლინგვისტური ხასიათის კომენტარები; "ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები", X, თბ., 2009.
2. კოდორული ქრონიკები: ავტორები: იზა ჩანტლაძე, ქეთევან მარგიანი-დადვანი, ქეთევან მარგიანი-სუბარი, მედეა საღლიანი, რუსუდან იოსელიანი: ტ I, თბ., 2007-2010 (გამომცემლობა „გლობალ-პრინტი+)
3. ხ. იოსელიანი, ეთნოგრაფიული დღიური (აფხა'სეთიდან ლტოლვილებთან ჩაწერილი მასალა) 2011.
4. გ. მამარდაშვილი, ეთნოგრაფიული დღიური (აფხა'სეთიდან ლტოლვილებთან ჩაწერილი მასალა) 2011.
5. ციტირებული რესპოდენტები: ვალერ კოპალიანი, ქ. სოხუმის მკვიდრები, ამჟამად ლტოლვილი, დაბ. 1950წ.; ვალერ ლუხუტაშვილი ქ. გაგრის მკვიდრები, ამჟამად ლტოლვილი, დაბ. 1941 წ.

Khatuna Ioseliani
Giorgi Mamardashvili

The role of traditional culture and mentality in settlement of cinflicts on the Abkhasian territory

The comprehensive study of the current conflicts on the Abkhasian territory is necessary due to non-ordinariness (uttermost artificial inspiration and other reasons) of this conflict. Of most importance is the investigation of this problem from the anthropological viewpoint; the role of "traditional mediation" and culture in settlement of this confrontation is correctly emphasized. It must be studied, assessed precisely by anthropologists and given to the group governing these phenomena, i.e. politicians.

Basing on available ethnographic, printed and electronic press materials we can safely say that in settlement of this local conflict one of the most important roles must be played by sensible and proper use of still existing remains of traditional relations, unity of culture and mentality.

This problem is very complex and at the same time extremely delicate since the subject of the investigation is the relations between two peoples participating in the military conflict who had previously intensive and organic relations and later became counteracting parties; the reveal of positive and negative aspects of these relations (many examples of which can be easily found). The only thing that can make this painful subject acceptable for both parties is absolute objectiveness and non-bias that form the basis of our investigation.

It can tentatively be said that the relations still existing and preserved by both parties, to some extent common traditional culture and mentality make it evidently possible to settle this conflict at a definite period of time, if all tools are properly and purposefully used.

The occurrence of the current conflict on the territory of Abkhasia was not short-termed. Though its fostering was inspired mostly by external forces, there also existed some local prerequisites and precisely the actions purposefully directed to them made it possible to develop the conflict in this form and scale. The short historic excursus in this direction shows the following picture: since the early stages of the Georgian State system, Abkhasia, the population living on its territory was the organic part of the country; of course, there were certain problems, which essentially determined the regional separatism, and especially the location of Abkhasia – it was an extreme north-western part region of Georgia. But is should be mentioned that the obstacles that accompanied the formation of a united state were almost identical both for Abkhasia and other regions. Later, Abkhasia and the Abkhasian element reveals itself as a dominant factor uniting the country, which again unambiguously confirms that this ethnographic corner of the Georgian State was an organic and integral part of the Kartlian groups.

In the Late Middle Ages, after destruction of the united state, due to the broken central administration and weakened cultural-economic relations, in this region, like other regions of western Georgia, separatist tendencies developed, which in Abkhasia, actually a non-protected state region, were essentially facilitated by active migration of north-Caucasian tribes in the XV-XVIII centuries.

Mixed families were created, close relations were formed, of great importance became traditional forms of artificial kinship (godmothers and godfathers, friendship-fellowship, kinship with nurse, neighbor relations, hospitality). The above forms of relations form precisely the bases the consequences of which still exist in spite of the military situation.

Then, there followed active and negative intervention of external forces, which hinders natural and logical development of the process. Due to collision of political interests of "big" sta-

tes in the Caucasus, there occurred short-term and small conflicts the settlement of which was possible. But all this was deposited in the consciousness of the people, which was also negatively used in political purposes.

The available material concerning the relations at the pre- and post war time on the territory of Abkhasia is rather diversified, so to say, drastically different and radically opposite; merciless and hostile and friendly and human relations of each party are observed. We will focus on the positive aspect of the relations.

During military actions the cases were frequent when Abkhasians warned the Geogians on possible danger. Similar actions were observed from the Georgian side. It should be mentioned here that representatives of other ethnoses that had less close cultural-traditional relations both with Georgians and Abkhazians demonstrated extreme cruelty and mercilessness.

The war that had fatal consequences for Georgians was not also advantageous for Abkhasians. The relations between Georgians and Abkhasians were not utterly broken. This is perfectly confirmed by the post-war period. According to the materials received from various respondents, it was established that these relations are still going on. There are telephone contacts, secret visits to each other. Up to now, Abkhasians preserve relations with their relatives, friends and neighbors from Georgian houses, give to Georgians the information on the state of their houses, etc.

I remember the day when Suslov died. Abkhazians were very sorry. They used to say: "Our patron died". They were under the protection of Russians. We and Abkhazians had nothing to divide, we were as brothers. Our neighbors were all Abkhazians and we had perfect relations" (K.C. 115-116) – told us one of the respondents about the situation preceding the war. In this brief evaluation it is most significant that a man who saw the war and participated personally in it considered Russians and not Abkhazians the initiators of the war and had no irritation

towards Abkhazians. According to the words of the same respondent the conflict inspired by Russians had no deep roots: "Russians promised golden mountains and Abkhazians were cheated... I have nothing but good to say about them (Abkhazians) but when Ardzinba came to the head of the government in Abkhazia the life changed its normal route. In the last years, within the last five-six years even in the handbooks of children it was written that a Georgian man is an aggressor, is an enemy of Abkhazians and it was then that everything was ruined (K.C. 117). Here it is clear that the memory of a respondent is absolutely free and "not polluted" by historical disputes. His memory does not keep the confrontation of the last centuries, which was inherent to other regions of Georgia, and this can be considered as one of the grounds for the conflicts in the 20th century. This respondent by his simple and acceptable for him arguments tried to prove the estrangement of Abkhazians.

The ideas of the other narrator, active participant of the war are as follows: "The relations were good, the situation was good in the country, there was no war and there was no threat from anywhere, but our happiness ended. I worked for five years and then everything was encompassed by disorder and then we automatically joint it. The policy of those days was such. It was the policy and the course of the government. He who had heart and used to say that he was a Georgian, would take arms for sure. If I were so educated in politics as I am now I think I would not take a gun. It was namely because of it that many evil things happened then". These words belong to a man who lost in that war many friends, relatives, family members. He was fighting till the end of the war, he headed the defense of Kodori gorge and he was among the lasts who left the territory of Abkhazia. Here again the opinion is the same as in the phrases of the previous respondent. Political course and general background of that period – 90s - this is the cause the population of the whole Abkhazia joined immediately the war, without thinking.

Irrespective of the deep belief that he did proper, just deed in the war, he, from the present day position, he doubts that he was absolutely right in his decision and that of his compatriots. This is probably the first step which will prepare the grounds for appearance of the desire to restore relations and to forget old hurt in the mentality, psychics of the participants of the conflict. In the confronted people, conditionally the "winners" and "defeated". Participation in military actions, even if the results of the war are not to be boasted. "Narod pobeditel" (People the winner"- calls a part of Abkhazians themselves. The just elected president Ankvabi, the first thing he did was that he congratulated with his victory in the presidential elections the "heroes" of the military actions on the territory of Abkhazia . Of course it was to some extent the step for PR of the politician , but it expresses well internal mood and the course of the present day de facto state of Abkhazia. Unfortunately we have no access to the respondents residing in Abkhazia and we are unaware of their real attitude to that war.

The attitude of one more displaced person from Sukhumi to all this issues seamed rather interesting to us. He worked in law enforcement bodies for years before the war and during it. Especially interesting is his non-aggressive position with respect to Abkhazians at whose direct or indirect reason he lost his wife and minor child. "I felt aggression at the beginning, I went to Kharkov after war to work there. I started to work at the plant. To my surprise I was visited there by my acquaintances from Sukhumi, the Abkhazians. Television of the Ukraine made a program about me and they found about me from that program. When I saw them the first thought I had was to kill them all, but gradually that thought disappeared. Their first words were " We are brothers are not we?" and they told me that they came to me because of it. We talked. had a small feast. It turned out that no one advised him to come and see me, telling him that I was in a desperate state and warned him to avoid me. But that Abkhazian

told them "If I am guilty he has the right to kill me". I think certain structures watched us and my friends advised me not to have intense relations with my friend from Sukhumi. Once he showed me the cassette about war "This will be useful for you. I am telling you this because whatever you said in the television was the truth". And generally in the talks with my friends from Sukhumi it was clear that they felt guilty..

This example shows clearly that people who are confronting each other during a war, in foreign country do not try to avoid each other. On the contrary, they look for favorable situation to speak with each other. From the words of the very respondent there were facts during the war when confronting partics defended peaceful population at the risk of their own lives. The behavior of Abkhazians of the village Akhalisopeli is its example, who "hided" Georgians of their village. There were some rather disgusting facts in my native village Marani, after which the remaining population left the village and found shelter in the forest My neighbor. Armenian by nationality did not permit the soldiers to burn houses of Georgians and the grandchildren of this family, young boys used to provide those in the forest with food.

Since we mentioned other nation residing on the territory of Abkhazia We'll tell you one history from Kodory Chronicles: It does not deal with the war theme but expresses well the relations between Dali Svans and Karachaians., which was terminated by the war and military situation. Svans of Dali gorge and people of Karachai were separated by Russian troops and the contacts between them became impossible. According to the words of the narrator Karachais had many friends and family relations with Svans. Some people who came to our country through Svaneti used to stay in their families and then went to Sukhumi to rest. We used to bring cattle from Karachai, free and when we went back we took money to them. We trusted each other. During the war when the refugees went via Dali gorge friends from Karachai, brothers Bim-

urza and Beqmurza visited me. They brought me everything. I met them duly on that day. The next day they vent to my father's grave and mourned according to their tradition and they left. We found out later that Binuraza had heart attack and he died on the way. His brother Beqmurza buried him in snow that night. Unfortunately we can't visit them just to express our condolence". This example does not deal with the war time and the situations which followed. the relations of the opposing parties. But it shows clearly what kind of relations might exist between peoples of at first sight different cultures and how the military actions impede such relations. Of course the people living on both sides of the mountain ridge support the idea of termination of war situation and establishing the peace.

Let's return to the earlier respondent. We'll recall two of his stories: "In the attack which took place at the village Shroma many warriors of the Abkhazian party died. Due to military actions it was not possible to bury them timely. The corpses were attacked by pigs and wild animal. Georgian soldiers who stood on the other side on the heights did their best to shoot pigs and wild beasts. It was only after some days that those corpses were gathered together and buried by the help of technique . Family members of dead people decided to bury them on their cemeteries and because of it the fire was stopped temporarily Abkhazian party took their dead. We accompanied them to the Gumista mount. At the departure the eighty years old man embraced us and said in Russian "You are not guilty in it. Time will come for truth and everything will become clear". This narrator remembers also the cases when in the beginning of the war the present day de facto president of Abkhazia Alexander Ankvabi at the expense of his authority managed protection of Georgian population of Abkhazia. It was at his leadership that peaceful population was exchanged. Someone may think that Ankvabi did it simply for his profit, that he protected Georgians and demanded from the Georgian party the same. But our respondent at such evaluation expresses his doubt and states that Ankvabi is a man,

rather just. disciplined and stable and of correct ideas. According to the very respondent the war in Abkhazia was supported by the great part of Abkhazians. Before starting the war number of people who supported the idea of the war and those who were against it was equal. At the initial period of the war territory of Abkhazia was left by twenty percent of Abkhazian population, and the remaining part joined the war.

I remember the day when Suslov died. Abkhazians were very sorry. They used to say: "Our patron died". They were under the protection of Russians. We and Abkhazians had nothing to divide, we were as brothers. Our neighbors were all Abkhazians and we had perfect relations" (K.C. 115-116) -- told us one of the respondents about the situation preceding the war. In this brief evaluation it is most significant that a man who saw the war and participated personally in it considered Russians and not Abkhazians the initiators of the war and had no irritation towards Abkhazians. According to the words of the same respondent the conflict inspired by Russians had no deep roots: "Russians promised golden mountains and Abkhazians were cheated... I have nothing but good to say about them (Abkhazians) but when Ardzinba came to the head of the government in Abkhazia the life changed its normal route. In the last years, within the last five-six years even in the handbooks of children it was written that a Georgian man is an aggressor, is an enemy of Abkhazians and it was then that everything was ruined (K.C. 117). Here it is clear that the memory of a respondent is absolutely free and "not polluted" by historical disputes. His memory does not keep the confrontation of the last centuries, which was inherent to other regions of Georgia, and this can be considered as one of the grounds for the conflicts in the 20th century. This respondent by his simple and acceptable for him arguments tried to prove the estrangement of Abkhazians.

The ideas of the other narrator, active participant of the war are as follows: "The relations were good, the situation was

good in the country, there was no war and there was no threat from anywhere, but our happiness ended. I worked for five years and then everything was encompassed by disorder and then we automatically joint it. The policy of those days was such. It was the policy and the course of the government. He who had heart and used to say that he was a Georgian, would take arms for sure. If I were so educated in politics as I am now I think I would not take a gun. It was namely because of it that many evil things happened then". These words belong to a man who lost in that war many friends. relatives, family members. He was fighting till the end of the war, he headed the defense of Kodori gorge and he was among the lasts who left the territory of Abkhazia. Here again the opinion is the same as in the phrases of the previous respondent. Political course and general background of that period – 90s - this is the cause the population of the whole Abkhazia joined immediately the war, without thinking. Irrespective of the deep belief that he did proper, just deed in the war, he, from the present day position, he doubts that he was absolutely right in his decision and that of his compatriots. This is probably the first step which will prepare the grounds for appearance of the desire to restore relations and to forget old hurt in the mentality. psychics of the participants of the conflict. In the confronted people, conditionally the "winners" and "defeated" . Participation in military actions, even if the results of the war are not to be boasted. "Narod pobeditel" (People the winner"- calls a part of Abkhazians themselves. The just elected president Ankvabi, the first thing he did was that he congratulated with his victory in the presidential elections the "heroes" of the military actions on the territory of Abkhazia Of course it was to some extent the step for PR of the politician , but it expresses well internal mood and the course of the present day de facto state of Abkhazia. Unfortunately we have no access to the respondents residing in Abkhazia and we are unaware of their real attitude to that war.

The attitude of one more displaced person from Sukhumi to all this issues seamed rather interesting to us. He worked in law enforcement bodies for years before the war and during it. Especially interesting is his non-aggressive position with respect to Abkhazians at whose direct or indirect reason he lost his wife and minor child. "I felt aggression at the beginning, I went to Kharkov after war to work there. I started to work at the plant. To my surprise I was visited there by my acquaintances from Sukhumi, the Abkhazians. Television of the Ukraine made a program about me and they found about me from that program. When I saw them the first thought I had was to kill them all, but gradually that thought disappeared. Their first words were " We are brothers are not we?" and they told me that they came to me because of it. We talked, had a small feast. It turned out that no one advised him to come and see me, telling him that I was in a desperate state and warned him to avoid me. But that Abkhazian told them "If I am guilty he has the right to kill me". I think certain structures watched us and my friends advised me not to have intense relations with my friend from Sukhumi. Once he showed me the cassette about war "This will be useful for you. I am telling you this because whatever you said in the television was the truth". And generally in the talks with my friends from Sukhumi it was clear that they felt guilty.

This example shows clearly that people who are confronting each other during a war, in foreign country do not try to avoid each other. On the contrary, they look for favorable situation to speak with each other. From the words of the very respondent there were facts during the war when confronting parties defended peaceful population at the risk of their own lives. The behavior of Abkhazians of the village Akhalisopeli is its example, who "hided" Georgians of their village. There were some rather disgusting facts in my native village Marani, after which the remaining population left the village and found shelter in the forest My neighbor, Armenian by nationality did not permit the soldi-

ers to burn houses of Georgians and the grandchildren of this family. young boys used to provide those in the forest with food.

Since we mentioned other nation residing on the territory of Abkhazia We'll tell you one history from Kodory Chronicles: It does not deal with the war theme but expresses well the relations between Dali Svans and Karachaians., which was terminated by the war and military situation. Svans of Dali gorge and people of Karachai were separated by Russian troops and the contacts between them became impossible. According to the words of the narrator Karachais had many friends and family relations with Svans. Some people who came to our country through Svaneti used to stay in their families and then went to Sukhumi to rest. We used to bring cattle from Karachai, free and when we went back we took money to them. We trusted each other. During the war when the refugees went via Dali gorge friends from Karachai, brothers Bimurza and Beqmurza visited me. They brought me everything. I met them duly on that day. The next day they vent to my father's grave and mourned according to their tradition and they left. We found out later that Binuraza had heart attack and he died on the way. His brother Beqmurza buried him in snow that night. Unfortunately we can't visit them just to express our condolence". This example does not deal with the war time and the situations which followed, the relations of the opposing parties. But it shows clearly what kind of relations might exist between peoples of at first sight different cultures and how the military actions impede such relations. Of course the people living on both sides of the mountain ridge support the idea of termination of war situation and establishing the peace.

Let's return to the earlier respondent. We'll recall two of his stories: "In the attack which took place at the village Shroma many warriors of the Abkhazian party died. Due to military actions it was not possible to bury them timely. The corpses were attacked by pigs and wild animal. Georgian soldiers who stood on the other side on the heights did their best to shoot pigs and

wild beasts. It was only after some days that those corpses were gathered together and buried by the help of technique Family members of dead people decided to bury them on their cemeteries and because of it the fire was stopped temporarily Abkhazian party took their dead. We accompanied them to the Gumista mount. At the departure the eighty years old man embraced us and said in Russian "You are not guilty in it. Time will come for truth and everything will become clear". This narrator remembers also the cases when in the beginning of the war the present day de facto president of Abkhazia Alexander Ankvabi at the expense of his authority managed protection of Georgian population of Abkhazia. It was at his leadership that peaceful population was exchanged. Someone may think that Ankvabi did it simply for his profit, that he protected Georgians and demanded from the Georgian party the same. But our respondent at such evaluation expresses his doubt and states that Ankvabi is a man, rather just, disciplined and stable and of correct ideas. According to the very respondent the war in Abkhazia was supported by the great part of Abkhazians. Before starting the war number of people who supported the idea of the war and those who were against it was equal. At the initial period of the war territory of Abkhazia was left by twenty percent of Abkhazian population, and the remaining part joined the war.

It should be emphasized that the attitude of respondents living in various towns and villages of Abkhazia is interpreted as the attitude not aggressive and cheated people. A respondent residing in Gagra estimated sensibly, adequately the reasons of military actions and the process of those actions. He was a director of "ATK" (vehicle corporation). Then he was an active participant of the war. After the fall of Gagra he walked for 8 days, through forests and somehow managed to save his life. Irrespective so many disparity he left his whole property in Abkhazia, his house was burnt but, irrespective of it, he has no elementary malice against Abkhazian people. He considers the war was a re-

sult of the focused policy. He says "Before the war the compulsory employment of Abkhazians was started in offices (shops, restaurants, garages etc). This was the order of the government. There was a plan as to how many Abkhazians who came from villages were to be employed. Those people were told 24 hours "This is your land, Georgians are invaders, conquerors". Irrespective of this we had ideal relations. perfect neighborhood relations with them. I have never heard from Abkhazians that they wanted to have their own state. Everything was well till Ardzinba arrived".

This estimation shows clearly that the ground for military actions had been prepared artificially long before.

By the estimation of the very respondent Abkhazian was a good neighbor and host. "If you do good to an Abkhazian he will try to repay you tenfold. It is possible to find common language with them even now. A refugee lives here, his wife and mother are Abkhazians. His mother stayed in Gagra. Some time ago she died and my neighbor went to Gagra. My neighbor and acquaintances Abkhazians conveyed me their wishes. One of my neighbors, Abkhazian expressed desire to send wine made by him to me. He said about me "He liked my wine made of Izabela (vine sort)".

According to the words of this respondent Abkhazian and Georgian neighbors used to protect each other "If anybody rushed into the house of my neighbor Abkhazian I use to run to protect him, but if anybody rushed into our house Abkhazians used to come to help us. After the war Abkhazians guarded my house for three days, but then people from Gudauta burnt it all the same. Our neighbors had problems in this connection - they said that as if we were somehow bound with each other.

When we were going to leave Abkhazia it was my neighbors Abkhazians who warned me what way I had to choose and which way was dangerous.

Thus the material brought by me once more confirms normal, more than normal kind relations among Abkhazians and Georgians, which existed during military actions and are preserved till today, the attitude of a man participant of the war who lost everything and today is a displaced person in his own country. It can'tt be artificial, because among Georgian and Abkhazians alongside with the stable social economic relations there were strong cultural and everyday life relations. As a result of long-term joint life almost common life mode and traditions were formulated. They copied from each other the rites and traditions which they considered good and fir. This is well seen in culture of food /feast and in many traditions.

We don't want to offer the issue so as if there is an ideal relation between Georgians and Abkhazians and that after the conflict there is no tension between them, simply the work with the respondents revealed that their mentality still preserves strongly the positive existing earlier in their relations and at the same time they evaluate adequately the created situation.

The evidenced material is absolutely sufficient to show that Georgian-Abkhazian conflict is not of organic character and that it was inspired artificially from outside. Simultaneously it backs up out the opinion that the role of the still existing relations, traditional culture and similar mentality, its correct and timely application is most important in a matter of regulation of the existing conflict.

Here we met with, as we think, the main problem that can call into question future relations between Georgians and Abkhasians.

The material confirmed so far (i.e. facts) concerns the generation that had direct cultural-domestic and military relations with each other. That is, their historic memory was still loaded with the rules of traditional relations, habits, culture and mentality.

During this period that can be called the "period of estrangement" a new generation appeared that is essentially deprived of traditional diversity of relations and, as one might say, is in

the "information vacuum" and in the conditions of purposeful "information terrorism". They almost or utterly have no sense of participation in the common culture and mentality; on the contrary, successful propagation of the image of the Georgian State and the Georgian as an enemy takes place. Cultural-economic relations are broken,. All this is clearly reflected in intelligentsia that today plays a very important role.

Dialogue between Abkhazian and Georgian youth is accomplished today namely through social networks. In the social network mainly the youth is inserted. There are persons of middle age there too, mainly representatives of intelligentsia (journalists, art workers, teachers). One thing is apparent – there are many photos and cadres on their websites bearing attributes of Abkhazian state, parades dedicated to a day of liberty (victory in war). There are sites which review historical issues of Abkhazia, there is a propaganda of the life mode of Abkhazia, the moral code inherent as if only to Abkhazians, the so called "Apkhazura", the principal idea of which does not differ from the traditional mode of life of Caucasian peoples. On the forums you will not hear even a word from the users of Abkhazian nationality where they express even a slight regret in connection with the accident. Talks, that Abkhazians are the autochthones in this country, similar to Georgians, always face the wall. The most peaceful and neutral response is "you be for yourself and we'll be for ourselves". Some go even farther and express clear anti-Georgian pathos. None of them asks and shows interest what their former neighbors do, that is refugees from Abkhazia. They use to say that no one prosecutes persons who did not fight them. But deepening in the issue and counter questions incite irritation in all of them, and sometimes it results in blocking of "excessively active" respondent. But they are interested in criminogenic situation in Georgia. These persons are ready to speak with you about culture and religion issues. More active respondents are women

According to our opinion internet space and social networks do not express the attitude of Abkhazian nation as such. But mostly it coincides with the attitude of the people. It should be taken into account that these means are controlled by special services and because of it many avoid open, sincere talks. Alongside with it these means are used mainly by intelligentsia and as it is known from the words of other respondents, anti-Georgian attitude was always high in them.

On the basis of the available diverse material we can make one and a very important conclusion: as long as there exist the generation who established the traditional style of life, almost common culture, social-economic and family relations, and who at the same time were the participants and confronting parties in this groundless conflict, it is still possible to settle this conflict on the basis of proper use of "traditional relations, culture and mentality". We think this message must be taken into account by the political elite in order to bring the conflicts unleashed in the interests of other states into the framework of consensus and to relax the situation in the Caucasus that is of great geopolitical importance.

References

1. R. Ioseliani, Ethnolinguistic commentaries of Kodori (resp. Dali) gorge; "Questions of the Structure of Kartvelian Languages", Tbilisi, 2009.
2. Kodorian chronicles: Authors: Iza Chantladze. Ketevan Margiani-Dadvani, Ketevan Margiani-Subari, Medea Saghliani, Rusudan Ioseliani: v.1, Tb., 2007-2010 (Ed. "Global-Print")
3. Kh. Ioseliani Ethnographic Dairy (Material written down from the Refugees from Abkhazia) 2011;
4. G. Mamardashvili. Ethnographic Dairy (Material written down from the Refugees from Abkhazia) 2011;
5. Cited respondents: Valer Kopaliani, res. Sukhumi, currently refugee, born in 1950; Valer Lukhutashvili res. Gagra, currently refugee, born in 1940

მედეა გოგოლაძე

პლატონ იოსელიანის მოსაზრება ტოპონიმ „სარკინეთის“ შესახებ*

პლატონ იოსელიანი თავის ნაშრომში „Описание Шиомгвимской пустыни в Грузии“, სარკინეთ//სარკინესთან დაკავშირებით რამდენიმე ვარაუდს გამოთქვამს: სარკინეთი არის ან რკინის საბადოების ადგილი, ან სარკინოზთა (არაბთა) ადგილსამყოფელი, ანდა მტრებისთვის მიუდგომელი, კარგად გამაგრებული ადგილი. მკვლევარი აღნიშნავს, რომ სარკინეთთან დაკავშირებული ქრისტიანობამდელი მოვლენები არ არის ცნობილი. რადგან სტრაბონი და პლინიუსი არმაზისა და მცხეთის აღწერისას არ მოიხსენიებენ სარკინეთს. რაც შეეხება, სარკინეს გეოგრაფიულ ლოკალიზაციას, ვინაიდან, სტრაბონი სევმარას მცხეთასთან ახლოს ვარაუდობს, პლატონ იოსელიანი სარკინეთ-სევმარას იგივეობას უშვებს. თუმცა, კატეგორიული დასკვნისგან თავს იკავებს და აღნიშნავს, რომ ამ ტოპონიმის საბოლოოდ დადგენა დროის საქმეა [6, 3-5].

სარკინესთან დაკავშირებით არსებობს, როგორც წერილობითი წყაროები, ისე არქეოლოგიური მონაცემები. გავეცნოთ არქეოლოგიური კვლევის შედეგებს.

სარკინე არის დიდი მცხეთის უბანი, მცხეთის კალოუბნის დასავლეთით მდებარე ე. წ. ჯოჯოხეთის ხევიდან შიომღვიმის მისადგომებამდე – სავანეთის ქედსა და გრძელ მინდორზე. არქეოლოგიური გათხრები, მეცნიერთა ვარაუდით, არ იძლევა საფუძველს მცხეთის დედაქალაქობის ხანაში ან უფრო გვიან სარკინე დამოუკიდებელ ქალაქად მივიჩნიოთ. არქეოლო-

---

* წაკითხულია პლატონ იოსელიანის 250 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე.

გიურმა ძიებამ ძველი დედაქალაქის ლითოხის სახელოსნო უბნის ორი ნაწილი გამოავლინა: 1. ლითოხის (რკინა, ტყვია) საწურ და სადნობ ქურათა ნანგრევები გრძელ მინდორზე. 2. უბნის სამლოცველო – კულტის ადგილი სავანეთის ქედზე. აღმოსჩენილია გალავან-კოშკები და კარიბჭე, აგრეთვე, რკინის საწური ბრძმედის და ლითოხსადნობი ქურის ნანგრევები. აღმოჩენილია საოქრომჭედლო. როგორც არქეოლოგები ვარაუდობენ, სარკინე მცხეთას ამარაგებდა ლითოხის იარაღით, აბჯრით და საოქრომჭედლო ნაწარმით [3, 107].

ისტორიკოსი ჯონდო გვასალია ი'ხიარეს არქეოლოგთა აზრს: „რკინის მეტალურგიის განვითარების უტყუარი მოწმობაა ქართლის ერთ-ერთი უძველესი ქალაქის სახელწოდება „სარკინე“ და იქ არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ლითოხწარმოების ნაშთები და მ'ხა ნაწარმი“ [4, 8].

ქართულ წერილობით ძეგლებში პირველი ცნობა სარკინეზე დაცულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში: „პირველ ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეხადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ხედა მტკუარსა, მიხუედით ოთხ ქალაქად და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპ..., ურბნისი და ოძრახე, და ციხენი მათნი: ციხჱ დიდი სარკინისაჲ, უფლისციხჱ კასპისა, ურბნისისა და ოძრახისაჲ. დაუკჳრდა ალექსანდრეს და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს. ყოველსა ხორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშჭამდეს. და ვერ ეძლო ბრძოლაჲ მათი მეფესა და წარვიდა... და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდა ალექსანდრე, მეფჱ ყოველისა ქუეყანისაჲ, და დალეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი, და ჰონთა დასცა მახჳილი, ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოდა ათერთმეტ თთუჱ და დადგა სარკინესა დასავა-

ლით კერძო. და დასცა ვენახი და რუი გამოიღო ქსნით, და დაასხნა კაცნი მერუვენი დასტაგითა რუდ-საჲთა. და პრქვან ადგილსა მას ნასტაგისი. და მერმე გამოიღო სარკინე“ [1, 81].

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სარკინეს უფ-რო ძველი ისტორია აქვს: ირანის ლეგენდარულმა მე-ფემ ქაიხოსროემ დაამარცხა თურქები. დამარცხებულ-განდევნილმა თურქებმა „გამოვლეს ზღუა გურგანისი, ალმოუცეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ო-დარება. და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, ალუ-თქვეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან აუწყა ქოველთა ქართველთა, ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდათ შიში სპარსთა“ [2, 15]. ქართველებმა ისინი დაასახლეს ქალაქებში. მათ „პო-ვეს ადგილი ერთი მცხეთას, დასავლეთით კერძო კლ-დეთა შორის გამოკვეთილი, ღრმა და მოითხოვეს ად-გილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან. ისცა და ალაშენეს იგი, მოსლუდეს მტკიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე... შემდგომად ამისსა განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრა ქოველი ქუეყანა, და ალმო-ვიდა ქუეყანასა ქართლისასა. და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი... ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალა-ქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დი-დი და ზანაცი, უბანი ურიათა... და მოიცვა ქალაქი სა-რკინე... ხოლო სარკინელთა შესჭირდა, რამეთუ ჰბრ-ძოდა თერთმეტ თუე. იწყეს ფარულად კლდესა კაფა, და განხურიტეს კლდე იგი... და განკრბეს ხურელსა მას სარკინელნი ღამე, და შეიქცეს კავკასიად და დაუტევეს ცალიერად ქალაქი“ [2, 15-18].

ქართული წყაროებით სარკინეს ისტორია ძირი-თადად მითოლოგიური ხასიათისაა. ირანის ლეგენდა-რული მეფის ქაიხოსროს და თურქთა (თურანელთა) მეფის აფრასიაბის ომების უმთავრეს წყაროდ ითვლე-ბა ძველ ირანელთა რელიგიის, ზოროასტრიზმის ლი-

ტერატურული ძეგლი „აქესტა“, რომელიც ძვ. წ. პირველ ათასწლეულში შეიქმნა (ალექსანდრე მაკედონელამდე). „აქესტას“ ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, ირანის მეფის ქაიხოსროს (აქესტ. ჰაოსრავა) მთავარი მტერი იყო თურანელი აფრასიაბ, რომელიც მიწაში გამოთხრილ რკინის სხეულით შემოკავებულ მაღაროში ცხოვრობდა. ქაიხოსრომ იგი შეიპყრო და მოკლა.

შემდეგი ეტაპი ამ ლეგენდისა ახ. წ. IX საუკუნით თარიღდება. ფალაურ ლიტერატურულ ძეგლ „ბუნდაჰიშნში“ ასახულია აფრასიაბის ცხოვრება თურქი ხმელთების მთებში მდებარე რკინისაგან გაკეთებულ მიწისქვეშა სასახლეში.

ქაიხოსროსა და აფრასიაბის ომების ლეგენდა ვრცლად არის მოთხრობილი X-XI საუკუნეების მწერალ ფირდოუსის „შაჰნამეში“. ქაიხოსროსგან დევნილი თურანელი აფრასიაბი ამიერკავკასიაში ბარდავს მიაღწევს, იქვე კლდოვანი მთის გამოქვაბულს დარბაზად გამოჰკვეთს და იქ სახლდება. ირანელები იქაც აგნებენ და კლავენ.

როგორც სწორად არის შენიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში, ლეონტის ბუნთურქთა წყარო სწორედ ამ ლეგენდათა ჯგუფია საძიებელი. „ლეონტისთან შემონახული ამ ლეგენდის ქართული ვერსია მცხეთის სარკინის ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზეა წარმოქმნილი და აღნიშნული ლეგენდა ანტიკური ხანის ქართლში უკვე კარგად იყო ცნობილი“ [5, 149-155].

რადგანაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ქრონისტულ სტილშია დაწერილი, ამ ლეგენდასაც ავტორი ძალიან მოკლედ გადმოგვცემს. ამდენად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ წყაროც ირანულ ეპოსშია საძიებელი, რასაც ეშარებება ფსევდოკალისთენეს „ალექსანდრიანის“ ერთ-ერთი ვერსიაც, რომელშიც ასახულია მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობა. ბერძნებმა ალექსანდრეს მეთაურობით ირდილოეთით გადალახეს მასისის მთა და კედართა

ქვეყანაში შევიდნენ. მაკედონელმა აქ ნახა ველური, მხეცი, უწმინდური ტომები, რომელნიც ადამიანის ხორცს ჭამდნენ და მკვდრებს არ მარხავდნენ. აქვე ცხოვრობდნენ თრქები და სომხები, რომელთა ნაწილი ალექსანდრე მაკედონელმა გაულიტა [7, 89-106].

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში ჯერ კიდევ არსებობდა ტრადიცია ქვეყნის ისტორიის დაწერისა მითოლოგიური შესავლით. ამ ტრადიციისაა „მოქცევაჲ ქართლისაჲც“ და „ქართლის ცხოვრებაც“. იმ ეპოქაში, როდესაც ეს მატიანეები იქმნებოდა ძალიან დიდი იყო ალექსანდრე მაკედონელის ავტორიტეტი. იგი საუკუნეების მანძილზე კულტურული სამყაროს განსახიერება იყო, რომელიც ებრძოდა ბარბაროს ხალხებს. ასეთებად ითვლებოდნენ კავკასიის მთებში მოსახლე „გოგისა“ და „მაგოგის“ უწმინდური ტომები (ჰუნები, თურქები, ხაზარები). მათ წინააღმდეგ ლაშქრობს ალექსანდრე. ლეგენდებით, მაკედონელი ჩაკეტავს კავკასიის გადმოსასვლელ კარებს, ხოლო უწმინდურ ტომებს მთებში გამოამწყვდევს.

ასეთია ისტორიაც და მითოსიც ქართლის უძველეს ციხე-ქალაქ სარკინესთან დაკავშირებული.

რაც შეეხება, პლატონ იოსელიანის მოსაზრებას სარკინე-სევმარას იგივეობის შესახებ: იგი უარყოფილია სპეციალურ ლიტერატურაში სევსამორა (სევმარა) – წიწამურის იდენტობის სასარგებლოდ (ლ. მელიქსეთ-ბეგი, ა. აფაქიძე).

პლატონ იოსელიანი ქართულ ნარატიულ წყაროებში(ქართლის ცხოვრება, მოქცევაი ქართლისაი, თუმცა, ეს უკანასკნელი მის დროს ჯერ აღმოჩენილი არ არის, პირველი, შატბერდული რედაქცია ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა 1888 წელს და გამოაქვეყნა 1890 წელს) დაცულ საინტერესო ცნობას ალექსანდრე მაკედონელის მიერ სარკინეს აღების შესახებ, იგავ-არაკულ თქმულებას უწოდებს და არ მიიჩნევს ისტორი-

ულ რეალიად. ამიტომაცაა, რომ იგი არ იცნობს მოკლენებს, მომხდარს ქრისტიანობამდელ ხანაში. მას ამის არგუმენტად მოაქვს სტრაბონის და პლინიუსის მიერ სარკინეთის მოუხსენებლობა.

ლეგენდარულია თუ რეალური ქართლში ალექსანდრეს და ბუნ-თურქთა ბრძოლის ისტორია გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. აქ აღსანიშნავია, რომ სარკინე, როგორც ისტორიული ტოპონიმი არსებობდა. მეტიც, იგი უდიდეს როლს ასრულებდა ელინისტური და ანტიკური ქართლის, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ცხოვრებაში, რასაც ადასტურებს პლატონ იოსელიანის მოსაზრებები სარკინეთთან დაკავშირებული, რომ ერთის მხრივ, ის არის რკინის საბადოების ადგილი, ხოლო მეორეს მხრივ, მტრებისათვის მიუდგომელი, გამაგრებული ადგილი (სიტყვის ეტიმოლოგია, ბუნებრივია, რკინას უკავშირდება, რაც თავისთავად გულისხმობს სარკინეს სიძლიერეს. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საგულებით რეალურია „მოქცევაჲში“ და „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა მაკედონელის მიერ სარკინეს ქვეშ ბოლოს დამორჩილების შესახებ). ორივე ეს მოსაზრება ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, პირიქით, ავსებს, რაც დასტურდება, როგორც წერილობითი წყაროებით, ასევე არქეოლოგიური მონაცემებით. ამდენად, სარკინეს, პლატონ იოსელიანის აზრით, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ჰქონდა დიდი ისტორიული მნიშვნელობა.

პლატონ იოსელიანის სახით, როგორც სწორად არის შეფასებული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, საქმე გვაქვს ისტორიული გეოგრაფიის ერთერთ ფუძემდებელთან, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის პრინციპების დამნერგავია.

წყაროები და ლიტერატურა

1. „მოქცევაი ქართლისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963.
2. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ქველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955.
3. ა. აფაქიძე, ქსე, ტ. 9. თბ., 1985.
4. ჯ. გვასალია, შიდა ქართლი და ოსური საკითხი, თბ., 1997.
5. გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ. 1979.
6. Иоселиани Платон, Описание Шиомгвимской пустыни в Грузии, Т., 1845.
7. Истрин В., Откровение Мефодия Патарского, кн. IV, 1897.

Medea Gogoladze

Platon Ioseliani's conjecture about the toponym of Sarkineti/Sarkine

This article examines Platon Ioseliani's conjecture about the toponym of Sarkineti/Sarkine discussed in his "Description of the Shiomgvime Desert in Georgia". According to his research, Sarkineti is a source of iron ore or a fortified place unapproachable and unreachable to enemies. Both ideas have been proved by archaeological finds as well as written sources. The first hypothesis was confirmed as a result of archaeological excavation in the region of Sarkineti in Mtskheta in which the remains of ancient melting machine were found. Alongside mentioned melting machine, there were also found goldsmith's workshop instruments and other objects. According to the archaeologists, Sarkine provided Mstkheta with steel weapons and jewellery.

Georgian written documents such as "Moqcevai Qartlisai" and "Qartlis Ckhovreba" confirm P. Ioseliani's second hypothesis about Sarkineti being inaccessible to its enemies. These written sources suggest that in his conquest of Kartli Alexander the Great found Sarkine the most difficult place to seizure. However, the historian himself questions the heroic conquests of the Macedonian King in Kartli. Moreover, in the descriptions of Mtskheta by Strabo and Pliny the Elder no mention is given to Sarkine, which means that there are no references to the pre-Christian Sarkine in any written documents that have reached us.

What is important, however, is that Platon Ioseliani comprehends the complexity of Sarkineti issue, assigning to the region a great historical importance due to its geographical location.

XIX საუკუნის დასაწყისის რუსული ოფიციალური დოკუმენტები ბათუმის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ

რუსეთი კავკასიაში XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გააქტიურდა. ამ პერიოდში მის პოლიტიკურ გეგმებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ე. წ. „აღმოსავლეთის საკითხმა“ დაიკავა, რომელიც უკავშირდებოდა შავ ზღვაზე, კონსტანტინეპოლში, ბალკანეთში უპირატესი პოზიციების მოპოვებას.

„აღმოსავლეთის საკითხი“ არ წარმოადგენდა რუსეთის დიპლომატიის კერძო ცენტრალურ ამოცანას. ყველაზე მეტად აქ უპირისპირდებოდა ერთმანეთს რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ავსტრიისა და პრუსიის ინტერესები. „მთელი XIX საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა ფარული და აშკარა დიპლომატიური ბრძოლა, ხოლო მისი უკიდურესად გამწვავების შედეგად – შეიარაღებული დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისთვის“ [6, 183]. შავი ზღვის სრუტეები: ბოსფორი და დარდანელი ერთმანეთთან აკავშირებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციებს, აქვე გადიოდა უდიდესი საგაჭრო გზები და თავმოყრილი იყო ის სტრატეგიული პოზიციები, რომელიც შავ და ხმელთაშუა ზღვებზე გაბატონებულ მდგომარეობას უზრუნველყოფდა [6, 184]. სრუტეებსა და ზღვებზე ოსმალეთის იმპერია ახორციელებდა კონტროლს და მათი ხელში ჩაგდება უბრძოლველად შეუძლებელი იყო. XVII საუკუნიდან დაწყებული ოსმალეთის იმპერიის დასუსტება მის დაშლას გარდაუვალს ხდიდა. ეს კი ბალკანეთის ქრის-

ტიანული მოსახლეობისა და ოსმალეთის იმპერიის შემკვიდრეობის შემდგომ ბედთან (მისი ტერიტორიების გადანაწილებასთან) იყო დაკავშირებული. ევროპული სახელმწიფოები სულ უფრო და უფრო აქტიურად ერეოდნენ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის აუზში მომხდარ მოვლენებში [3, 6].

ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიების ხრდას ევროპაში 1683 წელს ვენასთან გამართულ ბრძოლაში ავსტრიელებისა და პოლონელების მიერ თურქების დამარცხებამ დაუსვა წერტილი. ეს ოსმალეთის მიერ დამონებულ ხალხებს (მოლდაველებს, ვალახებს, ბულგარელებს, სერბებს, ჩერნოგორელებს, ალბანელებს, ბერძნებს) მის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სტიმულს აძლევდა. XVIII საუკუნეში ოსმალეთში გაძლიერდა ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციები.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსმალეთის მთავარ მოწინააღმდეგედ რუსეთის იმპერია იქცა. 1768-1774 წელს მათ შორის მომხდარ ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ კარდინალურად შეიცვალა სიტუაცია შავი ზღვის აუზში. ომი ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებით დამთავრდა, რომლის მიხედვითაც რუსეთი შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე დამკვიდრდა. 1783 წელს რუსეთმა დაიპყრო ყირიმი და გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა ყუბანისპირეთში. ამის შემდეგ მის უახლოეს პოლიტიკურ გეგმებში შავი ზღვის აღმოსავლეთი პორტები მოექცა, რომელთა დაკავების შემდეგ რუსეთი ოსმალეთს უშუალოდ გაუმეზობლდებოდა და ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს დაუახლოვდებოდა. ოსმალეთის დასუსტებამ რუსეთს ხმელთაშუა ზღვაზე გასვლისა და ბალკანეთში ოსმალეთის ბატონობის რუსულით ჩანაცვლების იმედი გაუსახა.

რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომის (1787-1791) იასიის შავი მოჰყვა; რომელმაც დაამტკიცა ქუჩუკ-კაინარჯის

ზავის პუნქტები. ოსმალეთმა ხელი აიღო საქართველოზე და რუსეთის ღუნაის პროვინციების საშინაო საქმეებში თავისუფალი ჩარევის უფლება მიანიჭა.

1801 წელს, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, რუსეთის მოლაპარაკებები დასავლეთ საქართველოს მეფე სოლომონ II-სთან ახალ ფაზაში შევიდა. 1804 წლის 25 აპრილს სოლომონმა დაიფიცა რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე, დადებული ხელშეკრულება რუსეთს დასავლეთ საქართველოში ჯარის შეყვანის უფლებას აძლევდა. რუსეთი თავის საწყალარ მიზანს დაუახლოვდა – მის წინაშე სასურველი შავი ზღვის აღმოსავლეთი პორტების ხელში ჩაგდება ახლო მომავლის პერსპექტივა გახდა. მან შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპიროდან საკმაოდ დიდი ნახტომი გააკეთა სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსკენ, რის შემდეგაც დაუახლოვდა ოსმალეთის იმპერიას და მის მიერ მიტაცებული ქართული ნაკვეთებზე ხმელეთიდან შეტევის განხორციელების საშუალება მიეცა. ამით თავიდან იქნა აცილებული საკმაოდ წამგებიან ვითარებაში წარმოებული ბრძოლები (რომლებიც მას თანმიმდევრობით, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ჩრდილო კავკასიის ხალხებთან გამუდმებულ ომებში, თითქმის არარსებული გზებისა და მაცნე კლიმატის პირობებში, ან ყირიმიდან გამოგზავნილი საზღვაო დესანტის იმედზე უნდა ეწარმოებინა). ამ პოლიტიკური სვლით მან ალყაში მოაქცია აფხაზეთისა და ანაპაში მყოფი ოსმალები და თავისი კონტროლი დაამყარა სახმელეთო გზისა და შავი ზღვის სანაპიროს იმ მონაკვეთზე, რომელიც დასავლეთ საქართველოს ეკუთვნოდა.

რუსეთი ცდილობდა დასავლეთ საქართველოში ჯარები ყირიმიდან – თავრიდიდან, გადმოესხა. დაიწყო დაზვერვითი სამუშაოები ნავსადგურის შესარჩევად. რუსეთის ოფიციალური პირების მიმოწერიდან ირკვევა, რომ პოლიტიკური წრეები განსაკუთრებით

სამი პორტით: ანაკლიით, ფოთითა და ბათუმით დაინტერესებულან. ბათუმსა და ფოთზე კონტროლს ოსმალეთი ახორციელებდა, ანაკლიაზე კი სამეგრელოს მთავარი. ქვეყანაზე მიმზიდველი მათგან ბათუმი იყო. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და საუკეთესო ყურის გარდა [4. 25], მას ის დადებითიც ჰქონდა, რომ ოსმალეთის საზღვართან ახლოს მდებარეობდა და რუსეთის ხელში გადასვლის შემთხვევაში შეასრულებდა სამხედრო ბაზისა და პლაცდარმის ფუნქციას სამხრეთსა და ჩრდილოეთის მიმართულებით დაპყრობითი ომების საწარმოებლად და გაწყვეტდა სახმელეთო კავშირს ოსმალეთსა და ბათუმის ჩრდილოეთით მდებარე ციხე-სიმაგრეების ოსმალურ გარნიზონებს შორის.

1804 წლის 25 აპრილს საქართველოს მთავარსარდალი ციციანოვი ბათუმის უდიდეს მნიშვნელობაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩარტორისკის სწერდა და აღნიშნავდა, რომ თუ რუსეთი ამ პორტს ხელში ჩაიგდებდა, იგი შეძლებდა სამი ძირითადი ამოცანის განხორციელებას: „1) ვაჭრობის გაფართოებას; 2) არსებული სიმდიდრის გამოყენებას; 3) შემოერთებული მხარის სახელვრების დაცვას“ [1, 471].

ციციანოვი მიიჩნევდა, რომ, ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებითა და იმერეთის მეფესთან დადებული შეთანხმების პირობების მიხედვით, გურიაში მდებარე ბათუმი რუსეთის იმპერიის საკუთრებას წარმოადგენდა და მასზე რუსეთის პრეტენზიებს საკმაოდ მყარი ტერიტორიული საფუძველი ჰქონდა. „გურიაში მდებარე ბათუმის ნაციმისადგომის ხელში ჩაგდებით, რომელიც რუსეთის იმპერიის საკუთრებაში მყოფი იმერეთის დაქვემდებარებაშია და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გვეკუთვნის ჩვენ. . . რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოზე გაღებული ხარჯების უკან დაბრუნე-

ბა და სარგებლობის მიღება სათუო კი არა, გარდუვალი იქნება“ [1, 471]..

1804 წლის 26 აპრილით დათარიღებულ წერილში ციციანოვი უკვე ოსმალეთში რუსეთის წარმომადგენელ იტალინსკის წერდა: „ბათუმის პორტი გურიაში და ანაკლია სამეგრელოში, ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთისთვის, როგორც ვაჭრობის გაფართოებისთვის, რომლის გარეშეც იმპერიის ყველა მონაპოვარი აზრს კარგავს, ასევე, ქრისტიანებით ვაჭრობის აღსაკვეთად. ეს უკანასკნელი ამ მხარეს გაუკაცრიელებას უქადის, რადგანაც მის მცხოვრებლებს გაიყიდვის შემდეგ ასახლებენ ეგვიპტეში (როგორც ცნობილია, ყველა მამლუქი ქართველია). იმდენად არსებითია ამ ორი ნავმისადგომის ხელში ჩაგდებიდან მიღებული სარგებლობა, რომ მე საჭიროდ ვცანი ამის შესახებ მცნობებინა თქვენთვის, რათა საქმის კურსში ნაბეჭდებინა საგარეო საქმეთა სამინისტრო“ [1, 378].

რუსეთი სისხლსორცქმულად იყო დაინტერესებული ოსმალეთთან ტყეებით ვაჭრობის აკრძალვით. ბათუმიდან ქართველი და რუსი ტყეები ტრაპიზონდში საჰყავდათ, საიდანაც ისინი „მთელ აზიაში იფანტებოდნენ“ [1, 896].

რუსეთისთვის შავი ზღვის აღმოსავლეთის პორტების საკითხის სასწრაფო მოგვარების წინაშე რუსეთი განსაკუთრებით 1804 წელს კავკასიაში დატრიალებული მოვლენების დროს დადგა. სპარსეთი თავის ხელდებულ ქვეყანაზე გავლენის აღდგენას შეეცადა. არც ქართველი ხალხი აპირებდა რუსეთის ბატონობასთან შეგუებას. თითქმის ერთდროულად დაიწყო რუსეთ-სპარსეთის ომი (1804-1813 წწ.) და მთიულეთის აჯანყება (1804 წ.), რომელთა შორის კავშირის შესახებ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ზუსტი ინფორმაცია ჰქონდათ.

ამბოხებულების მიერ დარიალის გზისა და როკის ულელტეხილის გადაკეტვამ მაშინ, როდესაც სპარსელებს ცივილიზაციის ერევანთან ალყაში ჰყავდათ მოქცეული, რუსეთის პოზიციებს ამიერკავკასიაში სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ამიერკავკასიაში რუსეთის დამხმარე ჯარის გადასხმის ერთადერთ უმოკლეს და შედარებით უსაფრთხო გზად სწორედ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროები რჩებოდა. რუსეთისთვის ქუთაისზე მიმსხდელი ფოთის პორტი იყო, რადგანაც რიონის შავ ზღვასთან შესართავი დიდ შესაძლებლობას იძლეოდა ჯარის იარაღით და საკვებით მომარაგების განსახორციელებლად. აქამდე რუსები სწორედ ამ პორტით სარგებლობდნენ, რასაც ოსმალეთის ფორმანი სჭირდებოდა. მისი მიღება კი სათუო ჩანდა, რადგანაც სამხედრო ძალის გადმოსხმას და იარაღის გადმოტვირთვას, რა თქმა უნდა, ოსმალეთი შეეწინააღმდეგებოდა. მითუმეტეს, რომ 1804 წლის ზაფხულში ფოთის კომენდანტმა რუსეთის ხომალდებს პორტას ფირმანის გარეშე ხმელეთზე არც არასაბრძოლო ტვირთის გადმოცლის და არც მტკნარი წყლის მარაგის შევსების უფლება მისცა [1, 475].

რუსეთის სამხედრო წრეებში არსებობდნენ ჯარის გადასახმელად ხელსაყრელ ადგილს. ერთადერთი ალტერნატივა ქულევი (რედუტ-ყალე) იყო. სწორედ აქ გადმოსხდა 1804 წელს რუსული ჯარი [5, 10]. რუსეთის ამ ნაბიჯს ოსმალეთის მხრიდან პროტესტი მოჰყვა. კონსტანტინეპოლში იტალინსკის დაბეჯითებით უმტკიცებდნენ, რომ რუსები ჯარის გადასხმას ბათუმშიც აპირებდნენ [1, 518]. რუსეთის პოლიტიკური წრეები მტკიცედ იდგნენ იმ აზრზე, რომ ამ პერიოდში ბათუმზე არათუ სამხედრო ოპერაციის განხორციელება, არამედ რაიმე მოქმედებით ოსმალეთის დაჭერაც კი პოლიტიკური შეცდომა იყო. სპარსეთთან ომის პირობებში რუსეთს არ აწყობდა ომის ორ ფრონტზე წარ-

მოება. ეს რუსეთს ოსმალეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას აიძულებდა. 1804 წლის 8 ივლისს ჩარტორისკი ციციანოვს წერდა: „პოლიტიკური სიტუაცია პორტასთან მშვიდობიანობის შენარჩუნებას გვაიძულებს“ [1, 475].

ეს არ ნიშნავდა, რომ ბათუმის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. მას კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რუსეთის კავკასიურ გეგმებში. რუსეთის კავკასიური ადმინისტრაციის მესვეურები მიიჩნევდნენ, რომ ბათუმს შავი ზღვის სხვა პორტებთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიის დამორჩილების საქმეში. ბარონი გუდბერგი 1806 წელს გუდოვიჩს წერდა: „შეიძლება მხოლოდ ამ ნავმისადგომების (ანაპა, სოხუმ-ყალე, ფოთი, ანაკლია, ბათუმი – ავტორის შენიშვნა) იმედი გვქონდეს, რომ მოხდება მთის ხალხის სრული დამორჩილება. რუსეთის ხელისუფლებას კი მათ საშინაო მოწყობაში საურველად ექნება საკმარისი საშუალება ამყოფოს ისინი სათანადო მორჩილებაში“ [2, 526].

შექმნილ სიტუაციაში ბათუმის საკითხის მოგვარებაში რუსეთმა დიპლომატიურ საშუალებებს მიანიჭა უპირატესობა. გროვდებოდა ინფორმაცია ამ პორტის ისტორიისა და იქ მიმდინარე მოვლენების შესახებ. ეს ცნობები დროულად უნდა მიეწოდებინათ იტალინსკისთვის, რათა მას მათზე დაყრდნობით წარემართა მოლაპარაკება და მაქსიმალური შედეგისთვის მიეღწია ბათუმის საკითხში [1, 476]. არ გამოირიცხებოდა სამხედრო ჩარევაც, ოღონდ ეს უნდა მომხდარიყო მხოლოდ ხელსაყრელ შემთხვევაში, როდესაც შედეგი გარანტირებული იქნებოდა. რუსები მოთმინებით უნდა დალოდებოდნენ შესაფერის დროს. ამისთვის იტალინსკის უნდა გამოეყენებინა ყველანაირი არხი,

რათა წინასწარ შეეტყო ბათუმის მიმართ ოსმალეთის განზრახვის შესახებ [1, 477].

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩარტორისკი წერდა ციციანოვს 1804 წლის იანვარში: „გურიაში მდებარე ბათუმის ნავმისადგომის ჩვენს ხელში გადმოსვლის სარგებლობაზე თქვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით, თუმცა გარკვეულ დრომდე ამ საკითხზე ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ რაიმე დადებითი გადაწყვეტილება. სხვათა შორის, აქ არავითარი ცნობა არა გვაქვს ამ ციხე-სიმაგრეზე, უმორჩილესად გთხოვთ მაცნობოთ, როგორ დამოკიდებულებაშია იგი პორტასთან, რომის ჩამოშორდა გურიის სამფლობელოს, რომელსაც თავის საკუთრებად მიიჩნევს იმერეთის მეფე . . . აქვს თუ არა ამ მფლობელს ამ ციხე-სიმაგრის მმართველობაში რაიმე გავლენა“ [1, 476].

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩარტორისკის მიერ იტალინსკისთვის მიცემული დავალების მიხედვით, ოსმალეთთან მოლაპარაკებების დროს მას აუცილებლად ხაზი უნდა გაესვა იმ გარემოებისთვის, რომ რუსეთი ყველაზე მაღლა აყენებდა ოსმალეთთან მეგობრულ ურთიერთობას და იგი არ აპირებდა ამ ციხე-სიმაგრის წინააღმდეგ რაიმეს მოქმედებას. თუმცა გამუდმებით უნდა მოემხდარიყო ოსმალეთისთვის იმის შეხსენებაც, რომ იგი არაკანონიერად ფლობდა ბათუმს. იტალინსკის ქუნძა-კაინარჯის ხელშეკრულების პირობები უნდა წამოეწია წინა პლანზე, რომლის მიხედვითაც ამ მხარის ქრისტიანული ტერიტორიები, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, ბათუმიც შედიოდა, უნდა დაბრუნებოდა ყოფილ მფლობელებს. ჩარტორისკი ციციანოვს ეთანხმებოდა ბათუმის უღირსებს მნიშვნელობაში, მაგრამ აცხადებდა, რომ „ამ საკითხის გადაწყვეტისთვის ამჟამად ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ და ხელსაყრელ დროს უნდა დალოდებოდნენ“ [1, 476].

როგორც რუსული ოფიციალური დოკუმენტებიდან ჩანს, რუსეთის საიმპერატორო კარს შემუშავებული ჰქონდა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს ეკონომიკური აღორძინების გეგმა, რომელსაც დიდი მოგება უნდა მოეტანა იმპერიისთვის. მასში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ბათუმს ჰქონდა მინიჭებული. გეგმის მიხედვით: ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ბათუმს ჰქონდა დიდი პოტენციალი მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა აღმოსავლეთთან: სპარსეთთან და ინდოეთთან, ვაჭრობაში. მოხაზული იყო გზაც, რომლითაც ტვირთბრუნვები უნდა განხორციელებულიყო: ბათუმი – მდ. რიონი – მდ. მტკვარი – მდ. არაქსი –სპარსეთი და ინდოეთი [1, 477]. ეს, რა თქმა უნდა, იყო ევროპული ცივილიზაციებისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობის აქამდე არსებული გზის ალტერნატიული გზა, რომელიც იმჟამად საგალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. არასახარბიელოდ გამოიყურებოდა. თვით ქალაქი ბათუმიც, რომელიც ადრიანე დიუპრეს ალწერით, 1807 წლისთვის უბადრუკ დასახლებას წარმოადგენდა 50-მდე მცირე საბაჭრო ფარდულით [8, 24].

რუსეთის საიმპერატორო წრეები ოსმალეთის იმპერიის მოხელეთათვის აღნიშნული გეგმის გაცნობას და ამ საქმიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლით მის დაინტერესებას შეეცადნენ. იტალინსკის დაავალეს, პორტას საგარეო უწყებისთვის აუცილებლად შეეხსენებინა, რუსეთის იმპერატორის სურვილი, რომ იმერეთს, გურიასა და სამეგრელოს დაბრუნებოდა ის, რაც მათ ეკუთვნოდათ. ეს სასარგებლო იქნებოდა ორივე მხარისთვის. რუსეთის წარმომადგენელს კონსტანტინეპოლში, აგრეთვე, უნდა აღენიშნა, რომ თურქეთის შემადგენლობაში მყოფი ბათუმი იმჟამად იყო უსარგებლოდ. იმ შემთხვევაში თუ ის კანონიერ მფლობელს დაუბრუნდებოდა, მას რუსეთი გაუწევდა

მფარველობას. ამით შეიქმნებოდა ხელსაყრელი პირობები შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო დაკავშირებოდა აღმოსავლეთის მდიდარ ბაზრებს. ამ ვაჭრობით იხეირებდა ოსმალეთიც. მოგებისა და ნავმისადგომების სანაცვლოდ რუსეთი პორტას შესთავაზებდა სოლიდური რაოდენობის ფულს, ეს მხარე კი მიაღწევდა აქამდე უცნობ მდგომარეობას. რუსული ოფიციალური წრეები აცხადებდნენ, რომ ეს იქნებოდა შემთხვევა, როდესაც რუსეთის საზღვრების გაზრდას ოსმალეთი არ უნდა გაელიზიანებინა. რადგანაც იმ შემთხვევაში თუ ეს სამფლობელოები დარჩებოდა არსებულ მდგომარეობაში, ამ მხარეს კვლავ პირველყოფილ ვითარებაში მოუხდებოდა ყოფნა. რუსეთი აცხადებდა, რომ თუ ამაზე პორტა დათანხმდებოდა, რუსეთი აღარ შეიკვანდა ჯარებს ამ სამფლობელოში [1, 477].

რუსეთის საიმპერატორო კარზე თითქმის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბათუმის დათმობას პორტა არ დათანხმდებოდა. იმჟამინდელ მომენტში უფრო რეალური ჩანდა იქ საკუთარი წარმომადგენლების (კომისრის, კონსულის) ყოლა, რომელიც ადგილზე მოაგვარებდა რუსეთის პრობლემებს. ცივილიანოვი წერდა: შესაძლებელია შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო არც კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენი ნავმისადგომების მოპოვებას კანონიერად შევძლებთ; უკიდურეს შემთხვევაში აუცილებელია ჩვენი კონსულების იქ ყოფნა, რომელიც ქრისტიანებით ვაჭრობის აღსაკვეთად, ასევე, გაფლენის მოსაპოვებლად და იმის ხაზგასასმელად, რომ ის უნდა იყოს ადგილობრივი მთავარმმართებლის უშუალო დაქვემდებარებაში“ [1, 471].

საიმპერატორო კარზე გადაწყვიტეს ბათუმის ხელში ჩასაგდებად ფული და საჩუქრები ეცადათ. ჩარტორისკი წერდა იტალინსკის: „საყოველთაოდ ცნობილია, რომორ მოქმედებს ოსმალეთში საჩუქრები და ფული, შეგიძლიათ ეს საშუალება გამოიყენოთ ამ

ნავმისადგომთან დაკავშირებით ჩვენი მიზნის მისაღწევად იმ შემთხვევაში, თუკი დარწმუნებული იქნებით, რომ ჩვენს მიერ გაღებული ხარჯები ფუჭად არ ჩაიცლის“ [1, 477; 3, 10].

რუსეთი ცდილობდა ბათუმის ხელში ჩასაგდებად ადგილობრივ მოსახლეობაში შერვაშიძეთა გვარის ავტორიტეტი გამოეყენებინა. ხალხის მიერ სოსლან-ბეი შერვაშიძის მხარდაჭერის შემთხვევაში იგეგმებოდა რუსული ჯარით ბათუმის დაკავება [2, 339, 406, 429; 3, 12-13].

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლების ყოველგვარი ცდა ხელში ჩაეგდო ბათუმის პორტი, მარცხით დამთავრდა. 1809 წელს სპარსეთსა და ოსმალეთს შორის რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო კავშირი გაფორმდა [7, 165]. ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის პოზიციებს კავკასიაში. 1812 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი ბუქარესტის ზავით დამთავრდა. რუსეთმა დათმო დაპყრობილი ციხე-სიმაგრეებიც: ფოთი, ახალქალაქი და ანაპა. ბათუმის დაპყრობა რუსეთმა მომავლისთვის გადადო.

წყაროები და ლიტერატურა

1. Акты собранной Кавказской Археографической коммисии, ред. Ад. Берже, т. II, Тифлис, 1868.
2. Акты собранной Кавказской Археографической коммисии, ред. Ад. Берже, т. III, Тифлис, 1869.
3. მართალაშვილი ი., ბათუმის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში XIX საუკუნის პირველ მესამედში, ავტორეფერატი ისტორიის მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2004.
4. სითრიძე მ., ბათუმის ოლქი დასავლეთის სახელმწიფოების იმპერიალისტურ გეგმებში (1914-1921 წწ.), დისერტაცია ისტორიის მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1986.
5. სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან (რუსეთთან შერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 1878-1907 წლებში), ბათუმი, 1958.
6. სურგულაძე ა., რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში, თბ., 1973.
7. შარაშენიძე ს., ირანის შინაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობანი XIX საუკუნის დასაწყისში, თბ., 1984.
8. ხხეიძე ჯ., ბათუმი (ისტორიული ნარკვევი), ბათუმი, 1959.

MziaTkavashvili

Russian official documents of the beginning of the XIX century: economic and political significance of Batumi city

Since the second part of XVIII century, Russia has intensified its activities in the Black Sea basin. In 1801, after Annex of Kartli-Kakheti kingdom, the imperial court stepped up the activities in order to gain Western Georgia. In Russian official documents is available to find information about the interest of Russian Empire in Batumi harbor.

Russia used sea ways and fortress of Batumi, Poti and Anaklia revive trade and direct communication with Persian and Indian markets. Achieving its goals was fed by money and gifts.

For the conquest of the Caucasus, the Russian political circles attached the great importance to the eastern Black Sea ports, among them, Batumi.

Conquest of Batumi by force of arms, in the beginning of XIX century by Russia was a mistake. Therefore, the Caucasian administration with the help of its members and general Schervashidze, who enjoyed great prestige among the population of Batumi, +strengthened political influence on these important Black Sea ports.

„ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილსა“ (სოფელ ზემო ნიქოზის წარსულიდან)

შიდა ქართლის, კერძოდ, ლიახვის ხეობის წარსულის მარადებულ რეკონსტრუქციას ართულებს ისტორიული წყაროების სიმცირე და მემატიანეთა ძუნწი ცნობები, მაგრამ ზოგადი ხასიათის მიმოხილვიდანაც გასაგები ხდება ხეობის სტრატეგიული მნიშვნელობა ქართლის ისტორიული წარსულისათვის. „ლიახვის ხეობიდან გადადიოდა გზები ჩრდილო კავკასიაში ზეკარის უღელტეხილით... ამ გზებით წარმოებდა მიმოსვლა და საქმიანი ურთიერთობა მეზობელ და მოსახლე ქვეყნებთან – ალან-ოსებთან, დვალებთან და სხვა. აქედანვე გადადიოდა გზები იმერეთს: გორიცხინვალიდან კეხვს, შემდეგ წონა-ჩიხათიდან-სანიჩრეში, ონში და ა.შ.“ [1, 6]. ურიცხვი მტრის შემოსევებისგან დეცხილი მოსახლეობა აღნიშნული ხეობის გზებით მიემართებოდა დასავლეთ საქართველოში და უსაფრთხო თავშესაფარს ჰპოვებდა. რაც ყველაზე მთავარია, ლიახვის ხეობით ქართლიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ვრცელდებოდა ქრისტიანობა და ქართლის ხელისუფლება ცდილობდა, ჩრდილოეთის სახლვარზე მოსახლე არაქართველებიც მასთან სარწმუნოებრივ-იდეოლოგიურ ერთიანობაში ყოფილიყვნენ და ერთმანეთთან მეგობრული პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონოდათ [1, 13-14]. ქრისტიანობის გავრცელება ცენტრალური კავკასიონის მთიანეთში დაკისრა ნიქოზის საეპისკოპოსოს, რომელშიც შედიოდა ლიახვის ზემო წელი, დვალეთი და მთის რაჭა (გლოლა-ღები). მისი კათედრალი („ღვთაების ტაძარი“) მდებარეობდა „დვალეთის გზაზე“ [2, 16].

ცნობილია, რომ ქრისტიანული რელიგიის პირველი საეროცავები ხშირად აღმოცენებულა ცეცხლთაყვანისმცემლობის ადრინდელ კერებზე, რომელიც V საუკუნემი ქართლში სპარსელების გაბატონებას მოჰყვა. მცირის მიერ შერჩეული ერთ-ერთი ასეთი ადგილი იყო ნიქოზი, რომელიც ნაცარგორადან – უძველესი წარმართული მნიშვნელოვანი ცენტრიდან ახლოს მდებარეობდა [3, 11]. მემატიანეს ცნობით, ნიქოზის საეპისკოპოსო კათედრალი მაზღვანობის, ცეცხლთაყვანისმცემლების ადგილს ინიშნებს. კერძოდ, V ს-ის II ნახევარში, წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა ქართლის ეკლესიის სრული დამოუკიდებლობა, ავტოკეფალია მოუპოვა. მისი თხოვნით, ანტიოქიის პატრიარქმა ქართლის ეკლესიის მწყემსმთავარი პეტრე კათალიკოსად აკურთხა, ხოლო სამოქალი – მთავარეპისკოპოსად. დადგენილ იქნა 12 საეპისკოპოსო. სახელდობრ; კლარჯეთის, ერუშეთის, წუნდის, მანგლისის, ბოლნისის, რუსთავის, ნინოწმინდის, ჭერემის, ხელეთის, ხორნაბუჯის, აგარაკის. „შემდგომად მისსა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა“. ე.ი. ვახტანგ მეფემ აიშენა ნიქოზის ეკლესია იმ ადგილას, სადაც იყო ცეცხლის საკურთხეველი (საგზებელი – „ასანთები“, „საკურთხეველი“ [4, 199; 450]. ცხადია, რომ მაზდეანობის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული ეს ნაბიჯი, ის პოლიტიკური აქტია, რომელიც სპარსელებთან აშკარა დაპირისპირებას მოასწავებდა. ასე შეიქმნა მსხვილი ქრისტიანულ-რელიგიური ცენტრი ნიქოზის საეპისკოპოსო, რომელსაც არასოდეს დაეკარგავს თავისი დანიშნულება.

ნიქოზში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის წმ. მეფე ვახტანგმა, წმ. რაფდენ სპარსის ნეშტი, სოფ. წრომიდან აქ სათანადო პატივით გადმოასვენა და ღვთაების ჩაბარში მიუწინა სამუდამო განსასვენებელი. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პირვე-

ლი წმინდანის, ქრისტიანობისათვის წამებული ნეტარი რაჟდენისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული თხზულებები მოგვიანებით (XII ს-ში) დაიწერა [5, 509] და რამდენჯერმე გამოიცა. იგი რუსულად, ინგლისურად და ლათინურადაც არის თარგმნილი და გამოქვეყნებული. საგულისხმოა, ჯვარზე წამებით მოკლული წმინდანის ურყევი მრწამსი, რომელიც მუდამ მისაბაძი იქნება მართლმადიდებელთათვის. „განა არის რამე ქრისტესთვის სიკვდილზე უტკბესი, განა დიდი საქმეა, რომ ჩვენ მიწანი და მტვერნი, მოვკვდეთ მისთვის, ვინც სიკვდილის გემო იხილა ჩვენთვის და ჩვენ უკვდავება მოგვანიჭა“ [6, 15]. შეუძლებელია აქვე წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის უკვდავი ანდერძი არ გაგვახსენდეს: „აწ გამცნებ თქვენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდგეთ და ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ“. წმ. მეფე ვახტანგის ანდერძს მსოფლიოში ანალოგია არ მოეძებნება... ე.ი. დიდი მეფე ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის მხოლოდ განსაცდელთა დათმენისა და ატანისკენ კი არ მოგვიწოდებს, არამედ მისთვის თავდადების ძიებისაკენ. ადამიანი სულიერების მწვერვალზე უნდა იყოს, ეს სიტყვები რომ თქვას [7, 445]. წარუვალი დიდების მაძიებლობის შედეგად გახდა საქართველოს სამეფო დროშა „გორგასლიან-დავითიანი, ხოლო სამეფო ტახტი – „ვახტანგიანი“. „ქართლის ეკლესიის ღუაწლით გამმშვენებელი“ კათოლიკოსი მეფე, მემატიანემაც გამოარჩია: „ბლეხთა უწიგნოდაც იციან ძლიერება გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისა“ (ვახუშტი ბატონიშვილი). ასეთ სულიერ სიმტკიცეს, დიდ სარწმუნოებას, ერთგულ თვითშეგნებას ანადგურებდა მომხვდური მტერი, ვინაიდან ეხიშნა, რომ ამაში იყო ქართველების უძლეველობის ძალა, მაგრამ ნაციონალური ამპარტავნებისგან („სუფთა ქართველი ვარ“) თავ-

ის დასახსნელად გაქრისტიანებულ-გაქართველებული წმინდანები მოგვეცლინა უფალმა. ისინი საქართველოს მნათობის – წმ. პირველმოწამე რაფუენის სამარხის მხარეში „სოფ. ზემო ახაბეთში (წმ. ესტატე, ესტატე მცხეთელი) და სოფ. არბოში (წმ. აბო თბილელი) განისვენებენ“ [8, 30].

მშრალ და მეტად ძუნწ ფაქტებს მიახლოებითი წარმოდგენაც კი არ შეუძლია მოგვცეს იმ რთულსა და დაძაბულ ცხოვრებაზე, რომელიც გაუვლია ნიქოზის საეპისკოპოსოს მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე. მაგ., ჩრდილოეთში – ოსეთ-დვალეთში ქრისტიანობის გავრცელებას ნიქოზში მწიგნობრობის განვითარება, წერა-კითხვისა და საეკლესიო მსახურების მომზადება დასჭირდებოდა. თუ როგორ ასრულებდა დაკისრებულ მისიონერულ საქმიანობას ნიქოზის ეპარქია, სარწმუნო წყაროების უქონლობის გამო გაურკვეველი რჩება. ისტორიოგრაფიის ამ ხარვეზებს, მჭერმეტყველურად ავსებენ ზემო ნიქოზის მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთა შესწავლა-გამოცემაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ი. მეგრელიძეს, ლ. რჩეულიშვილს, გ. საძაგლოვ-იცკრიელს (წმ. კირიონ II), რ. მეფისაშვილს, ვ. ცინცაძეს, ვ. ბერიძეს, ნ. გენგიურს და სხვა მკვლევარებს.

ზემო ნიქოზის არქიტექტურული კომპლექსი სხვადასხვა დანიშნულების მქონე ოთხი შენობისგან შედგება, რომელიც ქ. ცხინვალიდან ორიოდე კმ-ით არის დაშორებული და ლიახვის ფართო ხეობაში დგას; ბაღებსა და მოსახლეობას შორის აღმართული არქიტექტურული ნაგებობების მასშტაბი და რიცხვი მაჩვენებელია იმისა, რომ აქ მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა. პატარა ღელე შენობათა კომპლექსს ორ ნაწილად ჰყოფს. ღელის ერთ მხარეს ერთმანეთთან მჭიდროდ შეკავშირებული სამი შენობაა მოქცეული: ცენტრალური, დიდი გუმბათიანი ტაძარი ღვთაების სახელობისა, ორსართულიანი სამრეკლო და შესანიშნავი რუინები ნიქოზელ ეპისკოპოსთა

სასახლისა. ხოლო „მთავარანგელოზის“ ეკლესია განცალკევებით დგას ღელის მეორე პლატოზე.

ღვთაების ეკლესიის დასავლეთით სამრეკლოა. ლამა'სად ნაგები რუხი ფერის ფიქალქვებით, მისი ქვედა სართული ვრცელია და თაღოვანი, საიდანაც შესასვლელია ეკლესიის ეზოში... სამრეკლოს სიმაღლე 12-13 მ., შიგ ასომთავრული წარწერებია, რომელშიც მოხსენებული არიან სამრეკლოს მშენებელი ოსტატები [1, 48]. სამრეკლოს ასომთავრული წარწერების რამდენიმე ვარიაციიდან ორკვება მშენებლების გვარ-სახელები და წოდება: გვრიტიშვილი გიორგი, ჯუარის კაცი, მახარებელნი. ქარაგმების გახსნით: „ქ. სახელითა ღმრთისაითა, ქრისტე, შეიწყალე ამის გალატოზნი: მემარნიშვილი, მახარებელი ჯუარის კაცი, მახარებელი გვრიტიშვილი გიორგი. შეუნდოს ღმერთმა ცოდვანი (მათ)ნი(?). ამინ“. სამრეკლო უეჭველად ტაძრის დასრულების შემდეგ აშენდებოდა. წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები სამრეკლოს არც ისე გვიანდელად გვიჩვენებენ. თუმცა წარწერაში სიტყვა გალატოზნი „გ“ ასოთი იწყება და ძველი ქართულის მნიშვნელობითაა გამოყენებული – ანუ სამრეკლო ქვისაა და ამ შემთხვევაში გალატოზი ქვის ხუროს სინონიმია [8, 156]. სამრეკლოს ამშვენებს ორიგინალური პირამიდული გადახურვა. სამრეკლოს შუაძელი სახეს ანიჭებს მისი საბურავი, რომელსაც ორის ნაცვლად ოთხი ფერდი აქვს. ამის გამო ოთხივე ფასადი ზემოთ ჭრონტოზით მთავრდება, რომელთა წვეროებში ტრადიციულად ცოხის თაგების ქანდაკებებია მოთავსებული. „ნიქოზის ტაძრის წმიდა სამრეკლოს XIV-XV სს-ით ათარიღებენ“ [3, 70].

მრავალმხრივ საინტერესოა ზემო ნიქოზის საეპისკოპოსო სასახლე, რომელსაც ორსართულიან კოშკსაც უწოდებენ. შესასვლელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, თაღოვანი ოთახის ქვეშ შენობას მიწისქვეშა გასასვლელი (გვირაბი) ჰქონდა. „ტაძრის ეზო 300 არ-

შინის სიგრძის გალავნით იყო შემოსაზღუდული, რომელიც მტერთა სასაკლაოს წარმოადგენდა, ვინაიდან თავდასხმების დროს, ადგილობრივი მოსახლეობა გალავანს აფარებდა თავს. მთიულთა მარბიელი ლაშქრობების შეწყვეტის შემდეგ, ხოგიერთმა ნიქოზელმა ბორიტად გამოიყენა ტაძრის ტერიტორია და საცხოვრებლად მითვისა [9, 33]. ს. მაკალათიას ცნობით, დაბალი და ხოგან დაშლილი გალავნის ფარითობი ჰექტრის მეოთხედს უდრიდა. ხოლო საეპისკოპოსო სასახლე საცხოვრებელ ძველ ციხე-დარბაზს წარმოადგენდა, ვინაიდან კედლებში დატანებული იყო სათოფურები. უკან, დასავლეთის მხარეს, დგას მაღალი კოშკი, რომელიც საგუშაგო უნდა ყოფილიყო მტრის მოძრაობის დასაზვერად. სასახლე ფორმით ოთხკუთხაა, მისი ფარითობი 12X12 კვ.მ-ია. კუთხეები ნაგებია ქვაჯიქლით. მეორე სართულზე გამართულია შესასვლელი კარი, რომლის საპირე ამოშენებულია აგურით. სართულები ჩაქცეულია. შიგ საცხოვრებელი ოთახები ყოფილა გამართული ტაძრის მსახურთათვის [1, 48]. ნიშანდობლივია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, სასახლე 1900-იან წლებში დაუნგრეველად იდგა, რასაც ისინი ციხეს, ნაციხარს უწოდებდნენ. პირველ სართულზე თიხა ყოფილა ჩადგმული, ხოლო აგურით გამოყვანილი დიდი ბუხარი იქაურობას ამშვენებდა. 1944 წლის აღწერით, პირველი სართული მიწით და ქვით არის ამოვსებული, ხოლო მეორე სართული თითქმის სულ დანგრეულია. პირველ სართულს საცხოვრებელი ანუ საყოფაცხოვრებო დანიშნულება ჰქონდა. მისგან განსხვავებით, ხის აივნიანი, კარგად განათებული დარბაზი საზეიმო მისაღებს წარმოადგენდა [10, 100-101]. ნიქოზის საეპისკოპოსო სასახლე ჩვენამდე მოღწეული სასახლის ნაგებობათა იმ იშვიათ ტიპს მიეკუთვნება, რომელიც IX-X სს-ით თარიღდება. „ნიქოზში შემორჩენილი არქიტექტურული

ძეგლები, მეტყველებენ, რომ ამ რეგიონში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, X ს-ის ბოლოს და XI ს-ის დასაწყისში, ხელს უწყობდა ამ კულტურული და რელიგიური ცენტრის ხელმეორედ აყვავებას“ [3, 74]. სამშენებლო საქმიანობა აქ შემდეგშიც არ შემწყდარა.

ნიქოზის არქიტექტურულ კომპლექსში ცენტრალური ადგილი ღვთაების გუმბათოვან ტაძარს უჭირავს, რომელიც ნაგებია ქვითკირით. მას ჯვრის ფორმა აქვს. მოპირკეთებულია რუხი ფერის ფიქალქვით. ტაძრის სიგრძე 18,5 მ. სიგანე – 12 მ. სიმაღლე გუმბათით – 38,5 მ-მდე [8, 138]. ეკლესია საკმაოდ ვრცელია, მისი ფართობი 10X10 კვ.მ. საკურთხევლის სიგრძე 5 მ. იგი ამაღლებულია ორი საფეხურით. იატაკი დაგებულია ფიქალქვებით: საკურთხეველში ქვის ტრაპეზია, მრგვალ ფუძეზე შემდგარი. მასზე ამოჭრილია ჩუქურთმიანი ჯვარი. ეკლესიას ორი კარი აქვს, სამხრეთით და დასავლეთით. კარების თაღიანი საპირე წნული ჩუქურთმის არშიითაა შემკული. გადახურულია ქვაფიქლით. გუმბათი მაღალია, გარშემო სარკმლებია თაღიანი ჩარჩოთი [1, 47]. ძველად ტაძარი მოხატული ყოფილა, მაგრამ ფრესკები წვიმის წყალს ჩამოურეცხავს, საკურთხეველში ფრესკული გამოსახულების ნაშთები ძლივსღა შეიმჩნეოდა. აღმოსავლეთ სვეტთან მთელი თავისი ძველებური სისადავით დგას ნიქოზელი ეპისკოპოსების ქვის კათედრა, რომელსაც მცირე გუმბათი ამშვენებს. სრულიად არის შემონახული მთიელების სანათლავი ქვის ემბაზი [9, 33]. ირკვევა, რომ ეპისკოპოსების ძველებური სადგომი და მწყაში ჩადგმული წარმართთა მოსანათლავი ემბაზი 1889 წელს, ტაძრის საფუძვლიანი რესტავრაციისას ჯეროვნად გაუახლებიათ [11, 6].

წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის დაარსებული ნიქოზის საეპისკოპოსო კათედრა გვიანშუასაუკუნეებში ურეცელად იღგა და რჯულისმსახურების სასოებით

აღასრულებდა. „ხის ღვთისაც, მწყემსი კავკასიანთა, ღუალთა და აწ ოსეთად წოდებულისა, გლოლა-ღებითურთ. და არს ეკლესია ღიდშენი, კეთილს ადგილს, მშვენიერი“ [12, 370]. „რაში გამოიხატება ზემო ნიქოზის აღნიშნული ტაძრის „ღიდმშვენიერი ღიდება? მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის ნაგებობა მრავალგზის აღდგა და შეკეთდა, მის მრავალრიცხოვან ქრონოლოგიურ ფენათა შორის ფრაგმენტულად შერჩენილი, უძველესიც ირჩევა, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობასთან [10, 77]. მეორე მხრივ, საქართველოში მონუმენტური არქიტექტურის ცნობილი ძეგლები VIII-IX და უფრო გვიანდელ პერიოდს განეკუთვნებიან. საქართველოში საკულტო არქიტექტურა სწორედ, რომ IV ს-ში ყალიბდება და უკვე V ს-ში დამოუკიდებელ განვითარებას იწყებს, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში გრანდიოზულ მასშტაბებს აღწევს. ერთ-ერთი ასეთი ძეგლია ნიქოზის ტაძარი, რომელმაც ჩვენამდე ძლიერ სახეშეცვლილი ფორმით მოაღწია [3, 12].

ამრიგად, ნიქოზში საეპისკოპოსოს დაარსება საქართველოში ქრისტიანობის მახდეანობაზე გამარჯვების ერთგვარი სიმბოლური გამოხატულებაა. შეიძლება ითქვას, რომ ტაძრის ნაგებობა მონუმენტური არქიტექტურის განვითარების ერთ-ერთი ცდაა.

ზემო ნიქოზის ღვთაების ტაძრის ღირსშესანიშნაობა ის ახლომთავრული წარწერებია, რომელთაგან ერთ-ერთი V საუკუნით თარიღდება. აღნიშნული ორსტრიქონიანი წარწერა მოთავსებულია ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, ნაწილობრივ დაზიანებულია, მაგრამ მაინც მოხერხდა პირვანდელი ფორმის მიახლოებითი აღდგენა. წარწერაში მოხსენიებულია ტაძრის მშენებელი ბაქარია პირველ-ეპისკოპოსი. სახელდობრ, „ქ. წმიდაო სამებაო, ბაქარია პირველ-ეპისკოპოსი შეიწყალე“. მკვლევარები წარწერას V ს-ით ათარიღებენ

შემდეგი ფაქტორების საფუძველზე: ისტორიული ცნობა ტაძრის აგების თარიღზე, პალეოგრაფიული ნიშნები და აგრეთვე არქაული ფორმა „პირველ ეპისკოპოსი“ [13, 49]. ცნობილია, რომ უძველესი ქართული წარწერები ბოლნისის სიონში, ურბნისის სიონში და აკურთას ტაძრებში შემოგვრჩა. აღნიშნული წარწერით, ნიქოზის ღვთაების ტაძარი მათ გვერდით საპატიო ადგილს იკავებს.

ნიქოზის ტაძრიდან ეპისკოპოსის კიდევ ერთი საშენებლო წარწერა მოგვეპოვება. კერძოდ, „ქ. ამენ. მიქაელ ეპისკოპოზმან აღვაშენე წმიდაჲ ეკლესია“. გრაფემების გაკუთხოვანებით, რელიეფურობით და სხვა ნიშნების მიხედვით, წარწერა X ს-ით თარიღდება. ნიშანდობლივია, რომ ამავე პერიოდს განეკუთვნება ზემო ნიქოზის არქიტექტურული კომპლექსის მეოთხე ნაგებობა, მცირე, გუმბათიანი „მთავარანგელოზის“ ეკლესია. არქიტექტორთა საფუძვლიანი ვარაუდით, IX-X სს-ები, ნიქოზში ეპარქიის ხელმეორედ აყვავებისა და შესაბამისად, საშენებლო საქმიანობის აღორძინების ხანაა.

საქმე იმაშია, რომ ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის აშენების ინიციატორი ნიქოზის ეპისკოპოსი სტეფანე ყოფილა. ეკლესია X ს-ის დასაწყისით თარიღდება. 906 წლის საშენებლო წარწერაში ნათქვამია: „...განისრახეითა ნიქოზელისა სანატრელისა სტეფანე ეპისკოპოსისაჲთა... მე თეოდორე თაფლაძის ძემან დაგდგი საძირკველი ერედვის ეკლესიისა“ [8, 121].

აქვე დავსძენთ, რომ ტაძარი-სალოცავების თუ სამრეკლოების საშენებლო წარწერებში ძირითადად საერო პირები (დიდგვაროვნები) არიან მოხსენიებული, ხოლო ნიქოზის ორივე ტაძრის აღმშენებლობა თუ რესტავრაცია ეპისკოპოსების სახელს უკავშირდება. თუმცა „ძველად მაღალი საეკლესიო იერარქია ძირითადად არისტოკრატიით იყო დაკომპლექტებული.

ლაბალი ფენა მხოლოდ მღვდლობის ხარისხს ღებულობდა“ [14,12].

ამჟენად, ნიქოზის ღვთაების ტაძარმა ჩვენამდე შეუცვლელი ფორმით მოაღწია – სამნავიანი ბაზილიკა გადაკეთებულია გუმბათოვან ტაძრად. В начале XI века в храме, который к этому времени, скорее всего, еще сохранял свой первоначальные формы была поставлена новая алтарная преграда, уцелевшие фрагменты которой, выполненные из светло-зеленого цвета камня и покрытые великолепным орнаментом, вставлены позднее в фасады сооружения [3, 70]. მომდევნო საუკუნეებში გადაკეთებული და აღდგენილი სახის მიხედვით, ტაძარს XIV-XV სს-ს მიაკუთვნებენ.

ნიქოზის ღვთაების დიდი ტაძრისგან განსხვავებით, პირვანდელი ფორმითაა შემონახული ნიქოზის მცირე გუმბათოვანი მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც საეპისკოპოსო კომპლექსისგან ოდნავ მოშორებით გორაკზე დგას, საიდანაც ლამაზი ხედი იშლება. ეკლესიის შენობა პატარაა, მაგრამ შეიძლება ითქვას ხელუხლებელია დროთა დამახინჯებისაგან და ამიტომ ახარებს თვალს ფორმათა სიწმინდე, როგორც სრულიად დაუმახინჯებელი, კარგად შემონახული ნიმუში ქართული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობისა [10, 77-78]. ე.ი. ეკლესია მნიშვნელოვანი დაზიანების გარეშე შემორჩა, მაგრამ დანაკარგებიც განიცადა. მაგ.; ალარ არის ეკლესიის სამივე შესასვლელთან არსებული პორტიკები [15, 49]. თუ მხედველობაში მივიღებთ ლეკების ამ ადგილებში თარეშს და მათი ლაშქრობის შედეგებს, რომლებიც ეკლესიებს წვავდნენ ამ დანაკარგებით ნაგებობის გადარჩენა გამონაკლისი შემთხვევაა. მთავარანგელოზის ეკლესიის დასავლეთ კარებს ჭვარტლის და მურის კვალი შემორჩენილი ჰქონდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მთრიგი

ლაშქრობის დროს ლეკებს მისთვის ცეცხლი შეუნთებიათ, მაგრამ სამშენებლო მასალის სიმტკიცის წყალობით ნაგებობა მთლიანად გადარჩა. საყდარი აგებულია დოდოთის ქვით, რომელიც ხემო ნიქოზიდან 8-9 კმ-ის დაშორებით, სოფ. ტბეთის მეზობლად მდებარეობს. ეკლესიის კომპოზიცია გეგმაში და სივრცეში ნათლად გამოყოფილ ჯვარს იძლევა. წმ. კირიონ II-ს მთავარანგელოზის ეკლესიის არქიტექტურული სტილი ახსენებს მცხეთის ჯვარს (ე.წ. ჯაჭვის მონასტერს, ჯვარპატიოსანს), რომელიც VII ს-ის დასაწყისში ააშენეს [16, 8]. მკვლევართა მიხედვით, საკვლევი ტაძარი კუპელჰალეს ანუ გუმბათოვანი დარბაზის ტიპის ეკლესიებს განეკუთვნება. ექსტერიერში გუმბათი თავისი მთამბეჭდავი ხომებითა და მორთულობით ნაგებობის დომინანტია (შდრ. სიმაღლე ტაძრის შეგუმბათოდ 5.70 მ. ეკლესიის სიმაღლე ჯვრიანად სულ – 10,70 მ.). ე.წ. გუმბათოვანი დარბაზის ტიპი ძალიან იშვიათად გვხვდება. იგი საქართველოში IX ს-ში შეიქმნა და სანიმუშო ნაგებობაა ვანისაძიანის ეკლესიაწმინდა, რომლის მინიატურულ განმეორებას ხემო ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესია წარმოადგენს [3, 71], მაგრამ ნიქოზელი ხუროთმოძღვარი ერთგვარად აჯამებს წინარე ნაგებობების გამოცდილებას და ქველასგან განსხვავებულ ინტერპრეტაციის იძლევა. „თვალისწინებს ვანისაძიანის კომპოზიციასაც, სოლომონ ქალასაც, და სხვა ტიპებისათვის სახასიათო ხოგიერთ ელემენტსაც იყენებს; ნანს ქვეყნის სხვა რეგიონების, განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების კარგი ცოდნა. ამ ტაძარში მეღავნდება სამხრეთ საქართველოში შემუშავებული და დამკვიდრებული მხატვრული იდეების არა მხოლოდ ზოგადი გატარება, არამედ მიდგენებაც კი არქიტექტურულ დეტალებში, რომელთა ხილვაც შეგვიძლია ოპიზის, ხახულის, ოშკის, ოშხინის ცნობილ ტაო-კლარჯულ ძეგ-

ლებში, აქაც გვხვდება. იმავეს თქმა შეიძლება გუმბათის ყელის შემამკობელ დეკორატიულ თაღნარზე, რომელიც პირველად ქართლში გაჩნდა (თელოვანი) შემდეგ კი ტაო-კლარჯეთის ამ ეკლესიაში შემოდის ორნავ სახეცვლილი. ამჟამად, ნიქოზის ტაძარი არქიტექტურის საერთო ქართული პროცესების ამსახველად გვევლინება [15, 129]. ნიქოზის მცირე ტაძარი ლ. რჩეულიშვილმა საერთო მხატვრული აღნაგობით ე.წ. ბარეთული სტილის ადრინდელ საფეხურს მიაკუთვნა და ძეგლი X ს-ის II ნახევრით დაათარიღა [10, 89]. ნიქოზის მთავარანგელოზთა ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადზე, კარის თავზე ამოკვეთილია ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: „ქ. სახელითა ღმრთისაითა მე მიქაელ ეპისკოპოზმან აღვაშენე წმიდად ეკლესიად და ბჭე ცათად. საყოფელი წმიდისა ღმრთისმშობლისად და წმიდათა მთავარანგელოზთად სალოცველად სულისა ჩემისათვის“. მაღლა გუმბათის ჩრდილოეთის სარკმლის თავზე დაწ'ხიანებელი წარწერაა: „ქრისტე შეიწყალე იოვანე დისწული მიქელ ეპისკოპოზისა“. ეს სამშენებლო წარწერები დათარიღების საკითხს არ წყვეტენ, მაგრამ ტაძარი მიქელ ეპისკოპოზის ინიციატივით აშენებულა და რაღაც მონაწილეობა მის დისწულ იოვანესაც მიუღია. აღნიშნული პიროვნებების ვინაობა გაურკვეველი რჩება, ვინაიდან საეკლესიო საბუთები და საისტორიო წყაროები მათზე დუმილს ამჯობინებენ. იდუმალებას ქმნის აღნიშნულ წარწერაში მოხსენიებული ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი ფორმა ეპისკოპოზი, თუმცა ბოლნისის წარწერებში ეპისკოპოსი გვხვდება [8, 157]. მასში X ს-ის დამახასიათებელი ასოთა მოხაზულობა გვაქვს და პალეოგრაფიული თვალსაზრისით, არქიტექტურული ძეგლი „მთავარანგელოზი“ X ს-ს განეკუთვნება. როგორც ვიმოთ აღნიშნეთ, X-

XI საუკუნეებში ნიქოზის საეპისკოპოსო შედარებით ძლიერი ეპარქია და აქტიურ მშენებლობამია ნაბმული. ზემო ნიქოზის მთავარანგელოზთა ეკლესია, ადგილობრივი მცხოვრების გ. ხალურის ცნობით, რომელსაც აქ ღვთის კაცს ან გერის ქადაგს უწოდებდნენ, „ამ მთავარანგელოზთა ღღესასწაულს ნიქოზის მოსახლეობა იქენებს 8 ნოემბრისთვეს (ახ. სტ. 21 ნოემბერს). შვიდში ღამითეობას წვევდნენ და რვაში ძველსე პურ-მარილით მიდიოდნენ, სახთლებს ანთებდნენ“ [8, 158]. ცნობილია, რომ ძვ. სტილით 8 ნოემბერს, ხოლო ახ. სტილით 21 ნოემბერს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს მთავარანგელოზობას ანუ კრებას მთავარანგელოზთა მიქაელისა და გაბრიელისა (ბერძნულიდან) და სხვათა წმიდათა უხორცოთა ზეცისა ძალთა. შესაბამისად, მთავარანგელოზთა ღღესასწაულს მენჯის, ალგეთის, ჯუმათის, გრემის, შუამთის, ონის ეკლესიებთან ერთად ნიქოზშიც აღნიშნავდნენ. „სიმბოლური მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ეს ღღესასწაული ძვ. სტილით 8 ნოემბერს იქნა დადგენილი. როგორც მოგეხსენებათ, წელიწადი შვიდეულისაგან შედგება, მაგრამ წმინდა მამების სწავლებით, ბოლოკვირა რვა ღღისაგან იქნება შემდგარი და მერვე ღღეს განცხადება მეორედ მოსვლა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ანგელოზების კრებულთან ერთად, რომელნიც კაცობრიობას ქვეყნის აღსასრულსა და იესო ქრისტეს მეორედ მოსვლას აუწყებენ. აქედან გამომდინარე, ნოემბრის მერვე ღღეს ეს ღღესასწაული იმიტომ იმართება, რომ კაცობრიობას მეორედ მოსვლა შეახსენოს და ყოველთვის მისი მოლოდინი ჰქონდეს“ [7, 301].

ზემო ნიქოზის ღვთაების ტაძარი, იქ სადაც საქართველოს ეკლესიის მნათობი წმ. რაფდენი განისვენებს, ამაღლების სახელზეა ნაკურთხი. ამიტომ ნიქოზელები აღდგომის მეორმოცე ღღეს, ამაღლების ღღე-

სასწაულობდნენ. პრესის მასალების მიხედვით, ამაღლება დღეს (იგი მოძრავი დღესასწაულია) დღეობა იცვიდნენ სოფ. ზემო ნიქოზში. პატარა ერი იკრიბებოდა ახლომახლო სოფლებიდან დროის გასატარებლად [17], ხოლო 1898 წელს ნიქოზელებს შესანიშნავი დღეობა გადაუხდიათ. ტაძარი გაჭედილი ყოფილა ხალხით, რომელთა შორის ყოფილან დაბა ცხინვალის ინტელიგენცია, ქვემო ქართლის და ზემო ქართლის თავადაზნაურობა. წირვაზე გალობდნენ მცღერეკისის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მოსწავლეები [18]. ნიშანდობლივია, რომ ღვთაების სახელობის ტაძრები თელავში [19] და იყალთოშიც ყოფილა, სადაც ნიქოზელებივით ამაღლების დღესასწაულობდნენ.

ზოგიერთი ცნობით, ნიქოზის ღვთაების კათედრალი თითქოს წმ. რაჟდენის სახელზედ იყო აგებული და წმ. რაჟდენის ტაძრად მოიხსენიება [20]. „ხენეშისა სარწმუნოებისა დამტკიცებელი“ და „მწყემსისა ჭეშმარიტისა შედგომილი“ წმ. დიდმოწამე რაჟდენის სახელობის იყო წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის აშენებული უჯარმა. უფრო სწორად, სპარსელების ქართლზე შემოსევის დროს პეტრე კათალიკოსს უთხრა მეფემ: „დადეგ ეკლესიასა შინა რაჟდენ წმიდისასა, რომელი რაბატსა შინა უჯარმოსასა ალმიშენებიეს“. რაბატი – ციხე-ქალაქის სამოსახლო ნაწილი [4, 201]. წმ რაჟდენის მოსახსენიებლად მეფე ვახტანგის ბრძანებითაც მშვენიერი ტაძარი აუშენებიათ არა მარტო უჯარმის ციხეში, არამედ „სამგოროებით წოდებულს უჯარმოს ველსედ“ [8, 24]. რასაკვირველია, ნიქოზელები დიდი გულმოდგინებით ზეიმობდნენ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დადგენილ დღესასწაულს, წმ. რაჟდენის წამების დღეს (ახ. სტ. 19 აგვისტოს), თაიის დროზე მტკიცე რწმენითა და სიყვარულით აგებულ ნიქოზის ტაძარში და ამ სიყვა-

რულს გადასცემდნენ მუსიობელ კაკაბიელებს – მტერს თუ მოყვარეს.

საერთოდ, ნიქოზელების სალოცავი ადგილია „ბოცისჯვარი“, სადაც წინათ ხემო ნიქოზელებს უცხოვრიათ და ლეკიანობის გამო იქიდან ნიქოზში გადმოსახლებულან. ბოცისჯვარში ხატობა იცოდნენ ალდგომის მეორე დღეს და სალოცავად მიდიოდნენ გვარამაძეები, ძამუკაშვილები და მჭედლიშვილები. ნიქოზში ყველაზე მეტი მჭედლიძეები იყვნენ. აქ უმთავრესად ქართველები ცხოვრობენ. სახელდობრ: მეტრეველები, მინდიაშვილები, კანდელაკები, კობერიძეები, ლომსაძეები, მაზანაშვილები და სხვები. აქაური გლეხები ნიქოზის ეკლესიას უხდიდნენ „სასეფისკროს“ (სეფისკვერისთვის) წელიწადში კომლზე ერთ ფუთ ჭირნახულს [1, 46-47].

ცხადია, საკათედრო ტაძრის დაარსებისათვის, ნიქოზის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა იყარაულებდა, ვიდრე შემდგომ ხანებში. დიდი ვახტანგ მეფის ყურადღება აქაურებს სარწმუნოებისა და სამშობლოს ერთგულებით დაუმსახურებიათ და ასე გამხდარან ამ ტაძრის ღირსნი.

ცხინვალიდან მკვრივ მანძილით დაშორებულ ნიქოზს ადგილმდებარეობით შუა ქართლში არც ერთი სოფელი არ შეედრება. გაშენებულია მაღლობზე, გადმოსცქერის გიშმაე ლიახვს, ატენილ ჭალებს და აქვავებულ ბალ-ვენახებს. წარსულში ნიქოზელებს ორი დიდი გასაჭირი ჰქონდათ: უწყლოობა და უტყე-უბალახობა. ხემო ნიქოზელებს ჩამოუდიოდათ 13-15 ვერსის სიშორიდან (სოფ. კეხვის სათავიდან), ლიახვის ტოტი, ეს რუ მომდინარეობდა სოფლებზე, ხაფხულში იქ სანახირის აგრილებდნენ და ჩუჩქით საცხე ჩამოდიოდა სოფელში. ამიტომ ხშირად ხან ერთი, ხან მეორე სენი იჩენდა თავს. ხამთარში რუ იყინებოდა და გლეხები თოვლს აღნობდნენ და იმას სვამდნენ [21]. ლი-

ახვის წყალს ბევრი მინერალური წყარო უერთდებოდა და ამის გამო მეტად გემრიელი, ცივი და სასარგებლო ყოფილა. ძველად რუისიდან ნიქოზამდე მინდვრები თამარ მეფის აშენებული არხებით ირწყვებოდა. „ამ რუისის მთის სამხრეთის მინდორი ნიქოზამდე და ლიახვით დვანის წყლამდე ირწყვის ორის ლიახვს რუთი, თამარ მეფის ქმნულითა და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითაქე მრავალნი“ [12, 374]. 1930-1945 წწ. ნიქოზში დიდი სარწყავი სალთვისის არხი გაიყვანეს. სოფლის დასავლეთით კვნის არხიც იყო და მოსახლეობას უწყლობა უკვე აღარ აწუხებდა. 1950-იანი წლებისთვის მოსახლეობა გზის პირას შეჯგუფულად განსახლდა და მოზრდილი ზემო ნიქოზის სოფელი (300-კომლიანი) გამოსჩნდა. 1902 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ზემო ნიქოზის მოსახლეობა ას ორმოც კომლამდე ითვლებოდა [21], ხოლო 1917 წელს მათი რაოდენობა 692 ადამიანს შეადგენდა [22]. XIX ს-ის 30-40-იან წლებში აქ მხოლოდ 6 კომლი იხსენიება, 1865 წლის აღწერით 5 კომლი ირიცხება [8, 119]. შესაბამისად, ნიქოზის ეპარქია, ქართლის სხვა ეპარქიებთან შედარებით ღარიბი იყო. 1801 წლიდან 1811 წლამდე მის მფლობელობაში მხოლოდ 8 სოფელი შედიოდა, მათგან საჭაძრო სამსახური 70 კომლს ემართა. ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ კახეთში ნეკრესის და რუსთავის საეპისკოპოსოები [23, 531].

აღსანიშნავია, რომ XIX ს-ის ბიულის, პერიოდული პრესის მასალების მიხედვით, ზემო ნიქოზში მოსახლეობა სულ 55 კომლს შეადგენდა. ასე მცირე სოფელს ორი ეკლესიის განახლების გამო დიდი ხარჯი დაატყდა თავს [24]. საქმე იმაშია, რომ XIX ს-ის 80-იან წლებში, ზემო ნიქოზის ორივე ეკლესია დანგრევის პირას იყო მისული. თუ მხედველობაში მივიღებთ ნაგებობათა სიძველეს, განვლილ ჟამთა სიავეს და განსაკუთრებით ლეკების ამ ადგილებში თარეშს, მა-

რომლაც ეს ეკლესიები დალუპვის პირას იქნებოდა მიმდგარი. ნიქოზის ღვთაების ტაძარში, აღნიშნულ პერიოდში გაჭირვებით ილოც-იწირებოდა, ვინაიდან გუმბათიც ცოცხალი მხრიდან ფარღალალა გამხდარიყო და ქარი, წვიმა თავისუფლად შედიოდა მის მინგრეულ-მონგრეულ ფანჯრებში. კედლებიდან მრავალ ადგილას ქვები გადმოცვენილიყო და დანარჩენ დარღვეულ ქვებსაც ასეთი ბედი მოელოდა. თაღებში ხოგან წვეთი ჩადიოდა და მთელ ტაძარს ანოტივებდა. ამის თაობაზე ნ. ლომოური თავის დროზე გულისტკივილით წერდა: „ეგი სდგას ფიქრით მოცული მრისხანე მოხუცივით და მშვენიერ ხეობას დასცქერის წარბშეკრული, თითქოს აწინდელი ვითარების მას ალარა მოსწონდეს რა... ის არის საგულისხმიერო სურათი ჩვენი ერის წარსულისა და აწმყოსი; დიდებულია როგორათაც წარსული და გაოხრებული როგორათაც ახლანდელი ყოფა-ცხოვრება ჩვენი!“ [11, 6]. ორივე ტაძრის აღდგენა (რომლებიც ნანგრევებშიც თავის მშვენიერებას ასხივებდა) დიდი ხანი აწუხებდა იმდროინდელ ქართულ საზოგადოებას, მაგრამ საკუთარი ძალებით ვერ ახერხებდნენ. ნიქოზის ტაძრების აღდგენის საბაბად გამოუყენებიათ, 1888 წლის 17 ოქტომბერში სმოლენსკისაკენ ოჯახითურთ მიმავალი რუსეთის მეფის ალექსანდრე III-ის სასწაულებრივი გადარჩენა. საქმე იმაშია, რომ სადგურ ბორკისთან სამეფო მატარებლის ქვეშა ვაგონი გადმოცვენილა. განადგურებულა, გარდა იმისა, რომელშიც მეფის ოჯახი იმყოფებოდა. ამ ფაქტის აღსანიშნავად, გ. საძაგლიშვილის სარწმუნო ცნობით, ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესიის ჩრდილოეთი კარის ზემოთ, შიგნიდან მარმარილოს წარწერიანი დაფა ქოფილა გაკრული, რომელიც გვაუწყებდა, რომ „с благословения Высокопреосвященнейшаго Палладия, Экзарха Грузии, обновлена церковь сия Архангела Михаила в память чу-

десного избавления Государя Императора Александра III и его Августейшего семейства 17 октября 1888 года" [16. გვ. 12]. ე.ი. ნიკოზის მთავარანგელოზთა ტაძარი მთავარანგელოზ მიქაელის სახელზე აღდგენილა.

საქართველოს ეგზარქოსის ნებართვით, ერთ-ერთ ჯგუფს მიემართავს იმპერიის სხვადასხვა დაწესებულებებისათვის, აღნიშნული ფაქტის სახსოვრად ნიკოზის ძველესი ტაძრების აღდგენაში დაგვეხმარეთო. ამ საქმისათვის საგანგებოდ შედგენილ კომიტეტს. 1200-ზე მეტი ეგზემპლიარი მოწოდების წერილი მოუფენიათ მთელ საქართველოსა და რუსეთში. იმედი არ გაუცრუებიათ, ამ უაღრესად საჭირო საქმეს მრავალი ღვთისმოყვარული და გულშემატკივარი აღმოაჩნდა; ნიკოზის ტაძრების შეკეთებისა და განახლების კომიტეტი რუსეთის იმპერიის ყველა კუთხიდან იღებდა შემოწირულობებს, რომელიც ნიკოზის ტაძრის მღვდლის ი. დავითაშვილის თხოვნით, მაშინდელი (1889 წ.) გაზ. „ივერიის" ფურცლებზე პერიოდულად იბეჭდებოდა: ნიშანდობლივია, რომ ღვთაების ტაძრის აღდგენაში მონაწილეობდნენ: შემახიის, ვოლოგდის, პოლტავის, კამჩატკის, კავკაზის, ციმბირის, თურქესტანის ეპისკოპოსები, აგრეთვე ათონის მთის წმ. პანტელეიმონის მონასტრის საამო, წინამძღვრები, ბლაგოხინები, სახელმწიფო უწყების მაღალჩინოსნები, იმპერიის სხვადასხვა რეგიონის მოქალაქეები. განსაკუთრებული პატივით უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს მაშინდელი ეგზარქოსი ყოვლადუსამღვდელოესი პალლადი, რომლის მოღვაწეობამ ერთგვარად დააჩქარა ავტოკეფალიისა და სახელმწიფოებრიობის გაქრობით შემკრთალი და გულამღვრეული ქართველი ერი. მის ეგზარქოსობაში მარტო ქართლში ორ-სამ წელიწადში შვიდამდე ტაძარი განახლდა. რასაკვირველია, ამ წმინდა საქმეში უდავოდ დიდია ქართველი სასულიერო მოღვაწეების და ზემო ნიკოზის მოსახლეობის წვლი-

ლი. ტაძრის აღდგენისთვის თავისი მადლიანი შემწეობა აღმოუჩენია იმერეთის ეპარქიის მღვდელმთავარს წმ. გაბრიელ ეპისკოპოსს, რომელსაც მიუმართავს მისდამი რწმუნებული იმერეთის ეპარქიის ყველა ბლაღოსინისადმი შემწეობა აღმოეჩინათ, როგორც საკუთარი შეწირულობებით, ისე საეკლესიო კრებულთა მოწვევით და სხვა ღვთისმოსავ საშრომელოთა მოხაწილეობით [25, 1]. ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორი დეკანოზი დ. ღამბაშიძე საზოგადოებას შეაგონებდა, რომ სამართლიანი და საუკუნო გმობის ღირსი ვიქნებით შვილთა და შვილიშვილთა ჩვენთაგან, შკოთე გულგრილობითა ჩვენითა დავანგრევთ ასეთ დიდებულ ძეგლს – ჩვენს მამა-პაპათა და წინაპართა სახელოვანი ცხოვრების მოწმეს, რომელსაც ერი ყოველთვის დიდი პატივისცემით და მოწიწებით იხსენიებდა და აწცა იხსენიებს [25, 2]. ვინ არ იცის, რომ ნიქოზის მკვიდრი გ. საძაგლიშვილი-ივერიელი (წმ. კირიონ II) საერთოდ, არავითარ შრომას არ ზოგავდა სოფლის საკეთილდღეოდ. ასეთი ადამიანების ლოცვითა და შრომითი შეწევნით ტაძრის აღმდგენელმა კომიტეტმა მიიღო 6000 მანეთამდე მეტი შემოწირულობა, რაც ტაძრის აღსადგენად საკმარისი აღმოჩნდა და 1889 წლის გაზაფხულზე დაწყებული აღდგენითი სამუშაოები წარმატებით დასრულებულა იმავე წლის 3 აგვისტოს, რაზედაც იუწყება ტაძრის შიგნიდან, ხრდილოეთით გაკრული მარმარილოს დაფა. წარწერაში იხსენიებიან აღნიშნული კომიტეტის წევრები გორის მაზრის თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლი ი. სულხანიშვილი, გორის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორი გ. საძაგლიშვილი, თავადი ს. ფავლენიშვილი და ნიქოზის მღვდელი ი. დავითიანი, რომლებიც მეთხებას თხოვენ, ნიქოზის მფარველ წმინდანს მთავარმოწამე წმ. რაფდენს. როგორც ნ. ლომოური აღნიშნავდა: ანდერძაგებული ტაძარი, როგორც დაძაბუნებული მოხუ-

ცი წელში ვაუკაცურად გასწორებულა და საფლავის მაგივრად იგი დღეს მომავალს იმედიანად გასცქერის... ვინ იცის იქნებ კიდეც მიაღწიოს იმ დრომდე, როდესაც საქართველოს კვლავაც აღმოუბრწყინდება მზე სიმართლისა და განათლებისა, მზე ბრწყინვალე მომავლისა [11, 6]. აღდგენითი სამუშაოები ბერძნებს შემდეგნაირად შეუსრულებიათ: ტაძრის ორივე მხარეზე კედლები საძირკვლამდე ჩამოუღიათ და ახალი თლილი ქვით აუყვანიათ. დარჩენილი ორივე მხარეც ასევე განუახლებიათ. სამივე კუთხით ტაძარზე მიდგმული ქვითკირის დანგრეული ოთახები, რომლებიც სალოცავს ძალიან აუშნოებდნენ, ეპარქიის ხუროთმოძღვრის თანახმად, მოუცილებიათ. ამისთანა მიდგმულები მცხეთის ტაძარს, სიონს და ძველ ეკლესიებსაც მოაშორეს. გუმბათი აუხდიათ და ხელმეორედ ლომფხინის ქვით დაუხურავთ. საქმე მართლაც ღვთის სათნოდ წარმართულა. მადლიერების გრძნობით გამსჭვალულ ნ. ლომოურს ორიოდე უსიამოვნო გარემოება შეუნიშნავს: პირველი – ბანიდან აუყრიათ ლომფხინი და მის მაგივრად დაუხურავთ კრამიტი. ლომფხინი იმისთანა მტკიცეა და გამძლე სახურია, რომ მისთვის ხელი სრულებით არ უნდა ეხლოთ. სადაც საჭირო იყო იქ უნდა შესწორებულიყო და თუ მაინცა და მაინც ეს შესწორება საკმარისი არ იქნებოდა, ზედ ლომფხინზედ უნდა დახურულიყო კრამიტი; მეორე დარღვევას რაც შეეხება, ძველებური, ვიწრო და მოგრძო ფანჯრები 4-5 ადგილას გამოუნგრევიათ და მათ ნაცვლად ეხლანდელი დიდი, განიერი ფანჯრები გაუკეთებიათ. ამნაირად, ძველი და ახალი არქიტექტურა ერთმანეთში აურევიათ [11, 7]. მართლაც, 1902-1904 წლების პრესის მონაცემების მიხედვით, აღდგენილი და გამშვენიერებული ღვთაების ტაძრის სახურავი მტკიცე არ იყო, წვიმა თავისუფლად ჩამოდიოდა და ხელმეორე შეკეთებას საჭიროებდა [26]. დაშვებული ხარვეზის

მიუხედავად, მოკლე დროში და მცირე მატერიალური საშუალებით, ამისთანა დიდი და შესანიშნავი საქმე შეასრულეს. ასე რომ არა, ტაძრის ნაგებობა ისე იყო დაზიანებული, ათ წელსაც ვერ გაძლებდა და მთლად ნანგრევებად იქცეოდა.

ნიქოზის ღვთაების ტაძრის კანკელი 1890 წლის აგვისტოში ჯერ დადგმული არ ყოფილა, მაგრამ დიდი ხელოვნებით და იშვიათი ცოდნით შეუდგენია გორის სათავადო სემინარიის მასწავლებელს კ.ს. სოკოლოვს, რომელმაც უძველესი ნუქურთმები დააპროექტა; ხოლო კანკელი გააკეთა თავ. თარხნიშვილმა, რომელმაც გორში თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა კანკელის დამდგმელმა და ნუქურთმის ამომჭრელმა ოსტატმა. ხატების დამზადება მიუნდიათ ქ. თბილისში მცხოვრები ი.გ. პატკანოვისათვის, რომელსაც თავისი მშვენიერი ხელობის გამო აგრეთვე დააკისრეს გორის საკრებულო ეკლესიის მოხატვა და ზოგიერთი ძველი მხატვრობის განახლება [27].

კომიტეტის წევრებს თურმე ჰსურდათ, ზემო ნიქოზის ტაძრის ერთი სამწირველო წმ. რაჟდენის სახელზედ ეკურთხებინათ, ვინაიდან მაშინ ამ წმინდანის სამწირველო არსად ყოფილა და თვით ზემო ნიქოზის ტაძარი ხომ ამაღლების სახელზეა ნაკურთხი.

ამ საშვილიშვილო საქმის სულისჩამდგმელებმა კარგად იცოდნენ ის უდავო ჭეშმარიტება, რომ „ახალი ტაძრების მშენებლობა ღვთისთვის მართლაც სათნოა, მაგრამ ხშირად ავიწყდებათ, რომ კიდევ უფრო დიდი მადლია დაზიანებული ეკლესიების რესტავრაცია, ძველი ტაძრებისა და მათი ნანგრევების აღდგენა. ვინც ამას აკეთებს, უფლის წინაშე დიდად კეთილ საქმეს იქმს: ამასთან ეს ნაბიჯი უფრო მოკრძალებულია და ამბიციურობისაგან თავისუფალი, ხოლო უფლისმიერი შეწევნა – გაცილებით დიდი, რადგან ასეთ ადამიანს და..მის ოჯახს არ მოაკლდება მეოხება იმ

სასულიერო და საერო პირთა, რომელნიც ამ ტაძრებსა და მონასტრებში ლოცულობდნენ და მოღვაწეობდნენ. მათი აღდგენა-განახლება წინაპართა პატივისცემისა და სამშობლოს სიყვარულის უფრო ღიდი გამოვლინებაა“ [7, 60].

ხელო ნიქოსელებმა შეიღირსეს წინაპრებისაგან მიღებული ჯილდო და მზრუნველობა არ მოაკლეს ვახტანგ გორგასლისგან მოხიჭებულ სახსოვარს, უმშვენიერეს ტაძარს და ეკლესიას, ნეტარ იყოს ხსენება მათი!

ამრიგად, 1891 წელს ნიქოსის ღვთაების ტაძარი უკვე განახლებული ყოფილა, ამავე წლის გაზაფხულზე მთავარანგელოზთა ეკლესიის აღდგენა დაუწყიათ, რომელსაც ჯამთა ვითარებისაგან მცირეოდენი განახლება ეჭირვებოდა. მთავარანგელოზთა ტაძარი ძალიან პატარაა, მაგრამ ქართული ღიდი ტაძრების გეგმაზეა აშენებული და მეტად შნოიანი და მოხდენილი რამ არის. 1891 წელს ნიქოზს ეწვია მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე – პრასკოვია უვაროვა, რომელსაც ისე მოეწონა ტაძრის სიტურფე, რომ მის აღსადგენად 300 მანეთი არ დაიხანა. ამ მეცნიერებას მიემატა ეგზარქოსის ფინანსური მხარდაჭერა [28], აგრეთვე ჭეშმარიტების მაძიებელი ადამიანების თანადგომა და 1896 წლის 24 აგვისტოს ნიქოსის მთავარანგელოზთა ტაძარი საზეიმოდ უკურთხებიათ. ამ დღიდან უოველად დგანან წარსულის უტევი მესაიდუმლენი ნიქოსის დიდებული სალოცავები და ქართული ეკლესიის გავლენას უხილავად გადასცემენ უკეთურობით მომძლავრებულ მეზობლებს. ნიშანდობლივია, რომ პრასკოვია უვაროვას და მის მეუღლეს ნიქოსში ყოფნისას უკურადღებოდ არ დარჩენიათ ტაძრის გვერდზე ძველი ექვსსართულიანი ციხე, რომელშიაც ხალხის გადმოცემით, კერპთმსახურების დროს ქართველებს ბომონი ჰქონიათ [29].

მთავარანგელოზის ტაძრის სიწმინდეებიდან აღსანიშნავია ძველ ქართულ სტილში შესრულებული წმინდა ხატები. აქ ღვთაების ტაძრიდან გადმოტანილი ყოფილა ხელოვნების იშვიათ ნიმუშად მიჩნეული მოციქულთა სწორის წმ. ნინოს, იოანე ნათლისმცემლისა და ღვთისმშობლის ხატები. არანაკლები მნიშვნელობის იყო ადგილობრივი, მაცხოვრის, ღვთისმშობლის და იოანე ღვთისმეტყველის ხატები. ნიქოზის ღვთაების ძველი ხატებიდან აღსანიშნავია ღვთისმშობლის მიძინების ხატი, რომელსაც მხედრული წარწერა ჰქონდა: „ქ. ჩვენ მაჩაბლის ზურაბ სახლხუცის ძემან ვახტანგ და თანამეცხედრემ ჩვენმა ამილახორის ასულმა გუქამ მოვაჭედინე ხატი ესე მიძინებისა, სულისა ჩვენისა საოხად და ძეთა ჩვენთა აღსაზრდელად. ქ.კასა: უიზ. მითითებული ქორონიკონი შეესაბამება 1729 წელს“ [9, 34]. საისტორიო წყაროების ცნობით, მაჩაბელი პირველად იხსენიება გიორგი VII-ის დროს (1395-1407 წწ.), თემურ ლენგთან ბრძოლებში. მაჩაბელი, როგორც ლიახვის ხეობის გამგებელი უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა. იგი არ ატარებდა არც მთავრის და არც ერისთავის წოდებას. მას მინიჭებული ჰქონდა ხევის უფროსობა და იწოდებოდა ხევის თავად. მისი სახელისუფლო ლიახვის ხეობაზე იწყებოდა, ანაბეთიდან ლიახვის სათავეებამდე. მინდობილი ჰქონდა ჩრდილოეთის სასაზღვრო ზონის მეთვალყურეობა და მოსაზღვრე ოსეთთან მეგობრული ურთიერთობის დაცვა-განმტკიცება. რაც შეეხება ლიახვის ქვემო მხარეს, აქ ქ. გორის მოურაობა 1465 წელს თავდადებისათვის გიორგი VIII-მ უბოძა თავის ერთგულ ზედგინიძე-ამილახვარს სამემკვიდროდ და მას განაგებდა ამილახვარი, რომელიც უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა [1, 16-17]. ამრიგად, მაჩაბელ-ამილახვრების ერთ-ერთი ჩინებული საგვარეულოების შთამომავლებს შეუწირავს აღნიშნული ხატი და მემკვი-

ღრეები ნიქოზის ტაძრისათვის შემოუვლებია. ნიქოზის ღვთაების ტაძარი ადგილობრივი თავადების ფავლენიშვილების საგვარეულო სამარხს წარმოადგენდა. მათ XVI საუკუნეში დასავლეთ ქართლი უჭირავთ. გ. საძაგლიშვილს (წმ. კირიონ II) ხელთ ჰქონია 1565 წლის სიგელი, რომელშიც აღნიშნულია, რომ Означенная грамота Рообама, Гарси, Иорама и Иотама Павленишвили свидетельствует, что царь Вахтанг Горгаслан построил Никозскую церковь и пожертвовал ей село Земо-Никози с крестьянами, но что эти крестьяне по смутным обстоятельствам, разьсьеялись по разным местам, а селением Земо-Никози завладели их предки. Желая ознаменовать преданность свою царю Симеону и супруге его Нестан-Дареджани, они Земо-Никози со всеми жителями и землями пожертвовали Никозской вознесенской церкви [9, 34].

ცნობილია, რომ ნიქოზში ყოფილა დაკუთხული ძელი ცხოველის ანუ ძელიჭეშმარიტის ჯვარი. ეს უძღვნია სიწმინდე წმ. მეფე ვახტანგ გორგასალს იერუსალიმის პატრიარქისგან მიუღია, ძვირფასი თვლებით შეუმკია და ნიქოზში შეუწირავს. წმ. თამარ მეფის ქალიშვილს, დედოფალ რუსუდანს ჯვარი განუახლებია, მას სათანადო წარწერაც ახლდა: „მე დედოფალმან რუსუდან ავაზაკთაგან გაძარცვილი ძელი ჭეშმარიტი კვალად შევამკე სულისა ჩემისა სათნოდ“.

XIX საუკუნის ბოლოს, მხოლოდ ჯვრის ვერცხლის ჩარჩოს ნახვა შეიძლებოდა. საქმე იმაშია, რომ 1798 წელს, ათანასე ეპისკოპოსის დროს, ძელი ცხოველის ჯვარი გამოუბრძანებიათ, რომ მასზე დაეყოცნებინათ ამირეჯიბნი თავადნი და მოდავენი მათნი იმერეთის მოსაზღვრენი. ტრაპეზიდან აიღეს ოქროს ბუდეში ჩადებული მკლავის სიგრძე და ალავერდისა ძელისა ჭეშმარიტისა მიხედვით, ორგზის დიდი ჯვარი

და დაასვენეს საწიგნესა ზედა. გლეხთა და თავადთა შფოთის გამო ტაძრის მცველებს დააკეთებინეს ჯვრის ადება, რომ მოძიეს საუნჯე არც საწიგნეზე იყო და არც ტრაპეზზე. მოახსენეს მღვდელმთავარს, გაიგო კათალიკოსმა, აცნობეს მეფე გიორგი XII-ს. ჯვრის დაკარგვის გამო მეფემ ეპისკოპოსი გადააყენა და წმ. დავით გარეჯის უდაბნოში გაამწესა. სთხოვეს მოძიება წერეთლებსა და აბაშიძეებს, რომელთა გლეხებს სწამებდნენ ჯვრის მოტაცებას [30, 161], მაგრამ ამაოდ. საუკუნეობით დაცული ჯვარი იმერლების შფოთის გამო მიეფარა თვალს.

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ძელი ცხოვრებისა იყო „მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა“. აღნიშნულის გამო, ძელი ცხოვრებისა საქართველოს სამეფოს არქიბუტად იყო მიჩნეული და ხშირად იგი წყაროებში სეფე დროშასთან და სამეფო აბჯართან ერთად ქართველ მეფეთა ლაშქრობების აღწერისას მოიხსენიება [31, 109]. ასეთი მნიშვნელოვანი სიწმინდის დაკარგვის შემდეგ, მეფე გიორგი XII-სთან შეამდგომლობდნენ, რომ ეპარქია გადაეცათ იღუმენ დიონისესთვის, რომელიც იყო თავადთა ციციანთა (ციციშვილთა) ქმა სოფ. ხვედურეთიდან. მეფე ღირსეულ კაცს ეძებდა და არავინ არ დანიშნა. გარდა ამისა, მეფეები ასე ადვილად გლეხებს და აზნაურებს სამღვდელმთავრო კათედრებს არ უბოძებდნენ. „მარადის მოიძიებდნენ თავადთა სახლთაგან, დამოკიდებულთა დიდ ოჯახობით დიდთა კაცთა თანა, უფრო პურადთა, უხვთა, გამცემთა და კარის მქონეთა გამოსჩენილისა პატივად მაღალისა ხარისხისა“ [30, 162]. შესაძლებელია, ასეთმა მკვეთრმა სოციალურმა გამიჯვნამ, დღეს ჩვენში პროტესტის გრძნობა წარმოშვას, მაგრამ საქართველოს სამეფო ტახტი ცნობილი იყო მრავალსაუკუნოვანი წეს-განგებით, მტკიცე წყობით და ურყევი რჯულისმსახურებით. ზემოაღნიშნული

ფაქტი ნიქოზის ეპარქიის მისიას კიდევ უფრო აძლიერებს და კათედრის ეპისკოპოსებსაც გამოარჩევს. შემთხვევითი არ იყო, რომ XVIII ს-ის მკვლევარი და მოგზაური გიულდენშტედტი თავის ჩანაწერებში ქართლის ექვს ეპისკოპოსთა შორის, ნიქოზის ეპისკოპოსზე შენიშნავდა: „ეპისკოპოსი დიდი ნიქოზელი“ [32, 207].

ნიქოზის ტაძრის სიწმინდეთა შორის აღსანიშნავია, 1889 წ. ადგილობრივი მღვდლის მ. დავითაშვილის მიერ ტაძრის კედელში, ორი საუკუნის სიმაღლეზე ნაპოვნი შემდეგი ძველი ნივთები: ეპისკოპოსის კვერთხი სამ ნაჭრად დასაშლელი, შავად შეღებილი. არწივი, რომელსაც ფეხქვეშ უგებენ ეპისკოპოსს, წითელი მაუდის ძლიერ დაძველებული და ერთი სპილენძის ალთაფა წარწერიანი: „ქ. შემოგწირე. მე ბადურმა. იოსებმა. წმინდასა ნიკოლოზს. ეს. ალთაფა. ქორონიკონი ამ წარწერის არ ჩანდა [33].

ამრიგად, ჯერჯერობით ჩვენ ამით დავასრულებთ ნიქოზის ისტორიის საკითხის კვლევას. შესაძლებელია იგი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არ გადმოსცემდეს ფაქტებსა და მოვლენებს, ისტორიული მასალითაც არ იყოს ჯეროვნად გაშუქებული, მაგრამ ის მაინც გაუღვიძებს მკითხველს ინტერესს ამ უძველესი სოფლის და ეპარქიის მნიშვნელოვანი წარსულისადმი.

წყაროები და ლიტერატურა

1. ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971.
2. ჯ. გვასალია, ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიიდან, ჟურ. „ჯვარი ვაზისა“, №1, 1997.
3. Р. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии - Шида Картли, Тb., 1975.
4. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955. ტექსტი დადგენილია ქეკლა ძერძეთელის ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ.
5. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბ., 1951.
6. წმ. პირველმოწამე რაჟდენი, დაიბეჭდა ნიკოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტის მეფე ისაიას ლოცვა-კურთხევით.
7. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, ტ. III, 2008.
8. ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, თბ., 1984.
9. И.К. Никозский соборь, жур. "Духовный вестник", 1891 г.
10. ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები, თბ., 1994.
11. ნ. ლომოური, ხმა პროვინციიდან, ჟურ. „მწყემსი“, №22, 15 მაისი, 1889.
12. ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
13. დ. ახლოური, ქართული სულიერების ოაზისი, თბ., 2008.
14. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ., 2008.
15. ნ. გენგიური, კუპელჰალე, თბ., 2005.

16. Кирион II (Садзаглишвили), Описание Никозской Михаило-архангельской церкви в Карталинии, жур. "Духовный вестник", №20, 1896, прибавление.
17. გაზ. „ივერია“, №99, 21 მაისი, 1887.
18. გაზ. „ცნობის ფურცელი“, №540, 23 მაისი, 1898.
19. ღვთაების ეკლესია თელავში, ჟურ. „მწყემსი“, №16, 1887.
20. გაზ. „ივერია“, №124, 13 ივნისი, 1898.
21. გაზ. „ცნობის ფურცელი“, №1938, 28 სექტემბერი, 1902.
22. Тифлисская губерния, гориский уезд, 1917.
23. Акты Кавказской археографической коммиссии, т. 1. Тиф., 1866.
24. გაზ. „ივერია“, 10 ივნისი, 1892.
25. ჟურ. „მწყემსი“, №9, 15 მაისი, 1889.
26. გაზ. „ივერია“, №249, 31 ოქტომბერი, 1904.
27. გაზ. „ივერია“, №180, 22 აგვისტო, 1890.
28. გაზ. „ივერია“, №187, 4 სექტემბერი, 1891.
29. გაზ. „ივერია“, №187, 2 სექტემბერი, 1890.
30. პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936.
31. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები, თბ., 2007.
32. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, თბ., 1962. ტექსტი თარგმნა, კომენტარი და სახელები დაურთო გ. გელაშვილმა.
33. გაზ. „ივერია“, №115, 5 ივნისი, 1889.

Irma Kvashilava

"Search the Death for Christ"
(From the history of the village ZemoNikozi)

Some problems of the village Zemo Nikozi and the oldest Nikozieparchy are discussed in the article. Establishing of Nikozi eparchy is connected with the name of King Vakhtang Gorgasali. The second period of the eparchy cathedra flourish, which was founded in the 5th century, is connected with the 10th – 11th centuries.

The second old church of Archangels which reached us in its primary state is of the mentioned period. The Khvtaeba church chapel and the palace of bishops are of historical value.

The great part of the article is dedicated to the description of Nikozi architectural complexbuilding, restoring, its inscriptions and relics. Worth to be mentioned is spiritual culture and every-day life peculiarities of the village Zemo Nikozi population.

პაპუნა გაბისონია

ბათუმის საკითხი XV საუკუნის რამდენიმე ახლად აღმოჩენილი იტალიური დოკუმენტის მიხედვით

XIII-XV საუკუნეებში შავიზღვისპირეთის რეგიონი იმდროინდელ მსოფლიო საზღვაო ვაჭრობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. 1204 წელს ჯვაროსნების მიერ ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლის აღებამ შავ ზღვაზე საერთაშორისო ვაჭრობას კარი ფართოდ გაუღო. ბიზანტიის მიერ მრავალი საუკუნის მანძილზე ბოსფორის და დარდანელის სრუტეებზე ნაოსნობაზე დაწესებული შეზღუდვა მოიხსნა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნების ხომალდებს შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის შესაძლებლობა მიეცათ.

ამ უფლებით განსაკუთრებით კარგად ისარგებლეს პირველ რიგში იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებმა: ვენეციამ და გენუამ, რომლებმაც შავიზღვისპირეთში თავიანთი სავაჭრო ფაქტორები დაარსეს. XIII საუკუნის II ნახევრიდან ამ მხრივ განსაკუთრებით გენუა გააქტიურდა, რომელმაც ყირიმის ნახევარკუნძულზე თავისი უმთავრესი კოლონია კაფა (დღ. ქერჩი) დაარსა. გენუელებს თავიანთი სავაჭრო ფაქტორები ჰქონდათ კონსტანტინოპოლში და 1204 წელს უშუალოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ სამხრეთ შავიზღვისპირეთში შექმნილ ტრაპიზონის იმპერიის დედაქალაქში. XIV საუკუნეში საქართველოს სამეფოს ნებართვით გენუელებმა კოლონია სავასტოპოლი ცხუმში (სოხუმში) დაარსეს. თუმცა როგორც ირკვევა, ისინი საქართველოს სხვა ნაკვალევებშიც ვაჭრობდნენ.

ასე ჩაეყარა საფუძველი გენუის ქალაქ-სახელმწიფოსა და საქართველოს სამეფოს შორის საგაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას, რომელიც დრო და დრო პოლიტიკურ ხასიათსაც იძენდა. ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არის შესწავლილი, მაგრამ გამოვლინდა კიდევ რამდენიმე იტალიური დოკუმენტი, რომელიც საქართველოს შავიზღვისპირეთში საგაჭრო ურთიერთობებს და მასთან დაკავშირებულ ინციდენტებს ეხება.

1998 წელს ცნობილმა მედიევისტმა ს. კარპოვმა, რომელიც მრავალი წელია შუა საუკუნეების შავიზღვისპირეთის საზღვაო-სავაჭრო ურთიერთობებს იკვლევს, სანქტ-პეტერბურგში გამოაქვეყნა ახალი დოკუმენტები, რომელიც გენუის ე.წ. „საიდუმლო არქივის“ ფონდ „Diversorum Filze“-ში ინახებოდა. ამ ფონდიდან ს. კარპოვის მიერ გამოქვეყნებული მასალები მთლიანად შავიზღვისპირეთს ეხება. აქედან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სამი დოკუმენტი, რომლებიც 1450-1470 წლებშია გაცემული.

პირველი დოკუმენტი, რომელიც 1450 წლის 5 მარტით არის დათარიღებული, წარმოადგენს ერთობლივ თხოვნას (პეტიციას), რომელიც გენუის ქალაქ-სახელმწიფოს და უხუცესთა საბჭოს მიართვეს გენუის მოქალაქეებმა: სპინოლა დი ლუკოლომ, ფრანჩესკო დი ლეანტრომ, ფილიპო დი მელოდემ და მერვალდო სპინოლამ. ამ პეტიციიდან ირკვევა, რომ 1437 წელს დაახლოებით 12 ტონა ტვირთმზიდაობის მქონე საკუთარი ხომალდით მერვალდო სპინოლა ტრაპიზონის იმპერიის ნავსადგურ „ლოე ვატში“ (შუა საუკუნეებში ევროპელები ბათუმს ამ სახელით იცნობდნენ) უშიშრად შეცურდა. ამ გემით მერვალდო სპინოლას მოეკიდა მონები და მოჰქონდა სხვა საქონელი, რომელიც მთლიანად ფილიპო დი მელოდეს ეკუთვნოდა. გემის მეპატრონე დარწმუნებული იმაში, რომ მეგობრულ, უსაფ-

რთხო ნავსადგურში იმყოფებოდა, ხომალდის გარეთა აღჭურვილობა ნაპირზე ამოატანინა. მოულოდნელად ბათუმის ნავსადგურში გალერათი (დიდი, ნიჩბიანი საბრძოლო ხომალდი) და ფუსტებით (მომცრო, სწრაფი გემები) შემოიჭრა ტრაპიზონის იმპერატორის წარმომადგენელი, რომელმაც იმპერატორის სახელით მკაცრად გაიტაცა სპინოლას ხომალდი იქ არსებული ფილიპე დი მელოდეს ქონებითურთ. თუმცა გამტაცებლებს გაუფრთხილებლობის გამო ნადავლი გემი ჩაეძირათ. დანაკარგმა დიდი თანხა შეადგინა და დაზარალებულმა ფილიპე დი მელოდემ დახმარებისთვის კაფას გენუელ კონსულს მიმართა. კონსულმა ფილიპეს ტრაპიზონის იმპერატორთან წერილი გააგზანა, სადაც დაზარალებულისთვის კომპენსაციის გადახდას მოითხოვდა. შემდეგ ეს სადავო საქმე საკუთრივ გენუაში გახდა ტრაპიზონის იმპერატორის ელჩისა და გენუის ქალაქ-სახელმწიფოს მთავრობას შორის მოლაპარაკების საგანი. თუმცა ყველაფერი ეს უშედეგოდ დასრულდა და 1450 წლისთვისაც არ იყო ზარალი ანაზღაურებული [1, 48-49].

მეორე პეტიციაა, რომელიც ასევე ბათუმის ნავსადგურში მომხდარ ინციდენტს შეეხება, 1470 წლის 12 ოქტომბრით თარიღდება. გენუის უხუცესთა საბჭოს და ქალაქის გუბერნატორის მოადგილის სახელზე ეს თხოვნა ბართოლომეო ოპიზომ შეიტანა. ოპიზო, ცოლის ი'საბელას გარდაცვლილი მამის, ანტონიო დი რივაროლოსადმი მიკუთვნებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვდა. პეტიციიდან ირკვევა, რომ დაახლოებით 1436 წელს ანტონიო დი რივაროლო საკუთარი საქონლით დატვირთული ხომალდით „ლო ვატის“ (ბათუმის) ნავსადგურში იდგა. მოულოდნელად პორტში გალერათი და ფუსტების ესკორტით შეესია ჯეროლამო დი ნეგრო, რომელმაც ანტონიოს გემი და საქონელი გაიტაცა. ამ უბედურების გამო, როგორც მისი სიძე

ოპინო ფიქრობს, ანტონიო გარდაიცვალა, ხოლო იმ დროს ანტონიოს მცირეწლოვანი ქალიშვილი და მემკვიდრე იზაბელა უმწეოდ დარჩა და საკუთარი უფლებები ვერ დაიცვა. ამიტომ ბართლომეო ოპინო გენუის მთავრობისგან ამ საქმის გამოძიებას და იმ ზარალის ანაზღაურებას ითხოვდა, რომელიც თავის დროზე მის სიმამრს მიაყენეს. ზარალი ამ შემთხვევაში მოპასუხეს, ბათუმის ნავსადგურიდან ხომალდის გამგზავნებელ ჯეროლამო დი ნეგროს შვილს, თეოდორეს უნდა აენაზღაურებინა. საპასუხოდ თეოდორე დი ნეგრომ საკუთარი არგუმენტები წარმოადგინა. იმავე 1470 წელსვე რომელსაც უკვე მესამე დოკუმენტიდან ვიგებთ, გამოძიებით დადგინდა, რომ ჯეროლამო იყო ტრაპიზონის იმპერატორის ერთ-ერთი უახლოესი კარიკაცი, „ბარონი“, რომელიც ყოველ მის ბრძანებას ასრულებდა. იმ დროს, როდესაც ანტონიო დი რივაროლოს ბათუმის ნავსადგურში ხომალდი საქონლითურთ წაართვა, ის იმპერატორის ბრძანებით მოქმედებდა, მიუხედავად იმისა, რომ დი ნეგრო იყო გენუის მოქალაქე, ტრაპიზონის იმპერატორის სამსახურში ყოფნისას მასზე გენუის ქალაქ-სახელმწიფოს ძალაუფლება არ ვრცელდებოდა. თეოდორე დი ნეგროს მამის ქმედებაზე პასუხი არ უნდა ეგო. რადგანაც ამ ინციდენტიდან უკვე 36 წელი იყო გასული და ამ ხნის განმავლობაში კაფაში მცხოვრებ მერვალდო სპინოლას და სხვა ვაჭრებს, რომლებსაც ვითომ საქონელი ჰქონდათ ანტონიო დი რივაროლოს ხომალდზე, კაფის კონსულისთვის ჯეროლამოს თავდასხმის გამო სანივრით არ მიუმართავთ. ასევე, როგორც თეოდორე დი ნეგრომ გაიგო, გარდაცვლილი ანტონიოს გემის წინანდელი მეპატრონე იყო იმპერატორის ქვეშევრდომი, რომელმაც ერთდროს ნადავლი (ალბათ ეს გემი საქონლითურთ) ტრაპიზონის იმპერატორის „მეგობრების“ ქარავნიდან გაიტაცა, რომლებიც ტრაპი-

ზონში საკაჭრად მიდიოდნენ და ამით იმპერატორს შეურაცხყოფა და ზარალი მიაყენა. ამიტომ ტრაპიზონის იმპერატორს სრული უფლება ჰქონდა თავის ქვეყანაში უხიფათო ვაჭრობის დამრღვევები დაესაჯა, ხოლო ჯეროლამო დი ნეგროს მოქმედება მისი სიუზერენის ბრძანებაზე იყო დაფუძნებული [1, 63-64].

ამ დოკუმენტების მიხედვით ჩანს, რომ XIV საუკუნეში ბათუმის ნავსადგურში გაცხოველებული სახელვაო ვაჭრობა მიმდინარეობდა ცალკეული ინციდენტების მიუხედავად. პირველ საბუთში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ეს არის მეგობრული ნავსადგური და უხიფათო სავაჭრო ურთიერთობისთვის.

აქ საინტერესოა ერთი საკითხი. კერძოდ, პირველ პუნქციაში ბათუმი ტრაპიზონის ნავსადგურად ისხენიება. მეორე საბუთში კი არ არის მოხსენიებული თუ რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის საქართველოს ეს სახელვაო ქალაქი და მხოლოდ „ლო ვატის პორტით" არის ნახსენები. 1437 წლისთვის ბათუმი შედიოდა თუ არა ტრაპიზონის იმპერიის შემადგენლობაში, ამის გასარკვევად თვალი უნდა გავადევნოთ საქართველოსა და ტრაპიზონის იმპერიას, უფრო ადრე საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის სასაზღვრო მიჯნის ცვალებადობას.

ი. ფალმაიერი, რომელმაც ტრაპიზონის იმპერიის ისტორია მონოგრაფიულად პირველმა შეისწავლა, ამ იმპერიის დაარსების შესახებ წერდა; რომ იმ დროს როდესაც ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი დაიკავეს, ალექსი კომნენოსმა მისი წინაპრების გვირგვინი აზიაში ისევ დაიბრუნა. ის სათავეში ჩაუდგა ლაშქარს, რომელიც კოლხეთის ფაზისში შექმნა და წინა მიიწევდა ტრაპიზონელთა ქვეყნისაკენ. ტრაპიზონის დედაქალაქი, ტრიპოლისი, კერასუნტი, მესხეთ-ჯავახეთია, ყველა ციხე-დარბაზი მთაში, ყველა ქალაქი ზღვის პირას ამისთვის ახალ მბრძანებელს დაემორჩილა [7, 46]. გერმანელი მკ

ცნიერის ნაშრომიდან მოტანილი ამ ამოხარიდიდან მკაფიოდ არ ჩანს, თუ სად გაჰყავს მას ახლად დაარსებული ტრაპიზონის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი. ამის მიუხედავად, მის მომდევნო იმპერიის ისტორიის მკვლევართა უმეტესობა ამ ამოხარიდს დაერთნობით, ამ იმპერიას და საქართველოს შორის საზღვრად მდინარე ყაზახის ანუ რიონს მიიჩნევს. ასე მაგალითად ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ა. ხახანაშვილი, რომელმაც მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“ ბერძნულიდან რუსულად თარგმნა, თარგმნის შესავალ წერილში საქართველოსა და ტრაპიზონის იმპერიის საზღვრად რიონი მიიჩნია [8, XI].

ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი თ. უსპენსკი მიიჩნევდა, რომ შავი ზღვის სანაპირო თერმოდონიდან ფაზისამდე ამ იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა [2, 72]. ეს მოსაზრება განმეორებულია ა. კაჟდანის რედაქტორობით ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ბიზანტიის ენციკლოპედიურ ლექსიკონში [3, 66]. ს. კარპოვი თავის 1981 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში, რომელიც XIII-XV საუკუნეებში ტრაპიზონის იმპერიის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობას შეეხება, საქართველოსა და ტრაპიზონის იმპერიას შორის სასაზღვრო მიჯნად მდინარე ჭოროხი მიაჩნია, თუმცა როდესაც ის XIII საუკუნის II ნახევარში გენუელთა მიერ ტრაპიზონის სახელმწიფოს ქალაქებში დაარსებულ საგაჭრო ფაქტორებს ჩამოთვლის, მათ რიგებში ბათუმიც შეჰყავს [4, 91]. ს. კარპოვის 2007 წელს გამოცემულ ვრცელ მონოგრაფიაშიც ბათუმი ისევ ტრაპიზონის იმპერიის შემადგენლობაშია [5, 257]. ტრაპიზონის იმპერიის მკვლევარი ა. ბრაიერი დ. ვინფილდთან თანაავტორობით გამოქვეყნებულ ნაშრომში ცდილობს ბათუმი და გურიის საერისთავო, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ეს ნაცისალგური, ტრაპიზონის იმპერატორ-

ის განსაკუთრებულ პოლიტიკურ ერთეულად მიიჩნიოს, თუმცა ამ საკითხზე საბოლოო დასკვნის გამოტანას ერიდება [6].

ბათუმში გენუელთა საგანგრო ფაქტორის არსებობა საეჭვოა. დღეისათვის კარგად არის გარკვეული, რომ იტალიური საგანგრო ფაქტორიის არსებობა, გუ-ლისხმობდა ამა თუ იმ ქალაქში იტალიელთა თვითმმართველობის და კონსულთა ინსტიტუტის არსებობას. საქართველოში ასეთი რამ მათ მხოლოდ ცხუმში (სოხუმში) ჰქონდათ [9, 89-92].

ქართული და ბიზანტიური საისტორიო წყაროების შეჯერებით ირკვევა, რომ V საუკუნის 60-იან წლებამდე ეგრისის (ლაზიკის) სამღვდელო ბიზანტიასთან ხლების პირას ქალაქ რიზესთან (თანამედროვე თურქეთი) გადიოდა. 465 წლისთვის ლაზიკის მეფე გუბაზ I იძულებული გახდა შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორია რიზესიდან ქალაქ ხუფათამდე ბიზანტიისთვის გადაეცა. VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე ბიზანტიისა და ეგრის-აფხაზეთის შორის სასაზღვრო ხაზი მდინარე ჭოროხზე გადიოდა. 1046 წელს საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027-1072) სამხრეთ-დასავლეთით სასაზღვრო ხაზის ხუფუთამდე გადაწევა შეეცადა და როგორც ჩანს წარმატებით, რადგან 1057 წლისთვის ხუფათის ციხე-ქალაქი საქართველოს შემადგენლობაშია. ეს სასაზღვრო მიჯნა არც დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) და მომდევნო მეფეების დროს შეცვლილა. საფუძვლით შესაძლებელია, რომ ქართველთა ცნობილი ლაშქრობა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სწორედ ამ ქალაქიდან დაიწყო, რომელსაც 1204 წელს ტრაპიზონის იმპერიის დაარსება მოჰყვა. მიუხედავად ამისა, საქართველოს საზღვარი შავ ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე უცვლელი დარჩა [10, 16-17]. ის მხოლოდ XIII საუკუნის დასასრულს შეიცვალა როდესაც ტრაპიზონის იმპერატორმა ალექსი II კომნენოსმა სამცხის ათაბაგის ბექას ასული შეირთო ცოლად. ამ ქორწინების შემდეგ ბექა ჯაყელმა სიძისგან მი-

იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღვისპირეთის ტერიტორია რიზენდან გონიომდე. გიორგი V ბრწყინვალის (1318-1346) ხანაში საქართველო ისევ გაერთიანდა და შავი ზღვის ეს ნაწილი კვლავ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა [10, 18-19].

ბათუმი ამ დროიდან გურიის ერისთავების საგამგეო ტერიტორიაა. იმ მოსაზრების დასამტკიცებლად, რომ გურია ტრაპიზონის იმპერიის ვასალური ერთეული იყო, XIV საუკუნის ტრაპიზონელი ისტორიკოსის მიქელ პანარეტოსის თხზულების ის მონაკვეთი მოჰყავთ, სადაც ის წერს: „6 აგვისტოს წავედით ლაზიკეთში და თვის ბოლოს, 1372 წლის დასაწყისში შევხვდით ბაგრატ მეფეს (საქართველოს მეფე ბაგრატ V). მას შემდეგ მოვედით ბათუმში... იქ ვებაასეთ გურიელს, რომელიც მეფის პატივსაცემად მოვიდა“ [11, 205]. ბერძნულ დედანში პანარეტოსი, როგორც საქართველოს მეფეს, ისე ტრაპიზონის იმპერატორს „ბასილევს“ უწოდებს და თითქოს შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ვის პატივსაცემად მივიდა გურიის ერისთავი ბათუმში. მაგრამ არ მოგვეპოვება არც ერთი საბუთი, რომელიც გურიის ერისთავის ტრაპიზონის იმპერატორზე რაიმე დამოკიდებულების დამამტკიცებლად გამოდგებოდეს. შესაბამისად გურიის ერისთავი პატივსაცემად პირველ რიგში საქართველოს მეფის წინაშე გამოცხადდა, ხოლო მერე საპატიო სტუმრის. ტრაპიზონის იმპერიისადმი ვასალური დამოკიდებულების დასამტკიცებლად იშველიებენ კიდევ ერთ ინციდენტს.

1445 წელს ორი ევროპული ქრონიკის მიხედვით, ბათუმს ბურგუნდიელები დაესხნენ თავს. ბურგუნდიელები ბალკანეთში ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლ ჯვაროსნების დასახმარებლად შემოვიდნენ შავ ზღვაზე. ბურგუნდიელთა ერთი კატარღა (გალერა) ჟოფრე დე ტუაზის მეთაურობით „ტრაპიზონის იმპერატორის სამარცხვინოდ საქართველოს ნაპირისკენ გაემართა, რად-

გან მან გაიგო, რომ იქ ძვირფასი საქონლით დატვირთული დიდი ხომალდი იდგა... მაგრამ ტრაპიზონელმა ბერძნებმა ეს აცნობეს ადგილობრიველებს (ქართველებს). ასე, რომ შეიტყვეს რა გალერიის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, ისინი შეიარაღდნენ და ჩაესაფრდნენ. საშუალება მისცეს მესირ ეოფრეს გადასულიყო ნაპირზე ბათუმის ნავსადგურში... და როდესაც ის მიუახლოვდა ჩასაფრებულებს, დაესხნენ თავს, მისი მრავალი თანამებრძოლი დახოცეს თვითონ კი ტყვედ ჩაიგდეს". მეორე ქრონიკა კი შემდგომ განვითარებულ ამბავს გვამცნობს: როგორც კი ბურგუნდიელები ბათუმს თავს დაესხნენ, იქ მივიდა „პატრონი გურიელი 600 კაციანი რაზმით... ეოფრე დე ტუაზი ტყვედ ჩავარდა და ტყვეობაში ერთი თვე გაატარა." ამავე ქრონიკის მიხედვით ბურგუნდიელი მეკობრე ქართველებმა ტრაპიზონის იმპერატორის შუამდგომლობით გაანთავისუფლეს, იმ პირობით, რომ ბურგუნდიელთა გალერები არ დაუწყებდნენ ბრძოლას აღნიშნულ ქვეყანას" [10, 19-20]. ბათუმში მომხდარი ეს ინციდენტი სრულებითაც არ მოწმობს გურიის ერისთავის რაიმე დაქვემდებარებას ტრაპიზონის იმპერიისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში ტრაპიზონის იმპერატორს ქვეშევრდომის წინაშე შუამდგომლობა არ დასჭირდებოდა და ის გურიის ერისთავთან, რომელიც საკარაულოდ ლომა დადიან-გურიელი უნდა იყოს, რომელიც XV საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდა [12, 59-60], როგორც ნეიტრალური, მომრიგებელი პირი მოქმედებს.

ამრიგად, ბათუმი ისევე როგორც ადრე, XV საუკუნის I ნახევარში საქართველოს, კერძოდ, გურიის ერისთავის შემადგენლობაში შედიოდა. 1450 წლის იტალიურ დოკუმენტში მისი ტრაპიზონის სახელმწიფოს ნავსადგურად მოხსენიება რეალობას არ ასახავს და მოსაზრებაც, რომ ბათუმი ერთ დროს ტრაპიზონის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ისტორიულ სინამდვილესაა მოკლებული.

წყაროები და ლიტერატურა

1. С. П. Карпов, Регесты документов фонда «Diversorum Filze» секретного архива Генуи, относящиеся к истории причерноморья. Причерноморье в средние века, III, СП-б., 1998.
2. Ф. Успенский, Очерки истории Трапезундской империи, СП-б., 2003.
3. The Oxford Dictionary of Bizantium, Alexander P. Kazhdan, Editor in chief New York – Oxford, 1991.
4. С. П. Карпов, Трапезундская империя и западно европейские государствы в XIII-XV вв. М., 1981.
5. С. П. Карпов, История Трапезундской империи, СП-б. 2007.
6. Antony Bryer and David Winfield, The Byzantine monuments and topography of the Pontos, Washington. D. C.
7. J. Fallmerayer, Geschichte des keisertums von Trapezud, Munchen, 1827.
8. М. Панарет, Трапезундская хроника, издал Хаханов А., М., 1905.
9. Т. бурадзе, Мореплавние и морская торговля в средневековой Грузии, ТБ., 1989.
10. თ. ბერაძე, XIII-XV საუკუნეების ბათუმის საკითხი ევროპულ ისტორიოგრაფიაში, ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა), I, ბათ., 2009.
11. გეორგიკა ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VII, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1067.
12. გ. არახამია, ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან (XI ს. – XVI ს. I ნახ.), თბ., 2003.

Papuna Gabisonia

The question of Batumi with support of several Italian documents in XV century

In XIII-XV centures the regon of the Black Sea was one of the global centres in the world. Especially the Italian city-Republics Venecia and Genua were active. They had trade relations with Georgia too. Especially Genua, which had it's own colony in Sukhumi. There was another seaside town Batumi, were the marchents of Genua had trade relations. In the port of Batumi there was a trade incident between the peoples of Genua and Trapzon and the three Italian document tells us about Some foreign historians, with the support of these documents, thought that Batumi was the part of the Trapzon empire thet isn't confirmed. This port-city was the part of Georgia even in XIII-XV centuries.

ხათუნა იოსელიანი
ირმა კვაშილავა

გიორგი XII – საქართველოს უკანასკნელი მეფის პორტრეტისათვის (პლატონ იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტის“ მიხედვით)

ისტორიკოსი პლატონ იოსელიანის ნაშრომმა „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ თავის დროზე დიდი ყურადღება მიიქცია. მონოგრაფია მდიდარ ფაქტობრივ მასალას იძლევა XVIII ს-ის საქართველოს კულტურაზე, ზნე-ჩვეულებებზე, ადმინისტრაციულ და საეკლესიო წეს-განგებულებაზე. კერძოდ, ნაშრომში ასახულია საქართველოს სამეფო ტახტის დიდების, ბაგრატიონთა უძველესი სამეფო დინასტიის ბრწყინვალე ტრადიციების რღვევის საშინაო და საგარეო მიზეზები. იგი პირადად იცნობდა ყველა იმ საერო და სასულიერო პირებს, რომლებიც საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგის XII-ის ცხოვრების და აღსასრულის თვითმხილველნი იყვნენ. მათგან შეიტყო ისტორიკოსმა ბაგრატიონთა გვირგვინის დამხობის, სახელმწიფოებრიობის დაკარგვის რეალური სუბიექტური და ობიექტური გარემოებანი. პლ იოსელიანს ურთიერთობა ჰქონდა არა მარტო მეფის ოჯახთან, ძმებთან, დებთან, მემკვიდრეებთან, რძლებთან, შვილებთან, შვილიშვილებთან, არამედ „მძახალნი და მოყუარენი მეფისა, ეპისკოპოსნი და მღვდელნი, ბერნი და ერისკაცნი, მეფესთანა ჴდომილნი, მსაუბრენი მისნი და მასთან მოხუმარნი, მასთან მოგზაურნი და თანამზრახველნი მისნი, შემაქცეველნი და მსახურნი მისნი, მასთან ზოგად მლოცველნი და დამტირებელნი მისნი, მტერნი მისნი და ოდესმე მაყუჩებელნი საქმეთა მისთა და

მისთვის არა კეთილისა ჰაზრისა მქონნი, – ვიტყვი სვინდისით, პირუთვნელად, მოვიღე ცნობანი ესენი ჩე'შმარიტთა მოშთხრობთა პირთაგან და წერილთაგან ნამღვილთა, რომელთაცა მოაწიეს ჩემამდე. შეკისწავლე საქმენი ესე კაცთაგან თანადამსწრეთა დროთა მათ და თვით მოქმედთა გვამთა და პირთაგან“ [1, 284]. ამგვარი კუთხით შეიცნო მკვლევარმა მეფის მნიშვნელობა და ღირსება, მეფეთა მოვალეობა, მოთხოვნილება, ძალი, სიმტკიცე და სისუსტე, საუბარი, რისხვა, ალერსი და ა.შ. „ესეთი მათთან დაახლოება და დაახლოვებისა გამო მათთან შემეცნება ამბავთა და მოთხრობათა იყო მიზეზი, რომელ ესრეთ გაბედვით აღვსწერე ცხოვრება ესე მეფისა“ [1, 285]. ცხადია, ისტორიკოსი და ბიოგრაფი მწერალი ვერ ასცდებოდა საკუთარი დამოკიდებულების, პოზიციისა და შეხედულებების გადამეტებას, მაგრამ არც უმთავრეს დანიშნულებას – სიმართლის აღიარებას ასცდენია. მან საკუთარი „ძალებისაებრ იღვაწა“ და მისი თხზულება ბიოგრაფი მეფის რეალურ სურათად უნდა ჩაითვალოს. მეფის ძე თეიმურაზის მოვალეობა გამოთქმა – მეფეთა ისტორია მეფემ უნდა დაწეროს, ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს იმ უდიდეს პასუხისმგებლობაზე და სიმძიმეზე, რომელსაც ტვირთულობს ისტორიკოსი მეფეთა ცხოვრების აღწერისას. მაშ, როგორ გაბედა მეფეთა ცხოვრების აღწერა? სითამამისა და გამბედაობის გარდა, პლ. იოსელიანი მამა-პაპით ეკუთვნოდა მეფეთა სასახლეს „გუარისა გამო ძეელისა. 1560 წლიდან, ვითარცა ფიცისა კაცნი ვიქცენით სუანეთსა, ოდიშსა, იმერეთსა და ქართლსა. ვითარცა სასახლისა კაცნი ვახლდით მთავართა და მეფეთა იმერეთისა და ქართლისა დასრულებამდე მეფობისა“ [1, 284]. გარდა ამისა, პლატონის პაპა, ონისიმე იოსელიანი მეფის სასახლის მღვდელი იყო. იგი მეფე გიორგის ახლდა და „მამა პლატონისა მღვდელი ეგნატეც მეფეს გიორ-

ბისკე, არამც თუ ერთისა, მთელი საქართველოს სამეფოს თანახისა თავშეწირული ერთგული იყო და უმეტნაკესად თავის მშობლის მამულისა დიდი გონიერი კაცი იყო ეს ეგნატე და დიდი მადლიანი წმინდა“ [1, XIII]. ახალგაზრდობაში ეგნატე იოსელიანი დაახლოებული ყოფილა მეფე ერეკლე მეორესთან.

სამეფო სასახლის აგონიის მოწმე და მონაწილე მაშის, ეგნატე იოსელიანისგან მოსმენილი ცნობისდებით ისარგებლა მომავალმა ისტორიკოსმა და შთამომავლობას კაპიტალური ნაშრომი დაუტოვა. განა ადვილი და ყველა საათის ხელმისაწვდომი იქნებოდა მეფესთან სახლობა? როგორც გიორგის მეფის ქმიმი ამბობდა: – „მეფეთა თანა საუბარი სიფრთხილითა უნდათ... თვით მამაშენი ეგნატე მისნეული მეფისაგან, „მამაო ჩვენო“-ს თქმით შეეღირსა მასთანაო“ [1, 74].

ზემოალნიშნული მიზეზების გამო, პლ. იოსელიანის თხზულებამ შეიძლება ითქვას სახურველ შედეგს მიაღწია, მაგრამ მთავარი ხარვეზი – კავკასიისკენ რუსეთის ლტოლვის მამოძრავებელი ძალები და საქართველოს ანექსიის პეტერბურგში საიდუმლოდ შემუშავებული პროექტი ავტორისთვის ამოუცნობი იყო, ვინაიდან, თავისი ნამდვილი სახე და ბრძანებები „რუსობამ“ მოგვიანებით გამოაჩინა. თუ როგორი „სულის მდუღარება“, სულიერი ქენჯნა, წვა და მწუხარება გამოიარა ისედაც ფიზიკური სნეულებით გატანჯულმა გიორგი მეფემ, ეს უფალმა იცის. ხსნა არსად სჩანდა და საქართველოს სამეფო დინასტიის წესის ამგებად რუსეთი მოგვევლინა.

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, თითქოს ისტორიკოსი მეფე გიორგი XII-ის პოლიტიკას ისტორიული და იდეოლოგიური თვალსაზრისით ამართლებდეს, არ უნდა შეშფოთებულყოთ ეგნატე იოსელიანის მეფის ახლო თანამოსაუბრეთა დიალოგის საკუთარისმა ასპექტები: კერძოდ, „არაფინ ყველოდით რუსთაგან ამას, რასა-

ცა თქვენ მიბრძანებით; ახლა ვხედავთ რაოდენ ძნელი ნათესავი ყოფილა. ძლიერნი ძალთა სიმრავლითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა, უცნობნი კაცთა, არა დამფასებელნი ღირსებათა, ცივად მხედველნი, ცივად მგრძნობელნი; მეფენი მათნი თვისთა ერთაგან დაშორებულნი, და ვითარცა ტყვენი ვეზირთა ხელთა შინა, რომელთაცა უწოდებენ მინისტრებად. მისცდეთ ამათ მართლმსაჯულებას? განა კაცი დააწყობს ესრეთსა სამსაჯულოსა? აზიერთა და ძველთა ჩვენთა სჯულისდებათა ეცინიან რუსნი. განიხილონ რომელია უკეთესი, უმოკლესი და უმეტეს მართლმსაჯულებითი?... რა გაეწყობა! ესრეთ კეთილად დაწესებული სამეფო, ვითარცა საქართველოსა ტახტითა და თავადაზნაურობითა, სამღვდელოთა წესითა და საერთოსა სიმდიდრითა: თოფითა, ხარბაზნითა და ხალხისა სიმხნითა და ვაჟკაცობითა ჩაბარდა სადმე დიდსა რუსეთისა იმპერიასა?! მიეცლოთ ყოველივე სიმდაბლით და დღეგრძელობისა ხელსა. ღვთისა განგებისა ხელსა ვერ ვნახავთ. ვხედავთ განგებისა კვალსა და კმარა ესე ჩვენთვის“ [1, 204]. ღვთის და მამულის მოყვარე ერს, რომელსაც ჭეშმარიტების სიყვარული სამშობლოს სიყვარულზე აღმატებულად მიაჩნდა, განსაცდელად მიიღო რუსეთის ძალმომრეობა საქართველოსადმი და „დაუთმო განსაცდელსა“; ვინაიდან „ნეტარ არს კაცი, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა; რამეთუ გამოცდილ იქმნას და მოიღოს გვირგვინი ცხოვრებისა, რომელიცა აღუთქვა მოყვარეთა თვისთა“ [2, 269].

ასეთი ღვთისმოყვარე, მორჩილი და ჯვრის თაყვანისმცემელი მეფე ჰყავდა საქართველოს უკანასკნელადაც, რომელიც ქ. თბილისში, 1746 წლის გიორგობის თვეში დაიბადა. დედა-დედოფალი ანა, ზაალ აბაშიძის ასული გახლდათ, რომელიც მეფე ერეკლემ 1745 წელს შეირთო. ანა დედოფლისგან მეფე ერეკლე

ეს ქალიშვილი თამარიც ჰყავდა. მომავალი მეფის შობა პაპამ, თეიმურაზმა დიდი დღესასწაულით აღნიშნა: სახელდობრ; ეპისტოლეებით აუწყებს იმერეთის მეფეს და მთავრებს, ქართლ-კახეთის თავადებს, კათალიკოსს და მღვდელმთავრებს. ქვრივ-ობლებს და გლახაკებს საბუქრები უსახსოვრეს, „პატიმრობასა შთაგდებულნი“ შეიწყალეს, მუდაბნოებს გაეგზავნათ „ნუგეშინის-ცემითნი სამრთო ბოძებანი“. აცხობებს მეზობელ ხანს თუ ყაენს და საბუქრები მიართვეს. ასეთივე ეპისტოლე და ძღვენი წარუვლინეს ოთხივე მართლმადიდებელ პატრიარქს, აგრეთვე სინასა და ათონის მთის წინამძღვრებს.

მეფის ძე გიორგი შობიდან მეცხრე დღეს მონათლეს. მას ნათელ-სცა ანტონი II კათალიკოსმა და მიმქმელად იყო არქიეპისკოპოსი საბა ნინოწმინდელი.

ოთხი წლის გიორგის გამზრდელად, ლალად მიუჩინეს კახეთის თავადი სვიმონ მაყაშვილი და ქართლიდან რაინ ბარათაშვილი, რომელიც მალე გარდაიცვალა და მეფის აღმზრდელად ს. მაყაშვილი დარჩა. ქართული ენის მასწავლებლად ფრიად განსწავლული ისაკ მწიგნობარი ჰყავდა. თათრული ენა კარის მოხელეთაგან ისწავლა და სომხური, სომეხთა მღვდლის ტერდავითის შვილისაგან შაიკოზისა და ყაითმაზაშვილისაგან. ბერძნულს სწავლობდა ბერძენი თეოდორე ეპისკოპოსისაგან, მაგრამ ვერ სრულ-ჰყო მასწავლებლის გარდაცვალების და დროთა გარემოებათა გამო. შვიდი წლის ყრმას ქართულის მასწავლებლად მიუჩინეს იერუსალიმიდან დაბრუნებული დეკანოზი იოანე მოძღვრიშვილი, ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველების დიდი მწიგნობარი. მომავალი მეფე „მოისურვებდა ფილოსოფოსთა ძველთა სწავლის მოსმენათა“. გამოჩენილი ანტონ კათალიკოსი ბევრს ეცადა, რომ დაესწავლებინა მეფის ძისათვის სამეცნიერო საგნები, მაგ-

რამ უშედეგოდ. გიორგი წუხდა: „არ მესმის ესე ვნაჟავ წყალსა“ [3].

გიორგის პაპამ, ქართლის მეფე თეიმურაზ მეორემ, ჯერ კიდევ შვიდი წლის მეფის ძე გიორგისათვის, 23 აპრილს (ახ. სტ. 6 მაისს), გიორგობას ბრძანა მისთვის საუფლისწულო დროშის მომზადება. მისიცე ბრძანებით მოიღეს ყვითელი ატლასი და მასზე მეტეხის ღმრთის მშობლის ხატი მოქსოვეს. ანტონ კათალიკოსმა აკურთხა ეს დროშა და მეფის ძეს მეტეხის ეკლესიაში პარაკლისის გადახდის შემდეგ მიართვა. ამ დღეს სამეფო სასახლეში დიდი წვეულება გაიმართა. მეფის ძის აღსაზრდელად, მეტეხის ეკლესიას ძიერფასი ბარძიმ-ფეშხუმი და სამი კომლი კაცი შესწირეს. ერთი ხელი შესამოსელი წინამძღვარს უძღვნეს. ცხადია, შეწირულობის ამსახველი სათანადო ოქმიც მიართვეს [1, 26].

პლ. იოსელიანის ცნობით, მეფის ძე გიორგის კითხვა უკვარდა. ზეპირად იცოდა „საქმენი და ღვაწლნი წმინდათა მარტვილთა, მუცლაბნოელთა, მღვდელმთავართა და ესე ვითართა ეკლესიის სვეტთა. დაწვრილებით ესმოდა ღვთისმეტყველება მართლმადიდებლობისა, ისტორია ქართველთა ე.ი. ქართლის ცხოვრება უწყოდა რეჩა ზეპირად“ [1, 7]. შესაძლოა ისტორიკოსი მეფის ძე გიორგის ერუდიციას აზვიადებს, მაგრამ მომავალი მეფე, „მაღლად მეფურად“ იზრდებოდა; სალვთო წერილის ფრიად კარგი მცოდნე, ბეჯითი ქრისტიანი და ლოცვის დიდი მოყვარული რომ იყო, ამას თქმა არ სჭირდება. საკითხავია, წმინდა წერილის, წმინდათა ცხოვრების, მართლმადიდებელი სარწმუნოებაში საფუძვლიანად განსწავლული გიორგი მეფე, ნუთუ საერო წიგნებს და სამეცნიერო საგნებს ვერაფერს ვერ გაუგებდა?!

მეფის ძე გიორგიმ 14 წლის ასაკში მოიარა საქართველო: ქართლი, კახეთი, სომხითი, ჭაშაკი, ხევსუ-

რეთი, თუშეთი. აგრეთვე განჯისა თუ ერევნის მოხარკე სახანოები.

დროთა გარემოების და უამთა ვითარების გამო, საქართველოდან რუსეთში გამგზავრებამდე, 1760 წელს, თეიმურაზ მეფემ, მეფის ძე გიორგის ქართლის მეფობის სამეფო სკიპტრა უბოძა, შემოარტყა (გარემოსდგა) მას თავისი სამეფო ხმალი, დაჰკიდა ჯვარი, ძელი ჭეშმარიტითა ცმული. მცხეთაში, სვეტიცხოველის ტაძარში ამ სახეიმო ცერემონიას კათალიკოსი და ეპისკოპოსები, თავად-აზნაურები და კარისკაცები ესწრებოდნენ. მეფე თეიმურაზმა მომავალი მეფე ღვთისმშობლის ხატით დალოცა, გამოეთხოვა ყველას და რუსეთში გაემგზავრა.

18 წლის გიორგი თან ახლდა მამას, ერეკლე მეფეს სადაც წავიდოდა სათმრად თუ სანადირებოდ მოსახილველად. „ოდეს განჯაზედ გაილაშქრა მეფემან ირაკლი, მაშინ გიორგი განაგებდა სამეფოსა. დიდად ბეჯითად აშენებდა ურმებსა, ტყვია-წამალსა და კაცთა ცხენოსანთა. იტყვიან დამსწრენი, – განაკვირვა სარდალნი და თვით მეფეო... დაბრუნებულმა განჯით მეფემ მიუძღვნა სახალხოდ დიდი მადლობა და ბრძანა: „შვილი ჩემი გიორგი დიდი მეფე იქნებაო“ [1, 49-50]. ალ. ორბელიანის ცნობით (იგი იყო ერეკლე მეფის ასულის – თეკლას შვილი), სანამ მეფე გიორგი ყმაწვილი კაცი იყო, ყველაფრით კარგი ყოფილა და როდესაც ხანში შესულა და ტანი სიმსუქნით დამძიმებია, მაშინ დაუწყია მომატებული ჭამა და ღვინის სმა, რომელიც სნეულებად გადაქცევია [4, 38-39]. მართლაც, გიორგი ყმაწვილობიდან ორმოც წლამდე ყოფილა ტანით წვრილი, მადალი და ბრგე. მერე გასუქდა, ცხენზე თავისუფლად ვეღარ ჯდებოდა, სიმარდე დაკარგა, შინ ყოფნას შეეჩვია და მადიანად კვებას. სადილს ხანგრძლივად, მეჯლისის წესით მიირთმევდა და უმეცარნი, მტერნი მისნი დასცინოდნენ: მთელ

საქს სჭამსო. სწორედ უჯერო, მომეტებული ჭამა-სმა ანუ ნაყროვანების ვნება გახდა მისი თვალშისაცემი და დასაძრახი სისუსტე, მაგრამ უნაკლო გინა არის ვინმე? სნეულება, სიძაბუნე და უძლურება ადამიანს განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს, ვინაიდან მისი შინაგანი ბუნება იცვლება, მეტად მგრძნობიარე და გულმოდგინე ხდება სხვა ადამიანების მიმართ. კერძოდ, „ბრძანებისამებრ მისისა (მეფისა) აქნდათ ნება ყოველთა ქალაქის მცხოვრებთა მხოლოდ სნეულთათვის და ავადმყოფთა წარელოთ პური სახლად თვისად“ [1, 24]. ო. ქობულაშვილი, რომელსაც მამა-პაპით ებარა კახეთის მეფის მდივნობა ანუ მდივანბეგობა, გიორგი მეფეზე წერდა: დილის რვა საათიდან მოქცეობდა და ორ საათს იღოცებდა. ათ საათზე პირის ბანას მოქცეობდა. დაიბანდა ხელებს ათი კვერცხის გულით, მერე სურნელოვანი საპნით. თორმეტ საათზე გაბრძანდებოდა და შემოეხვეოდნენ დარბაისელნი და აგრეთვე მოარზენი და საქმიანობდა სამ საათამდე. მეოთხეზე სადილს მიირთმევდა... ვისაც რა წყალობა განწესებული ულუფა თუ ჯამაგირი არავისთვის არ მოუშლია დაკდიას, რიგიანად მეფობდა, სნეული რომ არ ეოფილიყო [1, 62]. მეფის უკურნებელმა სნეულებამ განსაზღვრა სამეფო სახლის საბედისწერო აღსასრული. როგორც ს. კაკაბაძე შენიშნავდა, ეს იყო სიმსუქნით დაავადებული ადამიანი, რომელსაც ბევრი მოძრაობა და მუშაობა არ შეეძლო. ამავე დროს ის იყო თვითმპყრობელი ხელმწიფე, განუსაზღვრელი უფლებების მქონე თავისი მცირე და ამავე დროს საშინლად აოხრებულ, დაცარიელებულ ქვეყანაში. ამიტომაც საქმეების წაყვანა ხეირიანად მას არ შეეძლო და ადრე თუ გვიან ამის შედეგი თავის სურგზე უნდა ეწვნია ქართველ ხალხს [4, 46].

გიორგი მეფეს, მამის ერეკლე მეორის განსიხებაა, დადგენილებანი არ შეუცვლია. სახელდობრ, ჯერ კიდევ

მეფე ერეკლეს დროს, ანტონ II კათალიკოსმა სასულიერო პირების თხოვნით და რჩევით ინება ქმის და მამულის შეწირულობათა ოქმების შეგროვება, განხილვა და დამოწმება. სიძველისაგან და ჟამთა სიავისაგან გამქრალი მელნით ნაწერი ძნელად წასაკითხი სიგელები წაიკითხეს და ხუცურად გარკვევით გადაწერეს. უპირველესად მცხეთის ქაღლესიის სიგელები განიხილეს და მეფეს მიართვეს დასამტკიცებლად. მეფე ერეკლემ არ ინება სამეფო ბეჭდით მათი დამტკიცება, ვინაიდან ქმათა უმრავლესობა და მამულები ჟამთა სვლაში სხვაზე იყვნენ გადაცემულნი ან სრულიად დაკარგული ან სხვათა მფლობელობაში შესული, ხოლო სხვა საეჭვოდ თუ სადაოდ მისაღები. ანტონი კათალიკოსმა იმავე თხოვნით კვლავ მეფე გიორგის მიმართა. პლ. იოსელიანის ცნობით, „მამასჩმი ეგნატი, მოწოდებული მეფისაგან, სამ დღეს უკითხავდა მას და დიდი ყურადღებით მოისმენდა ძველ წერილებს. სამასამდე მათგანი წაუკითხა მეფეს, რომელმაც ბრძანა: ყურთხეულისა მამისა ჩემისა სწორესა აზრსა ამ წიგნებად მე ვერ შევცვლი და ნურცა ცუდინებათ, რომ ბეჭედს ჩემსა ვერ იხილვენ წიგნისა ამის მუხლნი“ [1, 85].

გიორგი მეფეს საქართველოს ქვაბლაზე უფრო მძიმე ხანაში ხდა ქვეყნის მეფობა და მას ეს უდიდესი განსაცდელი სახელოვანმა თანამებრძოლებმა შეუმსუბუქა. ცნობილია, რომ 1765 წელს მეფის ძე გიორგიმ ცოლად შეირთო ქისიყის მოურავის პაპუნა ანდრონიკაშვილის ქალი ქეთევანი, 13 წლის. გიორგი ამ დროს 21 წლის გახლდათ. სამწუხაროდ, დედოფალი 1782 წელს გარდაიცვალა (იგი თეიმურაზსა ძეობას გადაეცა). დედოფალი ქეთევანი ისეთი სიბრძნე-კეთილგონიერებით, მხნეობით გამოირჩეოდა, რომ მეფე ერეკლეს სამეფო ოჯახის ბურჯად მიაჩნდა. სულ მოკლე ხანში, 40 დღის განმავლობაში, ბაგრატიონთა გიორგი, გიორგი ცივცივაძეების ქალზე, „მშვენიერებით ბრწყინვალეზე“, 14 წლის მარიამზე დაქორწინდა. მარიამს მძიმე ბედი ხვდა წილად. ქეთევანისგან დარჩენილი

ცხრა შვილი და რთულ სიტუაციაში მოხვედრილი მომავალი მეფის უფლის გაწვევა საპატიო, მაგრამ ფრიად საშიშიმო საქმე უნდა ყოფილიყო. მაგრამ „ერეკლე მეფის ოჯახი ამ მხრივაც შესანიშნავი იყო. აქ გამოცდილი გამჭვლინი და მასწავლებელნი მოღვაწეობდნენ და მომავალ რჩევებს და დედოფლებს სამეფო სასახლის შესაფერისად ხრდიდნენ. რა თქმა უნდა, ახალგაზრდა მარიამს აქ სამეფოს წესალობას და მაღალ აღზრდას არ მოაკლებდნენ [6, 5]. ამ დროს სამეფო სახლი ძალიან მრავალრიცხოვანი იყო. მეფე ერეკლესა და გიორგის მრავალშვილიანი ოჯახები, ახალი რძლები, მათი შვილები, შვილიშვილები, ნათესაკები, ქვრივები და მრავალრიცხოვანი მოსამსახურეები; საქმე იმაშია, რომ „სასახლის გამოცდილი გამჭვლინი მეფისწულნი და დედოფლისწულნი ისეთი გაძლიერებული იყვნენ რომელ მეფესა და დედოფალსა ჰხადიდენ ტკბილ მათ ხელთა შინა“ [1, 131]. სამეფო სახლში არსებულ განხეთქილებას, დაპირისპირებას, ინტრიგას, ცბიერი, გაქნილი და ანგარებიანი კარისკაცები კიდევ უფრო აღრმავებდნენ, რაც პროგრესულად მოაშორებდა ადამიანების სამართლიან აღშფოთებას იწვევდა. „იმ შეჩვენილებმა ჩვენი ქვეყნის მტრებმა ბატონიშვილი გიორგი ანუ მეფე სამა-ჭამისაგან არ მოაცალეს და მეფე ირაკლი ომებისაგან, რომ ქვეყნისათვის ეფიქრათ რამე იმ ორთა. მეფის გიორგის ის სამი საათი სიფხიზლე ქვეყნის გამგეობაში, იმის ნათელი გონებისათვის კმარიდა, თუ იმას კეთილი გამძრახველები ჰყოლოდა“ [5, 40]. მეფის თითო-ოროლა ერთგული თანამშრახველები, სამეფო მემკვიდრეობისათვის აღეხილ ინტრიგებს, გარეშე მტრების ინტერესთა და ორიენტაციათა უჩინარ ქსელს ვერ ერეოდნენ. რაც შეეხება გიორგი მეფეს, „როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობით, ისე აგრეთვე თავისი ჩამორჩენილობითა და ხასიათით, ნაკლებ შეეფერებოდა იმ პასუხსაგებ როლს, რომელიც მას ბედმა აკუთვნა, ე.ი. უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ქვეყნის მართვა-გამგეობა იმ დროს, როდესაც ყოველი მხრიდან განსაცდე-

ლი იყო მისალოდნელი“ [4, 46]. გიორგი მეფე ნამდვილი „სამეფო კაცი“ იყო, მაგრამ შეკერილი სინელსება მტრე ბის სასარგებლოდ მუშაობდა. სამეფო სახლის შიგნით ბატონიშვილთა უფროსი (ერეკლესგან) და უმცროსი (გი ორგისაგან) შტოებისაგან ტახტის დაუფლებისათვის აწეხ ილი უთანხმოება ურჩობას, მტრობას, შურს და გაუთა ვებელ დაპირისპირებას ქმნიდა. პირმშოობის აზრი და მნიშვნელობა დასუსტდა. ერთმანეთს მემკვიდრეობას ეცი ლებოდნენ. ბატონს არ სჭირდნენ პირველობას და სამეფო სახლის თითოეული წევრი თავის თავს მეფობისთვის ღი რსად და გამზადებულად მიიჩნევდა. „რჯული არღარა სჯულობდა სამეფოში, სადაც უფლებდნენ მეფის ძენი და კარისკაცნი მათნი. ასეთ ვითარებაში მეფის ძე გიორგი შორიდან უცქეროდა მემკვიდრეობის მიტაცებისათვის გამ ზადებულ ძმების ისუსტეს და მათგან დაშორებული ცხოვრობდა ცალკე და მუდრომდ. მეფის სუფრაჯის ცნო ბით, „იმ დროს ალარავინ იყო რიგიანი კაცი, ალარც სარ დალი, ალარც სახლთუხუცესი, ალარც მწერალი, ალარც მდივანბეგი და ალარც მღვდელმთავარი. ჭეშმარიტად ვიტ ყვი მხოლოდ ამას, რომ მეფე გიორგი თვით იყო სწორედ ჭკვიანი, თვით სარდალი, თვით მსაჯული და თვით მღვ დელმთავარიო [1, 174]. მეფეს პირადულად ნაკლებად ამ ხელდნენ, მაგრამ მის პოლიტიკას დაუნდობლად აკრიტი კებდნენ და არ ემადლიერებოდნენ. კერძოდ, მეფე შეიძლე ბა ძლიერ კარგი ადამიანი ყოფილიყო, მაგრამ არ იყო ნა მდვილი სარდალი, ხელმძღვანელი მმართველი, მამას სულ არ ჰგავდა, მეკობე ხასიათი არ ჰქონდა, რომ გაეკლნა მტეს დინა ნათესავებს და თავადაზნაურებს, არც მორის მკრეხელობით გამოირჩეოდა, რომ გაეპარებინა თუ მის პოლიტიკის რა შედეგი მოეყებოდა. ერთი სიტყვით, რო გორც მეფე, თავის გამოსენილ წინაპრებს სრულებით არ ჰგავდა [3]. გლახაკთა, ობოლთა და სნეულთა მხსრუნველ ლობა, ქრისტეს ეკლესიის მოყვარეობა, მშვიდობისმყოფე ლობა, მდიდრებლობა, ეკლესია-მონასტრების აღდგენა, კე

თილის მსრახველობა, მღვდელთა და მონაზონთა ნუგეშისცემა, გიორგი მეფეს „ცრუმორწმუნეობაში“ ბაუთვალეს [7, 182]. მაშინ როდესაც მემატიანეები საქართველოს სახელოვან მეფეებს, მაგ., დავით III კურაპალატს შემდეგნაირად ახასიათებდნენ: იყო ღმრთისმოყვარე და გლახაკთმოწყალე, მდაბალი, მშვიდი და ძვირის არ მთქმელი, ეკლესიათა მაშენებელი, ტკბილი, უხვი, კაცთმოყვარე და ბერმონაზონთა პატივისმცემელი, ეკლესიათვის კეთილისმოყვალი და საკუთარ ეკლესიანაირი სიკეთით.

თავისი მეფობის პირველსავე წელს, გიორგი მეფემ თბილისში ახალი სასახლის ასაშენებლად კომლზე ექსი შაური დააწესა. როდესაც ეს ფული შეკრიბა, მეფემ ბრძანა: ჯერ ავაშენოთ სახლი ღვთისა, მერე ვიზრუნოთ სადგურისათვის ჩვენთა. მეფე სალოცავად და წმინდა საქმეს პირად კეთილდღეობაზე მაღლა აყენებდა. შეიძლებოდა ამ თანხის მრავალნაირად გამოყენება, მაგრამ მისი ბრძანებისამებრ, დაჩქარებით შეუდგნენ ეკლესიებისათვის ბარძიმ-ფეშხუმების და სხვა საჭირო ნივთების დამზადებას, საეკლესიო შესამოსელების შეკერვა-მოქარგვას. შეისყიდეს დაბეჭდილი წიგნები, მოჭედეს გაძარცული წმიდა ხატები. დედოფალი მარიამი, სასახლის ქალები, გამდელები და მათი მოახლენი, ყველა ამ შესამოსელთა კერვით იყვნენ გატაცებულნი... „ტფილისსა შინა არა დარჩა სახლი არცა სომხისა, არა იკერებოდნენ ოლარნი, საბუსრები, დაფარნანი, ფილონნი და სტიხარნი ფარჩათა მაღალისა ფასისა და დაბალთა სოფელთა შინა მოსახმართა“ [1, 66]. რვა თვე გაგრძელდა ღვთის მოსაწონი ქმედება და „ღვაწლი კეთილი“.

მეფე გიორგის გამეფებისას, სპარსელებისაგან ათხრებული ქ. ტფილისის მოსახლეობა თავის გადამწვარ სახლებს უბრუნდებოდა. მათ დასახმარებლად მეფემ სთხოვა სომეხთა კათალიკოსს ლუკას, რომ მისთვის ფული ესესხებინა. კათალიკოსმა სესხად ათა-

სი თუმანი მოართვა, რომელიც მათზე განაწილდა, ვისაც არ ჰქონდა სახლის აშენებისა და განახლებისათვის საჭირო სახსრები. მეფე ობოლთა, ქვრივთა და უმწეოთათვის არაფერს არ ზოგავდა. როგორც მისი მსლებელნი ამბობდნენ, ჯიბე მისი იყო, როგორც შიოს მარანი [1, 134].

გიორგი მეფეს მეტად რთული მემკვიდრეობა ხვდა წილად. გაძარცული და დაცარიელებული ქვეყანა, გაააფთრებული და გადაკიდებული მტრები. ამ ხანებში სპარსეთი და ოსმალეთი ტრადიციულ ურთიერთშელას იწყებდნენ და ერთობლივ უტევდნენ საქართველოს. ახალქალაქის ფაშამ ფარავნის ტბაზე მეფე დიდი პატივით მიიწვია „თავის ქვეყანაში“. ფაშას თქმით, „მე გიახელ გიმასპინძლო ჩემსა ქვეყანასა“ [1, 82]. მტრები ასე ინყმებდნენ ქართველების ოფლითა და სისხლით აშენებულ სანუკვარ სამშობლოს. მეფეს მოსვენებას არ აძლევდა დაქირავებულ ლეკთა თარეში და საქართველოს ერთგული და მოხარკე სახანოების: ყარაბახის, ერევნის და განჯის ბამოშორება. ერთი სიტყვით, სპარსელებს ველარ ენდობოდნენ, ფურქები ავი თვალით იცქირებოდნენ. ლეკები ვერ დაცხრნენ. შინაური მტრები ავაზაკობდნენ, რომლებიც მეფის თქმით, საშიში არ იყვნენ, როგორც მზიანი კატანი [1, 147].

საშიშროება იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაციის მოშლას, პოლიტიკური სხეულის დაქუცმაცება მოჰყვებოდა. საუფლისწულოების მმართველი ბატონიშვილები ალარაფრად სცნობდნენ ცენტრალურ მმართველობას და მეფის ავტორიტეტს. „გიორგი მეფეს გამეფებისთანავე მოუხდა ანგარიშის გაწევა თავისი ძმებისათვის, რომლებიც საკმაოდ დამოუკიდებელ და ამავე დროს უპასუხისმგებლო მდგომარეობისათვის მიელწიათ“ [4, 46]. აქედან ისე გამოსვლას, რომ საქართველოს სახელმწიფო არ დარღვეულიყო, ერეკ-

ლეს სიბრძნე და მკლავი სჭირდებოდა. მაგრამ სრული გაორება მხოლოდ სუსტი ანარეკლი იყო დიდებული მამისა [6, 22]. რუსეთის მმართველები კარგად ხედავდნენ ამ განსხვავებას და თავიანთი ვერაგული სრახვებისათვის მოხერხებულად იყენებდნენ და ქართლ-კახეთის მეფისაგან ახალ-ახალ დათმობას მოითხოვდნენ. საბოლოოდ, გაორება მეფე გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებულ პირობებს მნიშვნელოვნად ასცდა, სამეფო კი – რუსეთის ხელში აღმოჩნდა.

ძმათაგან და გარეშე მტერთაგან შეწუხებულ მეფეს, ლეკებისგან აკლებულ ქვეყანას, ვისთვის უნდა ეთხოვა დახმარება, ვინ უნდა მიეშველებინა თუ არა რუსეთი?! განა არ იცოდა რუსთა მბრძანებლობის სიმძიმე? „თუ არა მკლავი რუსთა ხელმწიფისა, ყოველთვის დაიცავს საქრისტიანოს. მისმის სიმძიმე რუსთა ჩემსდა მბრძანებლობისა. რა ვქნა? ვის მივმართო? რა პასუხი გავცე ქრისტესა!... ჯვარისა თაყვანისმცემელთა მოვიყვან მწედ ქვეყანისა. ასეთი იყო ჩემი მამა-პაპის სურვილი; ეს ,იყო მამაჩემის აზრიც და მეც მას დავადგები. ჩემი პირობები რუსეთის მეფესთან – საკეთილონი არიან ქვეყნისათვის“ [1, 154].

საბოლოოდ, რუსეთმა ქვეყლაფერი თავის სასიკეთოდ წარმართა. სახელმწიფოებრიობა და თავისუფლება დაკარგული ქართველი ერი აიძულა ბედს შერიგებოდა. გაორება მეფემ განა არ იცოდა რას უქადდა რუსეთზე სრული მინდობა? ტახტის მემკვიდრის, დავითის უარყოფით თვისებებს, ურჩობას; ულოცველობას, თვითნებობას, უმარხულობას, მამაზე უმეტესად თავის წარმოდგენას, ყუელისა და ნივთების სიხარბეს, მის რუსეთში მყოფობას აბრალებდნენ. დავით მემკვიდრე რუსეთში იყო გაზრდილი, მარხვას სჭამდა და და სარწმუნოებასაც სუსტად იცავ. ე.ი. „ყოთარცა მსხლევლი რუსეთისა, შეცდა განსაცდელსა ძნელსა“ [1, 138].

რუსეთის მზაკვრული მიზნის ხელშემწყობი „არაკეთილსმყოფელი კანონი“ აღმოჩნდა. ერეკლე მეფის

შედგენილმა მემკვიდრეობის საკითხმა, ისტორიული სამართლიანობა დაარღვია. თითქმის ათას ხუთასი წლის განმავლობაში საქართველოში არსებობდა მტკიცე მემკვიდრეობითი კანონი, რომლის ძალით გარდაცვლილ მეფეს ტახტზე მისი უფროსი შვილი ცვლიდა. ამ კანონმა ფესვი გაიდგა, როგორც იურიდიულ შემეცნებაში, ისე ხალხის შეგნებაში [7, 181]. მემკვიდრეობის საკითხის გამრუდება, სახელდობრ, გიორგი მეფის შემდეგ მეფობის გადასვლა უფროს-უმცროსობით, რიგრიგობით ძმებზე და არა მის უფროს შვილზე, დარეჯან დედოფლის მიზანი გახლდათ. ცხადია, გიორგი მეფე ეძებდა შემთხვევას მემკვიდრეობითი ტახტი თავის შთამომავლებისათვის გადაეცა და დაემტკიცებინა. პლ. იოსელიანის ცნობით, მეფესა გიორგის სხვაცა აქვნდა ანდერძი მამისაგან დაწერილი. ამა ანდერძითა ირღვეოდა ანდერძი, გამოცხადებული დარეჯან დედოფლისაგან. ეს იყო მიზანი, რომელმაც დაბადა შფოთი ძმათა შორის და გადაუქცენა ერთგულებიდან მრავალნი [1, 222]. ბატონიშვილებმა დაიწყეს ადგილ-ადგილ მუშაობა და ცდილობდნენ თავადების, სხვა გავლენის მქონე პირების თავის მხარეზე გადმობირებას. ამის შედეგად, „ქართლ-კახეთის სამეფო, რომელიც თითქოს გაერთიანდა, საერისთაოების და სახანოების მოსპობის შემდეგ, ხელახლა შეა საუკუნეების ტიპის დაქსაქსულ ფეოდალურ ქვეყნად იქცა“ [7, 182]. ეს ბუნებრივიცაა, მსოფლიო ისტორიიდან ცნობილია, რომ მემკვიდრეობის საკითხის ხელოვნიშნულ წეს-დებულებას დიდი არეულობა მოსდევს. უწესრიგობით და უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებით ისარგებლეს საქართველოს „მოყვარულმა“ და „ძმუმალმა მტრებმა“, რომლებმაც ჩვეული დუხორგანიზაცია შეიტანეს ქართლ-კახეთის სამეფოში.

სამეფოს გაუქმების საქმეში განსაკუთრებით იღვწოდა სომხობა, კერძოდ, რუსეთში მცხოვრები სომხე-

ბი. „ამათ დიდი სამღვდურაები ჩამოაგდეს მამა-შვილს, მეფე გიორგისა და მემკვიდრე დავითს შორის. რასაკვირველია, ამის დამწყობნი სულ სომხები იყვნენ, მაგრამ მომეტებულად სხვებს ასაქმებდნენ და გაბრიყვებული ჰყავდათ. ვისაც ენდობოდნენ, იმათი ოსტატებიც ისინი იყვნენ. ის სომხები რასაც არიგებდნენ, ისე ამოქმედებდნენ და ამასთან მოჰქონდათ ფული სომხებისგან არანირათის იოსებ არლუთაშვილის (რუსეთელი სომხების მთავარეპისკოპოსი) გამოგზავნილი რუსეთიდან“ [5, 42]. გიორგი მეფეს არ უყვარდა სომხები, როგორც მეფობის დამკარგველნი და მართლმადიდებლობიდან განდგომილნი, მაგრამ მათი ეკლესია, მსახურება და გალობა „არა სძაგდა“. საქართველოში სომხებს მეფე ასეთ მდგომარეობას აკუთვნებდა: „ვითარცა ვაჭარნი საჭირონი არიან და ვითარც ქვეყნის მცხოვრებნი დიდად საშიშნი და მოსარიდებელნი“ [1, 146].

გიორგი მეფე ბევრს ეცადა, მაგრამ ვერსად ჰპოვა წყალობა, სასოება და სიყვარული. მატერიალურად დაკნინებული ქვეყნის გამაგრება და სულიერი განმტკიცება წმინდა ნინოს „ჯვარი ვაზისა“-ს ჩამობრძანებით გადაწყვიტა. მეფე რუსეთის იმპერატორ პავლეს წერილობითი ფორმით ევედრებოდა, შეამდგომლობას თხოვდა იმათ, ვისაც ხელი მიეწვდებოდა გამოეთხოვათ უსამართლო დამპყრობლებისგან წმ. ნინოს ჯვარი, როგორც უძველესი განძი და სიწმინდე. თუ თხოვნით არ ეშველებოდა საქმეს, მეფე აპირებდა ქვეყნის საუნჯე სამღვდელო კრების განსინებით გამოეთხოვა. უფრო მეტი, შემანგვენებელი განსინების წარგზავნითაც იმუქრებოდა. ეს და რუსთა მორიდება იყო მიზეზი, რომ დაჩქარდა ჯვრის დაბრუნება და მეფის გარდაცვალების შემდეგ, 1801 წელს, სიონის ეკლესიაში წმიდა ვაზის ჯვარი დაბრძანდა, როგორც ერისა და ქვეყნის საფარველი.

წალმანკით დაავადებულმა სულთმობრძავმა გიორგი მეფემ წმიდა სიარების შემდეგ მშვიდად განისვენა. ქვეყანა მაცხოვარს შეაევედრა და პატრონად რუსთა ხელმწიფეს დაასახელა, როგორც ქრისტიანობის დამცველი. მწუხრის ლოცვაზე მისულ დარეჯან დედოფალს და ძმებს შენდობა თხოვა. გარშემომყოფთ მიმართა, ნუღარ ტირიან, არამედ ილოცონ მისთვის, რომ კეთილად და სათნოდ წარსდგეს ღმერთთან". ასე აღესრულა საქართველოს უკანასკნელი მეფე, როგორც ნამდვილი ქრისტიანი წმიდა ანრით და გონებით, მოკრძალებული ცხოვრებით, წმიდა ქრისტიანული აღსასრულით – „უჭირველი, ურცხვენელი და მშვიდობითი". ასე გაწყდა საქართველოს თორმეტსაუკუნოვანი დინასტიის ჯაჭვი და მის სამეფო პალატში საუკუნო გლოვამ დაისადგურა [6, 73].

სამწუხაროდ, ერთმნიშვნელოვნად და ერთხმად ვერ მივიწონებთ მეფე გიორგის მმართველობას, მაგრამ სიხში მომწყვდეული და განწირული მეფე ყოველი ღონისძიებით ცდილობდა დაესუსტებინა და განექარვა რისტომ მეფის დროიდან შემოტანილი და დამკვიდრებული სპარსელების წეს-ჩვეულებანი. სასურველია ამათ დამშვრალი მეფის მრწამსი მაინც შეეისმინოთ, რომელიც ბრძანებდა: „განამტკიცეთ კაცნი სარწმუნოებასა ხელა ქრისტესსა, შეაყვარეთ ერსა ჩემსა ქრისტე; განათესეთ მცნებანი მაცხოვრისა, სიმტკიცე სარწმუნოებისა, სიმტკიცეა მეფობისა და ბედნიერება ერისა. მორწმუნე მეფე და მორწმუნე ერი მეგობარნი არიან ღვთისა და შვილნი მაღლისანი. დამცველნი ქრისტიანობითისა სიწმინდისა, დაიცვებიან განსაცდელთაგან. მწყემსი კეთილსა არა წარუწყმდების სამწყსო სულიერი, მოსავი ჯვარისა არა სდა დაეცემის" [1, 180].

ამრიგად, ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი კეთილგონივრულად, დაწვრილებით და სიყვარულით აღწერს გიორგი მეფის ცხოვრებას. მას შეგნებულად სურს გაამართლოს მეფის არჩევანი და საწყალი ადა-

მიანი, უბედური მეფე ერის წინაშე პირნათელი გამოვიდეს. მიაღწია თუ არა ცნობილმა ისტორიკოსმა სასურველ შედეგს, ამას რუსული ექსპანსიონიზმის მსხვერპლი ქვეყნის შვილები ობიექტურად ვერ შეაფასებენ. ნაშრომის მიზანი გიორგი მეფის, ვითარცა მეფეთა გვარის, მეფის ძის და მეფის, პიროვნული ღირსებების რეაბილიტაციის მცდელობა იყო.

წყაროები და ლიტერატურა

1. პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936.
2. ეპისტოლენი წმიდათა მოციქულთანი, წიგნ. ახალი აღთქმა, თბ., 2005.
3. გაზ. „ივერია", №144, 1895. ოცნებელის რეცენზია პლ. იოსელიანის თხზულებაზე „ცხოვრება მეფე გიორგი XIII-სა".
4. ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია (1783-1921), თბ., 1997.
5. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, მეფის ირაკლის მეორის დროის ცოტა-ცოტა ანბები ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი, წიგნ. ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები, წ. I, ტფ., 1914.
6. თამარ და აკაკი პაპავა, მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი, ბუენოს აირესი, 1956.
7. გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბ., 1958.

Khatuna Ioseliani
Irma Kvashilava

For the Portrait of the Last King of Georgia – Giorgi XII (According to "The Life of Giorgi XIII" by Platon Ioseliani)

On the basis of the rich factual material of Platon Ioseliani's monograph "The Life of Giorgi XIII" education, bringing upand responsibilities, merits and wrongs, imperfections of the last king of Georgia are discussed. Ancestors of the historian were clergymen and close to the royal court. The true stories told by them were used by the author to preserve and leave us fundamental work about the king. But the historian and biographer was unable to avoid the exaggeration of his personal attitude, personal position and opinion but still reached desirable, right result.

The idea that Platon Ioseliani is tendentious, biased and his work does not reflect the real portrait of the king, is neglected in the article. The terminal state of Kartl-Kakheti kingdom existence, ideological viewpoints of the king's internal and external policy followers and opponents are analysed.

საქართველოს პოლიტიკური ქცევის მოდელი და საქართველოს ისტორიის დამახინჯების მორიგი რუსული მცდელობა – გამოხმაურება ა. ეპიფანცევის ინტერნეტპუბლიკაციაზე: „იყო თუ არა საქართველო რუსეთის მოკავშირე? ქართული სახელმწიფოს გადარჩენის პოლიტიკური მოდელი“

ბოლო დროს, განსაკუთრებით კი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რუსულ საზოგადოებაში უფრო და უფრო ხშირად გაისმის საყვედურები რუსეთის ამჟამინდელ ხელისუფალთა მისამართით, რომ მათ თავიანთი უგუნური და დანაშაულებრივი პოლიტიკის წყალობით (ქართული მიწა-წყლის ოკუპაცია, ქართული ღვინისა და მინერალური წყლების რუსეთში შეტანის აკრძალვა და ა. შ.) მიაღწიეს იმას, რომ რუსეთს დააკარგვინეს თავისი ერთგული მოკავშირე კავკასიაში საქართველოს სახით. სწორედ ამგვარი თვალსაზრისების გაბათილების მიზანს ემსახურება რუსულ „პოლიტიკური სიახლეების სააგენტოს“ (АПН) ინტერნეტსაიტზე (http://www.apn.ru/publications) გამოქვეყნებული საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილი ვრცელი ანალიტიკური გამოკვლევა: *Была ли Грузия союзником России? Политическая модель выживания грузинского государства.* როგორც თავფურცლიდან ირკვევა, იგი წარმოდგენილია როგორც რუსეთის „ნაციონალური სტრატეგიის ინსტიტუტის პროექტი“.

მისი ავტორი გახლავთ ანდრეი ეპიფანცევი, რომელიც რუსულ საზოგადოებას ეცნობა ხოლმე როგორც მწერალი ან დამოუკიდებელი ექსპერტი, ხშირად კი – როგორც „ექსპერტი კავკასიის საკითხებში“. ა. ეპიფანცევის მწერლობისა რა მოგახსენოთ, თუმცა მისი, რო-

გორც „ექსპერტის“ „დამოუკიდებლობა“ კი ერთიც საეჭვოდ მოჩანს, იმდენად ახლოა მისი და რუსეთის დღევანდელ ხელისუფლების „ველიკოდერჟავული“ პოლიტიკური მსოფლმხედველობა. ხოლო თუ როგორი ექსპერტია იგი კავკასიის საკითხებში გათვითცნობიერებული მკითხველი თავად დარწმუნდება, თუნდაც ახალი ოდენობით დატვირთული მისი ნაშრომის გაცნობისას რომელიც, ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს.

სტატიის ავტორი და მისი დამკვეთები (უდავოდ კრემლის პოლიტტექნოლოგიაში) ცდილობენ დაამტკიცონ, რომ რუსეთს, საქართველო, როგორც პოტენციური სტრატეგიული მოკავშირე კავკასიაში, სულაც არ დაუკარგავს, ვინაიდან საქართველო რუსეთის მოკავშირე არც არასდროს ყოფილა და საქართველო-რუსეთის ამჟამინდელ დაპირისპირებაშიც რუსეთის ხელისუფლებას არანაირი ბრალი არ მიუძღვის. ამ მიზნის მიღწევას კი საქართველოსა და ქართველი ერისათვის სახელის შებღალვით, მის შესახებ ყალბი წარმოდგენის შექმნის გზით ცდილობენ. ამისათვის, რაც უნდა გასაოცარი იყოს, ქართველის ერის ისტორიის გამოყენება გადაუწყვიტიათ. და აი, ამ ისტორიის „ღრმა“ ანალიზის საფუძველზე და სახელმწიფოსა და ერის ქცევის მოდელის ცნობილ თეორიაზე დაყრდნობით, სააშისოდ ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის ქცევის უნიკალურ „ისტორიულ მოდელსაც“ „მიაგნეს“, რომელიც თურმე უცვლელად მეორდება ბოლო 450-500 წლის მანძილზე. აღნიშნული სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირებაც მხოლოდ ქართველი ერის ქცევის ამ მოდელით ყოფილა განპირობებული. აი ეს მოდელიც (მოგვყავს უმნიშვნელო შემოკლებით ავტორისეული სტილის დაცვით):

I. საქართველო იმყოფება უცხოური სახელმწიფოს ძალაუფლების ქვეშ. არ აქვს მნიშვნელობა. როგორ ჩამოყალიბდა ეს ძალაუფლება – თავს მოახვიეს საქარ-

თვალის, თუ თვით მის მიერ იქნა მოწვეული. მნიშვნელოვანია, რომ საქართველო არ არის დამოუკიდებელი.

2. დამოუკიდებლად ამ ძალაუფლების წარმოშობის ბუნებისა, მმართველები – საქართველოს ზედა ფენა პრაქტიკულად მთლიანად დგება უცხოელი „პატრონის" მხარეზე – მაქსიმალურად ერწყმის მას და მაქსიმალურად მიმიკრირებს მის ქვეშ (под него мимикрируют), ცდილობს რა აჩვენოს, რომ ძალიან ჰგავს მას და ცხოვრობს მისი ინტერესებით. დაახლოებით იგივე პროცესის დემონსტრირებას ახდენს მთელი ქართველი ხალხიც – ის იწყებს ბევრ რამეში „დამსგავსებას" ხალხ-მფარველთან... ეს პროცესი – „მსგავსება ხალხისა და ინტერესებისა" საქართველოში ბევრად ძლიერადაა განვითარებული, ვიდრე უცხო სახელმწიფოს ძალაუფლების ქვეშ მოხვედრილ სხვა ქვეყნებსა და ხალხებში. გაცნობიერებულად თუ მის გარეშე, ასეთი ქცევით საქართველო ახდენს დემონსტრირებას, რომ ისინი არა უბრალოდ მოკავშირე ან ვასალებია – ისინი ნაწილია „პატრონის", მისი საკუთარი მცოცბრები, ყველაზე ერთგული შემწეები და მოკავშირეები. ისეთივენი არიან, როგორიც ის თვითონ.

3. მფარველის ძალაუფლების ქვეშ ყოფნის მთელი პერიოდი ეს პოლიტიკა საქართველოს მიერ გამოიყენებოდა ფინანსური, ტერიტორიული და სხვა სარგებლისა და პრივილეგიების მისაღებად სხვა ტერიტორიებთან შედარებით.

4. ლრუბა განმავლობაში „პატრონი" სუსტდება და მისი სისუსტე, ერთი მხრივ, ემუქრება საქართველოს ინტერესებს, რადგან გულისხმობს სარგებლის დაკარგვას, ხოლო მასზე, როგორც დასუსტებული იმპერიის ნაწილზე თავდასხმის საშიშროებას; მეორე მხრივ, პატრონის სისუსტე იძლევა კარგ შესაძლებლობებს მისი საკუთარი და მის კონტროლქვეშ არსებული ტერიტორიებისა და რესურსების ხარჯზე ხელის

ნასვისა. მაგრამ საქართველოს ამისათვის ძალა არ ყოფნის, ამიტომ...

5. საქართველო მაშინვე აქტიურად იწყებს ახალი მფარველის ძებნას. ახალი „პატრონის“ პირველ ძიებას იწყებს ძველი მფარველის მიერ ყველაზე ნაფერები და ნაპატიები ხელადფენა. მომავალში სწორედ ის იქცევა ძველი „კეთილისყოფელის“ ყველაზე დიდ მტრად და მაძაგებლად.

6. საქართველო ხიბის ძველ პატრონზე, პეტრეზე მის შესახებ საშინელებებს, როგორ მძიმედ უწევდა მის ქვეშ ცხოვრება და ამაყლრეულად აქებს ახალ კანდიდატს, ანუკიბს, რითაც მისით ალტაცებული, ამბობს, როგორ გვანან ისინი ერთმანეთს, რამდენად საერთო ინტერესები აქვთ და თან ცდილობს მის ქვეშ მიმიკრიჭებას.

7. მაგრამ აი, კავშირი ახალ პატრონთან დაიდო. ხელისუფლება და ხალხი ხელმობს. გარანტიების მიღების შემდეგ საქართველო მაშინვე იწყებს ტერიტორიების მიტაცებას, მათ შორის ძველი „პატრონის“ კუთვნილი ტერიტორიისა. ახლებს ხიხლისა და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების დემონსტრირებას, და ამაყლრეულად ცდილობს გაამყარეს მეგობრობა ახალ მფარველთან, გამოსაჩავს სრულ ლოიალობას, ალტაცებას და მასთან მსგავსებას.“ (გვ.6-7).

ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის ამ სრულიად შეუნაცარი ქცევისა და მოქმედების დასაბუთების მცდელობას ეძღვნება აღნიშნული ვრცელი წერილი (აქ განგებ არ ვახსენებ სიტყვა „სამეცნიეროს“, რადგან მეცნიერებისგან იგი იმდენადაა დაშორებული, როგორც ცა დედამიწისგან). მოკლედ რომ ვთქვათ, მკითხველი უნდა დაარწმუნონ შემდეგში: ბოლო ხუთი საუკუნის მანძილზე საქართველო (ან ქართული სამეფო-სამთავროები) არათუ დამოუკიდებელნი არასდროს ყოფილან, არც არასდროს უბრძოლიათ თავისუფლები-

სათვის, იმ უბრალო მიზეზით, რომ ამის სურვილი არასდროს ჰქონიათ. პირიქით, მეტად ძლიერი „პატრონის“ ძიებაში იყვნენ, მათგან სხვადასხვა სარგებლის მიღების წადილით შეპყრობილნი. ვინც აქამდე მტერი და დამპყრობელი გეგონა, საქართველოზე სრულიად თავგადაკლული, ქართველი ხალხის უანგარო მოამაგე ეთქვილა. ეთვლად უმადური ქართველები კი ასეთ მსრუნველ პატრონს მაშინ უპირისპირდებოდნენ, როცა მსრუნველობის გაწევის შესაძლებლობა მას ძველებურად აღარ შესწევდა და ისიც იმიტომ, რომ ძველის შემცვლელი ახალი, უფრო ძლიერი და უკეთ მსრუნველი პატრონი გამოენახათ, რომელიც მათ ძველი მსრუნველი პატრონის ხარჯზე გამდიდრებისა და გაფართოების საშუალებას მისცემდა. და ეს პროცესი თურმე დაუსრულებლად გრძელდება დღემდე, გეოპოლიტიკური ცვლილების შესაბამისად...

ეპიფანეცეისთვის საქმარისი არ აღმოჩნდა ხოგადად ქართული სახელმწიფოებრიობის ან მხოლოდ მისი მმართველი ხელაფენისათვის ტალახის სროლა. იგი თავის სიძულვილის ლაფს აფრქვევს მთელი ქართველობის მისამართითაც ამიტომაც ბაურთაგს „მმართველობა ულირსი ჯაქიელის“ აღნიშვნისას მიგვანიშნებს: იგივეს კეთებას იწყებს ხელმე *„მთელი ქართველი ხალხი-ც“*. ხნეობრივი თვალსაზრისით ასეთ ქმედებებს ეწოდება გამეიდველობა, უსინდისობა, უმადურობა, ლაჩრობა, ულირსობა და ა.შ. ფაქტიურად აი, ასეთ თვისებებს მიაწერს ავტორი ხოგადად ქართველობას. მართალია, ამასთან ცდილობს თავი უკმოვიო, ობიექტურ „ექსპერტად“ წარმოაჩინოს: რას ნიშნავს, ეს უბრალოდ *„თავისებური და სპეციფიკური მოდელია“*, რომელმაც თავისი ეფექტურობა და ქმედითუნარიანობა დაამტკიცა, რადგან ქართველებს, როგორც ერს გადარჩენის გარანტია მისცა და ამაში საქართველოს დადანაშაულებაც ისევ არ ღირსი, როგორც „рыба-прилипала“-სი; მაგრამ თავის

შეცვლებას მაინც მიგვანიშნებს: ხოლმა შეიძლება ასეთი ქცევა *„გამეძღვლობად და პროსტიტუირებად“* (проституирование) მიიჩნიოსო (გვ. 18). მართლაც, რა ქართველთა ბრალია, თუ „ევროდნიკობა“ და გამეძღვლობა მათი ბუნებითი თვისება ყოფილა...

სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, ავტორს საქართველოს ისტორიის საკითხებზე მართლაც ბევრი უმუშავია, ასახელებს მთელ რიგ ისტორიულ ფაქტებსა და პიროვნებებს საქართველოს გვიანი შუა საუკუნეების, ახალი თუ უახლესი ისტორიიდან. თუმცა უნებურად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორს თავისი დასკვნები მიღებული აქვს არა საქართველოს ისტორიის სიღრმისეული ანალიზის შედეგად, როგორც ამას ჩვეულებრივ მეცნიერული კვლევა მოითხოვს, არამედ პირიქით, წინასწარ შემუშავებულ დებულებებს ცდილობს მოარგოს კონკრეტული ისტორიული მოვლენები. ვინაიდან საქართველოს ისტორია მისეული დასკვნებისათვის არანაირ საფუძველს არ იძლევა, ავტორს მუდმივად უწევს მიმართოს ნებისმიერი ისტორიკოსისათვის (და არა მარტო მისთვის) ულირს მეთოდს: საგანგებოდ დაამახინჯოს და დრო'მი გადაადგილოს ისტორიული ფაქტები, არასწორი წარმოდგენა შექმნას ცნობილი ისტორიული მოღვაწეების შესახებ და ა. შ. სხვანაირად რომ ვთქვათ, მისი ეს ნაშრომი (უფრო სწორად ნაცოდვილარი) ურცხვი დემაგოგიის ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენს.

ზემოთქმულში იოლად დავრწმუნდებით ავტორის მსჯელობისა და არგუმენტების გაანალიზებისას. თავისი თეორიის დასაბუთების მიზნით იგი ბოლო საუკუნების საქართველოს ისტორიას სამ ნაწილად, ცალ-ცალკე განიხილავს. ავტორის აზრით, ქართული ქცევის ეს მოდელი, რომელიც დღემდე გასაოცარი სიზუსტით მეორდება, ყალიბდება XVI ს-ის შუახანებიდან და გრძელდება 250 წლის მანძილზე: *„მაშინ ტერიტორია, რომელსაც დღეს საქართველოს ვეწოდებთ“*, მაშინდელ

„*ოლდერ-ქვეყნებს*“ – თურქეთსა და ირანს შორის იქნა გაყოფილი. ცხადია, აქ იგულისხმება (თუმცა ავტორი არ ასახელებს) 1555 წლის ოსმალეთსა და ირანს შორის დადებული ამასიის ხავი, რომლის ძალითაც ამ სახელმწიფოებმა აღმოსავლეთში (და მათ შორის კავკასიაში) გავლენის სფეროები გაინაწილეს. დასავლეთ საქართველო ოსმალეთს „ერგო“, აღმოსავლეთი – ირანის სპარსეთს.

აქ ავტორს უნდა შეეხსენოთ, რომ ეს ხელშეკრულება სულაც არ ნიშნავდა ქართული სამეფო-სამთავროების ამ ორი სახელმწიფოს შემადგენლობაში ავტომატურად გადასვლას. მათ, ფაქტობრივად დასაპყრობი ქვეყნები გაინაწილეს, როგორც მაგალითად, ნაცისტურმა გერმანიამ და კომუნისტურმა საბჭოთა კავშირმა 1939 წლის აგვისტოში („მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტით“) – მომავალში დასაპყრობი აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები (სხვათა შორის, მაშინ პოლონეთის სახელმწიფოც ამ ორ აგრესორ იმპერიას შორის იქნა წინასწარ უტიფრად გახლეჩილი. ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით კი სტალინმა მწვანე შუქი აუნთო ჰიტლერის აგრესიას პოლონეთში და, შესაბამისად, – მეორე მსოფლიო ომის დაწყებასაც). მაგრამ თუ გერმანიამ და სსრკ-მ ფაქთაქიანთი წილი უმოკლეს ვადაში „ათვისეს“ (ფინეთის გამოკლებით, რომლის ბოლომდე ოკუპაცია, გულმოდგინე მცდელობის მიუხედავად, წითელმა არმიამ ვერ შეძლო და მისთვის მხოლოდ მისახლვრე მიწა-წყლის ჩამოჭრას დასჯერდა), ოსმალეთისა და ირანისათვის თავიანთი ხელდებული ქართული სახელმწიფოების დაპყრობა არც ისე იოლად შესასრულებელი ამოცანა აღმოჩნდა.

მაშ ასე, პირველი ნაწილი სტატიისა: „*ქართული სამთავროები თურქეთსა და სპარსეთში*“: ავტორის მთელი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ რაღაც უნდა დაუჯდეს, მკითხველი დაარწმუნოს, რომ თურქო-

სპარსეთის მიერ დაპყრობილი ქართველები თავს ბრწყინვალედ გრძნობდნენ. ირანის შაჰები და ოსმალეთის სულთნები სულ იმის ცდაში იყვნენ, რაც შეიძლება მეტად ესიამოვნებინათ ქართველებისათვის: ანიჭებდნენ მათ უამრავ პრივილეგიებს, უსრუნველყოფდნენ ფინანსურად, უმცირებდნენ გადასახადებს, იცავდნენ მათ მტრების თავდასხმებისაგან და ა.შ. ვისაც საქართველოს ისტორიაზე წარმოდგენა გაქვთ, ნუ გაიკვირვებთ ამგვარი „ბრწყინვალე ალმოხენების“ გამგონე და რომ არ იფიქროთ, რამეს გაზვიადებდე, უფრო დაწვრილებით მიმეცემა განსახილველ გამოკვლევას, სადაც ბევრი და მართალი ისეა ერთმანეთში გადახლართული, როგორც ლიანები ტროპიკულ ტყეებში.

ქვემოთ თანმიმდევრობით მოვიყვანთ ავტორისეულ სიტყვებს, „ფაქტებს“, მოსაზრებებს, შეფასებებს და მათ შევუპირისპირებთ სათანადო რეალურ ისტორიულ სურათს. მაშ ასე, ავტორი წერს:

„ირანის სახელმწიფოში ქართული სამთავროები თავის არსითა და ფორმით არ იყვნენ კოლონიები, არამედ წარმოადგენდნენ სპარსული სახელმწიფოს ნაწილს – მის პროვინციებს, ისევე როგორც ძირძველი ირანწულოვანი რეგიონები: ხორასანი, ბალხი ან ფარსი. ისინი იმართებოდნენ იგივე კანონებით, როგორც ძირითად სპარსეთში, ხოლო შაჰის მიერ დანიშნული მოხელეები პრაქტიკულად ყველა ქართული წარმოშობისა იყვნენ – გამუსლიმებული მთავრები და თავადები. ითვლებოდნენ რა შაჰის სამსახურში, ისინი ილებდნენ ჯამაგირს, ძვირფას საჩუქრებსა და მამულებს როგორც სპარსეთში, ისე საქართველოში.“ (გვ. 2).

ეს მცირე ამონარიდიც კი საკმაა გაიგებ თუ უცილობით დაშვებული სხვადასხვაგვარი შეცდომებით:

1.ავტორს უჭირს ერთმანეთისაგან განასხვაოს „სამეფო“ და „სამთავრო“. ესიდენ თუ გათვითცნობიერებული საქართველოს ისტორიის საკითხებში, უნდა იცო-

დეს, რომ იმერეთი, ქართლი და კახეთი იმ დროს სამეფოებს წარმოადგენდნენ და ამიტომ მათი არაერთგზის *княжества*-დ მოხსენიება ავტორის დილეტანტიზმზე მიუთითებს. თუმცა მისგან ისიც მოსალოდნელია, ამას განგებაც აკეთებდეს ქართული სახელმწიფოებრიობის სტატუსის დასამცრობად.

2. დამახინჯებულად და უამრავი ლაფსუსებით სავსე (აქაც და შემდგომაც) აღწერილი ვითარება, როცა ქართლსა და კახეთს *„გამუსლიმებული ქართველი მთავრები და თავადები მართავდნენ“*, გრძელდებოდა არა *„250 წლის მანძილზე“*, ანუ როგორც ავტორს სურს მიგვანიშნოს, XVI ს-ის შუახანებიდან (1555 წლის ამასიის ზავი) 1801 წელს რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს „შეერთებამდე“, არამედ ამის ნახევარზე ნაკლებ ხანს: 1632 წელს ქართლის მმართველად როსტომხან ბაგრატიონის დანიშვნიდან, 1744 წელს მამა-შვილის – თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ქართლისა და კახეთის მეფეებად ქართული, ქრისტიანული წესით კურთხევამდე.

3. რაც შეეხება *„შაჰის დანიშნულ ხანთაგნიკებს“* ე.წ. *„გამუსლიმებულ ქართველ მთავრებსა და თავადებს“ (омусульманенные грузинские князья и дворяне)*, უნდა აღინიშნოს შემდეგი: შაჰი ისლამის მიღების პირობით ამ დროს მხოლოდ ქვეყნის მმართველს ნიშნავდა და არა ზოგადად „მოხელეებს“. მმართველებად კი, როგორც წესი, შაჰისაგან ქართული სამეფო დინასტიის – ბაგრატიონთა გამუსლიმებული წარმომადგენლები ინიშნებოდნენ. ამ თანამდებობას ოფიციალურად „გურჯისტანის ვალი“ ეწოდებოდა, თუმცა იგი ჩვეულებრივ, მემკვიდრეობით გადადიოდა (ახალ კანდიდატსაც, რასაკვირველია, შაჰი ამტკიცებდა). საქართველოში ისინი ძველებურად მეფის ტიტულს ატარებდნენ. რამდენჯერმე მაინც იყო მცდელობა კახეთი ყიზილბაშში ხანებისთვის გადაეცათ სამართავად, მაგრამ ამ პოლიტიკამ

ირანისათვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო: ქართველები უცხოელ მმართველს ვერ ჰგუობდნენ და მის მორჩილებასაც უარს აცხადებდნენ. აქ სხვადასხვა თანამდებობაზე სახელმწიფო სამსახურში მყოფი ქართველი თავადაზნაურობა კი არც შაჰის მიერ არ ინიშნებოდა და ისლამის მიღებასაც, როგორც წესი, მათ განსაკუთრებით არავინ აიძულებდა (სხვა საკითხია, რომ ზედაფენის მცირე ნაწილი სპარსული გავლენით იმხანად ისლამის რჯულზე ექცეოდა).

4. შაჰი ჯამაგირს უხდიდა ძირითადად მხოლოდ ისევ „გურჯისტანის ვალს“, როგორც თავის მოხელეს, და არა ზოგადად ქართველ თავადაზნაურობას. იგივე ითქმის მამულების ბოძებაზეც. მაგრამ აქ კიდევ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი: სინამდვილეში ეს პრივილეგია მხოლოდ მოწვენებითი იყო. გასაგები მიზეზების გამო შაჰი სპარსეთში მამულების ბოძებით ცდილობდა ქართველი მეფე-ვალი მატერიალურად და ეკონომიურად რაც შეიძლება მასზე დამოკიდებული გაეხადა და მეტად მიეჯაჭვა იგი სპარსულ სამყაროსთან. გარდა ამისა, ამ ნაბიჯით შაჰი ხაზს უსვამდა თავის ხელისუფლების უსუნაცვლობას. ფეოდალურ სამყაროში ჩვეულებრივ, სიუზერენი უბოძებს ვასალს მიწას გარკვეული სამსახურის პირობით (მაგ.: შოტლანდიაში ინგლისის ბატონობის დამყარების ერთ-ერთი გამოხატულება და ამასთან ერთგვარი ხერხიც იყო ინგლისის მეფეთა მიერ შოტლანდიის მმართველებისათვის ინგლისის შემოსავლიანი მამულების გადაცემა). საქართველოში კი შაჰი მამულებს არ იძლეოდა, რადგან იგი მას უბრალოდ არ გააჩნდა — ირანის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ქართლის მიწა-წყლის სახელმწიფო მიწებად გადაქცევა. აქ მამულები ქართველ წარჩინებულთა შორის უკვე დიდი ხნის წინ იყო გადანაწილებული. რაც შეეხება საზეიმო მირთმევას, ეს სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობებისას ჩვეულებრივ ნორმას

წარმოადგენდა და ერთი სუბიექტის მხრიდან მეორესადმი კეთილგანწყობილებას გამოხატავდა (ირანის შაჰებს ძვირფასი საჩუქრებით ხელდამშენებული ელჩები რუსეთის მეფეებისთვისაც ხომ არაერთხელ გაუგზავნიათ).

5. მიუხედავად იმისა, რომ ქართლი და კახეთი ალნიშნულ ხანაში შაჰის კარზე ირანის შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა, იგი სარგებლობდა ფართო ავტონომიით საშინაო საკითხებში და არც ირანული კანონებით არ იმართებოდა. ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობა, სამეურნეო და სოციალური სისტემა, ტრადიციული ქრისტიანული ეოჯა არსებითად განსხვავდებოდა ისლამურ-ირანულისაგან. ამიტომ აქ მხოლოდ ადგილობრივ ქართულ სინამდვილეზე მორგებული კანონმდებლობა მოქმედებდა: როგორც ძველი ქართული საეკლესიო, ისე საერო სამართალი. ერთ-ერთი ასეთი ახალი და თან მთელი საქართველოს მასშტაბით ყველაზე პოპულარული ქართული ფეოდალური სამართალი სწორედ აღნიშნულ ეპოქაში, XVIII ს-ის დასაწყისში იქნა შემუშავებული ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის მიერ.

6. ავტორი, ცოტა არ იყოს, უცნაურ წარმოდგენას ამყალიბებს კულტიის რაობაზე, როცა აღნიშნავს, რომ ირანის მიერ დაპყრობილი „ქართული სამთავროები“ კოლონიები არ ყოფილან, რადგან მის სახელმწიფოში შემავალ პროვინციებს წარმოადგენდნენო. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართლისა და კახეთის სამეფოები ირანის ჩვეულებრივი პროვინციებისაგან განსხვავებით ფართო ავტონომიით სარგებლობდნენ და მათი ეს სტატუსი განპირობებული იყო რიგი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ რელიგიურ-კულტურული მიზეზებით და არა შაჰის ქართველებისადმი „განსაკუთრებული სიყვარულით“. მაგრამ ესეც იქით იყოს, რა ჭკვნია ჩვენს ავტორს: თუნდაც როცა უცხო, ძლიერი სახელმწიფო მეორე, უფრო პატარა სახელმწიფოს დაიპყრობს და თავის შემადგენელ ნაწილად, პროვინციად

აქცევს, განა ეს დაპყრობილი ერისათვის კოლონიური მდგომარეობა არაა? ამას პოლიტიკური ტერმინოლოგიით ანექსია ჰქვია, რაც, როგორც წესი, ოკუპაციას მოსდევს ხოლმე შედეგად. ძნელი მისახვედრი არაა, საით უკაკუნებს რუსი ავტორი: არც მოგვიანებით რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველო არ ყოფილა კოლონია, ის ხომ მა'მინაც იმპერიის შემადგენელ ნაწილად, მის გუბერნიებად იყო ქცეული (ეს სტატიის შესაბამის ადგილას უფრო აშკარად ვლინდება).

„შაჰების დამოკიდებულებაზე საქართველოსადმი შეიძლება იმით ვიმსჯელოთ, რომ მათი ბრძანებითა და ხასხრებით ქართლსა და კახეთში ინახებოდა ჯარი, რომელსაც ევალებოდა მთიული ტომების თავდასხმებისგან საქართველოს სახლვრების დაცვა. თუ ეს ჯარი საკმარისი არ იყო, შაჰი აგზავნიდა დამხმარე ძალას. ქართული სამთავროებისაგან შეკრებული გადასახადები იყო ისეთივე და ხანდახან ნაკლებიც როგორც ირანის, ასევე თურქეთის სხვა ტერიტორიებთან შედარებით.“ აქ ავტორი იმეორებს თანადროულ თურქ ავტორს, ევლია ჩელების, რომ თურქეთის ერთ-ერთი ვილაიეთი – იმერეთი თავისუფალი იყო ჩვეულებრივი გადასახადებისაგან და მხოლოდ წელიწადში ერთხელ საჩუქრების სახით აგზავნიდა ტყეებს, მიმინო-შევარდნებსა და ჯორებს. ამას გარდა, რუსი ავტორი დასძენს, რომ *„არსებობს არაერთი მაგალითი გადასახადების შემცირებისა ქართული სამთავროების სპარსული ნაწილში.“ „ირანელები მთლიანად არ ანადგურებენ ქრისტიანულ ეკლესიას, ათავსებენ მას განსაკუთრებულ ნარნარებში და აძლევენ ქართველი კათალიკოსების დადგინების შეთანხმებას ირანში. არის ბევრი მოწმობა იმისა, რომ შაჰის ხელისუფლება იყო უმაღლესი მსაჯული და არბიტრი ეკლესიის ადმინისტრაციულ საკითხებში“.*

საქართველოსა და ქართველების სიყვარულით გაჟღენთილი ირანის შაჰები მხოლოდ ა. ებიფანცევის

წარმოსახვაში არსებობენ. ამის დამადასტურებლად მოყვანილი ავტორისეული მაგალითების გაბათილება, სხვა უსუსტობების წარმოუჩენასთან ერთად, სირთულეს არც წარმოადგენს:

I. აღმოსავლეთ საქართველოში სპარსელთა ბატონობის ხანაში ქართლისა და კახეთის ცხინ-სიმაგრეებში მართლაც იდგა ირანული გარნიზონები. მაგრამ მათი აქ ჩაყენების მიზანი სულაც არ ყოფილა საქართველოს საზღვრების დაცვა „მთიელთა თავდასხმებისაგან". ნიშანდობლივია, რომ ეს გარნიზონები ქვეყნის ყველაზე სტრატეგიულ ადგილებში იყვნენ გამაგრებულნი და არა საქართველოს საზღვისპირა რეგიონებში და მათ უმთავრეს მოვალეობას აქ ირანელთა ბატონობის შენარჩუნება და უსრუნველყოფა წარმოადგენდა. შაჰი საქართველოში მართლაც აგზავნიდა დამატებით სამხედრო ძალასაც, როცა უკვე არსებული საკმარისი არ იყო... ოღონდ არა ქართველების დასაცავად, არამედ ურჩი ქართველების დასამორჩილებლად. ეს იმდენად მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ მასზე აქ საუბარი, ცოტა არ იყოს, უხერხულიც კია, მაგრამ არც ავტორის ამ აბსურდული განცხადებების უპასუხოდ დატოვება არ შეიძლება (ისე, თუ ავტორის „ლოგიკას" მივყვებით, რამდენად სიგიჟემდე არანორმალურები ყოფილან ქართველები, როცა მაგ., ბახტრიონის აჯანყების დროს, 1659 წელს „მათივე დასაცავად" შაჰ-აბას II-ის მიერ საგანგებოდ გამოგზავნილი, ბახტრიონის ციხესა და ალაყერდის მონასტრის გალავანში გამაგრებული ირანული გარნიზონები ერთი დაკვრით ერთდროულად გაანადგურეს. მსგავსი მაგალითები კი უამრავია). თუმცა იყო შემთხვევებიც, როცა ირანელები დაღესტნელ მოთარეშეებს უპირისპირდებოდნენ: XVIII ს-ის 40-იან წლებში, როცა ნადირ-შაჰი აწარმოებდა ომს osმალეთთან, ეს უკანასკნელი ამიერკავკასიაში მდგარი ირანის ჯარების წინააღმდეგ ფართოდ იყენებდა დაღესტნელთა რაზმ-

ებს, რომელთაც პლაცდარმად ახალციხის საფაშოს მიწა-წყალსაც უთმობდა. ქართლის ირანული გარნიზონი ამ დროს ქართველ მეფე თეიმურაზ II-ს ექვემდებარებოდა, რომელიც 1744-1747 წლებში ქართულ ჯართან ერთად ირანის სამხედრო ნაწილებსაც იყენებდა დაღესტნელების წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში, უდავოა, ნადირ-შაჰის დაპირისპირება დაღესტანთან იქაური მთიელების ოსმალეთისადმი სამხედრო მხარდაჭერით იყო ნაკარნახევი და არა „ქართველების დაცვით“ სურვილით გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ ქართული სამეფოების დამორჩილებისათვის ბრძოლისას ირანის შაჰები ქართველების წინააღმდეგ იგივე მთიელებს თავადაც აქეზებდნენ ხოლმე. ანუ ირანი ყოველთვის მხოლოდ საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა. ზემოაღნიშნული ერთეული ხანმოკლე შემთხვევების მთელ ეპოქაზე განზოგადება კი დემაგოგიის მორიგი გამოვლინებაა მხოლოდ. მით უმეტეს, რომ ასეთ შემთხვევებშიც კი ირანის გარნიზონების უმთავრესი დანიშნულება – ქართულ მიწა-ზე ბატონობა – უცვლელი რჩებოდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ირანის ჯარები საქართველოში ჩვეულებრივ საოკუპაციო ჯარებს წარმოადგენდნენ და ისინი ისევე იცავდნენ ქართველებს, როგორც დღეს ამას რუსული ჯარები აკეთებენ შიდა ქართლსა და აფხაზეთში.

2. ირანის სასარგებლოდ ქართლსა და კახეთში ასაკრეფი გადასახადების რაოდენობა ხშირ შემთხვევაში მართლაც არ აღემატებოდა უშუალოდ ირანის მხარეებში დაწესებულ გადასახადებს. მაგრამ აქ ავტორი განგებ უშლის გვერდს ან არ ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: „ა) ამ გადასახადების გარდა ქართველები (ბლეხობა, ვაჭარ-ხელოსნები და ა. შ.) ჩვეულებრივ იხდიდნენ ტრადიციული ქართული ფეოდალური კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ამიტომ მათ ერთბაშად ორმაგი გადასახადის გადახდა უ[ვ]ვლ-

ათ და შესაბამისად, ირანული გადასახადი დამატებით და ერთობ მძიმე ტვირთად აწვა მწარმოებელ მოსახლეობას; ბ) ქართული ინფრასტრუქტურის განვითარებისა თუ უამრავი სხვადასხვა საჭიროებისათვის სახსრები წყვეტებრივ ქართული სახელმწიფო ხაზინიდან გაიცემოდა, რომელიც თავის მხრივ, სწორედ ადგილობრივი „ქართული“ გადასახადიდან შემოსული თანხით ივსებოდა. შესაბამისად, ირანში გასაგზავნი თანხა საქართველოს არ ხმარდებოდა, უკან არ უბრუნდებოდა. ამის გამო ამ ტიპის გადასახადები ანუ ხარკი (როგორც მას საქართველოში უწოდებდნენ) ქვეყნიდან უსარგებლოდ (სამაგიეროდ დამპყრობლისათვის სასარგებლოდ) გადინებული სიმდიდრეს წარმოადგენდა და მისი ეკონომიკური დაქვეითების მიზეზი ხდებოდა. ბუნებრივია, ახალი ტერიტორიების დაპყრობა, ისევე როგორც ნებისმიერ იმპერიას, მაშინდელ ირანსაც დაპყრობილი ქვეყნების ხარჯზე დამატებითი შემოსავლების მისაღებად ესაჭიროებოდა; გ) დამპყრობლის მხრიდან ყოფილა გადასახადების შემცირების შემთხვევებიც, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, გამოწვეული არ ყოფილა შაჰის ქართველებისადმი უანგარო კეთილგანწყობილებით. ირანელთა მიერ ქართველებზე დაკისრებული გადასახადების სრდას სოგჯერ თან სდევდა დაუმორჩილებლობა და აჯანყებები, როგორც მაგ., XVIII ს-ის I ნახევარში ხანგრძლივი აჯანყება შიდა ქართლში, რომელსაც ქართველი თავადები (გივი ამილახვარი, შანშე ქსნის ერისთავი) ხელმძღვანელობდნენ. ასეთ ვითარებაში, როცა არათუ გადასახადის ამოღება, საერთოდ ქვეყნის მორჩილებაში შენარჩუნებაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა, შაჰს რასაკვირველია, ერჩივნა გადასახადები შეემცირებინა (ასე მოიქცა ამ დროს ნადირ-შაჰი). ანუ შაჰის მხრიდან ეს იყო იძულებითი ნაბიჯი და ამას ქართველების „პრივილეგიებთან“ საერთო არაფერი ჰქონია.

3. დიდი შეცდომაა იმერეთის ქართული სამეფოს თურქეთის ერთ-ერთ ვილაიეთად გამოცხადება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ხანაში იმერეთი ოსმალეთის (ავტორს შეგახსენებთ, ასე იწოდებოდა მაშინდელი თურქული იმპერია) ხელქვეშურ, ვასალურ სამეფოდ მოიაზრებოდა, იგი მის ვილაიეთად, ანუ შემადგენელ ნაწილად არც არასდროს ქცეულა. ამის გამო, რა გასაკვირია, მასზე ჩვეულებრივი, ოსმალური მხარეებისათვის დახასიათებელი გადასახადები რომ არ ვრცელდებოდა. ოსმალები იმერეთიდან მხოლოდ ყოველწლიურ ზემოაღნიშნულ გადასახადს სჯერდებოდნენ, რაც მხოლოდ იმით იყო განპირობებული, რომ მათ უფრო მეტი გამორჩენის მიღწევის ძალა არ შესწევდათ: მათი ბატონობა იმერეთში უმეტეს შემთხვევაში სედაპირულ ხასიათს ატარებდა და აქედან ყოველწლიური ძღვენის მიღებასა და იმერეთის მეფის მიერ ამ ბატონობის ფორმალურ აღიარებაში გამოიხატებოდა. თუ ავტორს ესეც ერთგვარ პრივილეგიად ეჩვენება, ავუხსნით, რომ ეს „პრივილეგია“ მტრისაგან იმერეთის ძნელადმისადგომობით და აქაური ქართველების თავისუფლებისათვის მუდამ ხმალშემართული ბრძოლით იქნა მიღწეული და უაზრობაა ამაში სულთნის ნება-სურვილი იქნას დანახული.

4. ირანელთა მხრიდან ქართული ქრისტიანული ეკლესიისადმი ლოიალური დამოკიდებულების ხაზგასმაც ავტორს მათი ქართველებისადმი განსაკუთრებული „ტკბილი“ დამოკიდებულების დასასაბუთებლად დასჭირდა. მაგრამ ესეც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი დემაგოგიის ნაწილია. ირანში კარგად იცოდნენ, რომ მათ „წილ“ საქართველოს ჩვეულებრივ სპარსულ პროვინციად ვერასდროს ვერ აქცევდნენ (თუმცა კი ჩვენს ავტორს იგი უკვე ასეთად წარმოუდგენია), სანამ აქ ქრისტიანობას წამყვანი პოზიციები ეკავა. ქრისტიანული მრწამსი იყო ის მძლავრი ფაქტორი, რომლის ამოძირკვაც აუცილებელი იყო ქართველებში მყარი სპარ-

სული ორიენტაციის მისაღწევად და საბოლოოდ კი მათი სრული ასიმილაციისათვის. ქრისტიანობა ხომ ქართველთა თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ნიშანსვეტი იყო, ირანის იმპერიულ მიზნებს აქ მუდამ წინ რომ ელობებოდა და ამავე დროს ქართველების მხერას მათგან თავდასახსნელად ჩრდილოეთისკენ მიმართავდა. სწორედ ქრისტიანობისადმი ერთგულებისა და ისლამის მიღებაზე კატეგორიული უარის გამო შაჰ-აბას I-ის ბრძანებით გახურებული შანთებით სასტიკად ეწამა კახეთის დედოფალი ქეთევანი, საბელით მოახრჩვეს ქართლის მეფე ლუარსაბ II (ორიენი წმინდანებად შერაცხა საქართველოს ეკლესიამ). მსგავსი შემზარავი მაგალითებით მკითხველს მეტს ალარ დავაძინებ. დავძენ მხოლოდ, ირანული აგრესიის ზენიტში ყოფნისასაც (XVII ს-ის 10-20-იანი წლები) ქართველთათვის სარწმუნოების იძულებით შეცვლა რომ ვერ შეძლეს (ქრისტიანობა წარმოუდგენლად ღრმად აღმოჩნდა ქართველთა ძვალ-რბილში გამჯდარი), შაჰის კარზე ამ მიმართულებით პოლიტიკა შეიცვალა. ამიტომაც იყო, რომ აქ მმართველებად ქართველ ბაგრატიონებს მხოლოდ ისლამის მიღების პირობით ამტკიცებდნენ, ისლამს ყოველნაირად ახალისებდნენ, ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ სპარსული მმართველობის სისტემა, სპარსული ისლამური წეს-ჩვეულებანი და ა.შ. (თუმცა საბოლოოდ ვერც ამან გამოიღო მათთვის სასურველი შედეგი). დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ქართული სახელმწიფოებრიცა ავტონომია სარწმუნოების თავისუფლებასა და ქრისტიანული ეკლესიის არსებობას რომ ითვალისწინებდა, ეს ისევ ქართველთა რწმენის სიმტკიცისა და გაუტეხლობის დამსახურებაა. ამავე დროს ირანში ქართველი კათალიკოსების დამტკიცებისა, ან შაჰის ხელისუფლების საქართველოს ეკლესიის უმაღლესი მსაჯულობის *„არამკი-*

რე მოწმობებიც“ მხოლოდ ეპიფანცევის გამონაგონია და სინამდვილესთან კავშირი არ ექებნება.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს ქართველი თავადაზნაურობის განსაკუთრებულ პრივილეგირებულ მდგომარეობას აღმოსავლეთ საქართველოში ირანელთა ბატონობის ხანაში. ამის დამტკიცებას კი შემდეგი არგუმენტებით ცდილობს:

„ქართველი წარჩინებულები ორგანულად და თანასწორი უფლებით შედიან ირანის უმაღლეს ფენაში. გავრცელებული იყო დინასტიური ქორწინებები – ბევრი ქართველი თავადის ქალი გამხდარა შაჰის ცოლი, ხოლო წარჩინებულ ქართულ საგვარეულოთა წევრების ძარღვებში მრავლად მიედინებოდა სპარსული სისხლი“. ამ უკანასკნელი ფაქტის დამადასტურებლად მოჰყავს ცნობილი ქართველი მეცნიერის, ვახტანგ გორგასლის მაგალითი, რომლის დედაც ირანელი იყო. მეტი დამაჯერებლობისათვის კი მკითხველს შეახსენებს, რომ ზედწოდება „გორგასალიც“ („მგლისთავა“) სპარსული წარმოშობისაა. შემდეგ განაგრძობს: *„ქართველ წარჩინებულთა წარმომადგენლები ბიჭობიდან იზრდებიან (мальчиками растут) შაჰის კარზე“* და ინიშნებიან მოხელეებად ძირძველ ირანულ პროვინციებში, წარმოადგენენ ირანულ სამხედრო ელიტას და ხშირად სარდლობენ კიდეც ირანის ჯარს ინდოეთსა და ავღანეთში ლაშქრობისას. *„შაჰ-აბას I-ის კარზე მრავალი ქართველი მსახურობდა, ხოლო სამხედრო რეფორმას ახორციელებდა ალავერდი-ხანი – გამუსლიმებული ქართველი. გვარად ჭავჭავაძე“* მთელი საუკუნის მანძილზე სახელმწიფოს მაშინდელი დედაქალაქის, ისპაჰანის გამგებლებადაც მხოლოდ ქართველები ინიშნებოდნენ. ასეთი მაღალი თანამდებობები და ასე მასობრივად, თუნდაც მიახლოებით, სხვა არაირანელებს, მაგ., ინდუსებს, არაბებს, ავღანელებს არც არასდროს ჰქონიათო, – დასძენს ბოლოს (გვ. 3).

ავტორის ამ მსჯელობას „არგუმენტები“ პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს, ვინაიდან ამ დანიშნულებას ის ვერ ასრულებს შემდეგ მიზეზთა გამო:

1. ქართლსა და კახეთში ირანის გაბატონების შემდეგ ქართული ფეოდალური სვედაფენისათვის სოციალური პრივილეგიების შენარჩუნება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ირანს სხვა გამოსავალი არც ჰქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში დამორჩილებულ ქვეყანაში მთელი ფეოდალური იერარქია დაირღვეოდა, რომ ალარაფერი ვთქვათ ასეთ შემთხვევაში ადგილობრივ უმაღლეს სოციალურ ფენაში მისთვის ესოდენ აუცილებელი საერდენის გარდაუვალ გამოცლაზე (მით უფრო, რომ ირანი იძულებული იყო აქ გარკვეული პოლიტიკური ავტონომია შეენარჩუნებინა). ამდენად ეს თვით ირანის ინტერესებში შედიოდა. ირანის მხრიდან ასეთივე დამოკიდებულება ჩანს სხვა დამორჩილებულ ქვეყნების მიმართაც და საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი არა ყოფილა.

2. აღნიშნული „დინასტიური ქორწინებები“ ქართველთა ნება-სურვილს არ გამოხატავდა. ქართველ წარჩინებულთა ასულების შაჰზე გათხოვება რთული პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული იძულებითი ნაბიჯი იყო შაჰის მოთხოვნა-ულტიმატუმის დასაკმაყოფილებლად ან მისი კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად გადადგმული. როგორც მაგ., კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა შაჰ-სეფს შვრიგების ნიშნად თავისი ქალიშვილი თინათინი მიათხოვა და რომელიც მოგვიანებით შაჰის ბრძანებით დაახრჩვეს. ამდენად, ირანში გათხოვება და შაჰის ჰარამხანის შევსება ქართველი ქალისათვის და მისი ოჯახისათვის მხოლოდ გალებულ მსხვერპლად აღიქმებოდა და არა რაიმე პრივილეგიად, ამიტომ ასეთ ნაბიჯს თავისი სურვილით, როგორც წესი, აქ არავინ დგამდა. ქართველ დიდებულთა მიერ სპარსი ქალების ცოლად მოყვანა კი ამ ხანებში წესად არც ყოფილა (ამიტომ არც „ირანული სისხლი ჩაედინებოდა მრავლ-

ად მათ საგვარეულოთა ძარღვებში“). XVII-XVIII სს-ის ქართულ-სპარსული დინასტიური ქორწინების მაგალითად ავტორის მიერ V ს-ში მოღვაწე მეფე ვახტანგ გორგასლის დასახელებას კი, ძნელი სათქმელია, რომელი შეცდომაა უფრო შეცდომება: სრული უვიცობა თუ ხელგარგადასული დემაგოგია. ეპიფანცევს დამატებით აქვე იმასაც შეეხსენებ, რომ სწორედ დღით სპარსი ეს ქართველი გოლიათი მეფე-წმინდანი წლების განმავლობაში სათავეში ედგა სპარსელთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლას მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით და საბოლოოდ ამ ბრძოლას შეეწირა კიდეც გმირულად.

3. შაჰის კარზე მყოფი ქართველ დიდგვაროვანთა შვილები უმეტეს შემთხვევაში შაჰის მოთხოვით, მათი მორჩილების უსრუნველსაყოფად საქართველოდან მიღებული მძევლები იყვნენ (ასევე იძულებით გაგზავნილნი), ანდა ისპაჰანის ქართული დიდგვაროვნული დიასპორის ცალკეული წარმომადგენლები. ჩვეულებრივ, საქართველოდან შაჰის კარზე გასაზრდელად თავისი ნებით შვილებს არავინ აგზავნიდა. ბევრი მათგანი ირანში შემდგომ- მართლაც აღწევდა უმაღლეს სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობებს. ამ მხრივ ქართველებს ირანულ პოლიტიკურ ორბიტაში მოქცეული სხვა ერების წარმომადგენლები მართლაც ვერ შეედრებოდნენ. მაგრამ ამგვარი ფაქტები, ერთი მხრივ, ქართული ნიჭისა და უნარის მორიგ გამოვლინებას წარმოადგენდა და, მეორე მხრივ, სეფიანთა მცდელობას მეტისმეტად გაძლიერებული თურქმანულ-ყიზილბაშური სამხედრო არისტოკრატია კავკასიური წარმოშობის პირებით ჩაენაცვლებინა, რომელთა შორის ქართველებს ყოველთვის გამორჩეული პოზიციები ეკავათ.

4. XVIII ს-ის დამდეგს ირანს ძალზე გაუჭირდა გააქტიურებული ავღანელი ტომების მორჩილებაში შენარჩუნება. ამიტომ შაჰის კარზე გადაწყდა პრობლემის ტეირთი მნიშვნელოვანწილად გადაეტანათ ქართველთა

მხრებზე, რომლებიც სახელგანთქმულნი იყვნენ როგორც საუკეთესო მეომრული თვისებების მქონენი. ამის გამო, შაჰი ქართველ მეფეს („გურჯისტანის ვალს"), რომელიც თავის მოხელეს ავალდებულებდა თავის ქართული მხედრობით ებრძოლა დაუმორჩილებელი ავღანელების წინააღმდეგ, ნიშნავდა რა მათ ამავე დროს ავღანეთის გამგებლად და იქ მებრძოლი ირანული ჯარების მთავარსარდლად. შაჰი ამ გზით პოლიტიკურად არასაიმედო ქართველთა სამხედრო პოტენციალსაც მნიშვნელოვნად ასუსტებდა თვით საქართველოში. ეს ირანის მიერ ქართველებისადმი დადებულ ერთგვარ სამხედრო ბეგარას წარმოადგენდა, რომელიც მათ ერთობ მძიმე ტვირთად აწვათ. დამპყრობელი ქვეყნის ინტერესებისათვის ბრძოლას რამდენიმე წლის განმავლობაში ავღანეთში მრავალი ქართველის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის იყვნენ თავად ქართველი მეფეებიც (დალაბით მოკლული გიორგი XI და შემდეგ მისი ძმისშვილი და შემცვლელი – ქაიხოსრო) და ამის ქართველებისადმი პრივილეგიის გამოვლინებად წარმოდგენას გამართლება არ აქვს.

ასეთ ვითარებაში ირანის მიერ ქართველთა მიმართ რაიმე პრივილეგიებზე საუბარი დამაჯერებლობით ვერ დაიკვეხნის და თუ ქართველები ირანის იმპერიაში შემავალ სხვა ხალხთან შედარებით მაღალ თანამდებობებს აღწევდნენ, ამის მიზეზი მათ შესაძლებლობებში და უნარებში უნდა ვეძიოთ.

„ქართული დინასტიური ცხოვრების ცენტრი მდებარეობდა თეირანსა და ისპაჰანში – აქ ბუდობდა ქართული ინტრიგები, დგებოდა საქორწინო კავშირები, შეიძინებოდა მიმგებიანი სახელმწიფო თანამდებობები, მიიღებოდა და იკარგებოდა სამეფოები. ასე, მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში კახეთისა და ქართლის მეფე თეიმურაზი შაჰის კარის ინტრიგების გამო სამჯერ იღებს და სამჯერ კარგავს თავის სამეფო სკიპტრას. სპარსული გაელვა

აღწერს ქართული საზოგადოების ყველა კუთხეში – არქიტექტურა იღებს ირანულ ფორმებს, უმაღლესი და საშუალო ფენა საუბრობს სპარსულად... თვით ქართული ლიტერატურა იწყებს სვლას არა თავდაპირველი ბიზანტიური, არამედ სპარსული კანონებით, მაგალითად, ცნობილი „ვეფხისტყაოსნის“ წყაროს სპარსულ წარმოშობას თვით შოთა რუსთაველი არც მალავს“ (გვ. 3).

1. ეპიფანეცეს, ეტყობა, თეირანი ისპაჰანთან ერთად სეფიანთა ირანის მთავარ ცენტრად წარმოუდგენია. ნიშანდობლივია მის მიერ თეირანის ისპაჰანზე წინ დასახელებაც. აქ აშკარად წინა და მოგვიანო ეპოქების ვითარებების აღრევასთან გვაქვს საქმე. ამიტომ ავტორს მივუთითებთ, რომ თეირანი ირანის ცენტრად მხოლოდ XVIII ს-ის 80-იანი წლებიდან ყალიბდება, როცა მას სატახტო ქალაქად აცხადებს ახალი (ყაჯართა) დინასტიის წარმომადგენელი აღა-მაჰმად ხანი. ეს აღმოსავლეთ საქართველოში ერეკლე II-ის მეფობის ხანაა, როცა ირანს ქართლ-კახეთზე პოლიტიკური გავლენა უკვე დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა. ამდენად თეირანში „ქართულ ინტრიგებზე“ საუბარი მეტისმეტად უადგილოა.

2. ისპაჰანში, ისევე როგორც ნებისმიერი იმპერიის დედაქალაქში, მრავალი ინტრიგები იხლართებოდა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სპარსული. ეს ინტრიგები, სრულიად ბუნებრივია, ასახვას პოვებდა იმპერიის შემადგენლობაში თუ მის გავლენის ქვეშ მოქცეულ სხვადასხვა ქვეყნების ბედზეც და „ქართულ ინტრიგებზე“ ხაზგასმა მხოლოდ ავტორის წინასწარგანზრახული ინტრიგული გეგმის ნაწილია. კრიტიკას ვერ უძლებს თეიმურაზ I-ის მიერ ტახტის მოპოვებისა თუ სამეფოს დაკარგვის შემთხვევების ირანში „ქართულ ინტრიგებზე“ მიწერა. თეიმურაზმა კახეთის სამეფო ტახტი მემკვიდრეობით მიიღო, მას შემდეგ, რაც აჯანყებულმა კახელებმა საკუთარი მამისა და ძმის მკვლელი, შაჰის მიერ კახეთის სამართავად გამოგზავნილი გამუსლიმებული

კონსტანტინე (თეიმურაზის ბიძა) დაამარცხებს და მოკლეს. თეიმურაზს სამეფოს დატოვება შაჰ-აბას I-ის გამანადგურებელი შემოსევების შედეგად მოუწია (გადახვწა იმერეთში). ამის შემდეგ თეიმურაზმა რამდენჯერმე მართლაც მოახერხა სამეფოს დაბრუნება, მათ შორის კახეთთან ერთად ქართლის ტახტსაც კი დაეუფლა. მაგრამ ამას მან ქართველთა მიერ სასტიკი დამპყრობლის დამარცხებისა და თავისი დაუცხრომელი ბრძოლის შედეგად მიაღწია და ყოველივე ამას „შაჰის კარზე აცვავებულ ქართულ ინტრიგებთან“ საერთო არაფერი არ აქვს. ავტორს კი ეურჩევთ, უკეთ გაეცნოს აღნიშნული ეპოქის საქართველოს ისტორიას და ნუ შეეცდება მკითხველის შეცდომაში შეყვანას.

3. სეფიანთა ხანაში ძლიერი ირანული კულტურის ზეგავლენა შესამჩნევია მთელს ახლო აღმოსავლეთში და ეს ბუნებრივი და ლოგიკური პროცესია: იმპერიის კულტურული ზეგავლენა ყოველთვის პოლიტიკური გავლენის თანამდევი მოვლენაა, მეტ-ნაკლებად გამოხატული. ქართულ სინამდვილეშიც ამის ნიშნები, რასაკვირველია, იყო. თუმცა არა იმდენად, რომ მას ქართული კულტურული ელემენტები დაეთრგუნა. XVII-XVIII სს-ში ქართულ არქიტექტურაზე სპარსული გავლენა მართლაც შეიმჩნევა, თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ ქართულ ხუროთმოძღვრებას საკუთარი იერსახე დაეკარგოს. იგივე ითქმის ლიტერატურის მისამართითაც. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უძველესი და უმდიდრესი ქართული ლიტერატურა ძირითადად მაინც ყოველთვის ადგილობრივ ნიადაგზე ჩამოყალიბებული „ტრადიციულ-ქართული კანონებით“ მიემართებოდა და მხამხარეულ ბიზანტიურ თუ ირანულ რელსებზე სვლას არასდროს საჭიროებდა. ამ ხანების სპარსულ-ლიტერატურული გავლენის გამოხატულებად XII საუკუნის ქართული საერო პოეზიის შედევრის – „ვეფ-

ხისტყაოსნის“ დასახელება კი მხოლოდ ღიმილის მომგვრელი და ავტორის „ვაიექსპერტობის“ მაჩვენებელია.

4. რუსი ავტორი იმდენად გულმოდგინედ ცდილობს ქართველები ირანელთადმი დამსგავსების მოწადინე დიდ მოშურნეებად წარმოაღგინოს, რომ ლამის მთელი აღმოსავლეთ საქართველო სპარსულად ალაპარაკა. საქართველოს ირანის გავლენის მყოფ ნაწილში ქართველთა ქვეყნის სალაპარაკო ენა ყოველთვის მხოლოდ ქართული იყო. სპარსული ენა ერთხანს მართლაც გამოიყენებოდა შაჰის მიერ დანიშნულ გამუსლიმებულ ქართველ მეფეთა კარზე, მაგრამ იქაც კი წამყვან პოზიციებს ქართულ ენა ბოლომდე ინარჩუნებდა. ხოლო თუ ფეოდალური ქართული საზოგადოების „სპარსულად ლაპარაკში“ სპარსული ენის ცოდნას ვიგულისხმებთ, იმ დროის პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ამაში არაფერი განსაკუთრებული არაა და შორსმიმავალი დასკვნებიც არ უნდა გაკეთდეს. ქართული უმაღლესი წრეების წარმომადგენლებისათვისაც (რომელთაც მაღალი სახელმწიფო თანამდებობები ეკავათ) სპარსული ენა მეორე ენას წარმოადგენდა ქართულის შემდეგ. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. რაც შეეხება საშუალო ფენას — ქართველ აზნაურობას, განცხადება მათი უმრავლესობის მიერ სპარსულის ცოდნის შესახებაც კი (რომ აღარაფერი ვთქვათ მათ სპარსულენოვნებაზე) საფუძველს მთლიანად მოკლებულია. ისევე, როგორც სიმართლესთან არაფერი აქვს საერთო ავტორის დასკვნას, რომ თითქოს ქართული საზოგადოების ზნე-ჩვეულებანი *„უკვე XVIII ს-ის ბოლოს თითქმის მთლიანად იმეორებს სპარსულს“* (შემთხვევითი არ გეგონოთ ამ თარიღის დასახელება. ავტორი მკითხველს შემდგომი ისტორიული დრამატიზმისათვის ამზადებს: უკვე თითქმის მთლიანად „გასპარსულებული“ ქართველობა ზურგს აქცევს თავის „პატრონ-მარწყვიან“ ირანს და ძალისძალ-

ად „ქმასნება“ რუსეთის. ამ თემას შესაბამის ადგილას განვიხილავთ).

ა. ეპიფანცევი კიდევ მრავალი ხერხითა და ათასგვარი მაგალითების ცდილობს მკითხველს თავს მოახვიოს თავისი აბსურდული დასკვნა: თითქოს „*საქართველოს ცხოვრება სპარსეთსა და ოსმალეთის იმპერიაში არც ისე ცუდი იყო და თუ წარმოვიდგენთ, რომ რალაც ფანტასტიკური საშუალებით ქართველები აღმოჩნდნენ რომელიმე სხვა სუპერსახელმწიფოს* (сверхдержава) *საზღვრებში, მათ ცხოვრება ისეთივე ან შეიძლება **უარესი დამოკიდებულებაც კი**“* (გვ. 3.). ამ „გენიალური“ დასკვნის წაკითხვისას, ავტორის მისამართით კინალამ წამომცდა: აფცერუმ შენს ფანტაზიას-მეთქი, მაგრამ გამახსენდა, არც ისე იოლია გამიჯნო მისი მდიდარი ფანტაზია (თუ ფანტასტიკა) მისივე მოჭარბებული უსინდისობისგან. მაგრამ ისე რომ ვთქვათ, თუ ამ сверхдержава-ში (რომელიც ესიდენ „მშობლიურად“ ეწერს რუსული იმპერიული ცნობიერებისათვის) ავტორს თავისი დიდი სამშობლო აქვს მხედველობაში, მის ამ სიტყვებში სიმართლის წილი მართლაც შეიძლება მოიძებნოს.

წარმოაჩენს რა ქართველთა ყოფას სპარსელთა უღელქვეშ ლამის იდეალურ, „სასათბურე“ პირობებში, ეპიფანცევი რთული ამოცანის წინაშე დგება: რადგან იძულებულია აღიაროს ქართველების მიმართ ირანელი დამპყრობლების მხრიდან თავსდატეხილი სისასტიკისა და ძალადობის მრავალრიცხოვანი ფაქტები, მათ ისეთი ახსნა უნდა მოუძებნოს, ირანის ხელისუფლების მხრიდან ქართველთა მიმართ მის მიერ შეკვე „დადასტურებული“ კეთილგანწყობილება რომ არ შეილახოს. ავტორმა ასეთი გამოსავალი გამონახა: სასტიკი ანგარიშსწორება შუა საუკუნეების ეპოქაში ხომ მიღებულ მეთოდებს წარმოადგენდა. „*პრობლემებს, რომლებსაც ახლა სასამართლო წესითა და საპროცესო ნორმებით*

ვწყვეტთ... მაშინ ომებთან და სისხლიან ანგარიშსწორებებთან მიგვაქვთ. იმ დროს ასე... წყდებოდა საკითხები საერთოდ. მბრძანებლები სასტიკად ეპყრობოდნენ არა მარტო სხვა სარწმუნოების ან დამორჩილებულ ხალხს, არამედ საკუთარ თანამემამულეებსაც“. აღმოსავლეთის დესპოტებს არც ევროპელი მონარქები ჩამოუვარდებოდნენო, მოგვახსენებს იგი. ამის მაგალითებიც კი უხვად მოჰყავს. აქედან გამომდინარე, „ჩვეულებრივ“ მოვლენად გვიხატავს შაჰ-აბას I-ის მიერ პატარა კახეთის სამეფოში ჩატარებულ სადამსჯელო ღონისძიებას: 100 000 ამოულეტილი ადამიანი (ქალებისა და ბავშვების ჩათვლით) და 200 000 ძალდატანებით ირანის სიღრმეში გადასახლებული, რაც მთლიანობაში სამეფოს მოსახლეობის 2/3-ს წარმოადგენდა. რუსეთისა და ევროპის ისტორიიდან ავტორის მიერ მოყვანილი მაგალითებიდან აღნიშნულ სისასტიკესთან ახლოსაც კი ვერ მივა ვერც ერთი. ეპიფანცევმა უნდა იცოდეს, რომ შაჰის ამ ქმედებას თანამედროვე იურიდიული შეფასებით გენოციდი და ეთნიკური წმენდა ჰქვია, რასაც შემდგომ ნახევრად დაცარიელებულ კახეთის მიწებზე თურქმანი მომთაბარე ტომების ჩასახლება მოჰყვა. ანუ სახეზე გვაქვს ეთნიკური შემადგენლობის წინასწარგამიზნულად შეცვლის უსასტიკესი მეთოდი, ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული.

ამასთან დაკავშირებით ავტორის მიმართ ერთი კითხვაც გვებადება: რატომ არ შეეცადა რუსეთი შექმნილი პრობლემების გადაწყვეტას სასამართლო წესით, დიპლომატიურ თუ სხვა ცივილიზებულ საშუალებებით, როცა აფხაზ თუ ოს სეპარატისტებთან ერთად ქართველთა მიმართაც იგივე ეთნიკურ წმენდას ატარებდა აფხაზეთში XX ს-ის ბოლოს, ან შიდა ქართლში XXI ს-ის დასაწყისში? შუა საუკუნეები ხომ უკვე დიდი ხანია ისტორიის ნაწილად იქცა. პასუხი ერთია: რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დღემდე აზროვნებს და

მოქმედებს შუასაუკუნეობრივი იმპერიული ნორმებით და აღნიშნული პრობლემაც მის მიერვე საქართველოს მიმართ თავისი იმპერიული გეგმების განხორციელების მიზნით ხელოვნურად იყო შექმნილი.

ქართველებზე „მოამაგე" შაჰის (ამ შემთხვევაში შაჰ აბას I-ის) აღნიშნული ქმედება ნაწილი იყო მისი გეგმისა, რომელიც ითვალისწინებდა არა მარტო ქართული სახელმწიფოებრიობის სრულ მოსპობას, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს შეძლებისდაგვარად დაცლას ქართული ეთნოსისაგან. ეპიფანეველის „თეორიის" საწინააღმდეგოდ, შაჰ აბასმა კარგად უწყოდა, რომ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი არასოდეს შეურიგდებოდა დამპყრობლის უღელს და ქართული მიწების საბოლოო ინკორპორაცია სპარსულ იმპერიაში მხოლოდ ეთნიკური სურათის შეცვლის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი – მშობლიური მიწის დასაცავად მუდმივად მზადმყოფი ქართველობა ამავე მიწიდან, თავისი ფესვებიდან უნდა მოეგლიჯათ და მათ ადგილას, ქართლისა და კახეთის ველებზე უფრო საიმედო, თურქმანული მოდგმის ხალხი ჩაესახლებინათ. შაჰმა ამ გეგმის განხორციელება ქვეყნის აღმოსავლეთ და განაპირა კახეთის სამეფოდან დაიწყო. ზემოაღნიშნული შემსარავი შეღებების მიუხედავად, გაუტეხელი ქართული სულისა და სამშობლოს დამცველთა თავდადებისა და გმირობების წინაშე იმპერიის მრავალრიცხოვანი არმია უძლური აღმოჩნდა. სხვათა შორის, შაჰ აბას I-ის ამ გეგმამ მისი საგანგებოდ შექმნილი და განახლებული არმიის ნახევარი (დაახლოებით 60 ათასი მეომარი) შეიწირა. არმიისა, რომელმაც რამდენიმე მწარე მარცხი აგემა ძლევამოსილ ოსმალეთის იმპერიას. ამას თუ დავუმატებთ შაჰ აბას II-ის დროს ე.წ. ბახტრიონის აჯანყებისას კახეთის გაწმენდას ალაზნის ველზე ჩამოსახლებული თურქმანებისაგან, ცხადი გახდება, რატომ არ

ქწერა განხორციელება შაჰ აბას I-ის კარზე შემუშავებულ ანტიქართულ იმპერიულ გეგმას.

ეპიფანცევი ერთ რამეში მართალია: შაჰ აბასის ქმედება საქართველოში უანალოგო მართლაც არ არის. მასთან ყველაზე ახლოს დგას ის ისტორია, რომელსაც ავტორი მოყვანილ მრავალ მაგალითთა შორის არ ახსენებს: ესაა რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული ეთნიკური წმენდა კავკასიაში. აქედან თავისი მასშტაბებითა და დაუნდობლობით კი გამორჩეულია XIX ს-ის II ნახევარში ჩრდილო-ადიღეურ მოდგმის ხალხის მიმართ განხორციელებული სამხედრო-პოლიტიკური ოპერაციები, რის შედეგადაც კავკასიელთა ასეულობით დასახლებები იქნა გადაბუგული და მიწასთან გასწორებული, ასეულ ათასობით ადამიანი კი გაულტოლი, ხოლო გადარჩენილთა დიდი უმრავლესობა ოსმალეთის იმპერიაში გასახლებული (მრავალი ე.წ. მუჰაჯირი გადასახლებისას დაიღუპა). ამ გრანდიოზული ეთნიკური წმენდის მსხვერპლთა საერთო რაოდენობა კი ზოგიერთი მონაცემის მიხედვით მილიონს აჭარბებს. მათ ნასახლარებზე რუსული ხელისუფლება ახალ, კაზაკურ დასახლებებს („სტანიცებს“) ქმნიდა. ამ კაზაკებს უნდა უსრუნველყოთ რუსეთის ბატონობა კავკასიაში. დამოთანხმება მკითხველი – ჩვენთვის უკვე ნაცნობი სქემაა. რა მოხდა, თუ XIX საუკუნე შუა საუკუნეები აღარაა. რუსული იმპერიული მიზნების განხორციელების წინაშე დრო და ეპოქა რა მოსატანია, ისევე როგორც სისასტიკის ხარისხი და მსხვერპლთა რაოდენობა. შაჰ აბასის გამართლებით რუსი ავტორი ზოგადად იმპერიისათვის გაწეული ღონისძიებების გამართლებას ცდილობს, რასაკვირველია, რუსეთის იმპერიული ქმედებების გამართლების მიზნით. ასეა, მათნაირებისათვის: მიზანი ამართლებს საშუალებას, მით უფრო, როცა მიზანს იმპერიის ძლევამოსილება და გაფართოება წარმოადგენს.

იმის ნიშნად, შაჰ აბას I-ის ქმედებებში ქართველების მიმართ იმ დროის ნორმების კვალობაზე არაფერი განსაკუთრებულად საშინელი არ ყოფილა, ეპიფანცევი გვახსენებს, რომ „*ამ ცნებაფერს... ხელი არ შეუშლია შაჰ აბასისათვის, რათა თანამედროვეთ დამახსოვრებოდა როგორც თავისი დროის განათლებული ადამიანი, დახვეწილი დიპლომატი და მეცნიერებასა და ტექნიკაში სიახლეების შემტანის მომხრე*“. თან მის მხარეზე ქართველი წარჩინებულებიც იბრძოდნენ, როგორიც იყო დიდი მოურავი გიორგი საააკაძე, – დასძენს იქვე.

ერთი იკითხოს ავტორმა, როგორ დაამახსოვრდათ ავადსახსენებელი შაჰ აბასი საქართველოში და რა კონტექსტში იხსენებენ მის სახელს დღემდე. გამოჩენილი ქართველი მხედართმთავარი გიორგი საააკაძე კი სპარსეთის შაჰის კარზე საკუთარმა ბედუკუღმართობამ მიიყვანა, მისვლა გამო სამშობლოში რომ აღარ დაეძგოებოდა. დაე, ეპიფანცევმა იცოდეს, რომ ეს ის გიორგი საააკაძეა, რომელიც იყო რა ქართველთა წინააღმდეგ გამოგზავნილი ირანული ჯარის ერთ-ერთი სარდალი, შაჰის მიერ მძევლად დატოვებული საყვარელი უმცროსი ძე გასწირა, თანამემამულეებს დაუკავშირდა და 1625 წლის 25 მარტს მარტყოფის ველზე მტრის 30 ათასიანი ჯარის ამოწყვეტა ითავა. და ეს არ ყოფილა მისი უკანასკნელი ბრძოლა შაჰ აბასის წინააღმდეგ. ასეა ბატონო ექსპერტო, წარსული არა ცვალმხრივად, მთლიანობაში უნდა წარმოადგინოთ, რათა ჩვეული დემაგოგიის ჭაობს დაალწიოთ თავი.

ირანის ხელისუფლების მიზნებისა და გეგმების განხილვის ფონზე გამაოგნებლად გამოიყურება განცხადება, რომ „*ირანი საკმაოდ მშვიდად ეკიდებოდა ქართულ ტერიტორიებს*“, რაც თურმე იმაში გამოიხატებოდა, რომ თუმცა ქართული სახელმწიფოები (იგულისხმება ქართლისა და კახეთის სამეფოები) გააუქმა, „*ისინი თავის სრულუფლებიან პროვინციებად აქცია*“. „*ხო-*

ლო თურქეთი თავიდან მიზნადაც არ ისახავდა ქართული სამთავროების გაუქმებას, კმაყოფილდებოდა რა მათგან ვასალური დამოკიდებულების ალიარებით და ყოველწლიური ხარკით“ (გვ.3).

ქართული სახელმწიფოების მიმართ ირანის ამოცანებზე უკვე ვიმსჯელეთ, ისევე როგორც აღვნიშნეთ, თუ რატომ ვერ შეძლო ოსმალეთმა (თურქეთმა) დასავლეთ საქართველოს (იმერეთის სამეფო, სამეგრელოსა და გურიის სამთავროები) სრული დამორჩილება. რაც შეეხება ოსმალეთის მიზანს, იგი სხვა სახელმწიფოების მიწა-წყლის სრულ თუ ნაწილობრივ მითვისებაზე უარს არასდროს არ ამბობდა. მეტიც, ოსმალეთის იმპერია მთლიანად ამგვარად მიტაცებულ ტერიტორიებზე შეიქმნა. როგორც სახელმწიფო და მისი შემდგომი გაფართოებაც მისი აგრესიული პოლიტიკის შედეგი იყო. ბუნებრივია, გამორჩეული დამოკიდებულება ქართული სამეფო-სამთავროების მიმართ ვერც ექნებოდა. ავტორი რომ ტყუის, ამას თვალნათლივ ადასტურებს შემდეგი ფაქტები: XVI ს-ის მეორე ნახევარში ოსმალეთმა, როგორც კი ეს შეძლო, მთლიანად დაიპყრო სამცხის სამთავრო (სამხრეთი საქართველო). სამთავრო გააუქმა და მისი ტერიტორია, რომელიც ქართული მიწა-წყლის ერთ მესამედს შეადგენდა, ოსმალეთის საფაშოებად აქცია. ქართული მიწების ანექსირებაზე ოსმალეთს ხელი არც შემდეგში აუღია – XVIII ს-ში მან ქვემო გურიაც მიიტაცა.

მოვუსმინოთ ისევ ეპიფანცევს: *„ძალების ორ ცენტრს შორის ყოფნა ქართველ მეფეებს გარკვეულ უპირატესობასაც. აძლევდა... თავის ინტერესებისათვის ბრძოლაში ისინი შუბლებით აჯახებდნენ ერთმანეთს სპარსელებსა და თურქებს, რითაც იღებდნენ პრივილეგიებს... ამ მდგომარეობის მთავარი უპირატესობა კი იყო ის ფაქტი, რომ საქართველოს ნაწილის კავშირი ირანთან იძლეოდა გარანტიას თურქთა თავდასხმისაგან*

და პირიქით, მეორე ნაწილის კავშირი თურქებთან იძლეოდა გარანტიას სპარსელთა თავდასხმისაგან. დამყარდა პარიტეტი – რთული, მრავალმხრივი, მაგრამ ეფექტური სისტემა, რომელიც მოქმედებდა 200 წელზე მეტი და მრავალწილად დაეხმარა ქართველებს გადარჩენილიყვნენ რიგორც ერი“ (გვ.4).

ოსმალეთსა და ირანს შორის საქართველოს გაყვანის სფეროებად გაყოფის შემდეგ კავკასიაში პოლიტიკური ვითარება უცვლელი სულაც არ ყოფილა. არსებული „პოლიტიკური პარიტეტი“ არც საქართველოს მხარეებს არ აძლევდა სხვა მტრებისაგან თავდასხმის აცილების გარანტიას, რიგორც ეს ავტორს სურს მოგვაჩვენოს. ძალამომატებული ოსმალეთი არაერთხელ შეეცადა ირანის ხარჯზე საკის შედეგების გადახედვას. ამ მიზნით ოსმალებმა არაერთხელ ილაშქრეს აღმოსავლეთ საქართველოშიც და მისი თავის დაქვემდებარებაში მოქცევა მცირე ხნით რამდენჯერმე მოახერხა კიდეც.

ირან-ოსმალეთის დაპირისპირებაში ქართველ მეფეთა „დადგინაშულებაც“ უკვე ნამეტანია. ახლო აღმოსავლეთში ბატონობისათვის ეს ორი სახელმწიფო ქართველთა ჩარევის გარეშეც გამალებით ებრძოდა ერთმანეთს. სხვა საკითხია, რომ ამ დაპირისპირების თავის სასარგებლოდ გამოყენებას ყოველთვის ცდილობდნენ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები თავიანთი სახელმწიფოს სუვერენიტეტისათვის ბრძოლისას. ასეთი პოლიტიკური მეთოდი კი სრულიად კანონზომიერი და ბუნებრივი მოვლენაა და საერთაშორისო პოლიტიკურ სარბიელზე მრავალი ანალოგი ეძებნება. ექსტრემალურ ვითარებაში, მუდმივად თვითგადარჩენისათვის ბრძოლისას, სწორედ რომ სუვერენიტეტი იყო ქართველთა ის უმთავრესი მიზანი, რასაც რუსი ავტორი „პრივილეგიას“ უწოდებს.

მიუხედავად ამისა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შექმნილი რთული გეოპოლიტიკური ვითარება ქართველთათვის ხელსაყრელი ყოფილიყოს. პირიქით, ქართუ-

ლი სამეფო-სამთავროების ორ აზიურ-დესპოტურ იმპერიას შორის გავლენის სფეროებად განაწილება იმ გადაულახავ დაბრკოლებად იქცა, საქართველოს გაერთიანებას რომ ეღობებოდა წინ ორი საუკუნის მანძილზე. ცინიზმია, როცა ასეთ უმძიმეს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, ვინმე „ექსპერტი“ ქართველი ერის გადარჩენის გარანტად რომ წარმოაჩენს. ეს იმ სიცრუეს გვაგონებს, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას „ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისაგან ხსნად“ რომ გვისახავდნენ.

მაშასადამე, ირანისა და ოსმალეთის მორჩილებაში ქართველები თურმე ისე კარგად გრძნობდნენ თავს, უკეთესს ვერც ინატრებდნენ. მიუხედავად ამისა, ასეთ პირობებში, *„თურქ და სპარს ხელისუფალთა ნაფერებმა ქართველმა მთავრებმა გადაწყვიტეს შეეცვალათ ქვეყნის გეოპოლიტიკური ორიენტაცია და გაეტეხათ მოქმედი მექანიზმი, რომელიც იცავდა მათ* (ქართველებს – დ.მ.) *რამდენიმე საუკუნის მანძილზე“.* აქ ბუნებრივია, იგულისხმება ქართველ მეფეთა პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება რუსეთთან. თუ რამ გამოიწვია ორიენტაციის ასეთი ცვლილება, ამაზე ავტორს პასუხიც მ'სად აქვს: XVII ს-ის შუახანებიდან ირანი და ოსმალეთი დასუსტდნენ და *„ძველებურად მკირე აზიის ლომები ყეღარ არიან“. „ასეთ სახელმწიფოებს კი ალარ შეეძლოთ ეოფილიყვნენ საიმედო დაცვა ქართული საიმედოებისათვის“* და ეს მაშინ, როცა *„ქართველები მზად იყვნენ ეცხოვრათ უცხოტომელთა ჩაგვრის ქვეშ, გამოეხატათ მათ მიმართ ლოიალობა, ეხადათ ხარკი, მიეღოთ პრივილეგიები და ეხლართათ ინტრიგები სხვის კარზე... მაგრამ პატრონი უნდა იყოს ძლიერი – ეს კანონია. თუნდაც ჰქონდეს ცუდი ჩვეულებები, მაგრამ უნდა იყოს იმდენად ძლიერი, რომ უზრუნველყოს საქართველოს გლობალური უსაფრთხოება“.*

მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ თურმე შესაძლებელი ყოფილა გამუდმებით თავისუფლებისათვის დაუღალავად მებრძოლ ერს ძლიერ უცხოტომელ პატრონზე მეღვინეობაც კი დაბრალდეს. ალბათ უმალ უფრო ადვილი იქნებოდა ველურ ბუნებაში თავისუფლად მოხავარდე ირმების გულში მგლის ხახაში მოხვედრის ნატერის აღმოჩენა. მაგრამ ვინაიდან აღნიშნული დებულება ავტორისეული თეორიის ქვაკუთხედია, სჯობს მის ზემომოყვანილ არგუმენტაციას დავუბრუნდეთ. აქაც ჩვენს წინაშეა რამდენიმე დემაგოგიური წიაღსვლა:

1. საინტერესოა, ნეტა ვისგან ან რისგან უნდა უზრუნველყო საქართველოს უსაფრთხოება სპარსეთს ან ოსმალეთს, როცა მთელი ამ ხნის განმავლობაში სწორედ ეს იმპერიები წამოადგენდნენ მთავარ საგარეო საფრთხეს ქართული სამეფო-სამთავროებისათვის? ნუთუ ერთმანეთისაგან? ანუ თითქოს დასავლეთ საქართველოს ოსმალები იცავდნენ ირანელებისაგან და აღმოსავლეთ საქართველოს პირიქით, ირანელები – ოსმალებისაგან. ამ „ეფექტური დაცვის მექანიზმის“ აბსურდულობის შესახებ უკვე აღვნიშნეთ და მასზე საუბრის გაგრძელება ღია კარის მტვრევას დაემგავსება.

2. ავტორის მიერ ირან-ოსმალეთის დასუსტების დასამტკიცებლად მოყვანილი მაგალითები XVIII ს-ის ვითარებას უფრო შეესაბამება. XVII საუკუნეს მათი პოლიტიკური ძლიერების დაქვეითების ხანა სულაც არ ეთქმის. მთელი ახლო აღმოსავლეთი ძველებურად ამ „ორ ლომს“ შორის მძლავრი ტორებით განაწილებულ კერძებს წარმოადგენს. მეტიც, XVII ს-ის I ნახევარი ირანის ძლიერების მწვერვალიც კია. ეს ის საუკუნეა, როდესაც სეფიანთა ირანი განსაკუთებით ღრმად ასობს თავის ბრჭყალებს ქართლისა და კახეთის სამეფოებს. აღმოსავლეთი საქართველო ფაქტობრივად ირანის იმპერიის ნაწილად იქცევა ავტონომიური მმართველობის უფლებით. ქართლისა და კახეთის მმართველებსაც

თავად შაჰი ამტკიცებს როგორც საკუთარ მოხელეს ქართულ სამეფო დინასტიის წარმომადგენელთაგან და ისიც ილამის მიღების უცილობელი პირობით. დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით ძლიერდება ოსმალური ზეწოლა. შავი ზღვის ქართულ ქალაქებსა და ციხეებს ოსმალები ეუფლებიან. მალე იმერეთის სამეფოს მთავარ ციხეებსაც ოსმალური გარნიზონები დაიკავებენ. დედაქალაქი ქუთაისიც ოსმალო იანიჩართა ხელთ აღმოჩნდება. აღმოსავლეთ საქართველოში ლეკთა თარეში ძლიერდება, დასავლეთში ქართულ გენოფონდს ე.წ. ტყვის სყიდვა აჩანაგებს, რაც ქართველი ახალგაზრდების ოსმალეთში გასაყიდად მასობრივად გაყვანაში გამოიხატებოდა. რომ შევაჯამოთ, საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ (რუსეთის სამხრეთ კავკასიაში შემოსვლამდე) XVII საუკუნე იყო ყველაზე კრიზისული ხანა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის და ქართველი ერისათვის ზოგადად. მხოლოდ საუკუნის მიწურულს შეინიშნება ირანის ძლიერების დაღმასვლა. თუმცა კავკასიის გეოპოლიტიკურ ვითარებაში ეს მოვლენა XVIII ს-ის 20-იან წლებამდე არ ასახულა. გასაგებია, რატომ დასჭირდა ეპიფანცევს ირან-ოსმალეთის „დროზე ადრე დასუსტება“: ახსნა ხომ უნდა, რატომ ცდილობენ ანტიირანული და ანტიოსმალური პოლიტიკური კავშირების დამყარებას „მზაგვრელ ძლიერ პატრონს“ მოწადინებული ქართველი ხელისუფალნი.

3. ძლიერი პოლიტიკური მოკავშირის ძიება მეზობელი სახელმწიფოსაგან კარს მომდგარი საფრთხის თავიდან აცილების ან მისი წარმატებით მოგერიების მეტი გარანტიისათვის საკმაებით ლოგიკური და გასაგები მოვლენაა მთელი კაცობრიობის ისტორიაში. ქართველ პოლიტიკოსთა ასეთ ქმედებებში, ბუნებრივია, არაჩვეულებრივი ან მათთვის განსაკუთრებულად დამახასიათებელი არც არაფერია. საქმე ის გახლავთ, რომ

ირანისა და ოსმალეთის საწინააღმდეგო პოლიტიკურ კავშირებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად (დამოუკიდებლობის/სუვერენიტეტის შენარჩუნება ან აღდგენა, საგარეო საფრთხის თავიდან აცილება ან თავდასხმის მოგერიების უზრუნველყოფა) ქართველი სელისუფალნი ეძებდნენ და ამყარებდნენ როგორც ამ მესიობელი აგრესიული იმპერიების დასუსტებისა და დაცემის ხანაში (XVIII ს. – ვახტანგ VI, თეიმურაზ II, სოლომონ I, ერეკლე II), ასევე მათი ბატონობის კულმინაციურ ეპოქაშიც – XVII ს-ში. ამის ყველაზე კარგი მაგალითია კახეთის მეფე თეიმურაზ I. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: კახეთის მეფე ალექსანდრე I გაძლიერებულ რუსეთის სამეფოსთან ანტიირანულ ურთიერთობას ამყარებს კიდევ უფრო ადრე – XVI საუკუნის ბოლოდან, როცა ოსმალეთის გზაზე მდგარი ირანის დასუსტებაზე ლაპარაკი უადგილო იქნებოდა. ქართველი მეფე-მთავრები სიამოვნებით თანხმდებიან შემოთავაზებას ევროპიდან ანტიოსმალურ ლიგაში შესვლის თაობაზე და მზადყოფნას გამოთქვამენ ქმედითად ჩაებან მის საწინააღმდეგო სამხედრო კამპანიაში ჯერ კიდევ XV ს-ში, როცა ოსმალებმა ის-ის იყო აიღეს კონსტანტინოპოლი და მათი ძლიერება ღღითიდღე თვალშისაცემი ხდებოდა. უდავოა, ისტორიული ფაქტები ეპიფანიცევის თეორიის აბსურდულობაზე ცხადზე ცხადად მეტყველებენ – ქართველებს არა „ძლიერი პატრონის“ ყოლის ნდომა, არამედ სწორედ ასეთი „პატრონისაგან“ თავდაღწევის, ან ასეთი „პატრონობის“ თავიდან აცილების სურვილი ამოძრავებდათ მუდამ.

ასე ნელ-ნელა გადადის ეპიფანიცევი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის თემაზე: *„არავინ დიდი და ძლიერი არ გამოთქვამდა სურვილს მოსულიყო რეგიონში, გამოეხსნა ქართველები სპარსელებისა და თურქებისაგან, მიეცა მათთვის მფარველობა, „ცოტა, ბევრი“, ტკბილი თანამდებობები თავის კარზე.“* „ბევრი მიზეზის გამო

მხოლოდ რუსეთი შეიძლებოდა გამხდარიყო ასეთი პატრონი. საქართველოც აგზავნიდა ელჩობას ელჩობაზე, მოუწოდებდა თანაგრძნობისაკენ, ახსენებდა მართლმადიდებლურ ერთობას და სთხოვდა დახმარებას. რუსეთი დიდ ხანს არ თანხმდებოდა – ის არ გრძნობდა თავს საკმარისად ძლიერად, რომ სერიოზულად მოსულიყო კავკასიაში... ვითარება იცვლება მე-18 ს-ის ბოლოს, როცა რუსეთი შეეცდა გავლენიან ევროპულ სახელმწიფოთა რიცხვში, საკმაოდ მყარად იდგა კავკასიისპირეთში და მოიგო რამდენიმე ბრძოლა თურქებთან.“ აი, აქ გაისმის მთავარი კითხვა: *„რაში სჭირდებოდა რუსეთს საქართველო?“* თქვენ წარმოიდგინეთ და თურმე *„არც არაფრად. დაიყოლიეს (Уговорили)“*. დამყოლიებელი კი გახლავთ „პატარა კახად“ წოდებული ერეკლე II, *„მეფე ირანის კუთვნილი ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოსი“*. ეს დაყოლიება კი, რა თქმა უნდა, გამოიხატა 1783 წელს დადებულ გეორგიევსკის ტრაქტატში.

აი, ასე ბატონებო, გამოდის, ირან-ოსმალეთი დასუსტდნენ და ძლიერი მჩაგვრელის მოსურნე ამით უკმაყოფილო ქართველებმა კი, ბევრი ეძებეს თუ ცოტა, ალმოაჩინეს, რომ რუსეთს იქით გზა აღარ დარჩენოდათ. თუმცა რუსეთს საქართველო და კავკასია თურმე საერთოდ არ აინტერესებდა. მაგრამ ქართველებმა ისე მოაბეჭდეს თავი რუსეთს თავისი მრავალრიცხოვანი ხვეწნა-მუდარებით, რომ ბოლოსდაბოლოს ერთმა გაქნილმა ქართველმა მეფემ, ერეკლე II-მ, მოახერხა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II, მისი იმპერიის ინტერესების სასიარიოდ, მათან ხელშეკრულების დადებაზე დაიყოლია. ამ ქვესაფერს დავიჯერებდით კიდეც, მასში სიყალბენარევი „უსუსტობების“ მთელი წყება რომ არ ერიოს:

I. სჭირდებოდა თუ არა რუსეთს საქართველო? ამ კითხვაზე უარეყოფით პასუხს არათუ „ექსპერტი“, ელემენტარული ისტორიის მცოდნე სალი აზრის მქონე არც ერთი პიროვნება არ გასცემს. რასაკვირველია, სჭირდებოდა.

სჭირდებოდა და მერე როგორ. სანამ რუსეთი ჯერ მზად არ იყო სამხრეთ კავკასიის ხელში ჩასაგდებად, საქართველოში საკუთარი გავლენის გაძლიერებით პირველ ნაბიჯებს დგამდა მთელ რეგიონში პოლიტიკური გავლენის დასამყარებლად. როდესაც რუსეთმა საკმარისი ძალები შეიგრძნო, საქართველოს, როგორც რეგიონში გეოპოლიტიკურად ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნის ხელში ჩაგდებით, ფაქტობრივად მთელი კავკასიის ბედი გადაწყვეტა „რუსულად“ მომდევნო ორი საუკუნის მანძილზე.

2. რატომ ვერ შეძლეს ქართველებმა რუსეთის „დაკოლიება“ დიდი ხნის მანძილზე ერეკლე II-მდე? ამ კითხვას ეპიფანცევი მისდა უნებურად იქცე სცემს სწორ პასუხს, რითაც თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოსტულატს (რუსეთს საქართველო არაფრად სჭირდებოდა, იგი უბრალოდ დაიკოლიესო) და საკუთარ თავს მკვეთრად უპირისპირდება: რუსეთს „კავკასიაში სერიოზულად მოსასვლელად“ ჯერ საამისო ძალები არ გააჩნდა. XVIII ს-ის ბოლოსკენ კი, როდესაც საკმარისი ძალები მოიკრიბა, გეორგიევსკის ტრაქტატიც გაფორმდა (ამ ტრაქტატის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ).

3. ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, რომ ქართველები ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ მოკავშირეებს გასაგები მიზეზების გამო მათ ნამდვილ დასუსტებამდეც ბევრად ადრე (ფაქტობრივად ამ იმპერიების აღმოცენებისთანავე) ეძებდნენ. მაგრამ რომც დავუშვათ, რომ „ძლიერი პატრონისა და მის კარზე ტკბილი თანამდებობების“ მაძებარ ქართველებს დასუსტებული ირან-ოსმალეთი ადარ აკმაყოფილებთ, რატომ თხოვენ დახმარებას რუსეთს გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან ლამის ორი ასწლეულით ადრე? მაშინ ხომ რუსეთს ძალა არ ჰყოფნიდა „კავკასიაში მოსასვლელად?“ ანუ იმ ხანებში მხარის „ძლიერ პატრონებს“ სწორედ ეს სახელმწიფოები წარმოადგენდნენ, რუსეთი კი რეგიონში ჯერ კიდევ სუსტი იყო და შესაფერის დროს ელოდა, პასუხი ერთია:

ქართველები პატრონისათვის კი არა, თავისუფლებისათვის იბრძოდნენ და ამ ბრძოლაში XVII-XVIII სს-ში რუსეთი მოკავშირედ წარმოეჩინათ. სხვა საკითხია რამდენად გაამართლა რუსეთმა მათი იმედები.

ეპიფანიუსი კიდევ ერთხელ ატყუებს მკითხველს, როცა გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოს 1783 წლისათვის ირანის კუთვნილებად აცხადებს. მას ავიწყდება ორიოდე აბზაცის წინ საკუთარი ნათქვამი: 1747 წელს ნადირ-შაჰის სიკვდილის მერე ირანი საერთოდ დაიშალა რამდენიმე სახელმწიფოდო. მართალია, ირანის ძირითადი ნაწილი ქერიმ-ხანის ხელქვეით მალევე გაერთიანდა, მაგრამ ამ იმპერიის ძლიერების მზე უკვე ჩასვენებულიყო და მის ყოფილ სამფლობელოებზე სამხრეთ კავკასიაში ხელი მართლაც ალარ მიუწვდებოდა. შესაბამისად, გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო არათუ ირანის ნაწილს არ წარმოადგენდა, მისი ყოველგვარი პოლიტიკური დამოკიდებულებისაგან კარგა ხანია სრულად განთავისუფლებულიყო. იქნებ საქართველოსნაირი გაბარიტების დამოუკიდებელ სახელმწიფოს ეპიფანიუსის ცნობიერებაში ადგილი ვერ „ეძებნება“ და მას აუცილებლად რომელიმე სესახელმწიფოს (დერჟავას) კუთვნილებად მოიაზრებს, მიუხედავად მისი სუვერენიტეტის ხარისხისა. ამ მენტალიტეტის გამოვლინებაა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო კრემლში ბევრს რომ ღამის კოშმარად ეჩვენება დღესაც.

დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი და XI საუკუნის ორი ანდერძი ბიზანტიური სამონასტრო ცხოვრებიდან

ბერების ყოფის შესასწავლად საუკეთესო წყაროს სამონასტრო წეს-განგების – ტიპიკონების გარდა, ანდერძები წარმოადგენს. ქართულ და ბიზანტიურ სამონასტრო ცხოვრებას, რასაკვირველია, ბევრი რამ აქვთ საერთო. შედარებითი ანალიზისათვის ამჯერად ანდერძებზე შევჩერდებით.

განსახილველი წყაროები ერთ პერიოდს არ განეკუთვნება. დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი XII საუკუნის დასაწყისშია დაწერილი. ორივე ბიზანტიური ანდერძი კი XI საუკუნისაა. იოანე ქსენონის ანდერძი მირიოკეფალიის ღვთისმშობლის მონასტრისადმი 1031 წლის 30 სექტემბრით არის დათარიღებული. ნიკოდიმოსის ანდერძი ქრისტეს სახელზე აგებული მონასტრისადმი, „ახალი ხიდი“, 1027 წლის 1 მაისისაა დაწერილი.

დავით აღმაშენებლის 1123/24 წლის ანდერძის ქართული ტექსტი რუსულ თარგმანთან ერთად პირველად თედო ჟორდანიამ გამოაქვეყნა 1896 წელს. დღემდე ეს ანდერძი ექვსჯერ არის გამოცემული.

XI საუკუნის ორი ბიზანტიური ანდერძი შესულია 2000 წელს ვაშინგტონში გამოქვეყნებულ ნაშრომში: „Byzantine Monastic Foundation Documents: A Complate translation of the Surviving Founder's Typika and Testaments, edited by Jonn Thomas and Angela Constantinides Hero. Published by Dumbarton Oaks Research Library and Collection. Washington, D. C. 2000. (1. John Xenosi Testament of John

Xenos for the Monastery of the Mother of God Antiphoneteria of Myriakephala of Crete (trans. Gianfranco Fiaccadori) 2. Nea Gephyra: Testament of Nikodemos for the Monastery of Nea Gephyra near Lakcdaimon (trans. Stcbhen Reinert)".

სამიექ ანდერძი ღვთისა და ავტორთა ნების გამჟღავნებით იწყება: „ნებითა ღვთისათა შედაის შეწყის ჟამსა ჩემსა შარვანსა ზედა განმართვისასა შეკვეცდრე შეწევნად ჩემდა შესავედრებელსა ჩემსა წმიდასა მამას შიოს. ვიხილე ეკლესიაჲ ჩემს მიერ აღშენებული დასრულებულად; და მივიღე ლოცვა ყოველთა მამათაჲ, და სასომან და განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა" – ბრძანებს დავით აღმაშენებელი [1, 15].

„უფლის ჩვენისა, იესო ქრისტეს სახელით, გიცხადებთ ჩემს ნებას, რომ ყველა ეკლესია-მონასტერი, რომელიც ღმრთის წყალობით ავაგე და დავაფუძნე, თაისი უძრავ-მოძრავი ქონებით, მათთვის მიბუქებია და მსურს, უკლებლივ ყველა მათგანი მირიოკეფალიის ღვთისმშობლის სამსახურში იყოს..." – წერს იოანე ქსენონი [2, 126].

„ყოველისშემძლე ღმრთის წყალობითა და უსაზღვრო თანაგრძნობით და მისი ნება-სურვილით, ღვთით დაცული ნაგებობა – ყოვლადწმიდა ახალი ხიდი მდინარეზე... ჩემს მიერ ბერი ნიკოდიმოსის მიერ იქნა აგებული... ღვთის კარნახით, გადავწყვიტე აღვმართო უფალი იესო ქრისტესადმი მიძღვნილი წმიდა და მშვენიერი ეკლესია", ეკითხულობთ ნიკოდიმოსის ანდერძში [2, 126].

ანდერძები ტრადიციული წყვეტილით მთავრდება იმათ მიმართ, ვინც მათ ნება-სურვილს არ შეასრულებს „...უკუეთუ ჟამი მომცეს ღმერთმან და სხუაჲ უახლესი ანდერძი დავწერო, იგი თქუმნ თქუმნ-მიერითა კანონითა უჯუარობით, წყევითა და შეჩუმნებითა დაამტკიცეთ, წმიდაო მეუფეო ქართლის კათალიკოზო და

ყოველნი მღდელთ-მოძღუარნო, და თუ სიტყვსა დაწერად ჟამი აღარ მომხუდეს, თჳთ ესე დაამტკიცეთ, და რადთაცა რას ვინ მღვმესა დააკლებდეს, კანონითამცა თქუენ-მიერითა კრულ არს გაუჴსნელად“ – ბრძანებს დავით აღმაშენებელი [1, 21].

„თუ ვინმე კაცი დედამიწის სურგჳს, იმპერატორი, პატრიარქი, თუ მიტროპოლიტი, მბრძანებელი თუ მისი ქვეშეცრდომი, დიდი თუ პატარა, გაბედავს, რომ არ აღიაროს ჩემს მიერ დაფუძნებული მონასტრებისათჳს ბოძებული კერძო ქონება – იგი შეჩვენებულ იქნება ქრისტეს მიერ და ვერ გაიზიარებს ვერც წმინდა საიდუმლოებებს და ვერც მიწად იქცევა სიკვდილის შემდეგ. ის მოღალატე იუდას ხვედრს გაიზიარებს და ნიკეის სინოდის წევრი სამას თვრამეტი ღვთით‘შთაგონებული მამისაგან ანათემას და სამარადისო სასჯელს დაიმსახურებს“ – წერს იოანე ქსენონი [2, 126]. ხოლო ნიკოდიმოსი ანდერძის დამრღვევთ ასე მიმართავს: „დაე, იგი, ვინც არ შეიგონებს, არამცდ დაარღვევს ჩემს ნება-სურვილს, შეჩვენებულ იქნას წმიდა მოციქულებისა და სამას თვრამეტი მამის მიერ და იუდას წყევლით. დაე, იყოს მემკვიდრე მარადიული სასჯელის მათთან ერთად ვინც თქვა: „შორს, შორს ჯვარს აკვეი ღმრთის შვილი“ (იოანე 19, 15). დაე, ვერ პპოვოს ადგილი ქრისტიანეთა შორის, და მოკვეთილ იყოს ქრისტეს ძღვენს“ [2, 126].

წყაროების თანახმად, სამიქე ავტორი ცდილობს მონასტერს დამოუკიდებლობა და ქონების ხელშეუხებლობა შეუნარჩუნოს, დაიცვას საერო თუ საეკლესიო ხელისუფალთაგან. „...იგი სიგელნი ანუ მეფეთა შეწირულთა ანუ მთავართა ვიეთმე და თჳთ ძუძლი და ძუძლის-ძუძლი ნასყიდი მონასტრისაგან, ყოველი უბეგროდ, უბაჟოდ და უწყინლად კულა მომიჴსენებია წმიდისა მამისა შიოსათჳს“ – ბრძანებს მეფე დავით

[1, 17]. „...მღვმესა თანა არცა-ვის აწ უც საქმე თჳნიერ ლოცვისა და შეწირვისა. აწ სჳმეონ ბედიელ-ალავერდელისა იყოს შეკედრებულ რაც საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყოფოდის, რომლისა ჩვენ ვერ მივიწინეთ, და შემდგომად მისსა თუ მისსა ადგილს ამითვე წესისა სხუად მწეთ-უხუცესი იყოს იგი იურჳოდის – და თჳთ ძუძლთა და აწინდელთა ქართლის კათალიკოზის საქმე არს მღვმესა ზედა, არც ვის სხჳსა ეპისკოპოზისა მეფეთა, არცა მუხრანის არცა მღვმსა შემდგომად ვის აქუს ჴელმწიფებად, არცა მათთა აგარაკთა და საქონელთა თან ვის საქმე უც...“, ვკითხულობთ სხვაგან [1, 20].

როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს, მონასტრის მეურვეობა, მხოლოდ მწიგნობართუხუცესს და ქართლის კათალიკოზს ანუ სასულიერო პირებს ჰქონდათ. განსხვავებული ვითარებაა ბიზანტიაში. იოანე ქსენოსის ანდერძში ამ საკითხზე არაფერია ნათქვამი. ანდერძის ბერძნულიდან ინგლისურად მთარგმნელი მეცნიერის ჯანფრანკო ფიკადორის აზრით, იოანემ პატრიარქ ალექსი სტუდიტისაგან (1025-1034) საპატრიარქო სიგელი მიიღო, რომელიც მის მონასტერს საერო თუ საეკლესიო მოხელეების ჩარევისაგან იცავდა. მეცნიერი ამ დასკვნამდე ჩვენთვის უცნობ წყაროებზე დაყრდნობით მივიდა [2, 124]. ნიკოდომოსი მონასტრის დაცვას საერო ხელისუფალთ – იმპერატორს და სხვებს სთხოვს: „ვგრძნობდი რა სიკვდილის უდრო მოახლოებას, გადავწყვიტე ამ ღვთის ეკლესიის განმტკიცება ჩემი სიცოცხლის განმავლობაში – რომ მას ექნება დამოუკიდებლობა იმპერატორის მფარველობის ქვეშ, რომ მას ინსპექტირებას გაუწევს მოსამართლე და სტრატეგოსი და რომ ამ ქალაქის ეპისკოპოსსა და მის სასულიერო პირებს არა მარტო აკრძალული ექ-

ნებათ ყოველგვარი გაკვლენის განხორციელება ამ გაკლესიაში, არამედ ფუძის შედგმაც კი“ [2, 127].

ანდერძების მიხედვით განსხვავებულია არჩევნების წესიც. ქართულ მონასტერში წინამძღვრის არჩევა კენჭისყრით უნდა მომხდარიყო. „თქვიერ ერთი მითვალოს, ვითა თქუ წესი არს მის წმიდისა შიოჲს საფლაესა ზედა წილგდებაჲ, ამით სხუაჲ განაჩინონ და ჩუენსა დარბაზსა მოიყვანონ და ჩუენ არგანი მოვაჴსენოთ და შევაყენროთ მონასტერი“ [1, 20]. ჩანს სამეფო დარბაზს უკვე არჩეული კანდიდატი წინამძღვრად უნდა მიეყო.

რაც შეეხება ბიზანტიურ ანდერძებს იოანე ქსენონი ამ საკითხზე დუმს. ხოლო ნიკოდიმოსის ანდერძის თანახმად ახალი წინამძღვარი მოსამართლეს ან სტრატეგოსს უნდა დაენიშნა. „ჩემი სიკვდილის შემდეგ, დაე ზემოთხსენებულმა ოფიციალურმა პირებმა (მოსამართლე ან სტრატეგოსი ხ. თ.) უხელმძღვანელონ და მართონ მონასტერი. დაე, ორივე მათგანმა, ან ერთ-ერთმა (რომელსაც აქ ქოფნა მოუხდება), მონასტრის ბერებს შორის შეარჩიოს საუკეთესო და ღირსეული და დანიშნონ იგი წინამძღვრად“ [2, 127-128]. ნიკოდიმოსს მხოლოდ ის სურს, რომ ახალი წინამძღვარი სხვა მონასტრიდან არ მოიყვანონ: „დაე არ დანიშნონ წინამძღვრად ვინმე სხვა მონასტრიდან“ [2, 128].

საერთო პირების მიერ წინამძღვრის დანიშვნა, რასაკვირველია, ცილდება სამონასტრო ცხოვრების თავდაპირველ იდეალებს.

თანამედროვე ბიზანტინისტიკაში გავრცელებული აზრის თანახმად, რაც უფრო გვიანდელია მონასტერი, მით მეტია გარემომცველი სამყაროს გავლენა, ანუ რაც უფრო გვიანდელია მონასტერი, დამოუკიდებლობისა და კარჩაკეტილობის შენარჩუნება ძნელი ხდება.

ზემოთ მოყვანილი ანდერძები ამ მოსაზრების კორექტირების საშუალებას იძლევა. ბიზანტიური ანდერ-

ძების შემდეგ, ერთი საუკუნით გვიან დაწერილი, ქართველი მეფის, ანდერძი მეტ დამოუკიდებლობას ანიჭებს მონასტერს. ეს, ალბათ, ქართული სამეფო კარისა და ეკლესიის ერთმანეთის მიმართ განსხვავებული, მოკრძალებული დამოკიდებულებით უნდა აიხსნას.

წყაროები და ლიტერატურა

1. თ. ჟორდანია, „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა“, თბ., 1896.
2. რელიგიის ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 2010.

Khatuna Todadze

The Will of David the Builder to Shiomgvime Monasteri and Two Wills from Monastic Life of Buzantine

There were a lot in common in monastic lives of Georgia and Byzantine. For the comparative analyses, in this case, we focus on testaments, mainly the testament of the king David the Builder to the monastery of Shio Mghvime (the 12th century) and two byzantine testaments (the 11th century).

On the basis of the mentioned material we come to an interesting conclusion that the testament left by the Georgian king gives to the monastery much more independence than it was given to Byzantine monasteries that was determined by more honorable attitude of Georgian state towards its Church.

გია კვაშილავა

www.AiaColchis.ge
www.Kvashilava-Gia.com
GiaKvashilava@yahoo.com

ვუძღვნი დოქტ. ჰერბერტ ძებიშისა და პროფ. აკაკი ურუშაძის ნათელ ხსოვნას

A ხაზოვანისა და მისი მონათესავე დამწერლობებით შესრულებული წარწერების ამოკითხვა პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე

წინამდებარე ნაშრომი ეხება ჩემ მიერ A ხაზოვანისა და მისი მონათესავე დამწერლობებით შესრულებული წარწერების პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე ამოკითხვას. ამასთან დაკავშირებით განხილულია შემდეგი საკითხები:

1. სამხრეთ ევროპისა და მცირე აზიის უძველესი მოსახლეობისა და ენების შესახებ;
2. მოკლე ცნობები მაკრიელებისა და დოლიონების განსახლების შესახებ;
3. A ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური წარწერების აღმოჩენისა და შესწავლის მოკლე ისტორია;
4. A ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური დამწერლობების ნიშნების მსგავსება ფესტოსის დისკოსა და სხვა მონათესავე დამწერლობების ნიშნებთან;
5. A ხაზოვანი დამწერლობის *326, *120 და *120b ნიშნების გრაფიკული დახასიათება, მნიშვნელობა, ტიპოლოგიური პარალელები და კომენტარი;
6. *ბალახის, თივის, საკვების, ხორბლის, ქერის, პურის, კვერბისა და ჭმევის, ძოვების, მცენარისა* და *მარცვლეულის ჭამის* აღმნიშვნელი საერთო სახელის აღდგენა საერთო-ქართველური ხანისათვის;
7. *ბალახის, თივის, საკვების, თესლის, მარცვლის, მარცვლეულის, ხორბლის, ქერის, ფეტვის, პურისა* და *ფქვილის* აღმნიშვნელი სახელების აღდგენილი ფორმები და ცალკეული ლექსიკური ერთეულები;
8. *ქერისა* და *ხორბლის* კულტივირების კერები და ხანა;

9. A ხაზოვანი დამწერლობის სილაბოგრამები და იდეოგრამები;
10. *ბალახის, თივის, საკვების, თესლის, მარცვლის, მარცვლეულის, ხორბლის, ქერის, პურის, ძოვების, კვებისა და ჭმევის* ალმნიშვნელი საერთო სახელის იდეოგრამა, კომბინაციები და ლიგატურები A ხაზოვან წარწერებში;
11. მთელი და წილადი რიცხვები A ხაზოვან წარწერებში;
12. A ხაზოვანი წარწერების ამოკითხვის მაგალითები;
13. დაბლაგომის დოქის წარწერის ამოკითხვა

- დასკვნა

1. სამხრეთ ევროპისა და მცირე აზიის უძველესი მოსახლეობისა და ენების შესახებ

ამ პუნქტში უპირველესად დავიმოწმებ რამდენიმე ბერძნულ წყაროს.

ჰომეროსის („ოდისეა" XIX.175-177; Dindorf 1855, II, 675; Monro 1901, 156-157) ცნობით, **სხვადასხვა ენა იყო გავრცელებული ბრინჯაოს ხანის კ. კრეტაზე, სადაც სახლობდნენ: აქაველები, ეტეოკრეტელები, კიდონიელები, დორიელები და პელასგები.** ასევე, დიოდოროს სიცილიელიც (V.80.2; Dindorf 1866, I, 95) მოიხსენიებს კ. კრეტის მოსახლედ ყველა ამ ტომს, აქაველების გარდა.

ჰეკატეოს მილეტელი ამბობს, რომ **„ელინებზე უწინ პელოპონესის ნახევარკუნძულზე მოსახლეობდნენ „ბარბაროსები"** (Strabo VII.7.1; Kramer 1847, II, 57; Hamilton 1854, I, 492).

ჰეროდოტე (I.57) დაბეჯითებით ვერ ამბობს რა ენაზე მეტყველებდნენ პელასგები. ტირსენიის ზემოთ, ქალაქ კრესტონში (ამჟამად კორტონა? ტოსკანა, იტალიის რეგიონი), ჰელესპონტსა და სხვა ადგილებში პელასგების განსახლების მიხედვით, იგი გამოთქვამს აზრს, რომ **„პელასგები ლაპარაკობდნენ ბარბაროსულ ენაზე. თუ მთელი პელასგური ტომი ასეთი იყო, პელასგური მოდგმის ანტიკურმა ტომმა, ელინური რომ გახდა, თავისი ძველი ენაც დაივიწყა"** (ყაუხჩიშვილი 1975, 54; აგრეთვე იხ. Godley 1920, 64-65).

ჰელანიკე მიტილენელის „ფორონიდის" (ფრაგმენტი I; Müllerus 1841, 45) მიხედვით, **პელასგთა ერთი ნაწილი, რომელიც ელინებმა განდევნეს, დასახლდა ტირსენიაში, იტალიაში.**

უძველეს ხანაში **პელასგები ასევე სახლობდნენ მცირე აზიის**

მრავალ ადგილას, მაგ., დასახლება „ლარისაში" (ჰომეროსი, „ილიადა" II.840-841), მთელ ელადაში, განსაკუთრებით კი – თესალიის ეოლიაში (Strabo V.2.4; Kramer 1844, I, 348; Hamilton 1854, I, 328), კ. სკიროსზე (Stephani Byzantii Ethnica; Meinekius 1849, 120, *1-2*; 579, *16*; 580, *1*), კ. ლემნოსზე, ათენში (Thucydides IV.109.4; Sykes 1890, 69) და სხვაგან. ამგვარი ცნობები დაცულია სხვა წყაროებშიც, რომლის გაცნობა შესაძლებელია სპეციალურ ლიტერატურაში (იხ. ურუშაძე 1964).

ამასთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინაბერძნული და ბერძნული მოსახლეობისა და ენების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, რომელთაც ქვემოთ წარმოვადგენ.

ა. ევანსი (Evans 1895, 85) დარწმუნებით აცხადებს, რომ კრეტის მკვიდრი მოსახლეობა მეტყველებდა „ბარბაროსულ" ანუ არაელინურ ენაზე.

პ. კრეჩმერის (Kretschmer 1896; 1953) აზრით, მრავალი სიტყვა ბერძნულ ენაში ნასესხებია არაინდოევროპული მოდგმის წინაბერძნული მოსახლეობის (მაგ., ლელეგების, პელასგებისა და სხვების) ენებიდან, რომლებიც მას კავკასიური ტომების მონათესავე ენებად მიაჩნდა. ნასესხები სიტყვები, პირველ რიგში, წარმოადგენს ბალკანეთის ნახევარკუნძულის, კ. კრეტისა და მცირე აზიის ტოპონიმებს. პ. კრეჩმერი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მცირე აზიის უძველესი მოსახლეობა – ფრიგიელების გარდა – არაინდოევროპული და არასემიტური წარმოშობის იყო; ეს იყო თვითმყოფადი ხალხი.[1]

ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მცირე აზიისა და ეგეოსის ზღვის აუზის კუნძულების მოსახლეობის არაინდოევროპულობას იზიარებს ფ. შახერმაირიც (Schachermeyr 1955; 1964; 1967). ასევე, ედ. შვიცერი (Schwyzer 1939, I, 58-59, E, 2) ამბობს, რომ წინაბერძნული და მცირე აზიის (არაანატოლიური და არაფრიგიული) ენები ეჭვგარეშე არც ბერძნულია და არც ინ-

[1] „Dieser schnelle Ueberblick über die neusten Lösungsversuche der kleinasiatischen Frage dürfte gezeigt haben, welch bedeutende Rolle die Phantasie in ihnen spielt. In einem Ergebnis jedoch scheinen sie mir durchaus auf dem rechten Wege zu sein, zu welchem ich selbst unabhängig und gleichzeitig gelangt bin, dass wir es in Kleinasien von den Phrygern abgesehen weder mit indogermanischen noch mit semitischen Stämmen zu thun haben, sondern mit einem Volkstum *sui generis*" (Kretschmer 1896, 292; აგრეთვე იხ. Kretschmer 1896, 407).

დოგერმანული.[2] იგი აღნიშნავს, რომ ამ ენათაგან ზოგიერთი უეჭველად ერთმანეთს ენათესავებოდა; ეს ენები ქმნიდნენ განსაკუთრებულ ენობრივ ჯგუფს, ე.წ. მცირეაზიურ ანუ ეგეოსურ-მცირეაზიურ ჯგუფს, რომელსაც, ალბათ, კავშირი ჰქონდა, ერთი მხრივ, სამხრეთკავკასიურ, ხოლო მეორე მხრივ, ეტრუსკულ ენებთან.[3]

ჯ. ჩედვიკი (Chadwick 1976, 1-4) აღნიშნავს, რომ ძვ.წ.-ის XX საუკუნეში ბერძნული ენა ჯერ არ არსებობდა.[4] მისი აზრით, ეს ენა შეიქმნა ბერძნების მიერ ზემოხსენებული ტერიტორიების კოლონიზაციის შედეგად, როდესაც ბერძნულად მოლაპარაკე მეომარი ხალხი შემოიჭრა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.[5] იგი იქვე ამბობს, რომ ბერძნული ენა ჩამოყალიბდა ადგილობრივი მოსახლეობის ენისა და შემოჭრილი დამპყრობლების სხვა ენის შერევით.[6]

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის (Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 863, 782; Гамкрелидзе, Иванов 1984, II, 968, 886-887) ფუძემდებლური თეორიის მიხედვით, ძვ.წ.-ის IV ათასწლეულში დასავლეთი და ცენტრალური ევროპა უძველესი ბალკანური კულტურების განადგურების შემდეგ კიდევ დიდხანს იყო არაინდოევროპული, შესაძლებელია ძვ.წ.-ის II ათასწლეულებამდე, რომელსაც დაიწყო ძველი ევროპული დიალექტების თანდათანობით გავრცელება ევროპაში – ევროპის ინდოევროპეიზაციის პროცესი.

---

[2] „Sicher ist, dass alle diese Sprachen nicht griechisch sind, wahrscheinlich auch nicht indogermanisch oder, indogermanoid" (Schwyzer 1939, I, 58, *E. 2*; აგრეთვე იხ.: ურუშაძე 1964, 114, 114[19]).

[3] „Fraglich ist auch, ob die genannten und andere kleinasiatische Sprachen (mit Ausnahme der sicher indogermanischen, des Hethitischen und Phrygischen) alle untereinander verwandt waren; einige waren es sicher und bildeten einen besondern Sprachstamm, den sog. kleinasiatischen oder ägäisch-kleinasiatischen, der vielleicht zum Südkaukasischen auf der einen, zum etruskischen, auf der andern Seite, Beziehungen hat" (Schwyzer 1939, I, 59, *E. 2*; აგრეთვე იხ.: ურუშაძე 1964, 116, 116[26]).

[4] „This hypothesis is that the Greek language did not exist before the twentieth century B.C." (Chadwick 1976, 2).

[5] „The Greek language is known from documents written in Greece from the fourteenth century BC onwards, and at various later periods in other countries too as the result of colonizing movements" (Chadwick 1976, 1).

...These [warlike] people established themselves, perhaps first in central Greece and the north of the Peloponnese, and by mixing with the indigenous peoples created the Greek language, which is extended to the remainder of the mainland, except probably Macedonia" (Chadwick 1976, 4).

[6] „[The Greek language] was formed in Greece by the mixture of an indigenous population with invaders who spoke another language" (Chadwick 1976, 2).

...გარკვეული [ინდოევროპული] დიალექტების მატარებლების მიგრაცია ახალ საცხოვრებელ ადგილებში შეიძლება მომხდარიყო ახალი ეთნიკური ელემენტის მქონე შედარებით მცირე ჯგუფების შეღწევით ადგილობრივი მოსახლეობის შუაგულში, ან, აგრეთვე, ახალი ტერიტორიების დაპყრობითა და ადგილობრივი მოსახლეობის დამორჩილების გზით. ამ დროს მიგრანტი ტომების დიალექტები, რომლებიც ახალ საცხოვრისში გადმოინაცვლებდნენ, ან გაითქვიფებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ენებში, რითაც სუპერსტრატის სახით გარკვეულ კვალს ტოვებდნენ თავისი სტრუქტურითა და ლექსიკით ავტოქტონურ მოსახლეობის ენებში, ან გამოდევნიდნენ ავტოქტონური მოსახლეობის ადგილობრივ ენებს და ამ ქვეყნის ძირითად ენებად გადაიქცეოდნენ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ავტოქტონური მოსახლეობის ძველი ადგილობრივი დიალექტები გამოვლინდება სუბსტრატის სახით, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან კვალს ტოვებს ახალი დიალექტების მთელ სტრუქტურასა და ლექსიკაში, რომელიც შემოტანილია ახალ საცხოვრისში დასახლებული ტომების მიერ. ასეთმა სუბსტრატულმა გავლენებმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი გარდაქმნები ახალ ტერიტორიებზე შემოტანილი დიალექტების პირველად სტრუქტურასა და ბგერით შემადგენლობაში, რაც მათ პირველად სტრუქტურას აშორებს.[7]

ბერძნული ენა ცნობილია ძვ.წ.-ის XIV ს.-ის B ხაზოვანი წარწერებიდან. ჯ. ჩედვიკი (1989, 8) წერს: „უძველესი საბერძნეთის რუკაზე მრავალი ადგილის დასახელება, რომელთაც ბერძ-

---

[7] „Western and Central Europe remained non-Indo-European long after the ancient Balkan culture perished in the fourth millennium B.C., and possibly until the second millennium B.C. when the gradual settlement of Europe by Ancient European dialects and the Indo-Europeanization of Europe began (see also Tovar 1982)" (Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 863).

„The migrations of speakers of the Indo-European dialects to their new territories could have involved gradual infiltration of the new ethnic element in relatively small groups, conquest of new territories and subjugation of the indigenous populations, or both. The speech of the migrating tribes, carried to their new territories, could have either merged with the local languages, leaving traces of its structure and lexicon as a superstratum in the surviving autochthonous languages, or displaced the indigenous languages to become the dominant language of the country. In cases of the latter sort, traces of the earlier languages of the indigenous population appear in the form of a substratum, which leaves an imprint – often an essential imprint – on the whole structure and lexicon of the dialects brought by the new settlers (see Schlerath 1973, 21ff.)" (Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 782).

ნულ ენაზე მნიშვნელობა არა აქვთ, უტყუარი მოწმობაა იმისა, რომ ოდესღაც აქ სხვა ენა იყო გაბატონებული, მაგრამ კერძოდ რომელი, არ არის ცნობილი". მთელი რიგი ტოპონიმები „უდავოდ წარმოქმნილია უცნობი ენისაგან, რომელზედაც ადრე მეტყველებდნენ საბერძნეთში" – ამბობს ჯ. ჩედვიკი (1989, 8).[8]

ჯ. ჩედვიკი (Chadwick 1976, 3) ასევე აღნიშნავს, რომ პროტო-ბერძნებმა მიაღწიეს ბალკანეთის ნახევარკუნძულს, შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მათგან ისესხეს მრავალი სიტყვა. განსაკუთრებით საინტერესოა ტოპონიმები, მცენარეებისა და ცხოველების სახელები, ასევე, მათთვის უცნობ საგანთა სახელწოდებები, რაც აქ მოსახლე ხალხის ცივილიზაციის მაღალ დონეზე მიუთითებს.[9] იგი ამასვე იმეორებს კ. კრეტის შესახებ, სადაც ძვ.წ.-ის XV საუკუნემდე სახლობდა სხვა ხალხი, რომელიც ბერძნულად არ მეტყველებდა. „მათ ენამ წერილობითი სახით მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ მისი ამოკითხვა მაინც არ შეგვიძლია. ეჭვგარეშეა, რომ ეს ენა არ იყო ბერძნული (Chadwick 1967, 12-15, 154-156)".[10]

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი (Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 783-784; Гамкрелидзе, Иванов 1984, II, 887-888) წერენ, რომ ძვ.წ.-ის IV-III ათასწლეულებში პროტო-იდნოევროპელებს არ გააჩნდათ ჩამოყალიბებული წერილობითი სისტემა, რაც შეიძლება ჩაითვალოს პროტო-ინდოევროპული საზოგადოების ერთ-ერთ

---

[8] „All we can say about Greek is that it seems to have left no traces outside Greece, except where it has spread in historical times. But the existence on the map of ancient Greece of dozens of place names without a meaning in Greek strongly suggests that at one time another language was spoken there, though what this language was we have no means of knowing. Names such as Korinthos, Zakunthos, Athānai (Athens), Mukānai (Mycenae), Knōsos (the traditional spelling Knossos is strictly incorrect), Amnisos, Tulisos are certainly derived from one or more unknown languages previously spoken in Greece" (Chadwick 1976, 1).

[9] „When these proto-Greeks, as I shall call them, reached Greece, they mixed with the previous inhabitants, whom they succeeded in subjugating, and borrowed from them many words for unfamiliar objects. ...The borrowed words are particularly interesting, for they include the names of many plants and animals, as well as terms indicating a high degree of civilization, such as the word for 'bath' or the many terms to distinguish different kinds of pot" (Chadwick 1976, 3).

[10] „Crete was occupied down to the fifteenth century by people who did not speak Greek, for we have their language in written form, and although we cannot securely identify it, there is no doubt that it was not Greek" (Chadwick 1967, 12-15, 154-156; Chadwick 1976, 4).

ძირითად განმასხვავებელ ფაქტორად განვითარებული ძველი აღმოსავლური ცივილიზაციებისაგან. ავტორების აზრით, მანამდე დამწერლობა არ იყო იმდენად განვითარებული, რომ იგი კულტურული გავლენის მყოფ მეზობელ ხალხებშიც გავრცელებულიყო. ძვ.წ.-ის V-IV ათასწლეულებში შუმერსა და ეგვიპტეში მხოლოდ ყალიბდებოდა დამწერლობა. აქვე აღნიშნულია, რომ [დამწერლობის გავრცელება] შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ ძვ.წ.-ის III ათასწლეულში, როდესაც საერთო-ინდოევროპული ენა უკვე დაიყო დიალექტებად, რომლებმაც გადაინაცვლეს სხვადასხვა მიმართულებით. ...უნდა ვივარაუდოთ, რომ ინდოევროპულ დიალექტებზე მოლაპარაკე ტომებს თვითონ არ შეუქმნიათ დამწერლობა, არამედ სესხულობდნენ წერილობით სისტემებს, რომლებიც შექმნილი იყო სხვა ენებისთვის. ასე მაგალითად, ისტორიულ ხანაში მიკენის ბერძნებმა თავისი ენისთვის სხვა წყაროდან ისესხეს B ხაზოვანი მარცვლოვანი დამწერლობა. ეს [წყარო] შეიძლება ყოფილიყო A ხაზოვანი დამწერლობა, რომელიც, როგორც ჩანს, შეიქმნა არაინდოევროპული ენისთვის, რომლის სიტყვის სტრუქტურა ღია მარცვლოვანია[11] (CVCV). ეს ენა მოცემულია A ხაზოვანი დამწერლობით შესრულებულ თიხის ფირფიტებისა და სხვა ნივთების წარწერებზე, რომლებიც აღმოჩენილია კრეტის მრავალ ადგილას, მათი კვალი ასევე ჩანს ეგეოსურ კუნძულებზეც (Chadwick 1976, 4).[12]

---

[11] „The absence of a developed writing system may be considered one of the basic factors distinguishing Proto-Indo-European society from the advanced Near Eastern civilizations of the fourth to third millennia B.C. During the Proto-Indo-European period (the fifth to fourth millennia), writing in Sumer and Egypt was only in its infancy (Gelb 1963, 60ff.; cf. Schmandt-Besserat 1978, 1979). At the time of the Indo-European breakup, writing was still not so well developed or widespread as to have spread to the neighboring peoples. This could have occurred only later, during the third millennium B.C., when Proto-Indo-European was already differentiated into dialects which had moved away in different directions. ...It must be assumed that the tribes speaking Indo-European dialects did not create writing themselves, but borrowed writing systems that had arisen on the basis of other languages. For instance, in historical times the Mycenaean Greeks borrowed the Linear B syllabary from another source. The source may have been Linear A, which was clearly created for a non-Indo-European language with an open syllable structure (see Ventris and Chadwick 1973; Morpurgo 1963; Gamkrelidze 1980)" (Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 783-784).

[12] „This is the language of the clay tablets and other inscriptions in the Linear A script, which has been found in many parts of Crete, and in traces in the Aegean islands. The Cretans certainly established themselves outside Crete: the islands of

A ხაზოვან წარწერებზე იგივე შეიძლება გავიმეორო, რასაც ჯ. ჩედვიკი (Chadwick 1976, ix) ამბობს B ხაზოვანი წარწერების შესახებ. ერთი შეხედვით, წარწერათა უმრავლესობა არის საკუთარ სახელთა სიები, შინაური ცხოველების, მარცვლეულისა და პროდუქტების აღრიცხვა. ...ამ ჩანაწერთა სრული ავთენტურობა დიდი ფასეულობაა, რადგანაც ისინი წარმოგვიდგენენ სიტყვებსა და ციფრებს, ჩაწერილს ამავე ცივილიზაციის შემქმნელი ქალებისა და მამაკაცების მიერ, რომლებმაც არქეოლოგებს დაუტოვეს ასეთი შესანიშნავი განძი.[13]

ჯ. ჩედვიკი (Chadwick 1976, 6) წერს, რომ მინოსელებმა დიდი ხნის წინათ შეიმუშავეს სააღრიცხვო სისტემა და თავიანთ შრიფტს ასევე გამოიყენებდნენ სალოცავებზე მიძღვნითი წარწერებისთვის. ბერძნებმა მათგან ისესხეს წერითი სისტემა, რომელიც მიუსადაგეს თავიანთ ენას და გააუმჯობესეს ანგარიშწარმოება.[14]

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი (Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 796; Гамкрелидзе, Иванов 1984, II, 900-901) წერენ, რომ უნდა დავუშვათ გარკვეული არაინდოევროპული (სავარაუდოდ წინაინდოევროპული) სუბსტრატის არსებობა კონტინენტურ საბერძნეთში და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე. ასეთი სუბსტრატი ბერძნულში ვლინდება არაინდოევროპული ლექსიკის მთელი შრის სახით. მასთან აშკარად არის დაკავშირებული ადრემინოსური კულტურა, აგრეთვე, შესაძლოა წარწერებიც, რომლებიც შესრულებულია A ხაზოვანი დამწერლობითა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის სამყაროს სხვა უძველესი დამწერლობებით.[15]

Keos (Kéa, off Attica), Kythera (Kíthira, off Lakonia), Melos (Mílos), Rhodes and above all Thera (Santoríni)" (Chadwick 1976, 4).

[13] „At first sight their contents are deplorably dull: long lists of names, records of livestock, grain and other produce, the account books of anonymous clerks. Here and there a vivid description of an ornate table or a richly decorated chariot breaks the monotony. But for the most part the tablets are drab and lifeless documents. Their one virtue is their utter authenticity, for they contain the actual words and figures noted down by the men and women who created the same civilization that has yielded such splendid treasures to the archaeologist's spade" (Chadwick 1976, ix).

[14] „The Minoans had long since devised a system of keeping accounts, and had gone on to use their script also for recording dedications in shrines. The Greeks borrowed from them the system of writing, both adapting it to their own language and improving the book-keeping" (Chadwick 1976, 6).

[15] „In addition to the possible Indo-European substratum, some non-Indo-European (and probably pre-Indo-European) substratum must be posited in mainland Greece and the Aegean islands. The substratum is revealed by the presence of a non-Indo-

ჯ. ჩედვიკი (1989, 42) აღნიშნავს: „საკვირველი არ უნდა იყოს, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის საბერძნეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ბერძნულად არ ლაპარაკობდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბერძნეთის დაპყრობა და სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხის ასიმილაციის პროცესი ნელა მიმდინარეობდა. ამგვარად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მიკენური პერიოდის მოსახლეობაში სხვა ენების კვალი უფრო აღმოჩნდება, ვიდრე ბერძნულისა. კლასიკურ პერიოდშიც კი ისტორიკოსები, არცთუ იშვიათად, იხსენიებენ სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხს, მაგ., პელასგებს, და, ამასთანავე, ძვ.წ. IV საუკუნეშიც კი, კრეტის აღმოსავლეთ ნაწილში წარწერები კეთდებოდა არაბერძნულ ენაზე. ...თუმცა ჩვენ ინფორმირებული არა ვართ, რომ ისინი ჯერ ისევ სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ უმეტესობა, ეჭვგარეშეა, არაბერძენი მოსახლეობის შთამომავალი იყო."[16]

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის (Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 795[12]; Гамкрелидзе, Иванов 1984, II, 900[3]) აზრით, 'პელასგური' ენა შეიძლება ყოფილიყო სუბსტრატი მასზე დაფუძნებული ბერძნული ენისთვის. 'პელასგური' სიტყვები, რომლებმაც შეაღწიეს ბერძნულში, საშუალებას იძლევა სუბსტრატული ენის ფართო სახით რეკონსტუქციას.[17]

European lexical stratum in Greek (see Furnée 1972). It is obviously linked to early Minoan culture and possibly to the inscriptions written in Linear A and other very early writing systems of the eastern Mediterranean world (see Gindin 1967; Birnbaum 1974)" (Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 796).

[16] „It would not be surprising to find that during the latter part of the second millennium BC the population of Greece was not exclusively Greek-speaking. As the reconstruction of history I have sketched in Chapter 1 suggests, the conquest of Greece and the absorption of speakers of other languages will have been a slow process. ...Thus simply on a priori grounds, we should expect to find traces of languages other than Greek among the population of Mycenaean times.

Even in classical times there are several references in the historians to speakers of other languages, such as Pelasgian, which is a mere name to us; and in parts of eastern Crete as late as the fourth century B.C. inscriptions were still being put up in another language. ...Although we are not told that any of them still spoke another language, some of them were no doubt descendants of non-Greeks" (Chadwick 1976, 62).

[17] „'Pelasgian' may have served as a substratum to Greek, which overlaid it. The 'Pelasgian' words which entered Greek give us the possibility of reconstructing the structure of the substratal language in broad outline; it preserved a number of archaic traits (see Georgiev 1941-1945; Merlingen 1962)" (Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 795[12]).

ავტორების (Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 799, 801-802; Гамкрелидзе, Иванов 1984, II, 904, 906-907) აზრით, ჰიპოთეზა ბერძნული ტომების მოსვლის შესახებ მათი საცხოვრისის ისტორიულ ადგილებში, მცირე აზიის გავლით ეგეოსის ზღვის კუნძულებსა და კონტინენტურ საბერძნეთში, გასაგებს ხდის ბერძნულში ქართველური (სამხრეთკავკასიური) წარმოშობის ლექსიკის მთელი შრის არსებობას. გაუგებარი ეტიმოლოგიის ბერძნულ სიტყვათა მთელი რიგი ახალი გამოკვლევების შუქზე არაორაზროვან პარალელებს ჰპოვებს ქართველურში (შდრ.: Gordeziani 1969; Гордезиани 1970, 217 და შმდ.; Furnée 1979) და ადასტურებს ენობრივ კონტაქტებს, რომლებიც უძველეს ეპოქაში არსებობდა ბერძნულ და ქართველურ დიალექტებს შორის (Furnée 1979, 14 და შმდ.).[18]

...მრავალრიცხოვანი ლექსიკური თანხვედრა ბერძნულსა და ქართველურს შორის, რომელიც თავს იჩენს სწორედ არაინდოევროპული წარმოშობის 'წინაბერძნულ' სიტყვებში, უნდა აიხსნას იმით, რომ ბერძნულმა ისესხა ქართველურ სიტყვათა მთელი რიგი, ბერძნული და ქართველური ტომების კონტაქტისას, სადღაც ახლო აღმოსავლეთში ბერძნული მიგრაციების დროს წინარესამშობლოდან დასავლეთის მიმართულებით ისტორიული საბერძნეთის ტერიტორიებზე.[19]

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი (Гамкрелидзе, Иванов 1980, 69-70) აგრეთვე თვლიან, რომ არგონავტების შესახებ მითის

---

[18].წინაბერძნულსა (მაგ., მინოსური) და ძველბერძნულში გამოვლენილი ფენის თაობაზე, რომელიც არის ადრეული ნასესხობა ქართველურიდან (სამხრეთკავკასიურიდან), ასევე იხ.: გორდეზიანი 1985; 2000; 2007, II; Furnée 1982; 1986; Schmitt-Brandt 2002; 2003; კვაშილავა 2007, 213-218; 2008, 229, 231; 2009, 303-304; 2010, 226[1] და შმდ.

[19].„The hypothesis of a Greek migration to the Aegean islands and mainland Greece from the east via Asia Minor also explains the existence in Greek of a lexical stratum of Kartvelian (South Caucasian) origin. A number of Greek words of unknown etymology find unambiguous Kartvelian parallels in the light of recent research (see Gordeziani 1969, 1970, 217ff.; Furnée 1979) and testify to linguistic contacts at an ancient date between Greek and Kartvelian dialects (Furnée 1979, 14ff.).

...The numerous lexical resemblances between Greek and Kartvelian, found precisely among the 'pre-Greek' words of non-Indo-European origin, are to be interpreted as showing that a number of Kartvelian words were borrowed by Greek while the Greek and Kartvelian tribes were in contact somewhere in the Near East during the Greek migrations from the proto-homeland westward to historical Greek territory" (Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 799, 801-802).

უძველეს ფენაში ასახულია ბერძნულენოვან (შესაძლოა დორიელების) ტომთა ერთი ნაწილის ყველაზე ადრეული კონტაქტები ჩრდილოეთ მცირე აზიისა და ამიერკავკასიის სხვა ენებზე მოლაპარაკე ტომებთან.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა არგონავტების მითის ადრეულ ვერსიებში, მაგ., მიმნერმოს „ნანო"-სა (ფრაგმენტი 9.1) და ჰომეროსის „ილიადა"-ში (IX.661) დადასტურებული ძველბერძნული, იონური **κῶας** სიტყვა, რომელიც ამ მასალებში შესაბამისად აღნიშნავს *(ოქროს) საწმისს* და *(ცხვრის) ტყავს* (Dimitrakos 1964, VIII, 4213), ხოლო უფრო ადრე, მიკენური ბერძნული ხანის ტექსტებში (მაგ., PY Un 718 ფირფიტა) –  [**ko-wo**], **kōwos = κῶας** *ტყავს* (Morpurgo Davies 1963, 166). აღდგება ძველბერძნული ***κῶFας < *qōw-əs/*kōw-əs** ფორმა (შდრ. Boisacq 1916, 542), რომელიც, თ. გამყრელიძის (Гамкрелидзе, Иванов 1984, 908; Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 803; გამყრელიძე 2002, 45-46) თვალსაზრისით, ნასესხებია დასავლურ-ქართველური ***ṭąow-/*ṭḳow-** *ტყავი* სიტყვიდან [ṭ] თანხმოვნის დაკარგვით.

ამასთან დაკავშირებით გავიმეორებ ჩემს ადრინდელ მოსაზრებას (კვაშილავა 2008, 205) იმის თაობაზე, რომ ჰომეროსის „ოდისეა"-ში (IX.447) დადასტურებული ძველბერძნული **κρῖός** *ვერძი* (Dimitrakos 1964, VIII, 4131), რომელიც აღდგება ***κρῑFός < *qirīw-os/*kirīw-os** ფორმით (შდრ. Boisacq 1916, 519), ნასესხებია დასავლურ-ქართველური ***ḳiriw-i/ḳirib-i** *კრავი* სიტყვიდან (შდრ.: გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 111, 111[4], 170[1], 341; გორდეზიანი 2007, II, 206). აქვე დავიმოწმებ რ. შმიტ-ბრანდტს (Schmitt-Brandt 2002, 101), რომელმაც B ხაზოვანი დამწერლობის  LB021/106 [**qi**] ნიშანი, რომელიც *ცხვარს* აღნიშნავს, დაუკავშირა მეგრულ **ḳirib-i** *კრავი* ფორმას. ამის გათვალისწინებით შესაძლებელია აღვადგინო სავარაუდო ფორმები: მინოსური (A ხაზოვანი)  [**qi-ri-wi**] და მიკენური ბერძნული (B ხაზოვანი)  [**qi-ri-wo**], რომელთა მნიშვნელობა იყო, როგორც ჩანს, *ცხვარი*.

2. მოკლე ცნობები მაკრიელებისა და დოლიონების განსახლების შესახებ

აპოლონიოს როდოსელი (I.1023-1024; Merkel 1854, 50) მაკრიელთა ტომს პელასგებად თვლის. ეს ცნობა შემდეგი სახისაა:

> **„ἀλλά που ἀνδρῶν Μακριέων εἴσαντο Πελασγικὸν ἄρεα κέλσαι."**

– „[დოლიონებმა არგონავტებზე] იფიქრეს, რომ **მაკრიელ ვაჟკაცთა პელასგური ლაშქარი მოგვადგაო"** (ურუშაძე 1948, 60; 1964, 130; 1970, 88, 89), რასაც სქოლიასტი (I.1024-1025; Merkel 1854, 363-364) ასე განმარტავს:

> **„Μακριέων: τῶν καλουμένων Μακρώνων, οἵ ἐισιν ἄποικοι Εὐβοέων, ἀφ' οὗ καὶ Μάκρωνες ἐκλήθησαν. καὶ Μάκρις γὰρ ἡ Εὔβοια ἐκαλεῖτο. Πελασγικὸν δὲ εἶπεν διὰ τὸ πλησιόχωρον εἶναι τὴν Εὔβοιαν τῇ Πελοποννήσῳ, ἣ πρότερον ἐκαλεῖτο Πελασγιά. ἦσαν δὲ ἀστυγείτονες τῶν Δολιόνων οἱ Μάκρωνες. οἱ δὲ ἔθνος Βεχείρων φασὶ τοὺς Μάκριας, οἵτινες ἀεὶ πολεμοῦσι τοῖς Κυζικηνοῖς. ἦσαν δὲ τὰ πολεμικὰ ἔργα ἡσκηκότες, ὡς ἱσοροῦσι Φιλοστέφανός τε καὶ Νυμφόδωρος οἱ τὰ περὶ τῶν βίων αὐτῶν γεγρφότες. Διονύσιος δὲ ὁ Χαλκιδεὺς εἰρῆσθαί φησιν αὐτοὺς Μάκρωνας, ἐπειδὴ Εὐβοέων εἰσὶν ἄποικοι. ἄλλοι δὲ Μάκρωνας αὐτούς φασι λέγεσθαι διὰ τὸ πλείονας εἶναι παρ' αὐτοῖς μακροκεφάλους, ὥσπερ παρὰ τοῖς Πέρσαις γρυπούς. μέμνηται δὲ τούτων Ἡρόδοτος ἐν δευτέρᾳ. Πελασγικὸν δὲ ἄρεα εἶπεν τὸν τῶν Μακριέων, ἐπεὶ Εὐβοέων εἰσὶν ἄποικοι. ἡ δὲ Εὔβοια πλησίον Πελοποννήσου κεῖται, ἥτις τὸ παλαιὸν Πελασγὶς ἐκαλεῖτο.**
>
> *** Μακριέων] ὅμοροι Δολίοσιν οὗτοι καὶ πολέμιοι."**

„*მაკრიელი*: ეგრეთ წოდებული მაკრონები, რომლებიც გადმოსახლებულნი არიან ევბეელთაგან, საიდანაც მაკრონები ეწოდათ. საქმე ისაა, რომ ევბეას *მაკრისიც* ერქვა.[20] *პელასგური* კი

[20].კუნძულ ევბეას (ძვ. ბერძნ. **Eúboia**; ახ. ბერძნ. **Évia**; იტალ. **Negroponte**) უძ-

იმიტომ თქვა [პოეტმა], რომ ევბეა მეზობელი მხარეა პელოპონესისა, რომელიც უწინ *პელასგიად* იწოდებოდა. მაკრონები დოლიონების მეზობლები იყვნენ.[21] ზოგიერთები მაკრიელებს უწოდებენ ბექირების ტომს, რომლებიც მუდამ ეომებიან კიზიკოსელებს. ისინი გამოწვრთნილნი იყვნენ საომარ საქმეებში, როგორც მოგვითხრობენ ფილოსტეფანე და ნიმფოდორე – მათი ცხოვრების აღმწერელნი. დიონისიოს ქალკიდელი ამბობს, რომ მათ ეწოდათ მაკრონები, ვინაიდან ევბეელთაგან არიან გადმოსახლებულნიო. ზოგიერთები კი ამბობენ, რომ ისინი იწოდებიან მაკრონებად იმის გამო, რომ მათში ბევრზე ბევრია გრძელთავიანები, როგორც სპარსებში არწივის ცხვირიანები. იხსენიებს მათ ჰეროდოტე მეორე წიგნში.[22] მაკრიელთა ლაშქარი პელასგურად მოიხსენია [პოეტმა], ვინაიდან [მაკრიელები[23]] ევბეელ-

---

ველესი სახელწოდება *მაკრისი* ასევე დასტურდება სხვა ავტორებთანაც (მაგ., ეფოროსი კვიმელი, კალიმაქე, სტრაბონი, არისტიდე, პლინიუს უფროსი, სტეფანე ბიზანტიონელი, ევსტათი თესალონიკელი). აპოლონიოს როდოსელის (IV.540, 988, 1131-1140; Merkel 1854, 503, 516-517; ურუშაძე 1964, 141 და შმდ.) მიხედვით, ნიმფა [პელასგური ღვთაება] *მაკრისი* იყო ღვთაება დიონისეს/ნისეოსის ძიძა, რომლის სახელი ეწოდა ფეაკების კუნძულ *დრეპანესაც* (ამჟამად *კორფუ*). ამ კუნძულს ჰომეროსი („*ოდისეა*“ V.34; VI.8) *სქერიას* უწოდებს, ხოლო სხვა ავტორი – *კერკირასაც* (Dindorf 1855, I, 244, *35*; 294, *8*; Burt 1899, 222; Merry 1899, 65; ურუშაძე 1964, 140; 1970, 356[38]). *მაკრისი* აგრეთვე ერქვა კუნძულ *ქიოსსაც* (ურუშაძე 1964, 140[101], 142).

აპოლონიოს როდოსელი (IV.1175; IV.1210-1213) წერს, რომ ფეაკების კუნძულზე [*მაკრისზე*] არგონავტების მდევარნი კოლხებიც დასახლდნენ.

[21].„The Macrians or Macrones were colonists from Euboea, and neighbours of the Doliones. 'Pelasgic', because Euboea was close to Peloponnesus, the old name of which was Pelasgia“ (Coleridge 1889, 39[1]).

Μακριέων: A Scholiast of Apollonius of Rhodes (II.392, 1242, 1246; Merkel 1854, 412-413, 446) identifies these with the **Μάκρωνες**, colonists from Euboea, dwelling on the east of Pontus near Trapezus, who are mentioned in Apollonius of Rhodes II.394, 1242; cf. Herodotus II.104, VII.78; Xenophon, *Anabasis* IV.8.1, V.5.18, VII.8.25; Strabo XII.3.8; Pliny the Elder VI.4, 10; Stephanus Byzantium, *Ethnica* (Meinekius 1849, 428, 429). The Scholiast also says that the epithet **Πελασγικόν** is applied to their forces here because Euboea was near to the Peloponnesus which in old times was called Pelasgia (Mooney 1912, 133, 1024).

[22].Herodotus II.104 (იხ.: Godley 1920, 392-393; ყაუხჩიშვილი 1975, 156).

[23].მაკრიელები – *იგივე მაკრისელები, მაკრელები (მეგრელები), კ. მაკრისზე ანუ მაკრაზე მოსახლე მაკრონები* (შდრ. ურუშაძე 1964, 528).

აპოლონიოს როდოსელი (I.1112) ახსენებს **Μακριάδες σκοπιαί** – მაკრიელთა (მაკრონთა) მთებს, რომლებიც არგონავტებს მთა დინდიმონიდან (*ამჟამად*

თაგან არიან გადმოსახლებულნი. ევბეა კი მდებარეობს მახლობლად პელოპონესისა, რომელსაც ძველად პელასგისი ერქვა. მაკრიელთაგან ესენი დოლიონებს ესაზღვრებიან და მტრობენ" (ურუშაძე 1964, 130-131; 321-322).

აპოლონიოს როდოსელის (I.936-1022; Merkel 1854, 359-360; 372; ურუშაძე 1964, 129, 142) ცნობით, დოლიონები მოსახლეობდნენ მცირე აზიაში, პროპონტიდაში (*ამჟამად მარმარილოს ზღვა*), ჰელესპონტის (*ამჟამად დარდანელის სრუტე*) მცირე ფრიგიასთან (*რეგიონი მისია, ამჟამად ქაფიდალის ნახევარკუნძული, ბალიქესირის პროვინცია, თურქეთი*), მდინარეების ესეპოსსა (*ამჟამად გრნენი*) და რინდაკოსს (*ამჟამად მუსთაფა-ქემალ-ფაშა*) შუა მდებარე მხარეში.

დოლიონების შესახებ აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი (I.1037; Merkel 1854, 365) წერს:

> **„Ἔφορος μὲν γάρ φησι τοὺς Δολίονας Πελασγοὺς ὄντας καὶ ἐχθρῶδως διακειμένους πρὸς τοὺς τὴν Θεσσαλίαν καὶ Μαγνησίαν κατοικοῦντας διὰ τὸ ἀπελασθῆναι ὑπ' αὐτῶν ἐπιθέσθαι αὐτοῖς."**

„ეფოროსი [კვიმელი] ამბობს, რომ დოლიონები, რაკი პელასგები იყვნენ და მტრობდნენ თესალიისა და მაგნესიის[24] მცხოვრებთ, ვინაიდან მათ მიერ იქმნენ გამოძევებულნი, თავს დაესხნენ [არგონავტებს]" (ურუშაძე 1964, 144; 294-295, 371).

მაკრონი კოლხური მოდგმის, დასავლურ-ქართველური ნარმოშობის, მეგრელ-ჭანთა/ლაზთა სატომო სახელს აღნიშნავს (იხ.: ჯავახიშვილი 1913, 29; ჩიქობავა 1936, 3-4; Мегрелидзе 1938, 67; მაკალათია 1941, 13; ყაუხჩიშვილი 1964, 17-18; ჯანაშია 1959, 6, 193; ურუშაძე 1964, 125-140, 166; ამირეჯიბი-მალენი და სხვ. 2006, 14). მათი გვიანდელი განსახლების კერა იყო ევქსინის პონტოს, ანუ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სა-

---

მურათ-დაღი, ქუთაჰიას პროვინცია, თურქეთი) თვალწინ გადაეშალათ (შდრ. ურუშაძე 1964, 131[66] და შმდ.).

შდრ. **Μακριέων** *მაკრიელ*: ლაზ. ტოპონიმი მაკრიალი (*ნოღედი, თურქეთი*) (შდრ. კარტოზია 1993, II, 354).

[24] *მაგნესია – მხარე თესალიასთან (საბერძნეთი), სადაც ცხოვრობდა მაგნესიელების ანუ მაგნეტების ტომი.*

ნაპირო, მაგრამ მათი უწინდელი განსახლების სივრცე შავი ზღვისა და ეგეოსის ზღვის სანაპიროებს მოიცავდა.

ბერძნული წყაროების გათვალისწინებით, აკ. ურუშაძე (1964, 145) ასკვნის, რომ „ზემოხსენებული კოლხური ტომები, სხვა პელასგურ ტომებთან ერთად, დიდ ტერიტორიაზე იყვნენ გავრცელებულნი. ისტორიულ ხანაში კი ამ ტერიტორიის თანდათანობითი დავიწროება მოხდა".

3. A ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური წარწერების აღმოჩენისა და შესწავლის მოკლე ისტორია

1894-1909 წლებში სერ ართურ ევანსმა კ. კრეტაზე აღმოაჩინა ეგეოსის აუზში გავრცელებული ბრინჯაოს ხანის წარწერები, რომლებსაც უწოდა მინოსური კრეტის იეროგლიფური და A კლასის ხაზოვანი დამწერლობები (ხოლო უფრო გვიანდელ დამწერლობას კი – B კლასის ხაზოვანი). ამჟამად კრეტული იეროგლიფური და A ხაზოვანი წარწერების ნიმუშების რაოდენობა შესაბამისად შეადგენს 360 და 1427 საგანს (მაგ., თიხის ფირფიტები, საბეჭდავები, სარიტუალო მაგიდები, ჭურჭლეული, დოქები, ვაზები, ძვირფასი მეტალის სამკაული და სხვა), რომლებიც შესაბამისად დათარიღებულია ძვ.წ. 2000-1600 წ.წ.-ით და ძვ.წ. 1800-1450 წ.წ.-ით.

ამ ტიპის დამწერლობებს იკვლევდნენ: ა. ევანსი, ბ. ჰროზნი, ფ. გ. გორდონი, ე. კობერი, ე. ლ. ბენეტი, მ. ვენტრისი, ჯ. ჩედვიკი, ფ. შახერმაირი, ე. მასონი, ო. მასონი, ჯ. პ. კარატელი, პ. მერიჯი, ლ. რ. პალმერი, გ. ნოიმანი, დ. პაკარტი, ვ. გეორგიევი, ე. გრუმახი, მ. პოუპი, ს. ლურიე, ა. მ. კონდრატოვი, ს. ჰ. გორდონი, ლ. გოდარი, ჟ.-პ. ოლივიე, ივ დიუუ, გ. ა. ოუენსი, ტ. გ. პალაიმა, რ. პალმერი, ჯ. იანგერი, ა. ა. მოლჩანოვი, თ. გამყრელიძე, რ. გორდეზიანი, ლ. გორდეზიანი, ლ. ჩოთალიშვილი და სხვები.

A ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური წარწერების ამოკითხვა ვერ მოხერხდა ინდოევროპულ (მაგ., ბერძნული, ლუვიური) და აფრო-აზიურ ანუ ქამიტურ-სემიტურ (მაგ., ეგვიპტური, ფინიკიური) და სხვა ენებზე. ა. ევანსი (Evans 1909; 1952; 1921; 1928[I, II]; 1930; 1935[I, II]), მ. ვენტრისი, ჯ. ჩედვიკი (Ventris, Chadwick 1959, 28-36; Chadwick 1976, 4; 1987), ა. მორპურგო დევისი (Morpurgo Davies 1963), დ. სანსონე (Sansone 2004, 2), ე. ჯ. ბეკერი (Bakker 2010, 223) და სხვები წერდნენ, რომ A ხაზოვანი წარწერები შეს-

რულებულია არაბერძნულ ენაზე. მეტიც, ს. ლურიე (Лурье 1957, 6, 9), ა. დ. ლეისი (Lacy 1967, 128), თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი (Гамкрелидзе 1980; Гамкрелидзе, Иванов 1984, II, 888; Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 784) და სხვები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ წარწერების ენა არაინდოევროპულია.

ვ. ა. ისტრინი (Истрин 1961, 159) კრეტულ იეროგლიფებსა და A ხაზოვან წარწერებს მიიჩნევს კრეტის წინაბერძნული (მინოსური), არაინდოევროპული მოსახლეობის დამწერლობის ნიმუშებად.

ა.-ფ. ხრისტიდისის (Christidis 2007, 221) წიგნის მიხედვით, კრეტული იეროგლიფური, ფესტოსის დისკოსა და A ხაზოვანი წარწერები შესრულებულია მინოსურზე, წინაბერძნულ ენაზე, რომელიც გავრცელებული იყო კრეტაზე წინამიკენურ პერიოდში.

ფ. შახერმაირის (Schachermeyr 1955, 252, 255) აზრით, კრეტის უძველესი წარწერების ენა, რომელსაც იგი ეგეოსურს უწოდებს, არის კავკასიური, რომლის გავრცელების არეალი იმ დროს უფრო ვრცელი იყო, ვიდრე გვიანდელ პერიოდში.

აკ. ურუშაძის (1964, 166) მიხედვით, **„როცა კრეტის წარწერები შეიქმნა, მცირე აზია, კუნძული კრეტა და ხმელთაშუა ზღვის მრავალი სხვა პუნქტი წინაელინური – პელასგური [მაგ., მაკრიელთა, დოლიონთა და სხვა] მოსახლეობის სამკვიდრებელი იყო. კრეტის უძველეს ე.წ. მინოსურ მოსახლეობაში კოლხურ ტომებს დიდი ადგილი უნდა სჭეროდათ. ქართველურ ტომებს, რომელთა მემკვიდრეობითი კავშირი წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან თითქმის ყველა დარგშია გამომჟღავნებული, მრავალი ძაფი აკავშირებს უძველესი კულტურის ისეთ კერასთან, როგორიც კუნძული კრეტა იყო. პელასგურ-კოლხურ სამყაროს მჭიდროდ უკავშირებს კრეტას თქმულება კოლხთა და კორინთელთა გამგებელ აიეტზეც: კრეტის ლეგენდარული მეფის მინოსის მეუღლე პასიფაე ჰელიოსის ასულია; იგი აიეტისა და კირკეს და, მედეას მამიდა და არიადნეს დედაა“**. აკ. ურუშაძის (1964, 168) საბოლოო დასკვნაა: **„მინოსური დამწერლობის მომავალ კვლევა-ძიებაში პელასგურისა და მცირე აზიის ძველი ენების ცოცხალი გადმონაშთის – იბერიულ-კავკასიური ენების ჩართვამ შეიძლება საქმე წარმატებით დააგვირგვინოს“**.


ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ჰ. რ. ძებიშის (Zebisch 1992) მნიშვნელოვანი განაცხადი, რომ **ფესტოსის დისკოსა და A ხაზოვანი წარწერები შესრულებულია ერთი და იმავე ენაზე, რომელიც პროტო-ქართველური – კოლხურია.**

4. A ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური დამწერლობების ნიშნების მსგავსება ფესტოსის დისკოსა და სხვა მონათესავე დამწერლობების ნიშნებთან

ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე წარწერების ამოკითხვის (იხ. კვაშილავა 2007-2010) გათვალისწინებით და ზემოთ მოცემული მოსაზრებების საფუძველზე, სავსებით ბუნებრივად გამიჩნდა აზრი, რომ შესაძლებელია ეგეოსური დამწერლობების, მაგ., A ხაზოვანისა და კრეტული იეროგლიფური წარწერების ამოკითხვა პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე. ამისათვის გამოვიყენებ საერთო-ქართველური ენის შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის მასალას. ამ მხრივ ვეყრდნობი გ. კლიმოვის (Klimov 1998; Климов 1964), ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის (2000; Fähnrich 2007), თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის (1965) ნაშრომებში აღდგენილ საერთო-ქართველურ ფორმებს. ამ ფორმების პარალელურია ვლ. მ. ილიჩ-სვიტიჩის (Иллич-Свитыч 1971; 1976; 1984), ა. ბ. დოლგოპოლსკის (Dolgopolsky 2008), ალ. რ. ბომჰარდისა (Bomhard 2008; 2009) და სხვათა ნაშრომებში წარმოდგენილი ინდოევროპული, ქამიტურ-სემიტური, შუმერული, ჩრდილოეთ კავკასიური და სხვა ენათა ოჯახებისა და ნოსტრატული ხანისთვის რეკონსტრურებული ფორმები.

თვალნათლივ ჩანს, რომ კრეტული იეროგლიფური და A ხაზოვანი დამწერლობების ზოგიერთი ნიშანი ძლიერ ემსგავსება ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშნებს, B ხაზოვანი დამწერლობის ნიშნებს, კვიპროსულ სილაბოგრამებს, შუმერულ პიქტოგრამებს, ანატოლიურ და ეგვიპტურ იეროგლიფებს, პროტო-სინაიტური, სემიტური, ბერძნული, პროტო-ქართული და ქართული დამწერლობების ნიშნებს, რასაც წარმოვადგენ შემდეგ ცხრილში:

ცხრილის II, IV, V, VI, VII, VIII, IX და X სვეტებში მოცემული ნიშანთა მსგავსების გათვალისწინებით, მაგ., კ. კრეტაზე, ჰაგია-ტრიადაში აღმოჩენილი, A ხაზოვანი წარწერით შესრულებული HT 35 (HM 24) ფირფიტის I სტრიქონში მოცემულ 𐘀 LA037 და 𐘃 LA081 ნიშნებს, ჩემ მიერ წარმოდგენილი ალგორითმის 5.2.2 წესის[25] თანახმად, შესაბამისად ამოვიკითხავ როგორც [ti] და [ku] მარცვლებს.



ამ წარწერაში 𐘀𐘀𐘃 [ti-ti-ku] ფორმას უშუალოდ მოსდევს „განკვეთილობის“ ნიშანი – ერთწერტილი (შდრ. კვაშილავა 2008, 212-216) და 𐘐 LA*326 ნიშანი. ამ უკანასკნელისა და მისი მსგავსი 𐘑 LA*120 და 𐘒 LA*120b ნიშნების მნიშვნელობასა და ფუნქციებს განვიხილავ ქვემოთ.

[25].ჩემი შრომის წინა ნაწილში (იხ.: კვაშილავა 2008, 217, 218; www.Kvashilava-Gia.com www.AiaColchis.ge) წარმოდგენილია 5.2.1-5 ალგორითმი ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშანთა ამოკითხვისთვის. ნათქვამია, რომ ნახატ-ნიშნის ამოკითხვა დამოკიდებულია მის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ პოზიციებზე; მაგ., იმ ნახატ-ნიშანში, რომელიც ფირფიტაზე საწყისი პოზიციიდან 90°-ით არის შემობრუნებული (ე.ი. ვერტიკალურად ამოტვიფრულია), ამოიკითხება შესაბამისი სიტყვის მხოლოდ პირველი მარცვალი.

5. A ხაზოვანი დამწერლობის *326, *120 და *120b ნიშნების გრაფიკული დახასიათება, მნიშვნელობა, ტიპოლოგიური პარალელები და კომენტარი

ქვემოთ მოცემულია A ხაზოვანი დამწერლობის 𐘦 LA*326 ნიშნისა და მისი მსგავსი 𐘠 LA*120 და 𐘡 LA*120b ნიშნების გრაფიკული დახასიათება, მნიშვნელობა, ტიპოლოგიური პარალელებითა და კომენტარითურთ.


A ხაზოვანი დამწერლობის 𐘠 LA*120, 𐘡 LA*120b და 𐘦 LA*326 (Douros 2008, 30, 38) ნიშნებს ემსგავსება შემდეგი ნიშნები:

ა. ქართული ასომთავრული დამწერლობის Ⴓ, ⴓ [დ] ასონიშანი;

ბ. ანატოლიური იეროგლიფები: 𔓑 AH *179/0251A [**hwi**$_x$] ***Hordeum*** – ***ქერი***; 𔓑 AH *179/0181B [**hwi**$_x$] ***Hordeum*** – ***ქერი*** (Anders 2004, 7; შდრ. Everson 2007, 19: *128C3*); 𔓒 0225B [**tu**$_3$] ***Scriba?*** (Anders 2004, 19); 𔓓 AH *326/0084B [**tu**$_3$] ***Scriba*** (Anders 2004, 11; Hawkins 2000[1], 27, ცხრ. 2; შდრ. Everson 2007, 21: *1295E*); 𔓓 0035B ***Scriba? – მწერალი?*** (Anders 2004, 19);

გ. ეგვიპტური იეროგლიფი 𓍿 M33A-M34 [**it**] – ***ქერი; მარცვლეული; მარცვალი*** (DAEH 2010, 43);

დ. კრეტული დამწერლობის იეროგლიფი 𐄷 CH*153/SM94 ***GRAnum*** – ***მარცვალი*** (შდრ.: CHIC 1996, 17; Douros 2008, 67; Younger 2003-2007; Evans 1909, I, 217, *94*), რომელიც დასტურდება ფესტოსში აღმოჩენილ #122 [1] PH Hi 01 / HM 1 / *SM* I, P.121 ფირფიტაზე:



#122 [1] PH Hi 01 / *SM* I. P. 121.
HM 1 - 8,1 x 4,1 X 1,1 cm

კრეტული იეროგლიფური წარწერა.
ფესტოსის ფირფიტა.

Evans 1909, I, 179, *P.121*; 254, სურ. III;
ТДП 1976, 123, სურ. 3; CHIC 1996, 182


კრეტული დამწერლობის SM 094 / CH*153 იეროგლიფის ვარიანტები					
SM 094					
					
b	c	d	e	f	
Evans 1909, I, 163, *P.50c*, *P.52c*; 164, *P.62c*; 165, *P.65c*; 166, *P.82b*; 167, *P.85b*; 179, *P.121*; 217, 94; 254, სურ. III					
CH*153					
					
F214B	F214C	F214D	F214E	F214F	
Douros 2008, 61					

ე. A და B ხაზოვანი დამწერლობების *„ხორბლის“* იდეოგრამები: , LAB*007 [di] ***GRAnum*** – *მარცვალი* (Morpurgo Davies, Duhoux 1988, 15-16);  LB120 ***GRAnum*** – *მარცვალი* (შდრ.: Ventris 1956, ცხრ. I, *120*; Douros 2008, 30).

როგორც ცნობილია, LB120 იდეოგრამა პილოსის ფირფიტების E კლასის სერიების ტექსტებში არის ***გამოყოფილი მიწის ნაკვეთის*** მახასიათებელი (შდრ.: Palmer 1992, 481-484; Duhoux 1974, 27-38; გორდეზიანი 2009, 135). LB120 იდეოგრამის პირობითი მნიშვნელობა *„ხორბალი“* მ. ვენტრისის


(Ventris 1956, ცხრ. I, *120*; Bennett 1963, 75, *120*) მიერ არის შემოტანილი, ხოლო რ. პალმერმა (Palmer 1992, 490-491; 1995, 155, XXI) მასალის მრავალმხრივი შესწავლის საფუძველზე მისი მნიშვნელობა შეცვალა – ***ქერით*** (შდრ.: Younger 2000-2011; გორდეზიანი 2009, 135[5]). ამ იდეოგრამის ლათინური სახელი არის ***grānum*** – ***მარცვალი***, რომელიც მოკლედ აღინიშნება **GRA** მთავრული ასოებით. მეც ამავე ლათინურ აღნიშვნას გამოვიყენებ LA*120 და LA*120b იდეოგრამებისთვის.


GRA ნიშნის ვარიანტებსა და განვითარებას წარმოვადგენ შემდეგ ნახატებში:




კრეტული, A და B ხაზოვანი დამწერლობების *GRA* ნიშნის ვარიანტები და განვითარება, რომელიც ნაჩვენებია ჰორიზონტალური და ვერტიკალური ისრებით.

სურათი შექმნილია: **Evans 1909, I, 165, 179, 217, 233, 254; 1952, II, 21, 31; CHIC 1996, 17, 19, 182-183; GORILA 1976, I, 28-29, 30-31, 34-35, 38-39, 50-52, 64-69, 76-77, 82-85, 96-97, 100-101, 114-117, 128-129, 134-135, 142-149, 154-157, 162-163, 166-169, 174-175, 186-195, 204-205, 214-215, 220-223, 226-229, 234-235, 242-245; CoMIK 1986, I, 5, 19, 40, 51, 53, 54, 61; 1990, II, 6; Davis 1959, 20; Douros 2008, 25, 30, 38, 61; ТДП 1976, 251,** სურ. 17-ის მიხედვით






მაგალითისთვის აქვე წარმოვადგენ GRA ნიშნის ორ ვარიანტს, რომელიც მოცემულია შემდეგ ფირფიტებზე:



PY Ea109 ფირფიტა B ხაზოვანი წარწერით.
Morpurgo Davies. Duhoux 1988. 15-16



E 36 ფირფიტა B ხაზოვანი წარწერით.
CoMIK 1986. I. 19

ზემოთ წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს, რომ A ხაზოვანი დამწერლობის LA*120/*GRA*, LA*120b/*GRA*b და LA*326 ნიშნები არის *მარცვლეულის* იდეოგრამები.

ნ. *ბალახის, თივის, საკვების, ხორბლის, ქერის, პურის, კვებისა და ჭმევის, ძოვების, მცენარისა და მარცვლეულის ჭამის* აღმნიშვნელი საერთო სახელის აღდგენა საერთო-ქართველური ხანისათვის

ქვემოთ მოცემულია *ბალახის, თივის, საკვების, ხორბლის, პურის, კვებისა* და *ჭმევის* აღმნიშვნელი ქართველური სიტყვები:

სვან. **dier** – *ხორბალი* (Güldenstädt 1791, II, 500); სვან. **diër** – *ხორბალი* (Klaproth 1823, 526); სვან. **dier** – *პური* (Klaproth 1814b; II, 268); სვან. **დიარ, დიარ** – *გამომცხვარი პური* (ჯავახიშვილი 1930, I; 1996, IV, 437);

ლაზ. (ხოფური) **diar-i** – *პური* (Hervás 1787, 69); ლაზ. **დიარ-ი > გჲარ̓-ი** – *საჭმელი* (შდრ.: კარტოზია 1972, I, 9-10; ამირეჯიბი-მალენი და სხვ. 2006, 29, 55; კალანდია 2007, 19);

ჭან. **გჲარ-ი** – *хлѣбъ*; ჭან. **გჲარ-ობ-ა** – *справлять трапезу, обѣдъ, ужинъ, и. т. и* (*букв. яденіе хлѣба*) (Марръ 1910, 135); ჭან. **გჲარ-ი > ჯარ-ი** – *პური* (ჯავახიშვილი 1930, I; 1996, IV, 340, 438);

მეგრ. **დიარ-ა**[26] – *угощеніе, брачный пиръ* (Кипшидзе 1914, 225 (429)); *საქორწილო პურის ჭამა და მასპინძლობა* (ჯავახიშვილი 1930, I; 1996, IV, 437); *ქორწილი, ლხინი* (ქაჯაია 2001, I, 459); *ნადიმი, პურობა* (ელიავა 1997, 121);

მეგრ. **დიარ-ი** – *ბალახობა, ძოვა* (ქაჯაია 2001, I, 459);

მეგრ. **ო-დიარ-ე, ო-ნ-დიარ-ე** – *кормъ, трава* (Кипшидзе 1914, 225 (429)); *საკვები, ბალახი* (ჯავახიშვილი 1930, I; 1996, IV, 438); *საბალახო* (ქაჯაია 2002, II, 424; 2009, IV, 425); შდრ. ლაზ. **ო-თიალ-ე** – *ბაგა, სანაყრე; თივით დასანაყრებელი ადგილი* (Марръ 1910, 145; ქაჯაია 2002, II, 424);

მეგრ. **დიარ-აფ-ა** – *кормить* (Кипшидзе 1914, 225 (429)); *კვება; ჭმევა; ძოვება* (ჯავახიშვილი 1930, I; 1996, IV, 437); მეგრ. **დიარ-აფ-ა, დიარ-უ-ა** – *ჭმევა, დაპურება; ბალახობა, ძოვება* (ქაჯაია 2001, I, 459-460);

მეგრ. **სა-დიარ-ი, სა-დიარ-ე, სა-დიარ-ო** – *საბალახო* (ქაჯაია 2002, II, 569);

მეგრ. **სა-დიარ-ო** – *საქორწილო* (ჯავახიშვილი 1930, I; 1996, IV, 437 და შმდ.; ქაჯაია 2002, II, 569);

მეგრ. **ო-დიარ-აფ-ალ-ი** – *საბალახო* (ქაჯაია 2002, II, 424).

ივ. ჯავახიშვილი (1930, I; 1996, IV, 438) ამბობდა: „ყველა ეს [მეგრული] სიტყვები **დიარ**-ისგან არის ნაწარმოები, რომელიც, თუმცა ეხლა და, როგორც ეტყობა, უკვე ამ ასი წლის წინათაც ცალკე [გამომცხვარი პურის მნიშვნელობით] აღარ იხმარებოდა, მაგრამ წინათ უეჭველია, მეგრულშიც უნდა ყოფილიყო [ამავე მნიშვნელობით]. ის გარემოება, რომ **მეგრულში ო-დიარ-ე საკვებსა და ბალახსაც ჰნიშნავს, ცხად-ჰყოფს, რომ დიარ**-ს

[26].შდრ.: ლათ. **dīārĭum; dīārĭa** – *1. ყოველდღიური პორცია, რაციონი, ულუფა, უმეტესად რომაელთა ჯარისკაცთა და მონათა საკვები; 2. დღიური გადასახადი; დღიური ხელფასი* (Gaffiot 1934, 518; Дворецкий 1976, 322).

მეგრულად როგორც *მცენარის*, ისევე *მარცვლის* და *გამომცხვარი საკვების, პურის* მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა."

ზემოთ მოცემული ქართველური მასალის გათვალისწინებით, ივ. ჯავახიშვილმა (1930, I; 1996, IV, 438, 439) ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ *დიარი* უძველეს ხანაში ყველა ქართველურ ტომისათვის *ხორბლისა* და *საჭმელი პურის* აღმნიშვნელი საერთო სიტყვა ყოფილა. იქვე დასძენს, რომ ამ სიტყვას მარტო *გამომცხვარი პურის ჭამის* მნიშვნელობა კი არ ჰქონდა, არამედ საერთოდ *კვების, ჭმევის, ძოვების, მცენარისა* და *მარცვლეულის ჭამის* აღმნიშვნელი ტერმინიც იყო.

სიტყვა *დიარი* „იმ შორეული წარსულის გადმონაშთია, როცა შემგროვებლობის ხანაში ადამიანი იწყებდა მარცვლეული მცენარეების საკვებად ათვისებას, მაგრამ ჯერ კიდევ არ გამოყოფდა მას სხვა ბალახეულისგან. დროთა განმავლობაში გაფართოვდა ამ სიტყვის მნიშვნელობა და იგი ასევე შეესატყვისებოდა *ხორბალს, საკვებს, გამომცხვარ პურს*" (ბრეგაძე 2004, 175).

ცხადია, რომ ფორმა *დიარ-* საერთოა სვანურისთვის, მეგრულისათვის და ლაზურისთვის, ხოლო ქართულში თითქოს ეს ფორმა არ ჩანს, მაგრამ ქართულსა და ასევე ლაზურში დაცულია ფონეტიკურად სახენაცვალი ფორმა *დიკ-ა – ხორბალი*.

გ. კლიმოვმა (Klimov 1998, 40; Климов 1964, 73) ქართული და ლაზური ფორმების შეპირისპირებით ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღადგინა *საგაზაფხულო ხორბლის* სახელი **დიკ-ა-*.

რ. ერისთავისა (1884, 15) და ნ. ჩუბინაშვილის (1961) ლექსიკონებში *დიკა* განმარტებულია, როგორც *გაზაფხულზე დასათესი ხორბალი*. ალ. ღლონტის (1984, 207) ლექსიკონის მიხედვით, ქართულ კილო-თქმებში, მაგ., ქართლურში, კახურში, ლეჩხუმურსა და თიანეთურში *დიკა არის ფხიანი ხორბალი*.

თავდაპირველად ა. მაყაშვილის (1949; 1991, 24) ლექსიკონში *დიკას* ლათინური შესატყვისი იყო Triticum carthlicum = Triticum persicum, მაგრამ შემდეგ ხორბლეულის სისტემატიკოსთა მიერ შეიცვალა ახალი ბოტანიკური ტერმინით – Triticum ibericum-ით (ბრეგაძე 2004, 53-59, 152-159), რადგან *ამ სახეობის წარმოშობა და განვითარება მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე*.[27]

---

[27].აგრეთვე იხ. Triticum paleo-colchicum – *ძველკოლხური ასლი* (მაყაშვილი 1949; 1991, 242; ბრეგაძე 2004, 30, 372 შმდ., სურ. 2).

კლაპროთის (Klaproth 1814a, II, 259; 1823, 32) ცნობის მიხედვით, **დიკა** *საქართველოს მთიანეთში, მაგ., ხევსა და მთიულეთში გავრცელებული საგაზაფხულო ხორბლის სახელი ყოფილა*[28] (შდრ. ჯავახიშვილი 1930, I; 1996, IV, 348).

ქვემოთ მოცემულია შესაბამისი ქართველური მასალა:

ძვ. ქართ. **დიკ-ა** – *ხორბალი* (Blake, Brière 1961: ბიბლია, იოველი 1. 11); ძვ. ქართ. **დიკ-ა-ჲ** – *პურეული* (აბულაძე 1973, 142; ჯავახიშვილი 1930, I; 1996, IV, 348; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 173; Fähnrich 2007, 133);

ახ. ქართ. **დიკ-ა**[29] – *გაზაფხულ ნათესი ხვარბალი/ხუარბალი* (ორბელიანი 1991, I, 221); *საგაზაფხულო ხორბალი* (დიკა აგრეთვე *ახალთესლი*) (Güldenstädt 1787, I, 399);[30]

ჭან./ლაზ. **დიკ-ა** – *пшеница, хлѣбъ* (Марръ 1910, 139); *ხორბალი* (მაყაშვილი 1949; 1991, 99, 143); ლაზ. **დიკ-ა-შ-მქირ-ი** – *პურის ფქვილი* (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 173); ლაზ. **dik̦-a** – *Weizen, Korn* (Fähnrich 2007, 133); ლაზ. (მ)**დიკ-ა** – *ხორბალი*. მდიკა ფორმაში *მ* შემდგომ განვითარდა (Klimov 1998, 40).

ზემოთ მოცემული ქართველურ ფორმების: **დიØ-არ-**, **დიც-ა-/დიყ-ა-** და **დიკ-ა-** საფუძველზე აღვადგენ საერთო-ქართველურ არქეტიპს ***დჷც-არ-/*დჷყ-არ-**, *რომელიც*, ივ. ჯავახი-

---

[28] „Die Arten von Weizen und Gerste, die in höheren Gebirgsdistrikten, als in *Mthiulethi* und *Chewi* gesäet werden, heißen ***Dika*** und *Achalteßli*; jenet ist Sommerweizen und dieses zweizeilige Gerste" (Klaproth 1814a, II, 259; 1823, 32).

[29] შდრ.: ქართ. **დიყ-ა** (ორბელიანი 1991, I, 222) – *Heracleum spondylium* (ერისთავი 1884, 15); ქართ. **დიყ-ი**; ქვემო ქართლ. **დიყ-ინ-ა**; იმერ. **დიყ-ა**; რაჭ. **მ-დიყ-ი**; ინგილ. **დჷყ, დიყ-ვ-ი**; მეგრ. **დიც-ე** – *Heracleum* (მაყაშვილი 1949; 1991, 24); ქართ. **დიყ-ი** – *მინდვრის მცენარე; მაღალი ბალახი*; მეგრ. **დიც-ი** – *მინდვრის მცენარე* (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 175); ქართ. **dik̦-i**; მეგრ. **di?-e** – *მცენარე Heracleum* (Fähnrich 2007, 134); მეგრ. **დიც-ა** (ძაძამია, ვახანია 2007, II. 330).

„საქართველოში, ფშავ-ხევსურეთში ხალხი სჭამს **დიყას**, რომელიც ყოველთვის ველური მწვანილი ყოფილა. Heracleum spondylium [ანუ **დიყა**], რომელსაც გერმანულად Bärenklau ეწოდება, ველურ ბალახად საძოვრებზე, ტყეებსა და ბუჩქნარებში გერმანიაშიც არის გავრცელებული. ...ამ მცენარეს გერმანიაშიც სჭამენ და გემოთი სასიამოვნოდ ითვლება" (ჯავახიშვილი 1934, II, 223, 224).

[30] „Sommerweizen (Triticum aestivum aristatum, Ime. ***Dika*** auch *Achaltessli*, d.i. Neue saat)" (Güldenstädt 1787, I, 399).

შვილისა (1930, I; 1996, 438-439) და ნ. ბრეგაძის (2004, 108-11, 175, 177) დასკვნების გათვალისწინებით, ***არის ბალახის, თივის, საკვების, ხორბლის, პურის, კვებისა და ჭმევის, ძოვების, მცენარისა და მარცვლეულის ჭამის აღმნიშვნელი საერთო სახელი.*** ამ საერთო სახელისთვის და მისგან განვითარებული ქართველური ფორმებისთვის წარმოვადგენ შემდეგ ფონოლოგიურ მოდელს:

საერთო-ქართვ. *დ̨ც-არ-/*დ̨ყ-არ- > *დიც-არ-/*დიყ-არ- >

$$> \begin{cases} {}^{*}\text{დიც-არ-} > \begin{cases} \text{დიც-აØ-} & \text{(მეგრ.)} \\ \text{დიØ-არ-} & \text{(მეგრ., ლაზ., სვან.)} \end{cases} \\ {}^{*}\text{დიყ-არ-} > \begin{cases} \text{დიყ-აØ-} & \text{(ქართ.)} \\ {}^{*}\text{დიკ-არ-} > \text{დიკ-აØ-} & \text{(ქართ., ლაზ.).} \end{cases} \end{cases}$$

შესაბამისი ლინგვისტური მასალის[31] გათვალისწინებისას ირკვევა, რომ [*ც]/[*ყ] ბგერით ელემენტს #*Ćც̨V-/#*Ćყ̨V- პოზიციაში მეგრულსა და ლაზურში (კერძოდ, ვინურ-არქაბულსა და ათინურში) შეესატყვისება [ც] ლარინგალი ბგერა, რომელიც ხშირად იცვლება [Ø] ან [ი] ან (') ელემენტებით, ხოლო ქართულსა და ლაზურის ხოფურ კილოში შეესატყვისება [ყ] თანხმოვანი, რომელიც ხოფური თქმის მხიგურში ხშირად იცვლება [კ] თანხმოვნით.

ივ. ჯავახიშვილმა (1996, IV, 374-375) და ნ. ბრეგაძემ (2004, 155-158, 174) თავიანთ მონოგრაფიებში წარმოდგენილი მასალის – კულტურის ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ლინგვისტიკის, ბიოლოგიის, უძველესი კალენდრებისა და მითოლოგიის სფეროდან მრავალმხრივი კვლევა-ანალიზით დაადგინეს, რომ **ტერმინი „დიკა“ გამოიყენებოდა არა მარტო *Triticum ibericum*-ის ნათესის აღმნიშვნელად, არმედ – საგაზაფხულო**

[31].Цагарели 1880, II, 24-28; Марръ 1910, XVIII, XX; Кипшидзе 1914, 08 (60); ჩიქობავა 1936, 10, 15; ახვლედიანი 1949, 308-322; 1956, 45, 81-82; ჟღენტი 1953, 58-59; 1956, 133-145; 1960, I, 119-120; Гамкрелидзе, Иванов 1984, I, II; გამყრელიძე 2008, 82-84; კარტოზია 1993, II, 372; ქუთელია 2005, 14, 25, 40, 41, 94-95, 97, 99-100, 101, 109; ქაჯაია 2001, I, 26; მელიქიშვილი 1976, 138-139; მელიქიშვილი და სხვები 2011, 96-98.

ხორბლისა და აგრეთვე ქერის ყველა სახეობისა და ჯიშ-ვარიაციების საზოგადო სახელად.

ზემოთქმულის საფუძველზე გამოვთქვამ შემდეგ ვოსაზრებას: **ზემოთ მოცემული დიარ-, დიც-ა/დიყ-ა და დიკ-ა ფორმების საშუალებით აღდგენილი საერთო-ქართველური ფორმა *დ̣ცარ-ი/*დ̣ყარ-ი აღნიშნავს *ბალახის, თივის, საკვების, კვების და ჭამევის, ძოვების, მცენარისა და მარცვლეულის ჭამის, პურის, საგაზაფხულო ხორბლისა და აგრეთვე საგაზაფხულო ქერის საერთო სახელს.***

7. *ბალახის, თივის, საკვების, თესლის, მარცვლის, მარცვლეულის, ხორბლის, ქერის, ფეტვის, პურისა და ფქვილის* აღმნიშვნელი სახელების აღდგენილი ფორმები და ცალკეული ლექსიკური ერთეულები

ქვემოთ მოცემულია *ბალახის, თივის, საკვების, თესლის, მარცვლის, მარცვლეულის, ხორბლის, ქერის, ფეტვის, პურისა და ფქვილის* აღმნიშვნელი სახელების აღდგენილი და ცალკეული ფორმები სხვადასხვა ენათა ოჯახებისთვის და ცალკეული ენებისთვის:




საერთო-ქართვ. ***də̀ʔr̰-/də̀q̇r̰-** – *ბალახი; თივა; საკვები; კვება; ჭმევა; ძოვება; საგაზაფხულო ხორბალი; საგაზაფხულო ქერი; პური* (იხ. მე-6 პუნქტი);

ინდო-ევროპ. ***d[h]oHnā-, *d[h]oHnáH₂-** – *მარცვალი; პური*; სანსკრ. **dhāná** – *მარცვლეული კულტურები*; ფალავ. **dānag**; სპარს. **dāna** – *თესლი; ფეტვი*; ლიტვ. **dúona** – *პური*; ტოხარ. B **tāno** – *მარცვალი* (Гамкрелидзе, Иванов 1984, II, 873; Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 770); ხეთ. ^{NINDA}**dannaš-**; ლურსმულ-ლუვ. ^{NINDA}**tannaš-** – *პურის სახეობა* (Melchert 1993; 2001, 204); ძვ. ზ.-გერმ. **dinkel, thincil, dinkel**; გერმ. **Dinkel** – *Triticum spelta*; ხეთ. ^{NINDA}**tunik-** – *პური* (Krzysztof 2003, 106); ავესტ. **dānō-karš(a)-** – *მარცვლების მქონე*; სოგდ. **δ'n** – *მარცვალი*; დრავ. ***tiŋ-ay** – *იტალიური ფეტვი* (Witzel 2009, 5, 5[34]);

შუმერ. 𒌓, 𒄑𒌨 **[duḫ, du₈]** – *ნამჯა* (PSD 2005, 53); *ნარჩენი პროდუქტი; პურის გამოცხობა* (Halloran 2006, 29); *ბზე; ჩალა (საქონლის საკვები); ჩენჩო* (Faxvog 2009, 13) > აქად. **ṭuḫḫū(m)** – *ნარჩენი პროდუქტი* (PSD 2005, 53) > **utuḫḫu** – *პური*; ^{NINDA}**u₄-**

duḫ-ḫu-um.šè, ^{NINDA}**ù-duḫ-ḫu-um**, ^{NINDA}**ù-duḫ-um**, ^{NINDA}**ù-tu-ḫu-um**, ^{NINDA}**uṣ-duḫ-um**, ^{NINDA}**ú-tu-ḫu** (CAD 2010, 20, *339*);

სემიტ. ***duḫn-**; აქად. **duḫnu**; ებრ. **dōḥan**; არამ. **dôḥînā**; არაბ. **duḫn-** – *ფეტვი* (Гамкрелидзе, Иванов 1984, II, 873; Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 770);

ძვ. ეგვიპტ.  [**dq**],  [**dq**],  [**dq**],  [**dq**],  [**dq**] – *ფქვილი* (DAEH 2010, 461);

ჩრდ. კავკას. ***dīḳwi** – *მარცვლეულის სახეობა* (Nikolayev, Starostin 1994, 400; Krzysztof 2003, 106; Dolgopolsky 2008, 511); დაღესტნური ენები: თაბასარან. **duḳ**; რუთულ. **dük**; წახ. **diḳ** – *ფეტვი* (Klimov 1998, 40);

A და B ხაზოვანი დამწერლობების ნიშნის  LB*007/*GRA* – *„ხორბლის“* ლოგოგრამის ფონეტიკური მნიშვნელობაა **[di]**, რომელიც რ. შმიტ-ბრანდტმა (Schmitt-Brandt 2002, 101) დაუკავშირა *საგაზაფხული ხორბლის* ქართ.-ზან. **diḳ-** ფორმას (ასევე იხ.: გორდეზიანი 2008, IV, 41; 2007, II, 143; ჩოთალიშვილი 2003, 15).

ზემოთ მოცემული ფორმების საშუალებით აღვადგენ ნოსტრატული ხანის[32] ***də̀ʔr̥-** და ***də̀q̇-** ფორმებს, რომლებიც აღნიშნავს ***ბალახის, თივის, მარცვლისა და მარცვლეულის* საერთო სახელს.**

ა. დოლგოპოლსკიმ (Dolgopolsky 2008, 42, 510, 2190, 2489, 2581: *517*) აღადგინა ნოსტრატული არქეტიპი ***diḳV** – *საჭმელად ვარგისი მარცვლეული, ხილი.*

8. *ქერისა და ხორბლის* კულტივირების კერები და ხანა

ძვ.წ. XVII-VIII ათასწლეულებში ზემო შუამდინარეთსა და ახლო აღმოსავლეთში არქეოლოგები ვარაუდობენ *ველური ქერისა* და *ხორბლის* არსებობას, ხოლო ძვ.წ VIII-VI ათასწლეულებიდან შუამდინარეთში, ახლო აღმოსავლეთში, წინა აზიაში, სამხრეთ კავკასიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და სხვაგან აღმოჩენილია *კულტივირებული ქერისა* და *ხორბლის* ნიმუშები (Nesbitt, Samuel 1996, 60-67; Perrino, Laghetti და სხვ. 1996, 104-105; ბრეგაძე 2004, 14-15, 36-

[32].ერთიანი ნოსტრატული ენის არსებობა თარიღდება ძვ.წ. XV-XII ათასწლეულებით (Bomhard 2008, 149).

38, 43-44, 84, 110, 325-326; ასევე იხ.: Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 566; Гамкрелидзе, Иванов 1984, II, 656-657).

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი (Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 567; Гамкрелидзе, Иванов 1984, II, 658) წერენ, რომ ხორბლის სახეობათა მრავალფეროვნებით განსაკუთრებით გამოირჩევა ამიერკავკასია, სადაც ძველი დროიდან თავს იყრიდა ხორბლის ხმელთაშუა ზღვისა და დასავლეთ აზიური სახეობები და ფორმები. სწორედ ამ ძველი წინა აზიის არეალიდან ხდება ხორბლის გავრცელება და შეტანა ევროპაში (კერძოდ, მცირე აზიიდან ბალკანეთში), სადაც ჯერ კიდევ ნეოლითის პერიოდში აღმოჩნდა ხორბლის რამდენიმე სახეობის ნაშთი. ამ კულტივირებული მცენარის აღმნიშვნელი სიტყვები ვრცელდება თვით მცენარესთან ერთად.[33]

ძვ.წ. VI-V ათასწლეულებში საირიგაციო სისტემის შემოღების შემდეგ შუამდინარეთში შესაძლებელი გახდა *ქერისა* და *ხორბლის* კულტურების მოყვანა (Nesbitt, Samuel 1996, 73), რაც ფიქსირდება ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულისა და II ათასწლეულის დასაწყისის თიხის ფირფიტებზე (Halloran 2011).

ნ. ბრეგაძე (2004, 321) ასაბუთებს, რომ საგაზაფხულო ხორბლის სახეობა *დიკა* ჩამოყალიბდა სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოს მთიანეთში სამიწათმოქმოდო და მეცხვარეობის ათვისების დროისთვის – ძვ.წ. III ათასწლეულისთვის.


ზემოთ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე ვამბობ, რომ *ბალახის, თივის, საკვების, კვების, ჭმევისა* და *ძოვების, საგაზაფხულო ხორბლის, პურის* და აგრეთვე *საგაზაფხულო ქერის* აღმნიშვნელი საერთო სახელი, საერთო-ქართველური ფორმა *დჳყარ-ი/*დჳყარ-ი (> დიარ-ი, დიყ-ა/დიყ-ა, დიკ-ა. იხ. მე-6 და მე-7 პუნქტები) ჩამოყალიბდა პრეაგრარული ხანიდან არაუგვიანეს ძვ.წ. III ათასწლეულამდე. ცნობილია, რომ სწორედ ძვ.წ. III ათასწლეულში დაიწყო საერთო-ქართველური ენობრივი სისტემის დაშ-

[33] „The Transcaucasus is distinguished by its great variety of wheat species, the result of coexistence of numerous Mediterranean and western Asiatic species and strains since ancient times (Vavilov 1959-1965, III.371-372, V.20-32). This early Near Eastern area was the center from which wheat spread and penetrated into Europe (specifically, into the Balkans from Asia Minor: Titov 1966, 26, 27, 36; Renfrew 1969, 152; Zohary 1969, 59), where traces of several species are found as early as the Neolithic (Clark 1952, 108). The terms for the cultivated plant spread together with the plant itself" (Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 567).

ლა ცალკეულ ქართველურ დიალექტებად: სვანურად, ქართულად, მეგრულად და ლაზურად (იხ.: გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 16, 17, 17[1], 18; Гамкрелидзе, Иванов 1984, II, 880[2], 909[3]; Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 777[19]; გამყრელიძე 2008, 86-88).

9. A ხაზოვანი დამწერლობის სილაბოგრამები და იდეოგრამები

A ხაზოვანი დამწერლობის სილაბოგრამები, მარცვლოვანი ნიშნები, რომლებსაც მიწერილი აქვს რიგითი ნომერი და ფონეტიკური მნიშვნელობები, მოცემულია შემდეგ ცხრილში:



A ხაზოვანი დამწერლობის სილაბოგრამები

აქვე აღვნიშნავ, რომ A ხაზოვანი დამწერლობის LA*052 ნიშანი, რომელიც ამ ცხრილშია მოცემული, ემსგავსება კრეტულ იეროგლიფს CH008 „ხელი“ და ფესტოსის დისკოს PHD08 [χə] ნახატ-ნიშანს (იხ. კვაშილავა 2008, 234). ამ მსგავსების მიხედვით, LA*052 ნიშანს ამოვიკითხავ როგორც [χə] მარცვალს. A ხაზოვანი დამწერლობის LA008 და LA044

ნიშნები შესაბამისად ადრე ამოვიკითხე როგორც [a] და [aəa] მარცვლები (იხ. კვაშილავა 2009, 306; 2010, 212); ხოლო სხვა დანარჩენ ნიშნებს, ალგორითმის 5.2.2 წესის (იხ. კვაშილავა 2008, 217) თანახმად, ამოვიკითხავ ისე, როგორც B ხაზოვანი დამწერლობის შესაბამის ნიშანთა ფონოლოგიურ მნიშვნელობას (იხ.: Hooker 1990, 158-159; Chadwick 1987), ოღონდ მცირედი ცვლილებით.


LAB030 [ni] და LAB054 [wa/?wa] სილაბოგრამები A და B ხაზოვან წარწერებში ასევე გამოიყენებიან როგორც იდეოგრამები, რომლებიც სხვა იდეოგრამებთან ერთად მოცემულია შემდეგ ცხრილში:

030	FICUS FIC.	122	OLIVA OLIV.
054	TELA	123	ARŌMA ARO.
065	FARINA FAR.	131a	VINUM VIN.
100	VIR	302	OLEUM OLE.
350	VIR	303	CYPĒROS? CYP.
352	MULIER? MUL.	191	GALEA GAL.

A ხაზოვანი დამწერლობის იდეოგრამები.
ცხრილი შედგენილია: Ventris 1956; Bennett 1963; Palmer 1995; Douros 2008; Everson, Younger 2010-ის მიხედვით

© 2011 გია კვაშილავა

A ხაზოვან წარწერებში მოცემულია *შინაური ცხოველების* იდეოგრამები, აგრეთვე ამ იდეოგრამებისა და LAB037/TI (*მდედრობითი*) ან LAB003/PA (*მამრობითი*) ნიშანთა ლიგატურები, რომლებსაც B ხაზოვანი დამწერლობის შესაბამის ნიშნებთან ერთად წარმოვადგენ შემდეგ ცხრილში:




A და B ხაზოვანი დამწერლობების შინაური ცხოველების იდეოგრამების ვარიანტები.
ცხრილი შედგენილია: Evans 1952, II, 33, 91-93; 137, ცხრ. II: 139, ცხრ. IV; 1935, IV II, 722, 800; Ventris 1956, ცხრ. I; Bennett 1963, 67-73; GORILA 1985, V, *XXXI, XXXII, XLII*, 212, 271; Douros 2008, 26, 29, 30, 38; Anderson, Everson 2001, 6-ის მიხედვით

ამ ცხრილში მოცემული LB021/106, LA021*F*, LAB 023/109 და LAB085/108 ნიშნები, რომლებიც შესაბამისად აღნიშნავენ *ცხვრის, ნერბის, მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა* და *ღორის* იდეოგრამებს, A და B ხაზოვან წარწერებში ასევე გამოიყენებიან როგორც სილაბოგრამები (იხ. ამ პუნქტში მოცემული სილაბოგრამების ცხრილი).

10. *ბალახის, თივის, საკვების, თესლის, მარცვლის, მარცვლეულის, ხორბლის, ქერის, პურის, ძოვების, კვებისა და ჭმევის* აღმნიშვნელი საერთო სახელის იდეოგრამა, კომბინაციები და ლიგატურები A ხაზოვან წარწერებში

A ხაზოვანი დამწერლობის *მარცვლეულის* იდეოგრამებს – LA120/*GRA* და LA120b/*GRA*b ნიშნებს წარმოვადგენ როგორც ლიგატურებს შემდეგ ნახატში:



A ხაზოვანი დამწერლობის LA120/*GRA* იდეოგრამისა და LA021*F*/QI, LA022*M*, LA056/PA$_3$, LA078/QE, LA081/KU, LA051/DU ნიშანთა კომბინაციების ფუნქციებს წარმოვადგენ შემდეგ ცხრილში:

575 120 '021*F*' *ĠṘÁ* 'QI'	*საკვები, რომელიც განკუთვნილია ნერჩისთვის*
576 120 '022*M*' *GRA*	*საკვები, რომელიც განკუთვნილია ვაცისთვის*
577 ' 120' '056' '*GRA*' 'PA$_3$'	*მარცვლეული, რომელიც განკუთვნილია შესანახად*
578 '120' '078' '*GRA*' 'QE'	*მარცვლეული, რომელიც განკუთვნილია პურის გამოსაცხობად*
579 120 '081' *GRA* 'KU'	*მარცვლეული, რომელიც განკუთვნილია ფრინველისთვის*
120 051 *GRA* DU	*მარცვლეული, რომელიც განკუთვნილია ?*

A ხაზოვანი დამწერლობის *GRA* და 021*F*, 022*M*, 056, 078, 081, 051 ნიშანთა კომბინაციები.


A ხაზოვან წარწერებში მოცემულ LA574/120+003/*GRA*+PA ნიშანს, რომელიც არის LA326, LA708/*K* და LA003/PA ნიშანთა ლიგატურა, ვაიგივებ B ხაზოვანი დამწერლობის LB120+072/*GRA*+pe ნიშანთან. ეს უკანასკნელი კი გაიგივებულია LB072-015-120/pe-mo (ან pe-ma) *GRA* ფორმულასთან,[34] რომელიც აღნიშნავს ***სათესლე მარცვლეულს.***

LA120/*GRA* იდეოგრამისა და LA003/PA, LA001/DA ნიშანთა ლიგატურების, აგრეთვე LA120/*GRA* იდეოგრამისა და LA028/I, LA078/QE, LA022*M*, LA131a/*VIN*, LA004/TE, LA038/E ნიშანთა კომბინაციების ფუნქციებს წარმოვადგენ შემდეგ ცხრილებში:

574 120 + 003 *GRA* + PA	*სათესლე მარცვლეული*
517 '028' '120 + 003' 'I' '*GRA* + PA'	*პეშვი სათესლე მარცვლეული*
555 '078' 120 + 003 'QE' *GRA* + PA	*პურის სათესლე მარცვლეული*
573 120 + 001 *GRA* + DA	*მარცვლეული, რომელიც განკუთვნილია საოჯახო მეურნეობისთვის*
004 120 + 001 TE *GRA* + DA	*ხილი, რომელიც განკუთვნილია საოჯახოდ*

© 2011 გია ჯაფარიძე

[34].pe-mo: *spérmo*; pe-ma: *spérma* (σπέρμα) –*თესლი* (DMic 1993, II, 98; Morpurgo Davies, Duhoux 1988, 97).




11. მთელი და წილადი რიცხვები A ხაზოვან წარწერებში

A ხაზოვან წარწერებში მთელი რიცხვები აღინიშნება I, —, O, -⊙- და -⊜- ნიშანთა კომბინაციით. ამ ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობები მოცემულია შემდეგ ცხრილში:


I	1
—	10
O	100
-⊙-	1 000
-⊜-	10 000

მთელი რიცხვები
A და B ხაზოვან წარწერებში.
Evans 1921, I, 646, სურ. 479;
Bennett 1963, 67

ხოლო წილადი რიცხვები მოცემულია შემდეგ ცხრილში:



A ხაზოვან წარწერებში მოცემულია მარცვლეულის საზომი ერთეულები, რომლებსაც წარმოვადგენ შემდეგ ცხრილში:



წილადი რიცხვებისა და საზომი ერთეულების აღმნიშვნელი ნიშნების რიცხვით მნიშვნელობებს მოგვიანოდ წარმოვადგენ ცალკე ნაშრომში.

12. A ხაზოვანი წარწერების ამოკითხვის მაგალითები

ამ თავში საილუსტრაციოდ განვიხილავ რამდენიმე სამეურნეო-ადმინისტრაციული ტიპის წარწერას, რომელიც A ხაზოვანი დამწერლობით არის შესრულებული.

ამ მხრივ საინტერესოა, კ. კრეტაზე, ჰაგია-ტრიადაში აღმოჩენილი, A ხაზოვანი დამწერლობით შესრულებული HT 87 (HM 1309) და HT 117 (HM 1364) თიხის ფირფიტები, რომელთა შესაბამის 1-2 და a.1 სტრიქონებში მოცემულია ფორმა 𐄁𐄀𐄂𐄇 LA080-077-053-004. ამ ნიშნებს, ალგორითმის 5.2.2 წესის თანახმად (იხ. კვაშილავა 2008, 217), ამოვიკითხავ იმ მარცვლებით, როგორც მ. ვენტრისის მიერ არის წაკითხული B ხაზოვანი დამწერლობის შესაბამისი ნიშნები: 𐄁 LB080 [**ma**], 𐄀 LB077 [**ka**], 𐄂 LB053 [**ri**] და 𐄇 LB004 [**te**]. ამრიგად, ფორმა 𐄁𐄀𐄂𐄇 ამოიკითხება როგორც [**ma-ka-ri-te**].

HT 87 (HM 1309)
GORILA 1976, I, 136

HT 87 (HM 1309)
GORILA 1976, I, 137

HT 117 (HM 1364)
GORILA 1976, I, 196, 198

HT 117 (HM 1364)
GORILA 1976, I, 197, 199

𐀅𐀏𐀪𐀲 [ma-ka-ri-te] სიტყვა, როგორც ჩანს, აღნიშნავს პელასგურ სატომო სახელს – **Μάκριας** *მაკრიელს* ან პელასგურ ტოპონიმს – **Μάκρις** *მაკრისს, მაკრიელთა დასახლებას*.

დ. პაკარდმა (Packard 1974, 148) ფორმა 𐀅𐀏𐀪𐀲 [ma-ka-ri-te] დაუკავშირა მიკენური ბერძ. 𐀃𐀍𐀬𐀯 [ma-ki-ro-ne] სიტყვას (იხ.: KN Gg 995; DMic 1985, I, 419), რომელიც, ჩემი აზრით, აღნიშნავს პელასგურ სატომო სახელს – **Μάκρωνες** *მაკრონებს* (იხ. მე-2 პუნქტი).

აკ. ურუშაძის (1964, 136-139) მიხედვით, **Μάκρ-ων-ες**-ის უძველესი ვარიანტია მრ.რ.-ის ფორმა **Μακρ-ι-εῖς** (მხ.რ. ***Μακρ-ι-εύς** < **Μάκρ-ι-ς**), რომელიც მიიღება **Μακρ-ι-έες**-იდან.

ცნობილია, რომ ზან. ***მ-ა-გრ-ალ-ეფ-ი** *მეგრელები* ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება ბერძნ. ფორმა **Μ-ά-κρ-ων-ες**: ზან. პრეფიქსული ნაწილი ***მ-** და ზან. ***აგრ-** ძირის [***ა**] ხმოვანი ბერძნულში პირდაპირ არის **Μ-ά** სახით გადატანილი; ზან. კომპლექსი ***გრ** > ბერძნ. **κρ**;[35] ზან. ***მ-...-ალ** წარმომავლობის მაწარმოებელი ცირკუმფიქსის სუფიქსური ელემენტი ***-ალ** და ზან. მრ. რ.-ის ნიშანი ***-ეფ** (შდრ.: Климов 1964, 132, 124; Klimov 1998, 112; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 184-185, 313) შესაბამისად თარგმნილია როგორც ბერძნული **-ων-** სადაურობის სუფიქსი (Brugmann 1900, 187 და შმდ.) და **-ες** მრ. რ.-ის სახ. ბრ.-ის ნიშანი.

ეს შესატყვისობა მოცემულია შემდეგ სქემაში:

ზან.	*მ	-	ა	- გრ	- ალ	- ეფ	- ი
	|		|	|	|	|	|
ბერძნ.	**Μ**	-	**ά**	- **κρ**	- **ων**	- **ες**	- **Ø**

მრავალ ბერძნულ წყაროზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილის (1913, 29), არნ. ჩიქობავას (1936, 3-4), ი. მეგრელიძის (Мегрелидзе 1938, 67), ს. მაკალათიას (1941, 13), ს. ყაუხჩიშვილის (1964, 18), ს. ჯანაშიას (1959, 6, 193), აკ. ურუშაძის (1964, 130-131, 136-139, 166, 321) და ჩემ მიერ (კვაშილავა 2009, 303-

[35].შდრ. ქართ.-ზან. **ეგრ-ის-** (ზან. ***აგრ-იშ-ი/*არგ-იშ-ი** – *არგ-ის ქვეყანა*): ბერძ. **Ἐκρ-ιτ-ικ-ή** < ***Ἐγρ-ισ-ικ-ή** ფუძეს (ურუშაძე 1964, 137; აგრეთვე იხ. კვაშილავა 2009, 304-305).

305) გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, ვამბობ, რომ მინოსური [ma-ka-ri-te/ma-ga-ri-t^{h}e] = ზან. *მ-აგრუ-ეთ-ი[36]; მიკენ. ბერძ. [ma-ki-ro-ne] = ძვ. ბერძნ. **M-άκρ-ωv-ες** იდენტურია ზან. *მ-აგრ-ალ-ეფ-ი – *მეგრელები*; ზან. *მ-აგრ-იშ-ი იგივეა ძვ. ბერძნ. **M-άκρ-ις** – *მაკრისი*.

მე-9 პუნქტში მოცემული სილაბოგრამების ცხრილის მიხედვით, HT 87 (HM 1309) თიხის ფირფიტის წარწერაზე ამოვიკითხავ შემდეგ ფორმებს: [qi-tu-ne/kə-tu-ne]; [ja-re-mi/əa-re-mi]; [di-ki-se/di-ki-še] (შდრ. Nagy 1963, 191); [qe-su-pu/ke-šu-pu] და [ku-ru-ku/k^{h}ə-ru-k^{h}ə], რომლებიც აღნიშნავს ანთროპონიმებს. ამ უკანასკნელის მსგავსი ანთროპონიმი [ku-ru-ka] დასტურდება B ხაზოვან დამწერლობით შესრულებულ KN Vc 5510 კნოსოსის თიხის ფირფიტაზეც (DMic 1985, I, 408).[37] ამ ანთროპონიმების მსგავსი კოლხური (მეგრული) სახელებია: **კიტილი, კიტული, კუტულე, კუტურე, ხიტუნია, ხუტინია, ხუტუნა, ხუტუნია**; **ერემი, ურემია, ურმა, ურუმი, ურუმია**; **კუსუვე**; **კირიკია, კურუკია, კურგკია, კგრგკია, ქურუქუ, ქურქუ** (ჭანტურია 1940; 2006, 33, 43, 45, 46, 64, 69, 71, 85, 86); **კატენია, კიტულია, კიტუნია, კუტურია, კუტურუა, ქუთულა, ქუთუნია, ხიტინა, ხუტუნია**; **იარი** (ღლონტი 1986, 140, 145, 150, 209, 244, 246, 133); **იარე** (მეტსახელი); **ყიტა** (მეტსახელი); სვან. **დიკაშ**; ფშავ. **კატინე** (ღლონტი 1986, 113,


---

[36].ლეონტი მროველთან (XI ს.) დასტურება ზემო იმერეთის ძველი სახელწოდება: **მ-არგვ** (**მ-არგუ-ეთ-ი, არგუ-ეთ-ი, მ-არგუ-ელ-ი**, სადაც **მ-** არის პრეფიქსი, **-ელ** წარმომავლობის მანარმოებელი სუფიქსი და **-ეთ** – ტოპონიმთა საწარმოებელი სუფიქსი. იხ.: შანიძე 1973, 127, 138; გორდეზიანი 2007, II, 446).

შდრ. **არგუ-ეთ-ი**: **აგრ-ა-ი** – *სოფელი მესტიის რ-ნში*; **არგე-ეთ-ა** – *სოფელი ზესტაფონის რ-ნში*; **არგე-ეთ-ი** – *1. სოფელი საჩხერის რ-ნში; 2. მთა ხულოს რ-ნში, ტაბახმელისწყლისა და სხალთის წყალგამყოფ ზე*.

[37].A და B ხაზოვან წარწერებში ამოკითხული ანთროპონიმების შედარებასა და იდენტიფიკაციას თანამედროვე ქართულ მასალასთან ვახდენ ალ. ღლონტის „ქართველური საკუთარი სახელებისა“ (1986) და აკ. ჭანტურიას „მეგრული სახელების და გვარების“ (2006) ლექსიკონებში მოცემულ მასალაზე დაყრდნობით. ვეცადე შესაბამისი მასალა სრულად წარმომედგინა. ქვემოთ ყველგან საკუთარი სახელები მოცემულია ისე, როგორც ავტორებს აქვთ წარმოდგენილი.

279, 133, 216) და სხვა. ზოგი ამ ანთროპონიმთაგანი საალერსო/კნინობითი საკუთარი სახელია (შდრ. შანიძე 1973, I, 120-122).


HT 87 (HM 1309) თიხის ფირფიტაზე ასევე ამოვიკითხავ  **[pi-ta-aəa-si/p^{h}i-ta-aəa-ši]** ფორმას. ამ სიტყვის შემადგენელი ნაწილებია: ანთროპონიმი  **[pi-ta-ja/p^{h}i-ta-əa]**, რომელიც ამავე ფორმით ასევე დასტურდება HT 6 (HM 8) ფირფიტის a.2 სტრიქონშიც; ხოლო სუფიქსი **-si/-ši** პროტო-ქართველურ-კოლხურში არის ნათ. ბრ.-ის ნიშანი (შდრ.: Klimov 1998, 83; Климов 1964, 103; Марръ 1910, 11; Кипшидзе 1914, 020 (72); ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 257). **[pi-ta-ja/p^{h}i-ta-əa]** ანთროპონიმის კოლხური (მეგრული) ვარიანტებია **ფიტიე, ფიტა, ფიტი** (ჭანტურია 2006, 67); ასევე სახელი **პიტია** (ღლონტი 1986, 293). ამდენად, აღნიშნულ ანთროპონიმს **[pi-ta-aəa-si/p^{h}i-ta-aəa-ši]** შეესატყვისება **პიტაია-ს-ი/ფიტაია-ს-ი.**

რაც შეეხება ფორმას  **[a-ra-.-a-tu]**, რომელშიც რიგით მე-3 სილაბოგრამა ნაშლილია, ეს სრული სახით ვერ ამოიკითხება. ვვარაუდობ, რომ ეს ფორმაც აღნიშნავს ანთროპონიმს.

როგორც HT 87 (HM 1309) ფირფიტიდან ჩანს, წარწერაში მოცემულ **[qi-tu-ne/kə-tu-ne]** და **[ma-ka-ri-te/ ma-ga-ri-t^{h}e]** ფორმებს უშუალოდ მოსდევს „განკვეთილობის" ნიშანი – ერთწერტილი (იხ. კვაშილავა 2008, 212-216).

A ხაზოვანი დამწერლობის სილაბოგრამების ცხრილიდან (იხ. მე-9 პუნქტი) ჩანს, რომ CCV ტიპის მარცვალი ხშირად იწერება CVCV სახით, ისევე როგორც B ხაზოვან დამწერლობაში.

ამ კანონზომიერებისა და ზემოთ მოცემული მასალის გათვალისწინებით, HT 87 (HM 1309) თიხის ფირფიტაზე მოცემულ წარწერას



HT 87 (HM 1309)
GORILA 1976, I, 137

ამოვიკითხავ შემდეგნაირად:

HT 87 (HM 1309)			
სტრიქონი	ანთროპონიმი	ტოპონიმი	რიცხვი
1-2	qi/kə-tu-ne ▪	ma-ka-ri-te/ma-ga-ri-t^{h}e ▪	
2	pi-ta-aəa-si /p^{h}i-ta-aəa-ši *GEN* *GEN*		1
3	ja/əa-re-mi		1
3	di-ki-se/še		1
4	qe-su-pu/ke-šu-pu		1
4	ku-ru- ku /k^{h}ə-ru-k^{h}ə		1
5	a-ra-[.]-a-tu		1

GEN. – ნათ. ბრ.
▪ – განკუთვილობის ნიშანი


© 2011 ბაია ლომსაძე

ამ მასალას გადმოვიტან შემდეგი სახით:
„ყიტუნე/კიტუნე მაკრიტე/მაგრითე*[დან]*
პიტაიასი/ფიტაიაში – 1
იარემი – 1
დიკიშე – 1
ყეშუპუ/კეშუპუ/ქეშუპუ – 1
კურუკუ/ქურუქუ – 1

არა[.]ატუ – 1".

ამ წარწერასთან დაკავშირებით ჯ. იანგერიც (Younger 2000-2011) ფიქრობს, რომ აქ დასახელებულია ანთროპონიმები და ეთნონიმი.

HT 87 (HM 1309) ტექსტში მოცემული ფორმები 𐀏𐀳𐀴 [qi-tu-ne/kə-tu-ne], 𐀅𐀘𐀍𐀂 [ma-ka-ri-te/ma-ga-ri-t^{h}e] და 𐀃𐀁𐀯 [di-ki-se/di-ki-še] ასევე დასტურდება HT 117 (HM 1364) თიხის ფირფიტის წარწერაშიც:



ამ და სხვა თიხის ფირფიტების HT 9a.6,b.6 (HM 13); HT 11a.3,b.5-6 (HM 29); HT 13.7 (HM 7); HT 25b.2,b.4 (HM 34); HT 27a.7 (HM 36+53); HT 88.6 (HM 1312); HT 89.4 (HM 1313); HT 94a.3,b.3 (HM 1316); HT 100.3 (HM 1306); HT 102.5 (HM 1310); HT 104.5 (HM 1317); HT 109.3 (HM 1333); HT 110.a.3 (HM 1319); HT 116b.1 (HM 1361); HT 118.5; HT 119.5 (HM 1362); HT 122a.8;b.5 (HM 1366); HT 123a.7-9,b.6 (HM 1367); HT 127b.4,7; PH(?) 31a.4 (HM 1609); ZA 15b.2 (HM 1627) სტრიქონებში (იხ.: GORILA 1976-1985, I-V; Younger 2000-2011) მოცემული ფორმა 𐄁𐄂 [ku-ro], სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ.: Evans 1952, II, 16, 52; Palmer 1995, 136, 137; Duhoux 1998, 19-20; Gordeziani 2000, 117; Schoep 2002, 160-162; Younger 2003a, 309, 309[12]; ჩოთალიშვილი 2003, 99-101; გორდეზიანი 2007, II, 211; Montecchi 2009, 33, 38) გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, არის *„ჯამის“*, *„შეჯამების“* (*'total'*) ოპერაციის აღმნიშვნელი ტერმინი, ხოლო HT 122b.6 (HM 1366) და HT131b.4 (HM 1372) თიხის ფირფიტებზე დასტურდება 𐄇𐄀𐄁𐄂 [po-to-ku-ro][38] – *„საერთო ჯამი“* (*'grand total'*: Palmer 1995, 136; Schoep 2002, 163; Younger 2000-2011; Younger 2003a, 309[12]; *'totale complessivo'*: Facchetti 2008, 314).

ქვემოთ წარმოვადგენ 𐄁𐄂 [ku-ro][39] ფორმის შესაბამის ქართველურ მასალას:

საერთო-ქართვ. *ḳar-/*ḳr- – *შეკვრა* (Klimov 1998, 86);

---

[38]. ქართ., მეგრ., ლაზ. ფართო > *ფორთო = 𐄇𐄀 [po-to]. ამ ფორმაში -CCV- ტიპის მარცვალი იწერება -CV- სახით, მსგავსად ისე, როგორც B ხაზოვან წარწერებში. მაგ., 𐄃𐄂𐄁 [a-ku-ro] = ბერძნ. "αργύρος, რომლის -CCV- ტიპის -ργυ- მარცვალში ამოვარდება /ρ/ თანხმოვანი, ხოლო ბოლოკიდური /ς/ თანხმოვანი, როგორც წესი, არ იწერება.

[39]. შდრ. ფორმა 𐄁𐄂 [ku-ro]: ეტრუსკული **χuru** – *სრული; ყველა*; სემიტ. *kull- – *ყველა* (Packard 1974, 26); *მთლიანობა/ერთიანობა; ყველა* (Aartun 1992, 66, 66[380]); პროტო-ინდო-ევროპ. ***k**[hi]**el-** – *ბორბალი; ბრუნვა* (Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 190, 621, 622); შუმერ. **gúr** – *სფერო; წრე; რგოლი* (PSD 2005, 94; Halloran 2006, 41; აგრეთვე იხ.: Facchetti 2001, 8-9; 1999, 123; ჩოთალიშვილი 2003, 100; კვაშილავა 2010, 161[1]).

ქართ. ḳar-/ḳr-: შე-ვ-კარ; კრ-ვ-ა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 263); შდრ. ძვ. ქართ. შე-კურ-ა – *შეკვრა* (შოთა რუსთაველი 1712, 1937, 1975, *255*);

მეგრ. ḳir-/ḳər-: კირ-უ-ა/კგრ-უ-ა – *კონა; შეკვრა* (Кипшидзе 1914, 258 (462); ქაჯაია 2002, II, 150);

ლაზ. ḳor-/ḳir-: ო-კორ-უ/ო-კირ-უ – *შეკვრა* (Марръ 1910, 157);

საერთო-ქართვ. *ḳar- > ზან. *ḳor- > ლაზ. ḳor-; ლაზურის ხოფური დიალექტი ḳor- > *ḳur- > ḳir; მეგრ. *ḳor- > *ḳur- > ḳir- (ჩიქობავა 1938, 295; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 263);

საერთო-ქართვ. *ḳal- – *კონა* (ჩუხუა 2000-2003, 119);

მეგრ. ḳir-/ḳər-/ḳil-/ḳəl-: კილ-ი (კილ-ს, კირ-ს), კგლ-ი – *კონა; ძნა* (ქაჯაია 2002, II, 140);

სვან. ḳäl/ḳal – *ფთილა* (ჩუხუა 2000-2003, 119).

HT 117 ფირფიტის a.1-2 სტრიქონში გამოყენებულია ფორმულა 𐄁𐄂 . 𐄀𐄇𐄂𐄃 [**ki-ro . u-mi-na-si/ši**]. აღნიშნული ფორმა 𐄁𐄂 [**ki-ro**], რომელიც ასევე დასტურდება თიხის ფირფიტების HT 1.1-2 (HM 3); HT 15.4 (HM 16); HT 30.4 (HM 14); HT 34.6 (HM 22); HT 37.5 (HM 31); HT 88.4 (HM 1312); HT 94b.1 (HM 1316); HT 123+124a.1-8,b.6 (HM 1367+1371) სტრიქონებშიც (იხ. GORILA 1976-1985, I-V; Younger 2000-2011). ეს ფორმა აღნიშნავს „*ვალს*“ (Hooker 1975; Duhoux 1998, 19), „*დეფიციტს*“ (Younger 2000-2011; შდრ.: Furumark 1976; Facchetti 2002), „*ბალანსს*“ (Younger 2003a, 309[13]), „*ნაკლებობას*“ (გორდეზიანი 2007, II, 188; ჩოთალიშვილი 2003, 102), „*კლებას*“, „*დაკლებას*“, „*დანაკლისს*“, „*ჩამოჭრას*“, „*გადასახადს*“, „*დავალიანებას*“, „*გასავალს*“, „*წუნს*“, „*ნაკლს*“.[40]

---

[40]. 𐄁𐄂 [**ki-ro**] ფორმასთან მნიშვნელობით გაიგივებულია მიკენ. ბერძნ. (B ხაზოვანი) 𐄁𐄃𐄂 [**o-pe-ro**] (ὀφειλή) – *დავალიანება, დეფიციტი; ვალი* (შდრ.: Ventris, Chadwick 1973; Hooker 1990, 164; Chadwick 1987; 1971, 121; Palmer 1995, 136[16]; Rougemont 2004, 20, 23, 27).

ქვემოთ ნარმოვადგენ 𐀁𐀠 [ki-ro] ფორმის შესაბამის ქართველურ მასალას (ასევე იხ.: ჩიქობავა 1938, 296; Schmidt 1962, 119; Fähnrich 2007):

საერთო-ქართვ. *ḳel-/*ḳl- – *კლება, დაკლება* (Klimov 1998, 89);
ქართ. ḳel-/ḳl-: და-კლ-ე-ბა, და-ვ-ა-კელ-ი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 268);
მეგრ. ḳal-: კალ-იფ-უ-ა – *დაცარიელება* (ქაჯაია 2002, II, 103); *ხის გადაჭრა ტოტებზე*. *ჩამოკაფვა* (ჩუხუა 2000-2003, 122); *ჩამოჭრა*;
სვან. ḳl-: ლი-კლ-ი – *დაკლება* (Klimov 1998, 89; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 268);

მეგრ. ḳor-/rḳ-: ო-კორ-დგ – *აკლდება*; რკ-ებ-ა – *კლება* (Кипшидзе 1914, 307-308, (511-512));

საერთო-ქართვ. *ḳil- – *ნაკლი*;
ქართ. ḳil-: კილ-ი – *მცირე რამ წუნი* (ორბელიანი 1991, 372), *მცირე ნაკლი*;
მეგრ. ḳir-/ḳər-/ḳil-/ḳəl-: კილ-ი (კილ-ს/კირ-ს), კგლ-ი (კგლ-ს/კგრ-ს) – *ნაკლი, წუნი* (ქაჯაია 2002, II, 140);
სვან. ḳil-: კილ – *ნაკლი, წუნი* (Fähnrich 2005, 61).

ასევე დასტურდება HT 28 (HM 51) ფირფიტის b.1-2 სტრიქონში ფორმა 𐀀𐀪𐀨𐀯 [u-mi-na-si/ši], რომელშიც u- არის უარყოფის ნაწილაკი, *mi-na > ზან. მინო > მეგრ. *მინუ > მინგ/მინი – *„(გარედან) შიგნით“* (შდრ.: Кипшидзе 1914, 280 (484); ქაჯაია 2002, II, 278) და სუფიქსი -si/-ši – ნათ. ბრ.-ის ნიშანი. 𐀀𐀪𐀨𐀯 [u-mi-na-si] ფორმას ჯ. იანგერი (Younger 2000-2011) მიიჩნევს როგორც „ვალს“, „დავალიანებას“. ამრიგად, ფორმულა 𐀁𐀠 . 𐀀𐀪𐀨𐀯 [ki-ro . u-mi-na-si/ši] შეიძლება ნიშნავდეს „შემოუტანელის კლებას“ ან „გასავალს“.

HT 117 ფირფიტის a.7 სტრიქონში მოცემულ ფორმას 𐀆𐀆𐀉𐀇 [ku-ku-da-ra] დ. პაკარდმა (Packard 1974, 146) დაუკავშირა KN Sd 4403 და KN Fh 5465 ფირფიტებზე შესაბამისად მოცემული

მიკენური ბერძნული სიტყვები – 𐀒𐀍𐀊 [ko-ki-da] და 𐀒𐀍𐀊𐀵 [ko-ki-de-jo], რომლებიც ო. ლანდაუმ (Landau 1958, 72), ს. ჰილერმა (Hiller 1991, 214) და სხვებმა ამოიკითხეს როგორც **Κολχίδας** – ***კოლხიდა***, **Κολχίδειος** – ***კოლხიდელი*** (შდრ.: გორდეზიანი 1999, 100; 2007, III, 470; გორდეზიანი 2009, 76, 76[7], 77).

ცნობილია, რომ [o] ხმოვნის შემცველი ძირების რაოდენობა ქართველურში მცირეა; /***o**/ ფონემის ხმარების სფერო ქართველურში მეტად შეზღუდული უნდა ყოფილიყო (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1964, 146). ასევე იშვიათია [o] ხმოვნის ხმარება ფესტოსის დისკოსა (იხ. კვაშილავა 2008, 222) და A ხაზოვან წარწერებში. რაც დამატებით კიდევ მხარს უჭერს A ხაზოვანი წარწერების პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე ამოკითხვის მართებულობას. ასევე ცნობილია, რომ A და B ხაზოვან დამწერლობებში L-რიგის სილაბოგრამები არ არის წარმოდგენილი. აკ. შანიძის (Шанидзе 1916, 366-368) მიხედვით, აღდგება წარმომავლობის სუფიქსი ზან. ***-ar** > მეგრ., ლაზ. **-ar**, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ქართული სუფიქსი -ელ (შდრ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1964, 76[3]). იგი მიუთითებს, რომ **-არ** სუფიქსი გამოიყოფა **ოპიზ-არ-** ტიპის ფუძეებში (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 187). აქედან გამომდინარე, A ხაზოვან წარწერაში 𐀓𐀍𐀊𐀗 [**ku-ku-da-ra**] სიტყვას ამოვიკითხავ როგორც **კულხუდარა/კოლხოდარა**. ზან. ***კოლხოდ-არ-** ანუ მეგრ., ლაზ. **კოლხიდ-არ-** (რომლის თავკიდურ მარცვალში ზან. [***o**] ხმოვანს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ., ლაზ. [**o**], ხოლო მომდევნო მარცვალში ზან. ***o** > მეგრ., ლაზ. ***u** > **i**. შდრ.: გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 158; გუდავა 1960, 119) – ***კოლხიდელი***.

ამრიგად, HT 117 ფირფიტას ამოვიკითხავ შემდეგნაირად:

HT 117 (HM 1364)

სტრიქონი	ტრანსკრიპცია	ინტერპრეტაცია	ანალიზირებული	კომენტარები	რიცხვი
a.1-2	ma-ka-ri-te/ma-ga-ri-tʰe • ki-ro • u-mi-na-si/ši •	GEN			
a.2			u-su/šu		1
a.2			mi-tu/tʰu		1
a.2-3			ku-ra-mu		1
a.3			ma-ru		1
a.3			ku/kʰe-pʰaə-nu		1
a.3-4			tu/tʰu-ju-ma		1
a.4			u-di-mi		1
a.4-5			mi-ru-ta-ra-re		1
a.5			te/tʰe-ja-re		1
a.5			na-da-re		1
a.6	ku-ro				10
a.7			sa-ta/ša-tʰa •	ku-ku-da-ra SUF	1
a.7-8			ko-sa-ṭi/ko-ša-ḷ-tʰi		1
a.8			da-mi-nu		1
a.8-9			da-ne-ku-ti		1
a.9			ki-da-ro		1
b.1			qi/ke-tu-ne •	ku-re-ju	1
b.2			di-ki-se/še		1
b.3-9	vacat				

• - განკვეთილობის ნიშანი SUF. - სუფიქსი
GEN. - ნათ. ბრ.

ამ მასალას წარმოვადგენ შემდეგი სახით:

„მაკრიტე/მაგრითე[დან] კირო უმინასი/უმინაში *(„შემოუტანელის კლება“ ან „გასავალი“).*

უსუ/უშუ – 1
მიტუ/მითუ – 1
კურამუ – 1

მარუ – 1
კუფაგნუ/ქგფაგნუ – 1
ტუჲუმა/თუჲუმა – 1
უდიმი – 1
მირუტარარე – 1
ტეჲარე/თეჲარე – 1
ნადარე – 1
კურო *(„ჯამი“)* – 10

სატა/სათა/შატა/შათა კულხუდარა *(კოლხიდელი)* – 1
კოსაიტი/კოშაითი – 1
დამინუ – 1
დანეკუტი – 1
კიდარო – 1
ყიტუნე/კიტუნე კურეჲუ – 1
დიკისე/დიკიშე – 1“.

ამ წარწერაში მოცემული ანთროპონიმები: 𐄁𐄂 **[sa-ta/ša-t^{h}a]** ასევე დასტურდება HT 42.1 [+] 59 (HM 46+42) ტექსტში, 𐄀𐄂𐄂 **[ki-da-ro]** – HT 47a.4 ტექსტში, 𐄃𐄇𐄇 **[ku-paə-nu/k^{h}ə-paə-nu]** – HT 1.3-4 (HM 3), HT 3.6 (HM 5), HT 49a.6-7 (HM 55), HT 88.5 (HM 1312), HT 122a.6,7 (HM 1366) და PH (?) 31a.3 (HM 1609) თიხის ფირფიტების A ხაზოვან წარწერებზეც. მსგავსი ანთროპონიმი 𐄃𐄇𐄎 **[ku-pa$_{3}$-ni]** ასევე დასტურდება B ხაზოვან დამწერლობით შესრულებულ TH Z 844 და TH Z 848 ვაზებზეც (DMic 1985, I, 416; DMic^{2}; Younger 2000-2011).

HT 117 (HM 1364) ტექსტში მოცემული ანთროპონიმები 𐄁𐄆𐄇 **[da-mi-nu]** და 𐄀𐄂𐄂 **[ki-da-ro]** ასევე შესაბამისად დასტურდება KN Da 1116 და KN E 842 ფირფიტების B ხაზოვან წარწერებშიც: 𐄁𐄉𐄎𐄍 **[da-mi-ni-jo]** როგორც ანთროპონიმი; ეთნონიმი; ტოპონიმი და 𐄀𐄂𐄂 **[ki-da-ro]** – ანთროპონიმი (Younger 2000-2011).

HT 117 (HM 1364) თიხის ფირფიტის b.1 სტრიქონში ჩაწერილია ფორმა 𐄃𐄌𐄈 **[ku-re-ju]**[41] *„ვაჟი, ბიჭი“* (შდრ. გორდეზი-

---

[41].შდრ. 𐄃𐄌𐄈 **[ku-re-ju]**: სვან. ყლაჟ – *(ცუდი) ბიჭი* (გორდეზიანი 2007, II,

ანი 2007, II, 199-200), რომელსაც ემსგავსება KN B 164 ფირფიტის B ხაზოვან ტექსტში მოცემული სიტყვა 𐀏𐀪𐀵 **[ku-re-we]** – ***Κουρήϝες > Κουρῆτες** – *კურეტები*,[42] *„მეომარი ტომი"* (შდრ. კვაშილავა 2007, 218).


HT 117 (HM 1364) ტექსტში მოცემული ანთროპონიმების მსგავსი კოლხური (მეგრული) სახელებია: **უშუ; კიპა; ტუმუია; უდუნია, უდუია; ტერე, ტურიე, ტურუ; კოშია; დომე, დემია; დანე; კუტი** (ღლონტი 1986, 198, 144, 195, 196, 193, 299, 147, 148, 266, 111, 150); **უსა, უშა; მითა, მითაია, მგთგ, მგთე, მიტა, მიტი; კგპა, კგპაია, კიაპა, კიაპაია, ქუფა, ქგფა; ტუი, ტუია; თუმა, თგმუ, თგმე; თუმუნია; უდი, უდუ, უდუია; მირუ, მირო; შატა; თეურა, ტერი, ტერია, ტერიე; სატუ, სატუია; კოსია; დამე; დანაყეა, დანაყეი, დანაცეი, დანაცე, დანიკია; კორუ, კურუ, კურიე, კუროია, კურუია** (ჭანტურია 2006, 50, 51, 46, 71, 43, 38, 63, 65, 38, 64, 51, 74, 37, 63; 60, 44, 30, 45); ასევე საკუთარი სახელებია: **კუპა** (მეტსახელი); **თუია** (მეტსახელი); **ტერო** (სვან.); **მიროტა; ნადარა; შათა** (გურ.), **სათა** (სვან.); **კოჭატა** (მეტსახელი); **კოჭია** (მეტსახელი); **დამი** (სვან.); **დამანა; დემინა** (რაჭ.); **დომენი; კუდარო** (რაჭ. მეტსახელი); **კუდურა** (ფშავ.); **კურია** (თიან.) (ღლონტი 1986, 149, 132, 299, 163, 168, 307, 183, 148, 110, 112, 114, 149) და სხვა. ზოგი ამ ანთროპონიმთაგანი არის საალერსო/კნინობითი სახელი.

ამ ტექსტში ჩაწერილი ანთროპონიმი 𐀓𐀨𐀴 **[qi-tu-ne/kə-tu-ne]** ასევე დასტურდება HT 7 (HM 10) თიხის ფირფიტის b.1 სტრიქონშიც:

---


189); მეგრ., ლაზ. **სქირ-ი/სკირ-ი** – *ვაჟიშვილი* (ჩიქობავა 1938, 21; Марръ 1910, 184); *ძე*; *მემკვიდრე* (ქაჯაია 2002, II, 607, 625).

[42].შდრ. **კურატ-ი** (ფშავ., გუდამაყრ., ქიზიყ.) – *უღელდაუდგმელი ხარი, რომელიც სამსხვერპლოდაა შენირული; შენირული მოზვერი, ზოგჯერ ადამიანსაც აღუთქვამენ კურატად, უმთავრესად ბავშვს* (ღლონტი 1984, 315).



HT 7 (HM 10)
GORILA 1976, I, 14

ეს წარწერა, GORILA-ს მიხედვით, მოცემულია შემდეგი სახით:



HT 7 (HM 10)
GORILA 1976, I, 15

აქ ☉Λ ფორმას უშუალოდ მოსდევს „განკვეთილობის“ ნიშანი – ერთწერტილი და 𐄁 LA100/*VIR მამაკაცის* იდეოგრამა. წარწერაში ჩამოთვლილია ანთროპონიმები, რომლებსაც, მე-9 პუნქტში მოცემული სილაბოგრამების ცხრილის მიხედვით, ამოვიკითხავ შემდეგნაირად:

HT 7 (HM 10)			
სტრიქონი	ანთროპონიმი	იდეოგრამა	რიცხვი
a.1	qe-ti/ke-t^{h}i ▪	*VIR*	
a.2	i-ru-ja/ǝa		3
a.3	du-ja/ǝa		4
a.4	ta-na-ti		1
a.4-5	da-re		1
a.5	te-tu		1
b.1	qi/kǝ-tu-ne		1
b.2	da-ru-*329		2
b.3-4	*vacant*		
▪ – განკვეთილობის ნიშანი			


© 2011 გია კვაშილავა

ეს მასალა გადმომაქვს შემდეგი სახით:
„ყეტი/კეტი/კეთი „(იდეოგრამა) მამაკაცი"
ირუია – 3
დუია – 4
ტანატი – 1
დარე – 1
ტეტუ – 1
ყიტუნე/კიტუნე – 1
დარუ-*329 – 2".

ასევე სხვა თიხის ფირფიტებზეც, რომლებიც A ხაზოვანი წარწერებითაა შესრულებული, შესაბამისად დასტურდება ანთროპონიმები: 𐀓𐀍𐀫 [**ta-na-ti**] – HT 10b.4 (HM 18), HT 49a.2 (HM 55) და HT 98a.2 (HM 1331); 𐀕𐀹 [**da-re**] – HT 10a.2,b.1 (HM 18), HT 85a.5 (HM 1311), HT 122b.4 (HM 1366) და PK 3a.2; ხოლო 𐀺𐀼 [**te-tu**] დასტურდება HT 13.3 (HM 7) და HT 85b.2-3 (HM 1311) ტექსტებში (შდრ. Younger 2000-2011). ანთროპონიმი 𐀓𐀹𐀫 [**ta-na-ti**] ასევე მოცემულია KN Uf 311 თიხის ფირფიტის B ხაზოვან წარწერაშიც (DMic 1993, II, 312; Younger 2000-2011).


კეტი (სვან.), **დარე** (თუშ.) (ღლონტი 1986, 141, 266) და **ტეტუ** (მეგრ.) (ჭანტურია 1940; 2006, 63) დასტურდება როგორც ქართველური საკუთარი სახელები. ცხადია, ამგვარი კოლხური (მეგრული) ანთროპონიმებია: **ქეთე, ქეთეია, ქეთუ, ხეთუ, ხეტე, ხეტუ; ირი; დია, დიო; ტანტუ; დარუ, დარუა; ტეტი** (ჭანტურია 1940; 2006, 30, 31, 39, 62, 63, 69, 83, 84); **დარა** (ღლონტი 1986, 111, 265). ასევე საკუთარი სახელებია: **ქეთა** (სვან.); **დუი** (მეტსახელი, ქსნის ხეობა); **დარი** (სვან.); **თანათე** (მთიულ.); **ტეტა, ტეტო, ტეტუა, ტეთია, თეთუ** (სვან.) (ღლონტი 1986, 304, 115, 111, 274, 130, 193, 275) და სხვა.

განვიხილავ HT 35 (HM 24) თიხის ფირფიტის წარწერას:



HT 35 (HM 24)
GORILA 1976, I, 66

ეს წარწერა, GORILA-ს მიხედვით, წარმოდგენილია შემდეგი სახით:



HT 35 (HM 24)
GORILA 1976, I, 67

რომლიდან ამოვიკითხავ შემდეგი სახის სასოფლო-სამეურნეო ტიპის ტექსტს:


HT 35 (HM 24)					
სტრიქონი	ანთროპონიმი	სამეურნეო იდეოგრამა	პროდუქცია ლიგატურა	მთელი რიცხვი	წილადი რიცხვი
.1	ti-ti-ku ▪	LA326 ▪			
.1-2	i-ku-ta	LA303 grain?/CYP?		1	
.2			LA550 = LA 073+057+026 MI + JA + RU		LA702/B
.2			LA614 = LA302+053 OLE + RI		LA702/B
.2		LA308			LA702/B
.3			LA615 = LA302+059 OLE + TA	[	]
.3		LA038/E		5	
.3			LA510 = LA016+[?]+050 QA + [?]+PU		LA708/K
.4		LA131a/VINa			LA703/D
.5	vacat				

▪ განკვეთილობის ნიშანი

© 2011 ბრა ცისკრელი

ანთროპონიმს 𐀀𐀀𐀍 [**ti-ti-ku/t^{h}i-t^{h}i-kə**] უშუალოდ მოსდევს „განკვეთილობის“ ნიშანი, *მარცვლეულის* იდეოგრამა 𐀒 LA326 და ანთროპონიმი 𐀏𐀍𐀁 [**i-ku-ta/i-kə-t^{h}a**], შემდეგ კი ჩამოთვლილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომლის გვერდით მიწერილია შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობები. ფორმა 𐀀𐀀𐀍 [**ti-ti-ku**], რომელიც კ. კონსანისა და მ. ნეგრის (Consani, Negri 1999, 305) მიერ ანთროპონიმად არის მიჩნეული, ასევე დასტურდება ZA Zb 3.2 ზაკროსის პითოზე (იხ. GORILA 1982, IV, 112-113; Younger 2003b). რ. გორდეზიანმა (2007, II, 378; III,

194) **tit-** ძირს დაუკავშირა ეტრუსკული ანთროპონიმი **TITE** [**tite**] (= ლათ., ბერძნ. **Titus**, იტალ. **Tito**), რომელიც დასტურდება 4918 წარწერაში (CIE II,1,1), ხოლო საალერსო სახელების მაწარმოებელ სუფიქსს **-icu** – ქართული კნინობითი სუფიქსი **-იკ-ო** (იხ.: შანიძე 1973, I, 121; ღლონტი 1986, 27). როგორც ზემოთ აღვნიშნე, A ხაზოვან დამწერლობაში იშვიათია [**o**] ხმოვნის ხმარება. ამრიგად, ანთროპონიმს 𐘀𐘀𐘂 [**ti-ti-ku**] ვაიგივებ **ტიტიკო** სახელთან (ღლონტი 1986, 194). ამასვე დავუკავშირე ხევსურული სახელი **ტიტკი** (ღლონტი 1986, 194). მისი მსგავსი კოლხური (მეგრული) ანთროპონიმებია: **ტიტო, ტიტუ, ტიტუა, ტუტე, ტუტი, ტუტუია, ტგტგ, თითია, თუთა, თუთაია, თუთუ, თუთია** (ჭანტურია 2006, 37, 38, 63, 64), **ტიტია, ტიტა, ტუტუ, ტუტუე** (ღლონტი 1986, 193, 194, 195) და სხვა. ზოგი ამ ანთროპონიმთაგანი არის საალერსო/კნინობითი სახელი.



ეტრუსკული წარწერა **4918.**
CIE II, 1, 1.
www.epigraphy.org/etruscan.htm

ზემოთ მოცემულ 𐘂𐘃𐘄 [**i-ku-ta**] ფორმას დ. პაკარტმა (Packard 1974, 92) დაუკავშირა მიკენური ანთროპონიმები 𐘁𐘀𐘅 [**i-ku-to**] და 𐘂𐘉𐘄 [**i-ke-ta**], რომლებიც შესაბამისად დასტურდება B ხაზოვანი წარწერის MY Oi 705.1 და KN B 799.9 ტექსტებში (DMic 1985, I, 279, 278). ჯ. იანგერი (Younger 2000-2011) 𐘂𐘃𐘄 [**i-ku-ta**] ფორმას მიიჩნევს ადამიანის სახელად.

კოლხურ ანთროპონიმებად დასტურდება 𐔤𐔙𐔅 [i-ku-ta/i-kə-t^{h}a]-ს დანაწევრებული ფორმები: **კუტა, ქუთა,**[43] **ხუტა** (ჭანტურია 2006, 45, 71, 86; ღლონტი 1986, 150, 209) და **იკუ** (ღლონტი 1986, 135), ხოლო ამ უკანასკნელის მსგავსი სახელი **იკა** (ჭანტურია 2006, 39) კი – როგორც ანთროპონიმი, 𐔪⊕ [i-ka] HT 91.1 (HM 1318) და HT 102.4 (HM 1310) თიხის ფირფიტების A ხაზოვან წარწერებზეც.[44]




HT 91 (HM 1318)
GORILA 1976, I, 144

HT 91 (HM 1318) თიხის ფირფიტის წარწერა, GORILA-ს მიხედვით, წარმოდგენილია შემდეგი სახით:

[43].შდრ. კვაშილავა 2010, 226[1] და შმდ.

[44].დ. პაკარდმა (Packard 1974, 152) ანთროპონიმს 𐔪⊕ [i-ka] დაუკავშირა B ხაზოვანი წარწერის KN X 7052 ტექსტში მოცემული ფორმა 𐔪⊕▨ [i-ka-] (DMic 1985, I, 278).



HT 91 (HM 1318)
GORILA 1976, I, 145

ამ სამეურნეო ტიპის ტექსტში მოცემულია ანთროპონიმები 𐀏𐀀 **[i-ka]** და 𐀏𐀲 **[te-ri]**, „განკვეთილობის“ ნიშნები, ***მარცვლეულის*** იდეოგრამები 𐀐 LA326 და 𐀑 LA120/*GRA*; შემდეგ კი აღნუსხულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობებით:


HT 91 (HM 1318)						
სტრიქონი	ანთროპონიმი		სამეურნეო პროდუქცია იდეოგრამა	ლოგატურა	მთელი რიცხვი	წილადი რიცხვი
.1	l-ka	▪	*LA326* ▪ *LA120/GRA*			*LA711/X*
.2			*LA304*			*LA701/A*
.2			▪	*LA618 = LA302 + 067* *OLE + KI*		*LA701/A*
.2-3				*LA610 = LA302 + 010* *OLE + U*		*LA701/A*
.3				*LA622 = LA302 + 073* *OLE + MI*		*LA701/A*
.3			*LA122/OLIV*			*LA701/A*
.3			*LA030/FIC/NI*			*LA701/A*
.4			*LA131a/VIN* ▪			*LA701/A*
.4			*LA038/E*		5	
.5	te-ri	▪		*LA622 = LA302 + 073* *OLE + MI*		*LA701/A*
.5			*LA038/E*		3[	
		Infra mutila				
▪ განკვეთილობის ნიშანი						


© 2011 ბარა კუპრაძე

ანთროპონიმი 𓌳 [te-ri], რომელიც კოლხური (მეგრული) საკუთარი სახელია (ჭანტურია 2006, 63), ასევე დასტურდება PH(?) 31b.3 (HM 1609) ფესტოსის თიხის ფირფიტის წარწერაზეც (იხ. GORILA 1976, I, 318-319); ხოლო *მარცვლეულის* იდეოგრამა 𓌳 LA326 ასევე დასტურდება HT 128a.1 ტექსტში (იხ. GORILA 1976, I, 220-221), სადაც აღნუსხულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის – 𓌳 LA574/120+003/*GRA*+PA „სათესლე

მარცვლეულისა“ და 𐄳 LA579/120+ 081/*GRA*+KU „ფრინველისთვის განკუთვნილი მარცვლეულის“ რაოდენობა.

ეხლა განვიხილავ HT Wc 3001 (HM 79) და HT Wc 3002 (HM 80) არქეოლოგიურ ნივთებზე მოცემულ წარწერას. ალგორითმის 5.2.2 წესის თანახმად (იხ. კვაშილავა 2008, 217), 𐄷𐄐𐄑 LA003-*052-057 ფორმას ამოვიკითხავ როგორც [**pa-χə-ja**]/[**p^{h}a-χə-ja**] (იხ. მე-9 პუნქტში მოცემული სილაბოგრამების ცხრილი), რომელიც არის კოლხური (მეგრული) ანთროპონიმი ***პახუია/ფახუია***.[45] ეს სახელი დასტურდება აკ. ჭანტურიას (1940, 2006, 56, 66) ლექსიკონშიც. ხოლო HT Wc 3001 (HM 79) ნივთის b მხარეზე მოცემული ∠ LA707/*J* ნიშნით, რომელიც აღნიშნავს 1/2 წილად რიცხვს,[46] სავარაუდოდ აღნუსხულია „მოხელე“ პახუიას/ფახუიას „რაციონის“ რაოდენობა ან სხვა რამე.




Evans 1909, I, 32, *13c*

13. დაბლაგომის დოქის წარწერის ამოკითხვა

პ. ინგოროყვა (1939; 1940, 168, 168[2]) თავის ნაშრომში ახსენებს ქართული წარწერების უძველეს ნიმუშებს, რომლებიც აღ-

[45].შდრ. კოლხური ანთროპონიმები **პახუ, ფახუ** (ღლონტი 1986, 177, 201).

[46].როგორც ცნობილია, ∠ ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობა დგინდება HT 104 (HM 1317) თიხის ფირფიტაზე (იხ. GORILA 1976, I, 170-171) მოცემული რიცხვების ჯამის (**ku-ro**) მიხედვით: 45 + ∠ + 20 + ∠ + 29 = 95, ∠ = 1/2 (Montecchi 2009, 32).

მოჩენილია კოლხეთის ტერიტორიაზე, სამტრედიის რ-ნის სოფ. დაბლაგომში განათხარ ძეგლებზე (არქ. ნ. ბერძენიშვილი).

1970-1972 წლებში სოფ. დაბლაგომში გამოვლენილია სამარხი, რომელიც დათარიღებულია ძვ.წ.-ის IV-III ს.ს.-ით.[47] სამარხში აღმოჩენილია თიხის დოქი შემდეგი წარწერით 𐤀𐤊𐤔𐤉, რომელიც ვ. ლიჩელის (2001, 11, 25, 82) მიხედვით, პროტო-ქართული დამწერლობის ნიშნებით არის შესრულებული.

ამ წარწერის ნიშნებს 𐤀𐤊𐤔, ალგორითმის 5.2.2 წესის (იხ. კვაშილავა 2008, 217) თანახმად, შესაბამისად ამოვიკითხავ როგორც [te/t^{h}e], [ku/k^{h}ə], [si/ši] მარცვლებს. ამგვარი ამოკითხვა დასტურდება A ხაზოვანი და ფესტოსის დისკოს დამწერლობების შესაბამისი ნიშნების გაჟღერებით: 𐘀 LA004 [te/t^{h}e], 𐘁 LA081 [ku/k^{h}ə], 𐘂 LA041/SM A030 [si/ši] (იხ. მე-9 პუნქტში მოცემული A ხაზოვანი დამწერლობის სილაბოგრამების ცხრილი), ასევე 𐘃 PHD031[1] [k^{h}ə] (იხ. კვაშილავა 2008, 229, 234); ხოლო 𐤉 ნიშანს ამოვიკითხავ როგორც [ḳa/k^{h}a] მარცვალს, რადგან ეს ნიშანი ემსგავსება ფესტოსის დისკოს 𐘄 PHD19 [ḳa] ნახატ-ნიშანსა (იხ. კვაშილავა 2008, 230, 234) და ფინიკიური დამწერლობის 𐤊 [k] ნიშანს (იხ. ლიჩელი 2001, 28).

ამრიგად, 𐤀𐤊𐤔𐤉 წარწერას ამოვიკითხავ როგორც ანთროპონიმს [te/t^{h}e-ku/k^{h}ə-si/ši-ka/k^{h}a] – *ტეხუსქა/ტეხუსკა/ტექსკა/თეკგშკა/ტეკუსკა/თეხუშკა/თექუსკა*. ამ სიტყვის შემადგენელი ნაწილებია: კოლხური (მეგრული) სახელი ტეხუ (ჭანტურია 1940, 2006, 63) და მეგრ. სქუა/სკუა/სქი/სკი[48] – *შვილი, ძე, მემკვიდრე* (Кипшидзе 1914, 323 (527); ქაჯაია 2002, II, 607, 625). A ხაზოვანი დამწერლობის სილაბოგრამების ცხრილიდან ჩანს (იხ. მე-9 პუნქტი), რომ CCV ტიპის მარცვალი ხშირად იწერება CVCV სახით, ისევე როგორც B ხაზოვან დამწერლობაში. ამ კანონზომიერებისა და ზემოთ მოცემული განმარტების გათვა-

---

[47] იხ.: ვ. თოლორდავა, 1976. არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970-71 წლებში. *ვანი II, 1976, 53, 62-64.*

[48] მეგრ. სქ-ი/სკ-ი < მეგრ., ლაზ. სქ-ირ-ი/სკ-ირ-ი – *ვაჟიშვილი (საქებური)* (ჩიქობავა 1938, 21; გამყრელიძე 1959, 59; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 548).

ლისწინებით, ფორმა [te/t^{h}e-ku/k^{h}ə-si/ši-ka/k^{h}a] შეიძლება ნიშნავდეს *„ტეხუ/ტექუ/თეკუ/ტეკუ/თეხუ/თექუ[ს] შვილს“*.[49]

• **დასკვნა**

ამ ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ბრინჯაოს ხანის A ხაზოვანი წარწერების ამოკითხვა.

1. ნაშრომში განხილულია ცნობები პელოპონესის ნახევარკუნძულის, მცირე აზიის, ეგეოსის აუზის კუნძულების უძველესი მოსახლეობის შესახებ, სანამ ამ ადგილებში ინდოევროპული ტომების მიგრაცია დაიწყებოდა.

წარმოდგენილია მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ამ ტერიტორიების მკვიდრი ტომები არაინდოევროპული და არასემიტური წარმოშობის იყვნენ – ეს იყო პროტო-ქართველურ-კოლხური (სამხრეთკავკასიური) მოსახლეობა.

2. პროტო-ქართველურ-კოლხურმა ენამ შექმნა მნიშვნელოვანი სუბსტრატი ბერძნული დიალექტებისთვის, როდესაც ძველბერძნებმა დალაშქრეს პელოპონესის ნახევარკუნძული. დასტურდება, რომ ბერძნულში *'გაურკვეველი ეტიმოლოგიის'* (ჯ. ჩედვიკი) ტოპონიმები პროტო-ქართველურ-კოლხური წარმოშობისაა.

3. არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ისტორიული და ლინგვისტური მასალების (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტოპონიმები, ეთნონიმები და ანთროპონიმები) ანალიზი, A ხაზოვანი, კრეტული იეროგლიფური, ფესტოსის დისკოსა და სხვა დამწერლობების ნიშნების ურთიერთშედარება და ზოგი სილაბოგრამის ჩემ მიერ (იხ.: კვაშილავა 2008, 205, 229; 2009, 306-308; 2010, 213-214) ადრინდელი ფონეტიკური ამოკითხვა ადასტურებს, რომ A ხაზოვანი წარწერების პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე ამოკითხვა მართებულია.

A ხაზოვანი წარწერები უმეტესად სამეურნეო ანგარიშწარმოებებია, რომლებშიც მოცემულია ანთროპონიმები, *სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია* (მაგ., *მარცვლეული* და სხვა), *შინაური ცხოველების* იდეოგრამები და სხვა.

---

[49].შდრ. ქართველური ანთროპონიმები: **თეკე, თეკია** (რაჭ.), **თეკო** (თუშ.), **თექა** (ფშავ.), **თეკი** (სვან.), **ტუხა, ტუხე** (თუშ.), **ტუხია, ტუხო, ტუხუ** (მეტსახელი) (ღლონტი 1986, 130, 275, 196).

4. წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს, რომ A ხაზოვანი დამწერლობის 𐘀 LA*120/*GRA*, 𐘁 LA*120b/*GRA*b და 𐘀 LA*326 ნიშნები არის *მარცვლეულის* იდეოგრამები.

5. ნაშრომში წარმოდგენილია *ბალახის*, *თივის*, *საკვების*, *თესლის*, *მარცვლის*, *მარცვლეულის*, *ხორბლის*, *ქერის*, *ფეტვის*, *პურისა* და *ფქვილის* აღმნიშვნელი სიტყვების პარალელური ფორმები სხვადასხვა ენებისთვის, რომლებიც გავრცელებული იყო ევროპაში, მცირე აზიაში, ხმელთაშუა და შავი ზღვებისა და ტიგროს-ევფრატის არეალში.

6. ნაშრომში აღდგენილია საერთო-ქართველური *დ̣ცარ-ი/ *დ̣ყარ-ი და ნოსტრატული ხანის *ძə̀ʔ̣- და *ძə̀q̣̇- ფორმები, რომლებიც აღნიშნავენ *ბალახის*, *თივის*, *მარცვლისა* და *მარცვლეულის* საერთო სახელს.

7. წარმოდგენილი მასალით დასტურდება, რომ *ბალახის*, *თივის*, *საკვების*, *კვების*, *ჭმევისა* და *ძოვების*, *საგაზაფხულო ხორბლის*, *პურის* და აგრეთვე *საგაზაფხულო ქერის* აღმნიშვნელი საერთო სახელი, საერთო-ქართველური ფორმა *დ̣ცარ-ი/ *დ̣ყარ-ი ჩამოყალიბდა პრეაგრარული ხანიდან არაუგვიანეს ძვ.წ. III ათასწლეულამდე.

8. წარმოდგენილი მასალით დასტურდება, რომ ამიერკავკასიაში კულტივირებული *ხორბლის* რამდენიმე სახეობა ძველი წინა აზიის გავლით ვრცელდება ევროპაში, ხოლო ამ მცენარის აღმნიშვნელი სიტყვები კი – თვით მცენარესთან [illegible] ერთად.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღმნიშვნელი სიტყვები: დიკა და *ძველკოლხური ასლი*, თანამედროვე ბოტანიკური სისტემატიზაციის თანახმად, შესაბამისად აღინიშნება ლათინური ტერმინებით Triticum ibericum და Triticum paleo-colchicum, რადგანაც საქართველო იყო ამ ჯიშების მოშენებისა და განვითარების ტერიტორია.

9. A ხაზოვანი წარწერების ამოკითხვა მოხდა იმ ალგორითმის გამოყენებით, რომელიც წარმოვადგინე ჩემს წინა ნაშრომში (იხ. კვაშილავა 2008, 217-218). ალგორითმის 5.2.2 წესის თანახმად, ამოვიკითხე A ხაზოვანი წარწერების მთელი არქივი. ზოგი წარწერის ამოკითხვა წარმოდგენილია ამ ნაშრომში.

ამოვიკითხე შემდეგი სიტყვები:

• **makarite/magarit^{h}e** (ტოპონიმი, ეთნონიმი), **kukudara** (ეთნონიმი), მრავალი ანთროპონიმი, რომელიც რეგულარულ მიმართებას ავლენს ქართველურ (მაგ., მეგრულ, სვანურ, ხევსურულ, ფშაურ და სხვა) საკუთარ სახელებთან;

• რიცხვებზე არითმეტიკული ოპერაციების სიტყვები: **kuro** – *'ჯამი'*, **potokuro** – *'საერთო ჯამი'*, **kiro** – *'კლება'* და **kiro uminasi/ši** – *' შემოუტანელის კლება'*.

ზემოთ დასახელებული ფორმები რეგულარულ, ფონოლოგიურ და სემანტიკურ მიმართებაშია პროტო-ქართველურ-კოლხურ სიტყვებთან.

10. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია A ხაზოვანის მონათესავე დამწერლობით შესრულებული დაბლაგომის (სამტრედიის რ-ნი) დოქის წარწერა, რომელზეც ამოკითხულია კოლხური ანთროპონიმი;

11. A ხაზოვან წარწერებში დასახელებული კოლხური ანთროპონიმების, პელასგურ-კოლხური ტოპონიმებისა და ეთნონიმების ამოკითხვით მკაცრად დასტურდება, რომ ძვ.წ. XX-XV საუკუნეებში პელასგურ-კოლხური უძველესი კულტურა და ენა გავრცელებული იყო სამხრეთ ევროპაში, მცირე აზიაში, ხმელთაშუა და შავი ზღვების არეალში.

Gia Kvashilava

www.Kvashilava-Gia.com
www AiaColchis.ge
GiaKvashilava@yahoo.com

Dedicated to Dr Herbert R. Zebisch and Prof. Akaki Urushadze

DECIPHERMENT OF THE INSCRIPTIONS OF LINEAR A AND ITS RELATED SCRIPTS IN THE PROTO-KARTVELIAN-COLCHIAN LANGUAGE

The questions concerning the decipherment of the inscriptions of Linear A and related scripts in the Proto-Kartvelian-Colchian language are studied here in the following order:

1. Ancient inhabitants and languages of southern Europe and Asia Minor;
2. Some information about habitations of *Macrians* and *Dolionians*;
3. Discovery and study of Linear A and Cretan hieroglyphic inscriptions;
4. Graphic parallels of the Linear A and Cretan hieroglyphic signs with the signs of the Phaistos Disk and other related scripts;
5. Graphic features of Linear A signs *326, *120, and *120b – their meanings and typology with a commentary;
6. Reconstruction of the Common Kartvelian general word denoting *grass*, *hay*, *food*, *wheat*, *barley*, *bread*, *nourishment*, *feeding*, *grazing*, *cereals*, *eating*;
7. Reconstructed words and lexical units denoting *grass*, *hay*, *food*, *seed*, *cereals*, *grain*, *wheat*, *barley*, *millet*, *bread*, *flour*;
8. The territory and era of cultivation of *barley* and *wheat*;
9. Linear A syllabary and ideograms;
10. Linear A ideograms, their combinations, and ligatures of a general word for *grass*, *hay*, *food*, *grain*, *cereals*, *wheat*, *barley*, *bread*, *grazing*, *feeding*, *nourishing*;
11. Whole numbers and fractions of Linear A script;
12. Examples of deciphering Linear A inscriptions;
13. Deciphering of the inscriptions on a *jug* in *Dablagomi* (West Georgia).

- Conclusions

1. Ancient inhabitants and languages of southern Europe and Asia Minor

XVIII საუკუნის 50-60-იან წლების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები საკმაოდ ინტენსიურად იყო განვითარებული. ყოველივე ზემოხსენებული კარგად ჩანს იმერეთის სამეფოს ცნობილი დიპლომატის, კათალიკოს მაქსიმე აბაშიძის 1769 წლის 14 მარტის რუსეთის საიმპერატორო კარისადმი მიწერილ წერილში. იმერეთის სამეფოს დიპლომატი აღნიშნავდა, რომ „შავი ზღვის პირზედ განლაგებული იმერეთის სამ ციხეს: ბათომს, ფოთსა და სოხუმს კარგი

მისადგომი გააჩნდათ "ხომალდისა და ნავისა", ამასთანავე ეს ციხეები საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მხრივ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქუთაისთან" [5, 300].

ამავე პერიოდში, თავადი ამილახვარი თავის ნარატივებში აფხაზეთის სამთავროსთან მიმართებაში აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის მთავარი მთელი თავისი გვარით მართლმადიდებლური სარწმუნოებისა იყო. მოსახლეობის მხრიდან მხოლოდ მცირე ნაწილი ინარჩუნებდა ქრისტიანულ აღმსარებლობას, ხოლო უმრავლესობა წარმართულ რელიგიის მიმდევარი იყო [5, 318]. ამ ცნობიდან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შეიძლება საგვარეულო სახლის წარმომადგენლები XVIII ს-ის 50-60-იანი წლებისთვის ქართული ქრისტიანული კულტურის ნაწილს წარმოადგენენ.

იმერეთის სამეფოსა და აფხაზეთის სამთავროს შორის ურთიერთობა მკვეთრად იძაბება 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში. ეს ვითარება კარგად არის ასახული თავადი ამილახვრის რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელის, გენერალი პიტერბურგიდან 1769 წლის 8 აგვისტოს მიწერილ პატაკში. რომელშიც აღნიშნულია, რომ: «... то я должность имел царя Соломона с посланцам секретно поверит. в чем знать его, государя новые нужды, которой мне отозвался. на рапорт ГКИД доношу 1-ое, что князя Ахалцихские. Дадиан. также Апхазети. которые прежде во владении его. Соломона, состояли были у него как у царя, в послушании, и дан бы был на них от высочашего ЕЯ ИМПЕРАТОРСКОГО величества властной ему диплом» [5, 398]. როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, აფხაზეთის მთავარი დაღიანთან ერთად ტექნიურად იბრძვის იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის წინააღმდეგ.

1769 წლის 15 ოქტომბერს სოლომონ მეფე სწერდა კავკასიაში მყოფი რუსეთის სამხედრო ნაწილების

მთავარსარდალს, ტოტლებენს, რომ ვერ დაეხმარებოდა მას ახალციხის ლაშქრობაში, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ 1769 წლის 12 ოქტომბერს დადიანი თურქების დახმარებით ექვსი ათასიანი ჯარით იმერეთის სოფლებს შეესია და 700-მდე ქართველი ტყვე აფხაზებს მიჰყიდა [5, 430-436].

ცოტა მოგვიანებით, 1770 წლის 20 დეკემბერს, როდესაც სოლომონ I გენერალ ტოტლებენთან ერთად შორაპნის ციხის განთავისუფლებისთვის ემზადებოდა, ოდიშ-აფხაზ-თათართა გაერთიანებული ცხრა ათასიანი ლაშქარი მორიგ თავდასხმას ახორციელებს იმერეთზე. აღნიშნული თავდასხმისას სხვა ნადავლთან ერთად 900-მდე ადამიანი იქნა ტყვედ გატაცებული [5, 539].

1770 წლის დეკემბერში, გენერალი ტოტლებენი, საქმეში გამოუსადეგარობის საბაბით, განთავისუფლებულ იქნა კავკასიაში რუსული საარმიო კორპუსის უფროსის თანამდებობიდან, რომლის ნაცვლად გამოგზავნილი იქნა გენერალი ალექსანდრე სუხოტინი, რომელიც 1771 წლის ივნისში გაემართა ფოთის ციხის ასაღებად.

ფოთის ციხის აღებით სოლომონ I-იც დიდად იყო დაინტერესებული. უნდა აღინიშნოს, რომ ფოთის ციხის თურქებისაგან გათავისუფლების კამპანიაში დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შორის მონაწილეობას ღებულობდა სამურზაყანოს მმართველი ლევან შერვაშიძე. რომელიც თავის მხრივ მოლაპარაკებებს მართავდა რუსეთის წარმომადგენლებთან მფარველობის მისაღებად [12, 163-175]. რუსეთის საიმპერატორო კარი მხარს უჭერდა შერვაშიძის წინადადებას. მით უფრო, რომ გენერალი სუხოტინი, იმერეთის მეფის სარევის გარეშე ცდილობდა აფხაზეთის მთავართან უშუალო კავშირი დამყარებას. თუმცა აღნიშნული გეგმები იმ პერიოდისათვის ვერ განხორციელდა. რამდენადაც შემდგომმა საომარმა მოქმედებებმა კავ-

კასიის ფრონტზე რუსეთისათვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. სუხოტინმაც ვერ ისახელა თავი და 1771 წელს რუსის ჯარი საერთოდ გაწვეულ იქნა საქართველოდან. რაც შეეხება თავად "ფოთის კამპანიის" წარუმატებლად დასრულებას, ეს გამოწვეული იყო არამარტო სუხოტინის მიერ ადგილობრივი კლიმატური პირობებისა და პოლიტიკური მდგომარეობის გაუთვალისწინებლობით, არამედ სამეგრელოს თავადი კახი ნიბუას ქმედებითაც. რომელმაც თურქებს შეატყობინა მის ხელთ არსებული ინფორმაცია ფოთის ციხის ალების სამხედრო სტრატეგიის შესახებ. კიდევ მეტი, ნიბუამ გადაიბირა აფხაზები და მათ უარი ათქმევინა რუსეთის საიმპერატორო კარის მორჩილების მიღებაზე [18, ფურც.1]. აღნიშნული საქციელის გამო, ოდიშის თავადი ორი ასნაურით (მუმულაშითა და გეგენავათურთ) სუხოტინმა შეიპყრო. პატიმართა გამოსყიდვის მიზნით, იმერეთის მეფე სოლომონ პირველი, სამეგრელოს მთავარი კაცია დადიანი და აფხაზეთის მთავარი ლეჟან შერვაშიძე არაერთხელ სთავაზობდნენ რუს გენერალს ქრთამს ფულის სახით, მაგრამ უშედეგოდ. ნიბუა, მუმულაში და გეგენავა ციხლარის ციხეში იქნენ გამოკეტილნი, სადაც თავადი ნიბუა აფადმყოფობის გამო გარდაიცვალა კიდევ [18, ფურც.5-6].

თავის დროზე სამართლიანად აღნიშნავდა ცნობილი გერმანელი მოგზაური და ავანტურისტი რაინეგსი, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და საერთოდ მთელი გვიანი შუა საუკუნეების ეპოქაში აფხაზეთის მიერ თურქეთის წინააღმდეგ გამოსვლები უშუალოდ დაკავშირებული იყო დასავლეთ საქართველოს საერთო პოლიტიკურ მოვლენებთან.

XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე აფხაზეთში პოლიტიკური სიტუაცია კვლავ გამწვავდა. 1770 წელს ასპინძასთან თურქების დამარცხებამ, ოსმალთა ჯარების საერთო შესუსტებამ, აფხაზეთის

მთავარს სურაბ შერვაშიძეს საშუალება მისცა მისი ბიძის, ლევანის დახმარებით 1771 წელს აეღო სოხუმის ციხე და განედევნა ციხიდან თურქების გარნიზონი. აფხაზეთის მთავრის ბრძოლა თურქების ბატონობისაგან გასათავისუფლებლად კვლავ გრძელდებოდა. მაგრამ, სურაბ შერვაშიძის შეუთანხმებლობამ ბიძასთან, საშუალება მისცა თურქებს ხელახლა აეღოთ სოხუმის ციხე. სურაბ შერვაშიძეს ჩამოართვეს აფხაზეთის მთავრის უფლება და მის ნაცვლად დასვეს მანუჩარის შვილი ქელეშ-ბეი შერვაშიძე.

როდესაც შერვაშიძეები თურქეთში გადაასახლეს, აფხაზეთში გაძლიერდნენ აბაზინური მოდგმის ძიაფშოფები, რომლებსაც მანამდე დაკავებული ჰქონდათ მდ. გუმისთის მიმდებარე ტერიტორიები. შერვაშიძეების სტამბოლში გადასახლების შემდეგ, მათ შეძლეს მიეთვისებინათ სოხუმის ციხის ირგვლივ მიმდებარე ტერიტორიები [15, 19-20]. დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ XVIII საუკუნის პირველი ნახევრისათვის აფხაზეთში ოსმალეთის იმპერიის ინტერესებს იცავდა სოხუმის ციხეში განლაგებული რამდენიმე ასეულისაგან შემდგარი იანიჩართა ჯარი. რომლებიც XVIII საუკუნის 40-იანი წლებიდან ინტენსიურად ამკვიდრებდნენ ოსმალურ სახელმწიფო ინსტიტუტებს აფხაზეთში. თურქ იანიჩართა მეშვეობით ოსმალები ზეგავლენას ახდენდნენ სამთავროს სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე [7, 309-322]. მათივე გავლენით, შერვაშიძეთა გვარის წარმომადგენლები (მანუჩარის, შირვანისა და სურაბის – ს.ს.) ოსმალეთში იქნენ გადასახლებულები. რომლებიც გამუდმებით იბრძოდნენ ოსმალეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. ოსმალეთისადმი უარყოფითად განწყობილი შერვაშიძეთა სახლის წარმომადგენლთა აფხაზეთში ცხოვრება ოსმალეთის "ბრწყინვალე პორტას" იმთავითვე არ აძლევდა ხელს აფხაზეთში საკუთარი პოლიტიკური ჰეგემონიის დასამყარებლად.

ზურაბ შერვაშიძე მხოლოდ XVIII საუკუნის დასასრულისათვის დაბრუნებულ იქნა თავის სამშობლოში, როგორც თურქეთის ვასალი. [9, 72-73].

ზემოაღნიშნულ პერიოდში სოხუმსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ძიაფშ-იფკების გვარის წარმომადგენელთა გაძლიერებით, იმთავითვე ხელი აფსუები ლიითიდლე იმკვიდრებდნენ თავს აფხაზეთის ტერიტორიაზე. რომლებიც როგორც რუსი ოფიცრის ტორნაუს ცნობიდან ჩანს, განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს სოხუმის ციხეში მყოფ თურქებს [16, 164].

XVIII ს-ის 70-იანი წლებში აფხაზეთით ინტერესდებიან ინგლისის საქმიანი წრის წარმომადგენლები. 1775 წელს აფხაზეთში კომერციული მიზნით იმყოფებოდა ინგლისის კომერციული გემის კაპიტანი (შკიპერი) თომას რეინი, რომელთანაც საქმიანი მოლაპარაკება ჰქონდა რუსეთის არმიის ლეიტენანტს ოსიპ პერის. ჩაგანროგიდან თომას რეინი რუსეთის სამხედრო უწყების ხელმძღვანელს ჩერნიშევს აცნობებდა, რომ ინგლისის საქმიან წრეებს სურვილი ჰქონდათ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონოდათ აფხაზეთში, რასაც რუსეთის საიმპერატორო კარი თავდაპირველად უთანხმობით შეხვდა [12, 168]. 1780 წელს პერი კვლავ გაემგზავრა კონსტანტინეპოლში, რათა აბაზინური ენის მცოდნე მოეძებნა გამცილებლად. მაგრამ, როგორც ცნობილია, ჩერნიშევმა თავი შეიკავა ინგლისელთა სავაჭრო საქმიანობის მხარდასაჭერად რის შედეგად ამ წამოწყებას არ მიეცა შემდგომი პრაქტიკული მსვლელობა.

XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის კავკასიის შავიზღვისპირეთში ხშირად ჩანან არამარტო ინგლისელები, არამედ ფრანგი სამხედრო ინჟინრები და სავაჭრო წრეთიერთობით დაინტერესებული პირები. რის შესახებ არაერთი საინტერესო დოკუმენტი ინახება

რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებისა და სამხედრო-ისტორიულ არქივებში [19, 70-71].

1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დადების შემდეგ, რუსეთი იმერეთის სამეფოსთან ოფიციალურ ურთიერთობას თავს არიდებდა. იმერეთის მეფემ მნიშვნელოვნად განიმტკიცა თავისი პოზიციები დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებთან მიმართებაში. რასაც ოსმალეთის ხელისუფლება ვერ ეწყინებოდა. ოსმალები შეუთანხმდნენ აფსუებს და გამოემართნენ სამეგრელოს სამთავროს დასარბევად. როგორც წყაროები ადასტურებენ, მოლაშქრენი ქქვს ენაზე ლაპარაკობდნენ.

მიუხედავად იმ უთანხმოებისა, რომელიც მაშინ დადიანსა და იმერეთის მეფეს შორის სუფევდა, ოდიშის მთავარმა დახმარებისათვის სოლომონ I-ს მიმართა: **"მოვიდნენ აგარიანნი დასამხობელად ჩემდა და სამფლობელოისა ჩემისა და შებღალვად ქრისტიანობისა და ნუ მოიხსენებ ჩვენ ორთა ურთიერთსა წყენებასა და მოვედ შემწედ ჩემდა სახელოვნითა გულითა და აჰა, ჟამი მოიხსენი მსახურება ჩემი ხრესილის ბრძოლისა"** [3, 80]. მტერმა ენგური გადმოლახა და ბრძოლა, როგორც ისტორიაში ცნობილია, გაიმართა 1780 წლის მარტში რუხის ციხის მახლობლად.

რუხის ბრძოლის შესახებ წყაროები ძუნწია. ძირითადი მაინც ბრძოლის მონაწილის ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილის) „პოემა "რუხის ბრძოლაა" [1, 122-134]. მართალია, ამ ბრძოლის შესახებ ვინ არ წერდა, მას დანაშაულებრივ, "ძმათა მკვლელს" უწოდებდნენ ჩვენი მკვლევარები, მაგრამ ამ ბრძოლის ისტორია უფრო ღრმად ხახელვას მოითხოვს. იგი აფსუების "უცხო თესლთა" ბრძოლაა საქართველოს მიწა-წყლის მიტაცებისათვის და დღევანდელი გადასახედიდან სერიოზულ შესწავლას მოითხოვს.

პოემა "რუხის ბრძოლის" შესავალში ბესიკი აღნიშნავდა: "დღეს დაცემა იქმნა ქედმაღალთა მათ უცხო თესლთა აგარიანთა და აღსდგა დავრდომილი ჩვენ ქრისტიანეთა" [1, 124]. პოეტი აღნიშნავს, რომ ძმებმა შერვაშიძეებმა მთელი თავიანთი ქმები ყვარყვარეს დააყენესო და უმატებს:

" ყირიმელთ, ჯიქელთ, ალანელთ,
კემერგელთ ამცნეს ცნობითა,
ციცხალსა შემოეწყვედნენ ინდოებდნენ სჯული ძმობითა,
აფხაზნი შეიყიცეოდნენ ქოამით და აგრეც ძღვნობითა,
მათ მეგრელთ სისხლი სწყუროდათ თუმცა შესცვათ
გობითა".

მე-7 ტაეპში პოეტის ერთგვარი შეგონება არის: "მასმითდა, ზურაბ, შენისა სიბრძნისა სიბერე და ამად მიეცარდი რომელ შენი ძველის სახლის ხლუდსა ახლის შენობის პირი ედგა, აწ მე უბრალო ვიყო და ხელი შეგიმართებიეს უმყარესის კედლის მაშენებლად, რომემცა აღშენებული მკვიდრი გოდოლი დაგიტევიან და აგრეც გვარისა სახელოვანი სიმტკიცე შეურთხელისა ჯორისა ჴიხლად შეგიმუსრავს და ცვილებრ ნაზელი ზრდილობისა წესი გზასა უვიცსა ქვად უხმარად დაგიგდიან" [1, 124-125].

მთელი პოემის განხილვა აქ ხელმეტად მიგვანია. აღვნიშნავდიო, რომ ეს ბრძოლა ოდიშ-იმერეთის გაერთიანებული ძალების გამარჯვებით დასრულდა. ამ მეტად მნიშვნელოვანი ფაქტის დამადასტურებლად მრავალი ცნობა მოგვეპოვება. საინტერესოა მათ შორის "მოდი ნახეს" ციხის წარწერა: « Мы царь всей Имеретий, Соломон первый, из род Давида, когда вступили в бой в Зугдиди с Абхазцами. Джиками и Аланами, то с божей помощью победили тогда врагов, состоящих из двенадцати тысяч человек» [11, 396].

ქრონიკების ის გარემოება იქცევს, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა მე მე-19 ს-ის დასაწყისში

მიმდინარეობს აფხაზთა გაქართველების (გამეგრელების) პროცესი. რომლიც არაერთ ნაშრომშია განხილული [2, 125-126].

ჩვენი აზრით, რუხის ბრძოლამ ის გაცლენა იქონია, რომ აფსუა-აფხაზები ისევ მეგრელებთან დაახლოების გზას დაადგნენ და სამურზაყანო კვლავ ოდიშის მთავრის გავლენის ქვეშ რჩებოდა. ცოტა მოგვიანებით ეს კარგად ჩანს კაცია დადიანის მიერ 1785 წლის 11 მაისს რუსეთის საიმპერატორო კარისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც ოდიშის მთავარი თავის თავს მოიხსენიებს აფხაზეთის ნაწილის (სამურზაყანოს – ს.ს.), ლეჩხუმისა და სვანეთის მფლობელად [23, ფურც.62-62(ob)].

XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის ყირიმის საკითხმა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა უკიდურესად გაამწვავა. ყირიმის სახანოს თურქეთი არ ეშვებოდა, თუმცა წინანდელი პოზიციების აღდგენის ძალა არ შესწევდა. რუსეთის საიმპერატორო კარმა გადაწყვიტა ყირიმის სახანოს გაუქმება და მისი რუსეთთან შეერთება. რუსეთის ამ პოლიტიკური კურსის განხორციელებით, თურქეთს ხრდ. კავკასიაში გავლენის ნიადაგი ეცლებოდა. ამგვარი პოლიტიკური ვითარება ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა რუსეთის იმპერიას გაემყარებინა საქართველოსთან კავშირი. ამგვარად, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში 1782 წელს ერთდროულად ორი საკითხი დადგა – ყირიმისა და საქართველოს [4, 60]. რაც შეეხება ყირიმის შემოერთების საკითხს, 1782 წლის სექტემბერში ის ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო. ხოლოდ საქართველოს საკითხი კვლავ სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების საგანად რჩებოდა რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის.

რუსეთის ხელისუფლებამ სულთნის კარზე მყოფ მის დიპლომატს ბულგაკოვს 1782 წლის დეკემბერში განკარგულება მისცა ქართულ სამეფოებს რუსეთის

სახელით გამოსარჩლებოდა; ასევე, რუსეთის იმპერატორის მითითებით, 1782 წლის დეკემბერში გრაფმა ბუხბოროდკომ თავად გრიგოლ პოტიომკინს აცნობა რუსეთის მთავრობის ის ძირითადი განსრახვა და პრინციპები, თუ რა პირობებში უნდა დადებულიყო რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რომლის პროექტი 1783 წლის დასაწყისში პრაქტიკულად მომზადებული იყო და სახელმძღვანელოდ გადაეცემულ იქნა გრიგოლ პოტიომკინისათვის ქართულ სამთავრობოებთან მყარვადლობითი ტრაქტატის გასაფორმებლად [17, 13]. 1782 წლის შემოდგომაზე კი ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე მოღვაწე გერმანული წარმოშობის რეზიდენტისათვის, რაინეგსისათვის სპეციალური დავალება იქნა მიცემული, რომ ქართველ მეფეებზე ზეგავლენა მოეხდინა [8, 269-275].

1783 წლის 21 სექტემბერს დიპლომატიური მოლაპარაკებები რუსეთსა და თურქეთს შორის დასრულდა. მდ. ყუბანი საბოლოოდ აღიარებულ იქნა რუსეთის საზღვრად კავკასიაში. მოლაპარაკებების დროს, რუსეთმა ვერ შეძლო მიეღწია მიზნისათვის - თავისი საზღვარი გადეწია სოხუმის ციხემდე. ამდენად ის თანახმა იყო სოხუმის ციხე დარჩენილიყო თათრული ტომების მფლობელობის ქვეშ, რომლებიც იმ პერიოდში ცხოვრობდნენ შავ ზღვასა და მდ. ყუბანის მარცხენა ნაპირს შორის [14, 32]. სოხუმის ციხის შემოერთება, რასაკვირველია, ძალზე მნიშვნელოვანი იყო რიგორც რუსეთისთვის ისე საქართველოს მეფეებისათვის. სოხუმის ციხის დაკავების შემთხვევაში რუსეთის იმპერიას ყოველგვარი პრობლემის გარეშე ეხსნებოდა გზა საქართველოში და კავკასიაში თავისი სამხედრო-პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად.

1783 წლის შემოდგომისათვის რუსეთმა დაიწყო თათრების გადასახლება ყირიმის სტეპებში [14, 27].

გრიგოლ პოტიომკინს აცნობებდნენ, რომ ყირიმში მდგომარეობა თანდათან მშვიდდებოდა. მართალია, მცირე დანაკარგებით რუსეთმა შეძლო ყირიმის შემოერთება, მაგრამ აღნიშნული რეგიონის პრობლემა მაინც დიდ სიძნელეებს ქმნიდა. თათრები აცხადებდნენ, რომ ფადიშაჰის გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლიაო. ამით ისარგებლა სულთანმა და კინბურგში (დნესტრის შესართავთან) და ტამანში ჯარები გადმოსხა. სუვოროვმა შეძლო თურქები შავ ზღვაში გაერეკა. მართალია, რუსეთის გავლენა კავკასიაში დღითიდღე იზრდებოდა, მაგრამ ოსმალეთის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებზე გავლენას მაინც მყარად ინარჩუნებდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით იმერეთის მეფე სოლომონ I წერდა პავლე პოტიომკინს: «Сведения кой я от Имеретинского царя имею, суть: относительно с туруцкой стороны, прислал от Порты трёхбунчужной паша в крепость Поти с десятью тысячами войск и работников, их коих половина отправлена в Анаклию, место лежащее на берегу Чёрного моря, при устье реки Ингури, разграничающий с абазинцами, для построения там крепости, а остались остальные в пути для исправления фортификации. Ахалцихский паша страшась россиян и не доверяя обеим царем грузинским, призывает лезгинцев. Оне подходят туда партиями, прокрадившаясь ласыми в верх по реке Куре и делают дороги в Грузии весьма опасными» [4, 66-67].

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ბრონევსკი აღნიშნავს აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის, აფსუები, განუწყვეტლივ იტაცებდნენ ტყვეებს, რომლებიც მთებსა და ტყეებში მიმავალი ფარული გზებით შავი ზღვის ნავმისადგომებში (ბათუმში, ფოთსა და სოხუმში) ნაჰყავდათ. ზოგჯერ ისინი ახალციხის ფაშას სამსახურში დგებოდნენ იმ პირობით,

რომ ნება დაერთოთ აღმოსავლეთ საქართველოს, იმერეთისა და სამეგრელოს საძარცვებლად **[10, 330-344]**.

აფსუა-აბაზინთა თავდასხმას საქართველოს სილრმეში XVIII საუკუნის 80-90-იანი წლებისათვის ხასგასმით ადასტურებს იმერეთის მეფე სოლომონ პირველი 1784 წლის 4 მარტს რუსეთის იმპერატორ ეკატერინე მეორისადმი მიწერილ წერილში. იმერეთის მეფე წერდა, რომ მისთვის ცნობილი იყო ახალციხის ფაშას მიერ აბაზინების შესყიდვა, რომლებიც ქვეყნის შინაურ მტრებთან გაერთიანებით, ჩვენი ქვეყნის სიღრმეში შეაღწიესო. «Чувствуя рода сего к нам, междуособием порабощением поручанием время часто открывает глубину их сердце, кому не известен подкуп Абазинцев? Соединяв ними вошли в нутр нашей земли» [22, 60].

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი კონსტანტინეპოლის ხელით უარს ამბობდა სოხუმის ციხემდე შავი ზღვის სანაპირის შემოერთებაზე, ის მცდელობას არ აკლებდა გაეფართოვებინა თავისი ტერიტორია აღმ. შავიზღვისპირეთის მიმართულებით. როგორც რიგი დოკუმენტებიდან ჩანს, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებნი ყოველივე ამას, წინააღმდეგობებით შეხვდნენ. 1784 წლის 12 აგვისტოს ვინმე მენმენდარის მეთაურობით, 49 კაცისაგან შემდგარი ჩერქეზებისა და აბაზების დელეგაცია სტამბოლში ჩავიდა. ისინი პორტას თავდაპირველად ხიზლით მიუდია. როგორც ელჩები იტყობინებოდნენ, ისინი გამოგზავნილი იყვნენ ბეებისაგან, რომლებიც დასახლებული იყვნენ ყუბანის სამხრეთ ნაწილში. ერთი ნაწილი ამ ელჩებისა ითხოვდა სულტანის ფაშის დავალებით მიეცათ მათთვის (ბუნსუგის?) მესამედი ნაწილი, ხოლო დანარჩენები ითხოვდნენ, გამოეყოთ მათთვის ადგილი აზიაში, მდ. ყუბანის მარცხენა მხარეს სოხუმ-კალემდე, სადაც ისინი შესძლებდნენ დასახლებას [19, ფურც. 19].

აფსუებმა და ჩერქეზებმა იცოდნენ, რომ ვერ გაუწევდნენ რუსეთს წინააღმდეგობას. მაგრამ, რამდენადაც ისინი ურჩევი იყვნენ პორტასთან ერთგულებაში, ითხოვდნენ ოსმალეთის ხელისუფლებისაგან დახმარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერ დაუპირისპირდებოდნენ ხანის (შაგინ-გირეი – ზ.ს.) ძალებს, - აღნიშნავდნენ ისინი. «Везирь протчая магзар ответствовал, что в рассуждении поданности их к Порте полегкомысленности тамошняго народы, никакой веры большею частью не исповедующаго с трудом положится можно, ибо и Крымцы будучи единоверные с нами, уверяли неоднократно Порту о привязаннрсти к ней покровительством своими не оставляли» [19, ფურც. 21].

1784 წლის აგვისტოს ბოლოსათვის ზემოხსენებული ჩერქეზებისა და აფსუების დელეგაცია კვლავ ოსმალეთის ვეზირთან იმყოფებიან. როგორც რუსეთის ელჩი იტყობინებოდა, მათ თანდათან ნაკლებ პატივს სცემდნენ. ოსმალეთის ხელისუფლებამ მათ დაუნიშნა თავისი დრო. დელეგაციამ გადასცა მათ ბეჭდით დამტკიცებული აქტი რომელშიც აღიარებდნენ ოსმალეთის ბრწყინვალე პორტას ერთგულებას და ქვეშევრდომობას. «Чем далее тем приметнее становится, что Порта присланную от Суджакского паши депутацию Черкесов и Абазинцев мало уважаютю. /17 июня/ ибо они третьяго дня по приказанию ея из назначенного им дома в попухапе переведени в Константинеполь один хан. Хотя в протчем и отдали Порте в свое время печатами утвержденный акт, коим признали себя ея подданным » [19, ფურც.23].

აფხაზეთისა და დასავლეთ საქართველოს სხვა სამთავროების საკითხი ფართო პლანით არის წარმოჩენილი 1785 წლის რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობებში. 1785 წლის 9 ივლისს იმერეთის ელჩი რუსეთში ხურაბ წერეთელი მოახსენებდა გრიგოლ პოტიომკინს შავ ზღვაზე, კინტრიშთან და ცი-

ხასპირთან ციხე-სიმაგრის აშენების შესახებ, რაც იმერეთის დიპლომატის აზრით, გააძლიერებდა იმერეთის სამეფოს საზღვრებს და აიძულებდა თურქებს, დაეტოვებინათ აფხაზეთის, გურიისა და სამეგრელოს ციხეები [23. ჟურც. 81-88].

1786 წლის სექტემბერში აბაზინები კვლავ აჯანყდნენ თურქების წინააღმდეგ. აბაზთა ორმა ჯაშამ დაუმორჩილებლობა განუცხადა თურქებს, რის თაობაზეც პავლე პოტიომკინი მოახსენებდა 1786 წლის 20 სექტემბერს გრიგოლ პოტიომკინს: «Потдверждаются от всех место известии, что турки присылают в Сухум трех бунчужного пашу с войсками на место находившегося томо двух бунчужнаго паши, который из Сухум не дождавшись смены, ушел. Войска пологают турецкое в десяти тысяч» [24, ჟურც.73-78].

აბაზინები და სხვა ყუბანის პირეთში მცხოვრები თათრები წვავდნენ სტეპებს, წინააღმდეგობას უწევდნენ რუსულ გარნიზონებს. აბაზინებისა და ჩერქეზებისაგან შეწუხებული ასტრახანის გუბერნატორი 1786 წლის ოქტომბერში სთხოვდა რუსეთის საიმპერატორო კარს: «Всемилостивейший мой государь, указать соизволить управлят мне означенными городами и посторону реки Кубани обитающимся абазинцам, черкесцам и ногайцам, воспретит всеми вообще левою сторону означенной реки Кубани живут народом кой ближнем от моего резидования без моего письменного виду» [24, ჟურც. 59].

1786 წელს თანამედროვე ქალაქ სოჩის მიმდებარე ადგილებში, მოგზაურობდა რუსეთის შკიპერი გიორგი მეტაქსა. მოგზაურობის აღწერა მოხსენებული აქვს პროფ. გიორგი ძიძარიას თავის ერთ-ერთ ნაშრომში, რომლითაც ადასტურებს რუსეთ-აფხაზეთის საგაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში.

ჩვენ შევისწავლეთ და გამოვაქვეყნეთ აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც ინახება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის 89-ე ფონდში. სათაურით: «Показание шкипера Георгия Метакса о бытности его в Абазии» [20, ფურც. 147-151; 6, 379-384].

ჩვენ ვერ დავეთანხმეთ გიორგი ძიძარიას აღნიშნული ისტორიული საბუთის გამოყენებაში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიასთან მიმართებაში. იმდენად, რამდენადაც მეტაქსას მოგზაურობის ამსახველ დოკუმენტში დაფიქსირებულია მხოლოდ სოჭსა და სუჯუკ-კალეს შორის მიმდებარე ტერიტორიები. ასევე ნათლად ჩანს აბაზინთა განსახლების გეოგრაფიული სივრცე, ეთნიკური შემადგენლობა და პრიმიტული ცხოვრების დონე. მეტაქსა პირდაპირ უთითებს აბაზინთა სუნჯის [Хунджское] ტომს, რომლებსაც იმ პერიოდისათვის ეკავათ ზემოთ აღნიშნული ტერიტორია კავკასიის შავიზღვისპირეთის ამ მონაკვეთში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის სამხედრო-ისტორიულ არქივში დაცული ერთ-ერთი დოკუმენტით, XVIII საუკუნის 80-90-იანი წლებისათვის აბაზინთა საერთო რაოდენობა განისაზღვრებოდა 25000 ადამიანით, რომელთაც დოკუმენტის ავტორი ჩერქეზთა შთამომავლებად მიიჩნევს, რომლებსაც იმ პერიოდისათვის გაბატრიარქალური მმართველობა და წარმართული რელიგია [25, ფურც.28-29].

რაც შეეხება XVIII საუკუნის დასასრულის აფხაზეთის ზოგად დემოგრაფიულ სურათს, უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის 6000 კვ. კილომეტრზე დასახლებული იყო 52300 ადამიანი. სამწუხაროდ წყარო არ აკონკრეტებს ეთნიკური შემადგენლობის მოსახლეობისა [13, ფურც. 413]. თუმცა ეჭვგარეშეა, რომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქართველები (მეგრელები) უნდა წარმოადგენენ.

სოლომონ I-ის გარდაცვალებისა და დავით გიორგის ძის მეფობის დასაწყისში, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ცხოვრება კვლავ დაიძაბა. შინაფეოდალური ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა. აფხაზეთი კი იმ პერიოდში წარმოადგენდა იმერეთის ცენტრალიზებული ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ძალების მთავარ თავშესაფარს.

დავით გიორგის ძე, ასევე ცდილობდა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გააქტიურებასა და მფარველობის მიღებას. იმ პერიოდის იმერეთის სამეფოსა და აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკური ურთიერთობის თვალსაზრისით საყურადღებოა იმერეთის მეფის 1789 წლის 14 ივნისით დათარიღებული წერილი ბესარიონ გაბაშვილისადმი. დასავლეთ საქართველოს ამბების აღწერისას დავით გიორგის ძე წერს, რომ ზემოაღნიშნული პერიოდისათვის იმერეთის მეფესა და აფხაზეთის მთავარს შორის გაუმჯობესებული იყო ურთიერთობა. აფხაზეთის წარჩინებულები იმერეთის მეფის კარზე გამოცხადდნენ დიდი ძღვენით და მზადყოფნა გამოთქვეს, ეცნოთ იმერეთის მეფის უსუსენაესი ხელისუფლება. ასევე ითხოვდნენ, რომ დადიანობა მიეცათ ლევან შერვაშიძის სიძის – მანუჩარისათვის [4, 163].

1789 წლის იანვარში გარდაიცვალა კაცია დადიანი და დადიანობა მისმა შვილმა გრიგოლმა დაიკავა. დავით გიორგის ძეს აღუთქვამს აფხაზეთის დელეგაციისათვის, რომ იმერეთის ელჩის მეშვეობით სთხოვდა რუსეთის მთავრობას, მათთვისაც აღმოეჩინა რუსეთის მფარველობა. როგორც დავით მეფე წერს: "... და ეს რომ გაიგონეს, შერვაშიძეთა და მათთან ხლებულთა შორის იქმნა სიხარული დიდი" [4, 164].

ხოლო რაც შეეხება მანუჩარის დადიანობას, დავით გიორგის ძეს უთხოვია "ვიდრემდისცა ვითარცა რუსეთის უმაღლესმან კარმან ინებოს", დალოდებოდ-

ნენ მანუსარის დადიანობის საკითხის გადაწყვეტას. თავის მხრივ, იმერეთის მეფე ბესარიონ გაბაშვილს მოაგონებდა და ამასთანავე არიგებდა: "აფხაზეთის საქმე არს დიდი შესამატი დიდისა რუსეთისათვის," ამიტომ განეცხადებინა რუსეთის საიმპერატორო კარისათვის, რომ "ამ დროს მოგების საქმეს სხვა საქმე არც ერთი არ შეედრება რუსეთის შესამატებლად ამ დროისათვის". დავით გიორგის ძე ამ სიტყვაში, რასაკვირველია იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ინტერესებსაც ითვალისწინებდა.

იმერეთის დიპლომატია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აფხაზეთის სამთავროს პოზიციებს დასავლეთ საქართველოდან თურქეთის განდევნის საქმეში, რაც კარგად ჩანს აფხაზ-იმერთა კათალიკოსის, მაქსიმე აბაშიძის წერილში ბესარიონ გაბაშვილისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ აფხაზეთის სამთავროს დაახლოება იმერეთის ხელისუფლებასთან და რუსული ორიენტაციის მიღება დიდად საჭირო იყო, ამისათვის იმერეთის დიპლომატს უნდა ებრძოლა, რომ მიეღო რუსეთისაგან თანხმობა იმერეთის სამეფოსა და მასთან ერთად აფხაზეთის სამთავროს მფარველობაში მიღებაზე [4, 168-169].

1789 წლის სექტემბერში ბესიკმა გრიგოლ პოტიომკინისათვის წარდგენილ ბარათში აღნიშნა, რომ იმერეთი ომს გამოუცხადებდა თურქეთს და იბრძოლებდა რუსეთთან ერთად ომის დამთავრებამდე, ამის შემდეგ, ბესიკი გრიგოლ პოტიომკინს უყენებს პირობებს, რომელთა შორის აფხაზეთის სამთავროსთან მიმართებაში აღსანიშნავია მეხუთე პირობა, სადაც აღნიშნულია: "აფხაზეთის საკითხზეა დამოკიდებული ქუბანის პოზიციების სიმტკიცე, ამიტომ საჭიროა მიეცეს იმერეთის მეფეს სათანადო განკარგულება: აფხაზეთის მოხსენებისათვის, რომელსაცა აცხადებს ყოველად მოწყალე მეფე ჩვენი თქვენს უგანათლებულობასთან

წერილით, რომელშიც შემძლებელ არიან ქობანის ვნებულის მოკლებად, ვინაცა განცა იგინი უიმათოდ ქოვლის მათის ღონისძიების შეუძლებელ არიან, სჯობს, რომ ახლავ ებრძანოს მეფესა ჩვენსა, რომელიც იქნენს უგანათლებულესობას ნებავდეს [4, 171].

1789 წლის ივლისში იმერეთის მეფე დავით გიორგის ძე ტახტიდან ჩამოაგდეს. 1789 წლის 12 ივლისს დადიანმა 18 წლის სოლომონ მეორე (დავით არჩილის ძე) გაამეფა, რომელმაც ბესიკს რწმუნება გაუახლა და დაავალა დაეწყარებინა რუსეთთან ტრაქტატის დადება იგივე პირობით, რაგორიც რუსეთს ქართლ-კახეთის სამეფოსთან ჰქონდა დადებული. იმერეთის ელჩის არაერთი ცდის მიუხედავად, რუსეთი საიმპერატორო კარი არავითარ ინიციატივას არ აგლენდა იმერეთის მფარველობაში მიღებაზე. ყოველივე ზემოხსენებულის გამო, იმერეთის დიპლომატები იძულებული იქნენ, რომ საიდუმლო ხელშეკრულება დაედოთ რუსეთთან. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდის საერთაშორისო მდგომარეობს ფონზე, როდესაც ევროპის დიპლომატები ერთხმად გამოდიოდნენ თურქეთის იმპერიის მთლიანობის დამცველად, რუსეთს არანაირად არ შეეძლო ღიად გადაედგა ნაბიჯი დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების მფარველობაში მისაღებად.

1787-1791 წლების რუსეთ-თურქეთის ომი დასრულდა იასის სასავო ხელშეკრულებით. აღნიშნულ დოკუმენტში იმერეთის სამეფოს ინტერესები საერთოდ არ იქნა ასახული. გამომდინარე აქედან, ბესარიონ გაბაშვილის ელჩობაც უშედეგოდ დასრულდა. XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში აფხაზეთის სამთავრო‘ში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები დასრულდა იმით, რომ 1810 წლის ოქტომბერში ის რუსეთის მფარველობაში შევიდა.

წყაროები და ლიტერატურა

1. ბესიკი, თხზულებანი, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1962.
2. გასვიანი გ., ძველი და ახალი აფხაზეთი, თბ., 1998.
3. დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, საძიებელი და გამოკვლევა შ. ბურჯანაძისა, თბ.,1962
4. მაჭარაძე ვ., ბესიკი დიპლომატიურ სარბილეზე, თბ., 1968.
5. მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. II, თბ., 1988,
6. სულაბერიძე ზ., საინტერესო დოკუმენტი აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე, წიგნში: "საისტორიო ძიებანი", ტ. II, თბ., 1999.
7. შენგელია ნ., ოსმალური ქუსუკ-ბერათები სოხუმის ციხის შესახებ, წიგნში: "აღმოსავლური კრებული", თბ., 1991.
8. ცინცაძე ი., 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960.
9. Антелава Й., Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, Сухуми, 1949.
10. Броневский С., Новейшие географические и исторические сведения о Кавказе, ч. 1, М., 1823.
11. Гамахария Д., Гогия Б., Абхазия – историческая область Грузии. Тбилиси, 1997.
12. Дзидзария Г., Политическая события в Абхазии во второй половине 18 века в свете Георгиевского трактата, დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XV, თბ., 1989.
13. Журнал Министерства внутренных дел, ч. 19, СПБ., 1836.
14. Петров П., Вторая Русско-Турецкая война(1787-1791), СПБ., 1867.

15. Сборник сведении о Кавказских горцах, вып. III, Тифл. 1870.
16. Торнау Ф., Воспоминание кавказского офицера, т. 1, М., 1867.
17. Цагарели А, Грамоты и другие документы относящиеся к Грузии, т. 2, СПБ., 1902.
18. Архив внешней политики России [АВПР], ф. 110, оп. 1, д. 2.
19. Архив внешней политики России [АВПР], ф. 89, оп. 8, д. 640.
20. Архив внешней политики России [АВПР], ф. 89, оп. 89/8, д.675.
21. Российский государственный военно-исторический архив [РГВИА], ф. 52, оп. 1/194, д. 20.
22. Российский государственный военно-исторический архив [РГВИА],ф. 52, оп. 1/194, ч.3; д.331.
23. Российский государственный военно-исторический архив [РГВИА],ф. 52 оп.1/194, ч. 4, д. 20.
24. Российский государственный военно-исторический архив[РГВИА], ф.52 оп.1/194, ч. 4, д.366.
25. Российский государственный военно-исторический архив [РГВИА], ф. ВУА, оп. 1, д. 482.

Zurab Sulaberidze

History of the relationship between the Imereti Kingdomwith the Abkhazian Princedom in the second half of the XVIII century

This publication will discuss problems regarding the relationship of the Imereti kingdom with the Abkhazian princedom during this period. Their relationship, between the two political parties resulted in noted character changes. The problems of this relationship will be studied chronologically; detailing the following factors: 1. The mutual relations of the Imereti kingdom with the Abkhazian princedom in 50-60th years of 18 centuries; 2.)The period in the Russian-Turkish war of 1768-1774 and finally 3. The 80-90 years of 18th century. Discussion will also be paid to the history of the Rukhi war of 1780. Including, its consequence and the developments of politics in the western Georgia. Also taking into account the general demographic conditions of the above-stated princedoms in the 70-90th years of the 18th century. There is also information regarding the history of occurrence of the Abkhazian princedom under the protection of the Russian empire in October, 1810.Despite the difficult political conditions of the Abkhazian princedom in second half of 18th century, this region maintained a uniform political system of the western Georgia.

ნატო სონღულაშვილი

მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა საქართველოს სკოლებში (1918-1919 წლები)

1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის წინაშე სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტა დადგა დღის წესრიგში. 1918-1921 წლები მეტად რთული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მრავალ დადებით მოვლენასთან ერთად ბევრი პრობლემა მოიტანა. 117 წლის მანძილზე საქართველო რუსეთის დაქვემდებარებაში იყო. XV საუკუნის II ნახევარში საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. თუ არ ჩავთვლით ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანებას XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამიტომ საჭირო იყო მთელი რიგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რეფორმების განხორციელება და რაც მთავარია საზოგადოების ცნობიერების რადიკალურად შეცვლა. ეს დაკავშირებული იყო, როგორც ეროვნული, ნაციონალური სიმბოლოების შენარჩუნება-აღორძინებასთან, ასევე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ხასიათის რეფორმებთან, რაც საბოლოო ჯამში ქართული საზოგადოების ცნობიერების ახალ სახელმწიფოებრივ საზღვრებში მოქცევას ითვალისწინებდა.

სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გარდაქმნებთან და ღონისძიებებთან ერთად მოსაგვარებელი იყო ქვეყნის ის პრობლემა, რომელიც რუსული მმართველობის გადმონაშთს წარმოადგენდა. ეს პირველ რიგში ეხებოდა განათლების სისტემას. აუცი-

ლებელ საჭიროებას წარმოადგენდა სკოლებში ქართულ ენაზე სწავლა-განათლების წარმართვა. ამასთან განსათვალისწინებელი იყო მოსწავლეების ეროვნული შემადგენლობა. როგორც ცნობილია ამ პერიოდში საქართველოს სკოლებში, განსაკუთრებით თბილისის სკოლებში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მრავლად სწავლობდნენ. თბილისის ვაჟთა გიმნაზიებში, მაგალითად, ითვლებოდა 1736 ქართველი. 1624 რუსი და 1477 სომეხი მოსწავლე. სხვა ეროვნებათა რიცხვი მცირე იყო. განათლების მინისტრმა მთავრობისაგან მოითხოვა დაეკანონებინა ქართული, სომხური და რუსული გიმნაზიების ცალ-ცალკე არსებობა. მომდევნო სასწავლო წლისათვის თბილისში უნდა შექმნილიყო სამი ქართული, ერთი სომხური, ერთი რუსული და ერთიც შერეული – რუსულ-სომხური გიმნაზია. ასეთივე რეორგანიზაცია ხდებოდა ქალთა გიმნაზიებში.

1918 წლის სექტემბრისათვის მთელ საქართველოში არსებობდა ვაჟთა 24 და ქალთა 21 გიმნაზია, ერთი სამასწავლებლო ინსტიტუტი და 4 საოსტატო სემინარია, 3 რეალური და 3 კომერციული სასწავლებელი. ასევე სახალხო განათლების უწყებაში არსებულ საშუალო სკოლების გვერდით საქართველოში საკმაოდ ბევრი იყო კერძო გიმნაზიები, რეალური და კომერციული სასწავლებლები. 1919 წლის სტატისტიკური ცნობის მიხედვით საქართველოში მოქმედებდა ვაჟთა და ქალთა კერძო გიმნაზიები – 26, რეალური სასწავლებელი – 3, საკომერციო სასწავლებელი – 2, საბუღალტრო კურსები – 8. დაწყებითი, დაბალი და მაღალი ტიპის სკოლები სწავლა-განათლების საერთო სისტემაში შედიოდნენ, მაგრამ ცალკე აღირიცხებოდნენ. 1919 წელს მთელ საქართველოში მოქმედებდა 1860 პირველდაწყებითი სკოლა, საიდანაც მხოლოდ 120 იყო არაქართული (ბენდიანიშვილი 2001: 262).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებამ არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა. მათ შორის იყო გარდაქმნები განათლების სფეროში. ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს მაქსიმალურად ცდილობდა ყველა ფენებში განათლების დონის ამაღლებას და, ბუნებრივია, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ეს საკითხი უპირველესი განხილვის საგანი გახდა. ეს პირველ რიგში გამოიხატებოდა სკოლების ნაციონალიზაციით, რომელსაც საფუძველი 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ჩაეყარა და 1918 წლიდან ახალი აღმავლობა განიცადა. ეს ყოველივე კი დაკავშირებული იყო სკოლების რეორგანიზაციის პროგრამასთან, რაც პირველ რიგში გულისხმობდა ქართულ ენაზე სწავლა-განათლების წარმოებას და სასწავლო საგნებში: საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს გეოგრაფიის შეტანას.

ამ მიმართულებით მოღვაწეობას ართულებდა საქართველოს, განსაკუთრებით თბილისის სკოლების ეროვნული შემადგენლობა. როგორც ცნობილია რუსეთის საიმპერატორო კარმა საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების ჩამოსახლებას შეუწყო ხელი, რამაც მთელი სიმწვავით თავი იჩინა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. 1918 წლის მონაცემებით ზოგიერთ სკოლებში ქართველებს არაქართველები სჭარბობდნენ.

განათლების სისტემის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდი 1935. 1918-1921 წლების ქართული სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესების შესწავლასთან დაკავშირებით არაერთი

საქმე სათანადოდ არის დამუშავებული და გამოქვეყნებული. ამჯერად ჩვენი მიზანია გამოვკვეთოთ როგორია 1918 წელს მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა საქართველოს ცალკეულ სკოლებში.

ქალთა ეროვნული შემადგენლობა სახაზინო გიმნაზიებში: „ქართველნი-972, სომხები-1555, თათრები-47, რუსები-2065, ურიები-209, გერმანელნი-55, პოლონელები-117, გამოურკვეველი-72. კერძო გიმნაზიები: ქართველნი-560, სომხები-131, თათრები-2, რუსები-62, გამოურკვეველნი-122 გერმანელი-1, პოლონელი-1.

ვაჟთა სახაზინო გიმნაზიები: ქართველნი-687, სომხები-1313, თათრები-72, რუსები-950, ურიები-176, გერმანელნი-28, პოლონელნი-26, გამოურკვეველნი-69. კერძო გიმნაზიები: ქართველნი-1624, სომხები-943, თათრები-23, რუსები-446, ბერძნები-76, ურიები-257, გერმანელნი-28, პოლონელნი-26, სპარსნი-2, უკრაინელები-2, გამოურკვეველნი-85, ინგლისელი-1, აისორი-1.

ვაჟთა კერძო გიმნაზიები: ქართველნი-1624, სომხები-943, თათრები-23, რუსები-446, ბერძნები-76, ურიები-257, გერმანელნი-28, პოლონელნი-26, სპარსნი-2, უკრაინელნი-2, გამოურკვეველნი-85, აისორი-1, ინგლისელი-1.

კადეტთა კორპუსი და ორი კომერციული და რეალური სასწავლებლები: ქართველნი-462, სომხები-805, თათრები-70, რუსები-771, ბერძნები-9, ურიები-52, გერმანელნი-54, პოლონელნი-71, ოსი-1, ქართველი ისრაელნი-4, გამოურკვეველნი-38“ [2, 1-2].

ცალკეა გამოყოფილი კერძო გიმნაზიების მოწაფეთა ეროვნული შემადგენლობა ქალაქ თბილისში.

1. ქართული საქალებო გიმნაზია - 309 - ქართველი.
2. ბერთაშვილის გიმნაზია სქესთა გამურჩეველი – ქართველნი - 50, სომხები - 12, რუსები - 14.
3. ბილანაშვილის გიმნაზია სქესთა განურჩეველი – ქართველნი - 180.

4. მაშენკოსი და ტიხომიროვის გიმნაზია, ქართველნი - 15, სომხები - 28, რუსები - 48, თათრები - 2, პოლონელნი - 1, გერმანელები -1, ურიები - 1.
5. გრიაზნოვის გიმნაზია სქესთა განურჩეველი, ქართველები - 6.
6. გიმნაზია ლისიციანის სქესთა განურჩეველი, სომხები - 91“ [2, 11].

ვაჟ მოწაფეთა ეროვნული შემადგენლობა რეალურ, კომერციულ და კადეტთა კორპუსისა.

1. კადეტთა კორპუსი: ქართველნი - 66, სომხები - 26, თათრები - 14, რუსები - 273, ოსები - 1, ინგილოელნი - 4, პოლონელნი - 12, გერმანელნი – 9, გამოურკვეველნი - 3.
2. კომერციული I: ქართველნი - 84, სომხები - 453, თათრები - 33, რუსები - 78, პოლონელნი - 13, გერმანელნი - 18, ურიები - 21, გამოურკვეველნი - 16.
3. კომერციული II: ქართველნი - 132, სომხები - 138, თათრები - 13, პოლონელნი - 6, გერმანელნი - 2, ურიები - 14, ბერძნები - 9.
4. რეალური: ქართველნი - 180, სომხები - 138, თათრები - 10, რუსები - 40, პოლონელნი - 40, გერმანელნი - 25, ურიები - 17, გამოურკვეველნი – 19“ (სსცხსა: 19).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამსახურება იყო ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა „სქესთა განურჩეველი სასწავლებლების დაარსებაზე.“ ამ მხრივ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს საქმე № 249. „მოსწავლეთა რიცხვი ნაძალადევის 8 კლასიანი, კლასიკური ქალ-ვაჟთა კერძო ელენე ბილანაშვილის გიმნაზიისა.

3 კლასი: ქალები – 30, ვაჟები – 6
2 კლასი: ქალები – 35, ვაჟები – 16
1 კლასი: ქალები – 27, ვაჟები –13
1 კლასი (პარალელური) ქალები – 32, კაცები – 14

უფროსი მოსამზადებელი განყოფილება: ქალები – 24, ვაჟები – 32

უფროსი მოსამზადებელი განყოფილება: ქალები – 35, ვაჟები – 21

უმცროსი მოსამზადებელი განყოფილება (ქართული) – ქალები – 27, ვაჟები – 23, უმცროსი მოსამზადებელი განყოფილება (რუსული) – ქალები – 22, ვაჟები – 27

საანბანო განყოფილებები:

1. საანბანო ქართული: ქალი – 20, ვაჟი – 10
2. საანბანო რუსული: სულ 12 ქალი, 13 ვაჟი

მთელ სასწავლებელში ირიცხება 473 მოსწავლე: ქართველნი – 325, რუსი – 103, სომეხი – 24, ოსები – 12, ასირონი – 6, ბერძენი – 2, ებრაელი – 1" [2, 20].

ვაჟთა კერძო გიმნაზია, მოწაფეთა ეროვნული შემადგენლობა ქალაქ თბილისში, 1918 წელი, 17 ივლისი.

1. ვაჟთა ქართული გიმნაზია: ქართველნი – 796
2. ვაჟთა სასულიერო გიმნაზია: ქართველნი – 245.
3. ბილანიშვილის გიმნაზია სქესთა განურჩეველი: ქართველი – 90, გამოურკვეველნი – 60
4. ბერიაშვილის გიმნაზია სქესთა განურჩეველი
5. ქალ მასწავლებელთა გიმნაზია: ქართველნი – 74, სომხები – 33, რუსები – 18, გამოურკვეველნი – 8
6. გიმნაზია ტრაფიმენკოსი: ქართველნი – 25, სომხები – 16, რუსები – 25, ურიები – 10, გერმანელნი –8, პოლონელნი – 1, სპარსელი – 1, ბერძენი – 1
7. გრიაზნოვის გიმნაზია: ქართველნი – 5
8. ახალი სკოლის გიმნაზია: ქართველნი – 5, სომხები – 97, რუსები – 5, ურიები – 2, პოლონელი – 1, თათრები – 5
9. ლეჟანდროვსკის გიმნაზია: ქართველნი – 63, სომხები – 119, რუსები – 119, ურიები – 10, გერმანელნი – 5, პოლონელნი – 7, თათრები – 4

10. მე-2 სახალხო გიმნაზია: ქართველი – 7, სომხები – 5, რუსები – 9
11. გიმნაზია მეორე მასწავლებელთა ჯგუფისა: ქართველნი – 6, სომხები – 38, რუსები – 37, ურიები – 6, პოლონელნი – 2, თათრები – 1, გამოურკვეველნი – 5
12. თეძსაძის გიმნაზია: ქართველნი – 21, სომხები – 8, რუსები –30, ურიები –7
13. პუშკინის სახალხო გიმნაზია: ქართველნი – 89, სომხები – 248, რუსები – 69, ურიები – 5, გერმანელნი – 4, პოლონელნი – 2, ბერძენი – 6, თათრები – 6, ქართველი ურიები – 35
14. მასწავლებელთა ჯგუფის გიმნაზია: ქართველნი – 14, სომხები – 21, რუსები – 13, ურიები – 6, გერმანელნი – 2, პოლონელი – 6, თათრები – 2
15. რეალური სასწავლებელი პირაგოვისა: ქართველნი – 5, სომხები – 4, რუსები – 17, თათრები – 1, გამოურკვეველნი – 1
16. მასწავლებელთა ამხანაგობის გიმნაზია: ქართველი – 14, სომხები – 17, რუსები – 33, თათრები – 2, გამოურკვეველნი – 2
17. ტერ-სტეპანოვის გიმნაზია: ქართველნი – 3, სომეხი – 15, ურიები – 2
18. ებრაელთა გიმნაზია: ქართველი – 9, სომხები – 52, რუსები – 19, ურიები – 207, გერმანელი – 4, პოლონელნი – 3, თათრები – 2, უკრაინელნი -- 2
19. ბერძენთა გიმნაზია: ბერძენი – 75
20. სომეხთა გიმნაზია ლოსიცკიანისა: ქართველნი – 1, სომეხი – 232, რუსი – 9, გერმანელნი – 2, პოლონელნი – 2“ [3, 22].

რაც შეეხება საქართველოს ცალკეული რეგიონების სკოლებში მოწაფეთა ეროვნულ შემადგენლობას, თბილისთან შედარებით აქ მდგომარეობა უკეთესი იყო.

ქართველები აშკარად უმრავლესობას წარმოადგენდნენ. 1919 წლის მონაცემებით მდგომარეობა შემდეგია:

„ფოთის ვაჟთა გიმნაზია: ქართველები-280, სომხები-1, რუსები-53, სხვა ეროვნებები-47.

ფოთის ქალთა გიმნაზია: ქართველები-271, რუსები-4.

თელავის ვაჟთა გიმნაზია: ქართველები-279, რუსები-5, სხვა ეროვნებები-2. თელავის წმინდა ნინოს გიმნაზია: ქართველი-321, სხვა ეროვნებები-2.

გორის ქალთა გიმნაზია: ქართველები-209, რუსები-1, სხვა ეროვნები-8. გორის ვაჟთა გიმნაზია: ქართველები-224, სომეხი-78, რუსები-46, სხვა ეროვნებები-20

ზესტაფონის ვაჟთა გიმნაზია: ქართველები-299, სხვა ეროვნებები-2.

ზესტაფონის ქალთა გიმნაზია: ქართველები-258, სხვა ეროვნებები-1“ [4, 1].

როგორც მოტანილი დოკუმენტებიდან ჩანს, თბილისის სკოლებში საკმაოდ მრავლად იყვნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. სწორედ ამიტომ, საქართველოს ხელისუფლების მთავარი მიზანის წარმოადგენდა რესპუბლიკის ყველა სკოლაში ქართული მოსწავლეების რიცხვის გაზრდა. აღნიშნულის უმნიშვნელოვანეს გამოხატულებას წარმოადგენდა ქართულ ენაზე წარმოებული სწავლა-განათლების შემოღება.

წყაროები და ლიტერატურა

1. ალექსანდრე ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921წწ.). თბ., 2001.
2. სსცსა, ფონდი 1935, აღწერა 1, საქმე № 249.
3. სსცსა, ფონდი 1935, აღწერა 1, საქმე № 318.
4. sscsa, fondi 1935, aRwera 1, saqme # 658

Nato Songulashvili

National composition of Georgian schools in 1918-1919

After the restoration of the state independence, determination of a number of problematical issues raised in agenda for Georgian cultural and political elite. 1918-1921 are considered as the hardest period in the history of Georgia. The declaration of independence brought many problems together with positive things.

Along with all Different transformations and arrangementsof state importance. the previous problemsconnected to the remnants of the Russian government. also were to be solved. This was primarily related to the education issues. The management of education in Georgian language, as well as the foreseeing of the national composition wasa subjectof the essential need. As is well known,the representatives of many different nationalities studied in Georgian schools, especially in Tbilisi. Russian Imperial Court had contributed to the settlement of the representatives of various nationalities in Georgia. That emerged. all with acute after the declaration of State Independence. According to the 1918 databases, in some schools, the number of non-Georgians mainlyexceededthe quantity of native Georgian students.

თბილისისა და მისი მიდამოების ზოო ტოპონიმიკა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი მხარის, ქალაქის, სოფლის თუ ადგილის წარსულის კვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივ ტოპონიმიკას, რომელიც ხშირად გვაწვდის მთელ რიგ ცნობებს წარსულ მოვლენათა შესახებ. ადგილობრივ ტოპონიმიკაში ჩაქსოვილია ისტორია უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე. რის გამოც დიდი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული ტოპონიმის შესწავლა-გააზრებას წარსულის კვლევა-ძიებისას.

როდესაც ვსწავლობთ ტოპონიმიკას იგი ყოველთვის ლოკალიზებულია ერთი კონკრეტული გეოგრაფიული არეალით. ამ შემთხვევაში გვინდა ყურადღება მივაპყროთ თბილისსა და მის შემოგარენში არსებულ თუ აწ უკვე გამქრალ ზოო ტოპონიმიკას.

აღსანიშნავია, რომ დაბლა მოყვანილი 23 ტოპონიმიდან ბევრი მათგანი დროთა განმავლობაში გაქრა სხვადასხვა უბანთან ასიმილაციის შედეგად, ხშირად მათი ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენაც კი ჭირს, დღესდღეობით ასიმილაცია – სხვა უბანთან შეერთების პროცესი არ განუცდია იმ ტოპონიმებს, რომლებიც განთავსებულია ქალაქის გარეუბნებში.

დაბლა მოყვანილია თბილისში და მის შემოგარენში არსებული უბნის, ტაძრის, ხევის, თუ უბრალო მცირე ადგილთა ზოო ტოპონმიკა, თითოეული ტოპონიმის დასახლებისას შეეცდებით დავადგინოთ მათი განთავსების არეალი, თუ სად მდებარეობდა იგი გაჭრობამდე, ასევე ავხსნათ დასახელებულ ტოპონიმთა წარმოშობის მიზეზები.

აქლემას საყდარი – მცირე ზომის ბაზილიკური ტაძარი ავჭალაში, საგურამოს ნაკრძალის სიახლოვეს, მდინარე ჯაჭვისწყლის მარცხენა ნაპირზე, ნასოფლარ ჯაჭვის ადგილას. გადმოცემით ძველ დროს ტაძართან საქარავნო გზა გადიოდა და ტაძრის სიახლოვეს შესვენებისას აქლემებს აბამდნენ ხოლმე, რის გამოც შერქმევია აქლემას ტაძარი. ტაძარს არა აქვს არავითარი ადგილობრივი სახის რაიმე დღეობა [4].

გველიან ჭალა – ჭალა ბეთანიასთან [5, 19].

დათვის სიროები – ადგილი ლაბა წენეთთან [5, 21].

დეკის ნამუხლი – კლდე და მასში გაჭრილი გზა, ნაქულბაქევის ზევით დიღმის მასივში [1, 339; 3, 61; 5,22].

ლომის ხევი – მდინარე დიღმისწყლის მარჯვენა შენაკადი [5, 45].

მაჩვის საყდარი – მცირე ბაზილიკური ტაძარი თბილისის გარეუბანში ავჭალაში. გადმოცემით, ტაძარში ძველად დაბუდებული იყო მაჩვები, რის გამოც ტაძარს, რომელიც წმ. გიორგის სახელობისაა, დღემდე შემორჩა სახელი მაჩვის ტაძარი. ტაძარს არ აქვს არავითარი ადგილობრივი ხასიათის რაიმე დღეობა. დგას მიუვალ, გარემოსაგან ოხილირებულ ადგილას [4].

მგლის კარი – ადგილი ძველ ავლაბარში, ზუსტი ადგილის გარკვევა შეუძლებელია [5, 46].

მგლიის გორა – ადგილი სადღაც ძველ დიდუბეში [5, 46].

მგლიის სორო – წინათ საძოვრები, ახლა უბანი ქვემო ავჭალის ჩრდილოეთით [5, 46].

სააქლემო გზა – მიდიოდა ისანიდან თბილისისაკენ, იალღუჯისა და თელეთის გავლით [5, 58].

საკურდღლის ხევი – მდინარე, უერთდება მილიწყარის ხევს დელისის ჩრდ. დასავლეთით, თრიალეთის ქედზე [5, 60].

სამგლეები – ადგილი ძველი დიდუბის ტერიტორიაზე [5, 60].

სამგლე გორა – ხევი თელეთის ქედზე [5, 61].

სალორეები – ტყე სოფელ დიღომთან [5, 63].

საჯეირნო – ველი ვარკეთილში, სადაც ძველად დიდძალი ჯეირანი ყოფილა [5, 64].

ტურის ხევი – გლდანისწყლის მარცხენა შენაკადი, მცირე წყარო [5, 67].

ცხენის ბურგი – ადგილი სოფელ ახალდაბასთან მდინარე ვერეს მარჯვენა მხარეზე [5, 79].

ცხენის ტერფი – დიდუბის ძველი სახელწოდება [1, 338; 5, 79].

ცხენიჭამია ხევი – მდინარე ვერეს მარცხენა შენაკადი, ბაგების ჩრდილო დასავლეთით [5, 79].

ძაღლაანი – ნასოფლარი მდინარე დიღმისწყლის ხეობაში [5, 79].

ძაღლის სოფელი – უბანი შავსოფლის ძველი სახელწოდება [5, 79].

ძაღლის უბანი – მდებარეობდა ავლაბარში, ძველი ვარდისუბნის ადგილას, მოიცავდა ღომელაურისა და ღირსიჭალის ადგილებს [2, 149; 5, 80].

ძერების კლდებუდე – კლდე სოფელ კოჯრის მახლობლად [5, 80].

ზემოთ დასახელებული ზოო ტოპონიმებიდან უმრავლესობა გამქრალია ქალაქის სხვადასხვა უბნებიდან ასიმილაციის შედეგად. დროთა განმავლობაში, მათი ადგილი დაიმკვიდრეს სხვა ტოპონიმებმა. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი 23 ტოპონიმიდან დღესდღეობით შემორჩენილია მხოლოდ 8 ტოპონიმი:

აქლემას საყდარი – ავჭალაში.

ბეკლიან ჭალა – ბეთანიასთან.

ლომის ხევი – მდ. დიღმისწყლის შენაკადი.

მაჩვის საყდარი – ავჭალაში.

საკურდღლის ხევი – მცირე მდინარე საბურთალოზე დელისის ჩრ. დასავლეთით.

საჯერანო – ველი გარკვეთილში თბილისის ზღვის აღმოსავლეთით.

ტურის ხევი – გლდანისწყლის მარცხენა შენაკადი.

ცხენიჭამია ხევი – მდინარე ვერეს მარცხენა შენაკადი.

მიუხედავად, ქალაქის მზარდი პროცესისა არ უნდა მოხდეს დავიწყება ძველი ტოპონიმებისა, რომლებიც ხშირად მრავლის მთქმელია ქალაქის უბნისა თუ ადგილის შესწავლის დროს. მითუმეტეს, რომ ყოველი ტოპონიმის წარმოშობას გააჩნია საკუთარი მიზეზი და ძვირფას ინფორმაციას ინახავს ამა თუ იმ კუთხისა და რეგიონის ისტორიის შესახებ.

ლიტერატურა

1. ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, აწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ქველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
2. თეიმურაზ ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, 1977.
3. იოჰან გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, 1962.
4. გიორგი გრძელიძე, საველე ეთნოგრაფიული დღიური, 2011.
5. გრიგოლ ზარდალიშვილი, თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია, 1978.

„აფხაზთა სამეფოს“ შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადისერტაციო საბჭოს 2004 წლის 20 სექტემბრის სხდომაზე შედგა ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის - „აფხაზთა სამეფო“ - დაცვა (სამეცნიერო ხელმძღვანელი აკად. მარიამ ლორთქიფანიძე). ოფიციალური ოპონენტები იყვნენ პროფესორები, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები ზურაბ პაპასქირი და გონელი არახამია. ოპონენტებმა თავიანთ რეცენზიებში ყურადღება გაამახვილეს „აფხაზთა სამეფოსთან“ დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

ერთ-ერთი ოპონენტის, პროფესორ ზურაბ პაპასქირის რეცენზიაში ძალზე საინტერესო მოსაზრება იქნა წამოყენებული, რომელიც უკავშირდება „აფხაზთა მეფეების“ რიგს. ფაქტობრივად, ეს იყო პროფესორ ზურაბ პაპასქირის მიერ საკითხისადმი სრულიად ახლებური მიდგომის დაფიქსირება, რაც „აფხაზთა მეფეების“ რიგის დადგენისა და შევსების საფუძველს იძლეოდა.

პროფესორ ზურაბ პაპასქირის მიერ წამოყენებული არგუმენტები საფუძველს იძლეოდა „აფხაზთა მეფეების“ ტრადიციული რიგის გადახედვისა და ფაქტობრივად ამ რიგის შევსებისათვის. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დროს ვთხოვეთ პროფესორ ზურაბ პაპასქირს აღნიშნული მოსაზრება არა მხოლოდ რეცენზიაში, არამედ ცალკე სამეცნიერო სტატიის ფორმითაც გამოექვეყნებინა.

პროფესორმა ზურაბ პაპასქირმა მართლაც სტატიის სახით გამოაქვეყნა ზემოაღნიშნული რეცენზია [19], რომელშიც არა მხოლოდ „აფხაზთა მეფეებთან“

დაკავშირებული ზემოაღნიშნული საკითხი, არამედ ჩვენი ნაშრომის სხვა საკითხებიც (ისევე როგორც რეცენზირების დროს) იქნა გაშუქებული. სწორედ ამიტომ, აუცილებლად მივიჩნიეთ რეცენზიაში განხილულ რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით ჩვენი პასუხიც გამოქვეყნებულიყო.

უპირველეს ყოვლისა კიდევ ერთხელ მიეუბრუნდებით და უფრო დეტალურად გავაშუქებთ იმ საკითხს, რომელსაც ზემოთ ვისაუბრეთ და რომელიც „აფხაზთა მეფეების“ რიგს ეხება. როგორც აღვნიშნეთ, ამასთან დაკავშირებით პროფესორ ზურაბ პაპასქირის მოსაზრება ძალზე საგულისხმო და გასაზიარებელია. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე ვრცლად მოგვაქვს პროფესორ ზურაბ პაპასქირის შესაბამისი ტექსტი რეცენზიიდან:

„სადისერტაციო ნაშრომის მე-2 თავი ეძღვნება „აფხაზთა“ სამეფოს საზღვრებსა და ტერიტორიულ დაყოფას. მასში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული „აფხაზთა“ სამეფოს სამხრეთ საზღვარზე და ამასთან დაკავშირებით საგანგებოდაა გაანალიზებული „აბო ტფილელის მარტვილობისა“ და სხვა წყაროთა მონაცემები ტრაპეზუნტის მხარის „აფხაზთა“ სამეფოსადმი დამოკიდებულების შესახებ. ავტორი, ჩვენი აზრით, საკმაო დამაჯერებლობით ასაბუთებს იმას, რომ „აბო ტფილელის მარტვილობის“ შესაბამისი ცნობა გულისხმობს ტრაპეზუნტისა და მისი შემოგარენის მოქცევას „აფხაზთა“ სამეფოს ფარგლებში. ამავე თავში, ხაზგასმულია, რომ შიდა ქართლზე „აფხაზთა“ სამეფოს კონტროლის დამყარების შემდეგ „ქართლის ერისთავად“ დაინიშნა ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე, რაც დისერტანტის მართებული შენიშვნით ამ რეგიონის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ შიდა ქართლის მართვის სადავეების უფლისწულებისათვის ჩაბა-

რების ტრადიცია, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ IX ს. 60-იანი წლებიდან „აფხაზთა“ მეფის გიორგი I „აღწყფელის“ დროიდან იღებს სათავეს და ამის აღნიშვნაც იყო საჭირო. ამასთან უშუალოდაა დაკავშირებული ე.წ. - „ჩიხის საერისთავოსა“ და „ჩიხის ერისთავის“ სტატუსის საკითხი. დისერტანტი იხილავს „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობას „აფხაზთა“ მეფე გიორგი I-ის მიერ ქართლის დაპყრობისა და „ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი“-ს დატოვების შესახებ. ქართულ ისტორიოგრაფიაში, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ამ ცნობაში დაფიქსირებულ ერისთავად მიიჩნევენ ბაგრატ დემეტრეს ძეს გიორგი I-ის ძმისწულს, რომელიც მოგვიანებით, იმავე ქრონიკის ცნობით, გიორგი I-ის ქვრივმა და ითანე შავლიანმა „შთააგდეს . . . ზღვასა“ და სასიკვდილოდ გაწირეს. შ. გლოველი უკრიტიკოდ იღებს ამ თვალსაზრისს და ასევე ასკვნის, რომ ჩიხას დატოვებული ერისთავი არის ბაგრატ დემეტრეს ძე. ჩვენ არა ვართ დარწმუნებული, რომ „ძე დემეტრესი“, რომელიც გიორგი I-მა „დაუტევა ერისთავად ჩიხას“ და „ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორიაქმნილობით“ მაინცდამაინც ერთი და იგივე პიროვნებაა. „მატიანე ქართლისაჲ“-ს აღნიშნული ცნობა, ჩვენი აზრით, არ გვაძლევს ამის ასე დაბეჯითებით მტკიცების საშუალებას. თვალსაჩინოებისათვის საჭიროდ მივიჩნევთ მოვიყვანოთ „მატიანეს“ ტექსტის შესაბამისი ნაწილი სრულად: „მას უამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსისა და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი, და ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორია-ქმნილობით. და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა. და ეცრუა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა, და

შთააგდეს ბაგრატ ზღუასა. ხოლო ღმერთმან განარინა იგი, და მიიწია ქალაქად კოსტანტინეპოლედ“. ჩვენი აზრით, აქ აშკარად დემეტრე „აფხაზთა“ მეფის ორ ძესა საუბარი. აქედან ერთია ის, რომელიც გიორგი I-მა „დაუტევა ერისთავად ჩიხას“ და რომელიც მოკლა გიორგი I-ის ქვრივმა, ხოლო მეორე, რომელიც ჯერ კიდევ იყო მცირეწლოვანი და „რომელსაც ერქუა ბაგრატ“. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ტექსტის ამგვარ გაგებას უჭერს მხარს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც სრულიად გარკვევით წერს, რომ: „ამისა ამას გამოვიდა მეფე აფხაზთა და დაიპყრა ქართლი და **დაუტევა ერისთავად ჩიხას ტინენ ძე დიმიტრისა.** ხოლო შემდგომად, გარდაიცვალა რა გიორგი მეფე აფხაზთა, **ცოლმან მისმან მოკლა ტინენ ძე დიმიტრისა** და ცრუა იოანე მთავარსაცა და **შთააგდეს ძე დიმიტრისავე ბაგრატ ზღუასა შინა“.** ამ ინფორმაციას კიდევ უფრო აზუსტებს ვახუშტი ბატონიშვილი თავისი თხზულების სხვა ადგილას. ის წერს: „ამისთჳს შეიპყრა (გიორგი I-ის ქვრივმა-ს.პ.) **ძე დიმიტრისა ერისთავი ჩიხისა ტინენ და მოკლა იგი და უმრწემესი ძე დიმიტრისავე ბაგრატ მცირე ჰასაკითა ექსორია ჰყო** და მოგუსური ბაგრატ შთააგდეს ზღუასა შინა“. ამრიგად, ეჭვს გარეშეა, რომ ვახუშტი ბატონიშვილს ჰქონდა საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა იმის შესახებ, რომ დემეტრე „აფხაზთა“ მეფეს ჰყავდა ორი ძე: ერთი – ტინენ, რომელიც თავისმა ბიძამ „აფხაზთა“ მეფე გიორგი I-მა დანიშნა „ერისთავად ჩიხას“, ხოლო მეორე – უმრწემესი – ბაგრატ, რომელიც მცირეწლოვანი იყო. ვფიქრობთ, არა გვაქვს არავითარი საფუძველი არ ვენდოთ ვახუშტი ბაგრატიონის ამ დასკვნებას. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ „მატიანე ქართლისაჲ“-ს ტექსტის ჩვენთვის საინტერესო ადგილის ტრადიციული ინტერპრეტაცია უნდა გადაისინჯოს“ [19, 318-320].

მიგვანნია, რომ „აფხაზთა მეფე“ დემეტრეს ძის, „ხიხის ერისთავის“ შესახებ პროფ. ზ. პაპასქირის მსჯელობა ძალზე დამაჯერებელია. ეს არ არის მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომის ოპონირების დროს შენიშვნის სახით აღსანიშნავი ფაქტი. ეს არის სავსებით ახალი თემა, რომელიც ისტორიოგრაფიაში ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგ ფაქტობრივად აღარ განხილულა. სწორედ ამიტომ, დისერტაციის დაცვის სხდომაზეც ვთხოვეთ ბატონ ზურაბ პაპასქირს, რეცენზიაში გამოთქმულ ამ მოსაზრებას მიცემოდა სამეცნიერო ნაშრომის სახე, რომელიც გამოქვეყნდებოდა და დაეხმარებოდა „აფხაზთა სამეფოს“ ისტორიის შემსწავლელებს.

„აფხაზთა სამეფოს“ ისტორიის შესწავლისას ჩვენთვის ამოსავალი არის პირველწყარო – „მატიანე ქართლისაჲ“. მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებას წყაროდ ნამდვილად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს არა ვახუშტისეულ ინტერპრეტაციასთან, არამედ ვახუშტის თხზულებაში დაცულ ახალ, განსხვავებულ ფაქტებთან, ბუნებრივია, ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებასაც პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება. ასეთია სწორედ ტინენ დემეტრეს ძის ეპიზოდი, რასაც ნამდვილად სჭირდება ახლებური გააზრება და ამ საკითხის გაშუქებისთვის დიდ მადლობას ვუხდით ბატონ ზურაბ პაპასქირს. აღნიშნულ საკითხზე ისტორიოგრაფიაში არსებული ტრადიციული ინტერპრეტაცია ნამდვილად გადასასინჯია.

პროფ. ზ. პაპასქირმა, როგორც აღვნიშნეთ, გამოაქვეყნა არა მხოლოდ „აფხაზთა მეფეებთან“ დაკავშირებული საკითხი, არამედ ჩვენი ნაშრომის რეცენზიის სრული ვარიანტი, ამიტომ ჩვენც რეცენზიაში გაშუქებულ რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ ჩვენს მოსაზრებებს (აქვე განვმარტავთ, რომ რეცენ-

ზია გამოქვეყნდა 2004 წელს. ჩვენ რეცენზიაზე პასუხის (რომელიც დისერტაციის დაცვის დროს იქნა გაცემული) გამოქვეყნება არ გვიფიქრია, მაგრამ ბოლო დროს რამდენიმე სტუდენტის ნაშრომის გაცნობის შემდეგ მისანშიწონილად ჩავთვალეთ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენი აზრი კიდევ ერთხელ გამოგვეთქვა. როგორც ჩანს, მხოლოდ რეცენზიის გაცნობით მკვლევართა ნაწილისთვის საკითხებისადმი ჩვენეული ხედვა მაინც ბუნდოვანი დარჩა). კერძოდ, პროფ. ზ. პაპასქირი აღნიშნავს: „მართებულია დასკვნა აფხაზეთის ერისთავის – ლეონ I-ის არჩილთან ვასალურ ურთიერთობაში შესვლის შესახებაც, მაგრამ ვერ გავიზიარებთ დისერტანტის დასკვნას თითქოს ეს ქოფილიოს უბრალოდ „ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება“, რომელიც მოგვიანებით დაეცა დასავლეთ საქართველოში ახალი ქართული სახელმწიფოს (იგულისხმება „აფხაზთა“ სამეფო) შექმნას. აქ ჩვენ საქმე გვაქვს უფრო დიდ მოვლენასთან – ბიზანტიის ხელდებული მხარის – აფხაზეთის ინტეგრირებასთან საერთო-ქართულ (ანუ ქართლ-ეგრისის) პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სივრცეში“ [19, 316].

ჩვენ, როდესაც ვსაუბრობთ ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებაზე ეროვნული ინტერესების აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ მირიანისა და არჩილის დროს იწყება ეგრისის ტერიტორიაზე ახალი ქართული სახელმწიფოს აღდგენის პროცესი, რაც ლეონ II-ის დროს დასრულდა „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბებით [4; 5]. ასევე, მიგვაჩნია, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესის ერთ-ერთი ეტაპია ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანება. აქედან გამომდინარე, ჩვენც ვიზიარებთ მიგნებას რაზეც საუბრობდა ბატონი ზურაბი. კერძოდ, რომ ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებით დიახ, მართლაც ხდება აფხაზეთის ინტეგრირება საერთო-ქართულ პოლიტიკურ – სახელმწიფოებრივ სივრცეში.

რეცენზიაში ვკითხულობთ: „რაც შეეხება დისერტანტის მტკიცებას, თითქოს უკვე ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების ქვეშ (VIII ს. 80-იანი წლების დამდეგისათვის), იყო ანტიბიზანტიური აქტი და ის არ შეიძლებოდა მომხდარიყო იმპერიის სანქციით, ეს ჩვენი აზრით, მეტ არგუმენტაციას მოითხოვს“ [19, 317].

როგორც მოგეხსენებათ, ქართლის ერისმთავრები – მირი და არჩილი, არაბებისაგან თავს აფარებენ აფხაზეთს. ამ დროს აფხაზეთი იყო უშუალოდ ბიზანტიის შემადგენელი ნაწილი. ისინი აფხაზეთის ერისთავის, ანუ აფხაზეთში ბიზანტიის იმპერატორის მოხელის – ლეონ I-ის მიერ დიდი პატივით იქნენ მიღებულნი. ლეონ I-მა კონსტანტინოპოლიდან საგანგებო ბრძანებაც კი მიიღო არჩილის და მირის პატივით მიღების მოთხოვნით [23, 240]. ბიზანტიის იმპერატორმა რეგალიებიც კი გამოუგზავნა მათ და ფაქტობრივად მირისა და არჩილის მიერ ბიზანტიასთან ანტიარაბული ბლოკი შეიკრა. ამ ეტაპზე, რა თქმა უნდა, ანტიბიზანტიურ მოქმედებასთან საქმე არანაირად არა გვაქვს.

მოგვიანებით, როდესაც მირი გარდაცვლილია, ლეონ I და არჩილი ფაქტობრივად ახორციელებენ ეგრის-აფხაზეთის გაერთიანების და ლეონ I, ბიზანტიის მოხელე, ვასალურ ურთიერთობაში შედის არჩილთან. ის ამბობს: „მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მკვდრობით“ [23, 242], ანუ მან მემკვიდრეობით მიიღო აფხაზეთი, როგორც ბიზანტიის საერისთავო, და დასძენს: „არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდაცე იყოს. და ცეცს ალთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა, არამედ **ერჩდეს ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა**“ [23, 242-243]. ძალიან გაგვიჭირდება გავიზიაროთ აზრი, რომ ამ დროს ეგრის-აფხაზეთის გაერთიანების ეს პროცესი ბიზანტიის სანქციით ხდება. ბიზანტიის იმ-

პერიას არც ანტიარაბული მომენტი, არც თუნდაც ბუ-ფერული სახელმწიფოს – ეგრისის სამეფოს აღდგენის სურვილი არ დაათმობინებდა აფხაზეთზე გაევლებინას და ლეონის არჩილთან ვასალურ ურთიერთობაში შესვლას ჩვენ პრობიზანტიურ პოლიტიკად ვერ განვიხილავთ [5, 38-65].

ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება იყო გარკვეული ეტაპი „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების პროცესში. ეს პროცესი დასრულდა ლეონ II-ის დროს; ამის თაობაზე „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით ვარკვევთ, რომ ლეონ II-მ ისარგებლა ბერძენთა (ანუ ბიზანტიის იმპერიის) „მოუძლურებით“ [13, 251] და განუდგა მათ საბოლოოდ, დაეუფლა აწ უკვე გაერთიანებულ ეგრის-აფხაზეთს და თავი გამოაცხადა „აფხაზთა მეფედ“. მაშასადამე, ამ დროისთვის უკვე აშკარად ანტიბიზანტიურ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე [5, 38-65].

გამომდინარე ზემოთქმულიდან, იმ ფაქტიდან, რომ ჯერ კიდევ ლეონ I-ის დროს მის ქმედებაში ვხედავთ ანტიბიზანტიურ პოლიტიკას, რაც გაგრძელდა ლეონ II-ის გამეფებამდე ანუ „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბებამდე, ვეძებთ მიზეზებს თუ რამ განაპირობა, რომ მირისა და არჩილის დროს დაწყებული ქართული სახელმწიფოების აღდგენის პრობიზანტიური პოლიტიკის კურსი ანტიბიზანტიური პოლიტიკით დასრულდა? ასეთ განმაპირობებელ ფაქტორად მიგვაჩნია ბიზანტიაში მიმდინარე ხატმებრძოლეობა, რაც უკავშირდება არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ ძირითადად სახელმწიფოებრივ მომენტებსაც [5, 38-65]. ხატმებრძოლეობამ ბიზანტია საკმაო პრობლემის წინაშე დააყენა, ეკლესიის შიგნითაც საკმაო დაპირისპირება მოხდა და მინიგანად სახელმწიფოს სიძლიერეზე იმოქმედა. მიგვაჩნია, რომ ხატმებრძოლეობის დროს რელიგიურ-სახელმწიფოებრივმა პრობლემებმა იმოქმედა იმდროინდელ აფხაზეთზე, როგორც იმპერიის შემადგე-

ნელ საერისთავოზე და ამ რელიგიურ-სახელმწიფოებრივ ერთგვარ კრიზისზე უნდა იყოს საუბარი „მატიანე ქართლისაჲში“ „ბერძენთა მოუძლურებაზე“ აქცენტის გაკეთების დროს [3; 24].

პროფესორი ზ. პაპასქირი აღნიშნავს: „უაღრესად საინტერესოა სადისერტაციო ნაშრომის მე-3 თავი, რომელშიც დადგენილია „აფხაზთა“ მეფეების ქრონოლოგიური რიგი. მასში კრიტიკულადაა გაანალიზებული „აფხაზთა მეფეთა დივანი“-ს მონაცემები. სწორადაა შენიშნული, რომ ე.წ. „აფხაზთა“ მეფეთა დინასტია არ შეიძლება იყოს ლაზეთის მთავრების დინასტია, როგორც ამას ფიქრობდა პ. ინგოროყვა. მაგრამ დისერტანტის მცდელობა გადასინჯოს იმავე პ. ინგოროყვას თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ლეონ I-ის შემდეგ აფხაზეთის ხელისუფლების სათავეში უნდა ყოფილიყვნენ თეოდორე I და კონსტანტინე II . . . ჩვენი აზრით, მთლად დამაჯერებელი არ არის“ [19, 321].

როგორც მოგეხსენებათ, აფხაზეთის ერისთავების და „აფხაზთა მეფეების“ ნუსხა დაფიქსირებულია ე.წ. „მეფეთა დივანში“, რომელშიც მოხსენიებულია მხოლოდ ლეონ II [8]. ეს დოკუმენტი არ იხსენიებს ორჯერ პიროვნება ლეონს, რაზეც „მატიანე ქართლისაჲში“ და ჯუანშერის თხზულებაშია საუბარი და მათი მოღვაწეობის რეალურობა ჩვენთვის ეჭვმიუტანელია. პ. ინგოროყვამ ჩაამატა „მეფეთა დივანის“ ნუსხაში ლეონ I-ის სახელი თეოდორესა და კონსტანტინეს წინ [9, 193-194, სქემა]. აქ თითქოს გასწორდა „დივანისეული“ ხარვეზი და ლეონ II-ის ბიძად დაფიქსირდა ლეონ I, რაზეც „მატიანე ქართლისაჲ“ მიუთითებს. იმის გათვალისწინებით, რომ ლეონ I-ის შემდეგ ისტორიულ წყაროებში არ იხსენიებიან არც თეოდოსი, არც კონსტანტინე, ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია ვარაუდი, რომ ლეონ I-ის შემდეგ აფხაზეთის ერისთავი ხდება სწორედ ლეონ II [6, 61-107]. ამ საკითხ-

ზე, წყაროთა სიმცირის გამო, კატეგორიული მსჯელობა გამორიცხულია, მაგრამ როგორც ჩვენს ვერსიას, ასევე, პ. ინგოროყვასეულსაც არსებობის უფლება აქვს. პროფ. ზ. პაპასქირი მხარს უჭერს ინგოროყვასეულ სქემას და მიაჩნია, რომ ლეონ I-დან ლეონ II-მდე აფხაზეთში ერისთავობდნენ თეოდორე და კონსტანტინე. ამ არგუმენტის გასამყარებლად ბატონი ზურაბ პაპასქირი წერს: „არ შეიძლება არ დაგვაფიქროს იმანაც, რომ იოვანე საბანისძე, რომელიც არ იშურებს საქებარ სიტყვებს აფხაზეთის მთავრის მისამართით, რატომღაც არ გვამცნობს მის ვინაობას. ვფიქრობთ, ეს მთავარი ლეონ I, რომ ყოფილიყო, „აბო ტფილელის მარტვილობის“ ავტორი, ამას აუცილებლად აღნიშნავდა“ [19, 321]. გამოდის, რომ იოანე საბანისძე თხზულებაში „აბო ტფილელის მარტვილობა“ აფხაზეთის მთავარს სახელით მოიხსენიებდა ეს მთავარი რომ ყოფილიყო ლეონი. მაშინ გაუგებარია, რატომ არ უნდა მოეხსენიებინა იოანე საბანისძეს თეოდორე ან კონსტანტინე? გარდა ამისა, იოანე საბანისძე, აღნიშნავს რა აბო თბილელისა და ნერსე ერისთავის „აფხაზეთში“ გადასვლას, ნათლად მიანიშნებს, რომ ეს აფხაზეთი უკვე მთელი დასავლეთი საქართველოა და აღწერს მის საზღვრებს. ეგრისი და აფხაზეთი უკვე გაერთიანებულია. გარდა ამისა, აფხაზეთის ხელისუფალს იხსენიებს არა ერისთავად, არამედ მთავრად, ანუ აფხაზეთის ხელისუფალი ადგას უკვე სრული დამოუკიდებლობის გზას [10]. ვფიქრობთ, რომ ეს არის ლეონ II, მომავალში მეფე „აფხაზთა“. ის რომ ლეონ II დაეუფლა ჯერ კიდევ ლეონ I-ის დროს გაერთიანებულ ეგრის-აფხაზეთს და მიიღო მეფის ტიტული, ეს არ იქნებოდა ერთჯერადი აქტი. ეს არის ლეონ II-ის მოღვაწეობის ეტაპები, ანუ ერისთავობიდან ის ხდება მთავარი, ფლობს ეგრის-აფხაზეთს (რაზედაცაა საუბარი იოანე საბანისძის თხზულებაში

„აბო ტფილელის მარტვილობა“) და შემდეგ იღებს „აფხაზთა მეფის“ ტიტულს.

რეცენზიაში არის რამდენიმე შენიშვნა, რომლებსაც გვსურს სათანადო კომენტარის გაკეთება. კერძოდ, ბატონი ზურაბ პაპასქირი აღნიშნავს კონკრეტულ საკითხს, შემდეგ იძლევა ამ დასმული პრობლემის ირგვლივ საკმაოდ ვრცელ მსჯელობას, მაგრამ ჩვენი და ბატონ ზურაბ პაპასქირის დასკვნები ფაქტობრივად ანალოგიურია. საქმე გვაქვს ჩვენი ნაშრომის გარკვეულ ინტერპრეტირებულ გააზრებასთან. კონკრეტულად: სადისერტაციო ნაშრომში ვსაუბრობთ რა საქართველოს გაერთიანების საქმეში იოანე მარუშის ძის დასის როლზე და მნიშვნელობაზე აღვნიშნავთ, რომ იოანე მარუშის ძე საკუთარი გეგმის განხორციელებას იწყებს საკუთარი სამფლობელოდან – შიდა ქართლიდან და აღვნიშნავთ, რომ, როგორც ჩანს, საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლები იყვნენ ცალკეულ სამეფო-სამთავროებში, მაგრამ მათი ძირითადი ბირთვი ჩანს შიდა ქართლში („აფხაზთა სამეფოს“ იმდროინდელ საერისთავოში). პატივცემული ოპონენტი მიუთითებს, რომ იოანე მარუშის ძე „შიდა ქართლის არისტოკრატიის ლიდერი არ იყო და არც შიდა ქართლი წარმოადგენდა მის „საკუთარ სამფლობელოს“ [19, 322]. ამის შემდეგ, პროფ. ზურაბ პაპასქირი საკმაოდ ვრცლად ასაბუთებს აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ იოანე მარუშის ძე იყო „ქუთაისის ტახტის, ანუ ქვემოს ცენტრალური ხელისუფლების სრულუფლებიანი წარმომადგენელი რეგიონში“ [19, 322], რომ იოანე მარუშის ძე „ფაქტობრივად ასრულებდა მეფისნაცვლის ფუნქციას“ [19, 322]. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ არანაირად არ ვფიქრობთ ჩვენ რაიმეს განსხვავებულად. როდესაც აღვნიშნეთ, რომ მარუშის ძე თავის სამფლობელოდან იწყებს გეგმის განხორციელებას, აქ ჩვენ მისი არა შიდა ქართლის არისტოკრა-

ტიიდან გამოსულობა, არამედ სწორედ პოლიტიკურად შიდა ქართლის ხელისუფლების ფლობა ვიგულისხმეთ. მთლიანად ვეთანხმებით პროფ. ს.ურაბ პაპასქირს, რომ იოანე მარუშის ძე არის „აფხაზთა მეფის“ მოხელე. ერისთავი შიდა ქართლში, რომ ის მეფისნაცვლის ფუნქციას ასრულებს ამ რეგიონში, მაგრამ ნურავინ იტყვის, რომ მეფისნაცვალი რეგიონში არ ფლობს პოლიტიკურ ხელისუფლებას. უფრო მეტიც, იოანე მარუშის ძე ისე უთანხმდება დავით III კურაპალატს შიდა ქართლის საკითხის მოგვარების თაობაზე, რომ ის არც ადგილობრივ არისტოკრატიას ეკითხება რამეს და არც თავად „აფხაზთა მეფეს“. ასე რომ, შიდა ქართლში იოანე მარუშის ძის პოლიტიკური ძალა საკმაოდ დიდი ჩანს.

ასევე, შენიშვნის სახით აღნიშნავს პროფ. ს.ურაბ პაპასქირი, რომ საქართველოს გაერთიანების მომხრეთა ძირითადი ბირთვი არ იყო შიდა ქართლში და ამის საილუსტრაციოდ აღნიშნავს: შიდა ქართლის არისტოკრატია „არა თუ არ იყო გამაერთიანებელი მოძრაობის (რომლის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი იყო იოანე მარუშის ძე), ავანგარდში, არამედ, პირიქით, ფაქტობრივად, ერთიანად გამოდიოდა ბაგრატ უფლისწულის ხელისუფლების ქვეშ სრულიად საქართველოს გაერთიანების მარუშის ძისეული გეგმის წინააღმდეგ“ [19, 322]. აქაც იგივეს თქმა შეიძლება: იოანე მარუშის ძის დასში ჩვენ არამც და არამც არ განვიხილავთ მხოლოდ შიდა ქართლის არისტოკრატიას! ჩვენ, ვსაუბრობთ შიდა ქართლის ერისთავის ირგვლივ მყოფ პოლიტიკურ იმდროინდელ მოღვაწეებზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, მარუშის ძის თანამოაზრენი იყვნენ და მიგვაჩნია, რომ საქართველოს გაერთიანების საქმეში მარუშის ძე მარტო არ იყო. უფრო მეტიც, საქართველოს გაერთიანების გეგმა გაცილებით ადრე შემუშავებულად შეიძლება მივიჩნიოთ. ეგება ამ

გეგმის გამო მოხდა ერთგვარი შვილობა დავით კურაპალატის მიერ ბაგრატ გურგენის ძის; არაა გამორიცხული, რომ თვით გურგენ-გურანდუხტის ქორწინებაც შორს გამიზნული გამაერთიანებელი იდეით განხორციელდა, მაგრამ განსახილველ პერიოდში უკვე ნათლად ჩანან გეგმის განმახორციელებლები და მათი ბირთვი მარუშის ძის პოლიტიკურ გარემოცვაში და არა შიდა ქართლის არისტოკრატიაში.

პროფ. ზურაბ პაპასქირი არ ეთანხმება ჩვენს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ დემეტრე „აფხაზთა“ მეფის გარდაცვალების შემდეგ ქუთაისის ტახტზე თეოდოსი უსინათლოს დასმა იოანე მარუშის ძის დასის ძალისხმევით მოხდა და რომ ეს მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე „ლეონიდების“ დინასტიის შენარჩუნებას [19, 323]. ამ საკითხთან დაკავშირებით კი ნამდვილად პრინციპული მიდგომა გვაქვს და რეალურად განსხვავებული შეხედულება. კონკრეტულად, საქმე შემდეგშია: როგორც ცნობილია, „აფხაზეთში“ დემეტრეს მეფობის დროს, ბიზანტიიდან ბრუნდება მისი ძმა თეოდოსი. ის გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა დააპირისპირეს მეფესთან. ძმების – დემეტრეს და თეოდოსის დაპირისპირება დემეტრეს გამარჯვებით დამთავრდა და მან ძმა დააბრმავა. უსინათლო თეოდოსი მიდის პოლიტიკური ასპარეზიდან. როდესაც გარდაიცვალა დემეტრე, „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, „გამოიყვანეს თეოდოსი და დასუეს მეფედ“, ანუ პიროვნება, რომელიც უსინათლოა, რომელსაც, როგორც ჩანს, თავად არც უნარი ალარ შესწევს და სავარაუდოდ არც სურვილი ალარა აქვს მემკვიდრეობის მიღებისა, გარკვეულმა ძალებმა გამოიყვანეს და დასვეს მეფედ. ეს ხდება 975 წელს. ამავე წელს მოხდა იოანე მარუშის ძის ძალისხმევით ბაგრატისთვის შიდა ქართლის გადაცემა. 3 წლის შემდეგ, იოანე მარუშის ძე იბრძვის

ბაგრატის „აფხაზთა მეფის“ ტახტზე დასასმელად. ოფიციალურ მიზნად უსინათლო მეფის ხელში „აფხაზეთში“ არეულობა სახელდება. უსინათლო, დასუსტებული თეოდოსის მმართველობის პირობებში „აფხაზეთში“ რომ სიტუაცია არასტაბილური იქნებოდა ძნელი პროგნოზირებადი არ უნდა ყოფილიყო და თავიდანვე უნდა ცოდნოდათ მათ, ვინც გამოიყენა თეოდოსის პიროვნება, გამოიყვანა ის და მეფედ დასვა. მაგრამ, „მატიანე ქართლისაჲ“ იქვე წერს, რომ შიდა ქართლის აქტისგან განსხვავებით, ამ დროს ბაგრატი უკვე გაისრულებული იყო ასაკით, ანუ სრულწლოვანი. დავით III კურაპალატის თანხმობის შემდეგ, მარუშის ძემ უპრობლემოდ გადააყენა თეოდოსი და გაამეფა „აფხაზეთში“ ბაგრატ III, აწ უკვე სრულწლოვანი. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ თავის დროზე თეოდოსი „გამოიყვანეს და დასუეს მეფედ“ მარუშის ძის დასის ხელგავლენით, რადგანაც ბაგრატის სრულწლოვანებამდე „აფხაზეთის“ სამეფო ტახტზე შენარჩუნებული იყო ის დინასტია, რომლის კანონიერი მემკვიდრეც იყო ბაგრატი. ეს იყო შანსი კანონიერი გზით საქართველოს უდიდესი ნაწილის გასაერთიანებლად და ეს შანსი გამოიყენეს საქართველოს გამაერთიანებლებმა [15; 14; 7; შდრ. 11; 12; 25; 18].

პროფ. ზურაბ პაპასქირი თავის რეცენზიაში წერს, რომ მარუშის ძე და დავით კურაპალატი „სულაც არ დალოდებიან ბაგრატის გასრულწლოვანებას, როგორც ამას ფიქრობს შ. გლოველი. ბაგრატი სრულწლოვანი შეიქმნა მოგვიანებით, X ს. 80-იანი წლების დამდეგს, როდესაც მან გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯები შიდა ქართლის სეპარატისტული განწყობილებების აღსაკვეთად და იქ თავისი ერთპიროვნული ხელისუფლების განსამტკიცებლად“ [19, 324]. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, სწორედ ბაგრატის **სრულწლოვანებას** ელოდა იოანე მარუშის ძე და ამი-

ტომ გამოიყვანა მისმა დასმა უსინათლო თეოდოსი, დასვა მეფედ და როდესაც 978 წელს (და არა X საუკუნის 80-იან წლებში, როგორც პროფ. ზ. პაპასქირი აღნიშნავს) ბაგრატი გახდა სრულწლოვანი, თეოდოსი გაღაყენეს და ბაგრატი გაამეფეს. ამ ფაქტს ადასტურებს წყარო; მოვიყვანთ ციტატა „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტიდან, როდესაც მემატიანე აღწერს ბაგრატ III-ის „აფხაზეთში“ გამეფებას: „შთაიყვანეს იგი აფხაზეთს, დალოცეს მეფედ და დაემორჩილნეს ყოველნი ბრძანებასა მისსა: **რამეთუ განსრულებულ იყო ასაკითა**“ [13, 275]. ასე, რომ სწორედ სრულწლოვანებას მიღწეული ბაგრატი გაამეფეს „აფხაზეთში“.

ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრებით (ეს აზრი ეკუთვნით პროფესორებს ზაზა ალექსიძესა და ზურაბ პაპასქირს), გარკვეულ პერიოდში ბაგრატ III და დედა მისი გურანდუხტ დედოფალი „საქართველოს ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციისათვის მებრძოლი ძალების საპირისპირო ბანაკებში მოიაზრებიან“. რა არის ამის ძირითადი საფუძველი?

1. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობა, რომ მაშინ, როდესაც გურანდუხტი განაგებდა შიდა ქართლს, ბაგრატ III „გარდამოვიდა ქართლს, რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი“, რადგანაც თურმე ქართლის აზნაურები „თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა, დალაცათუ იყვნეს მორჩილებასა შინა გუარანდუხტისასა“ [13, 276].
2. ატენის სიონის სომხური, გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერაში ვკითხულობთ: „ეს მე, გერგიუმ ერჰასანის ძე, ვინც ამას კითხულობს, ღმრთის მქანდაკებელი მოიხსენეთ ბაგრატ აფხაზთა მეფე როცა დედოფალსა ქართველთა შეედავა და სატახტო (?) ოფლიცხე დაიკავა“ [2, 51].

ამ წარწერიდან ჩანს, რომ ბაგრატი შეედავა გურანდუხტს და ისე დაიკავა უფლისციხე. არ არის გა-

მორიცხული, რომ ბაგრატს უბრალოდ არ აკმაყოფილებდა გურანდუხტის გამგებლობა და სურდა უფრო მკაცრი პოლიტიკის გატარება. ამიტომაც ჩამოართვა მას ქართლის გამგებლობა და თან წაიყვანა თავისთან. აღნიშნულ წარწერაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე გურანდუხტის ტიტული: „დედოფალი ქართველთა“. ამ ტიტულით ის მხოლოდ ამ წარწერაში მოიხსენიება. პროფესორი ზაზა ალექსიძე წერს: „გერგიუმის წარწერაში გურანდუხტს „ქართველთა დედოფალი“ ეწოდება. . . ნანს, იმ ოთხიოდე წლის მანძილზე, როცა ბაგრატი აფხაზეთში იმყოფებოდა, გურანდუხტს ქართლში დიდი უფლება მოუპოვებია და თვითონაც „ქართველთა დედოფლის“ ტიტული მიუღია“ [2, 57]. მიგვაჩნია, რომ ატენის სიონის ამ სომხურ წარწერაში არ უნდა იყოს ზუსტი ფორმულირება იმ ტიტულისა, რომელსაც გურანდუხტი ოფიციალურად ატარებდა. ყოველ შემთხვევისათვის, ის ფაქტი, რომ ამ ტიტულით გურანდუხტი არ იხსენიება არც ერთ სხვა ქართულ წყაროში, სომხური ერთი წარწერის მიხედვით ტიტულის ზუსტი აღდგენა მისანშეწონლად მიგვაჩნია. გერგიუმისათვის არ უნდა ყოფილიყო არსებითი მნიშვნელობის განსხვავება გურანდუხტის ქართლში მყოფ დედოფლობასა და ქართლის ან ქართველთა დედოფლობას შორის (მით უფრო, რომ იმ დროს დედოფალი გურანდუხტი სწორედ ქართლს განაგებდა) [7, 29-30]. ბუნებრივია, ქართულ წყაროში რომ ყოფილიყო ხაზგასმული ამგვარი განსხვავებები ტიტულებს შორის, მათ არსებითი მნიშვნელობა ექნებოდათ. გურანდუხტი არის მეფის ასული (გიორგი II - „აფხაზთა მეფის“), მეფის და (თეოდოსი უსინათლო „აფხაზთა მეფის“), ამჯერად უკვე მეფის დედა (ბაგრატ III „აფხაზთა მეფის“), ასე რომ „აფხაზეთის“, და თუ განებავთ ცალკე აღებული ქართლის საზოგადოებისათვის, ის უკვე კარგა ხანია დედოფალია; ჩვენ გაგ-

ვიჭირდება თქმა ოფიციალურად თუ რა ტიტულს ატარებდა გურანდუხტი, მაგრამ ამჯერად, გერგეტის წარწერაში, მისი „ქართველთა დედოფლად“ მოხსენიება, ამ საერთო საზოგადოებრივ ცნობიერებაზე დამყარებულ, ზოგადად - „დედოფლის“ ტიტულის აღქმას უნდა უკავშირდებოდეს; მხოლოდ ამ ერთი სომხური წარწერის მიხედვით ძნელია დავასკვნათ „ქართველთა დედოფლის“ ტიტულის ოფიციალურობა იმ კონტექსტში, როგორიც იყო თავისი შინაარსით ტიტული „ქართველთა მეფე“, „აფხაზთა მეფე“ და ა. შ. [7, 30]. პროფესორი ზაზა ალექსიძე აღნიშნული წარწერის შინაარსზე, განსაკუთრებით გურანდუხტის „ქართველთა დედოფლად“ მოხსენიებაზე, აგებს თეორიას, რომლითაც ბაგრატი და გურანდუხტი „საქართველოს ცენტრალიზაციის - დეცენტრალიზაციისათვის მებრძოლი ძალების საპირისპირო ბანაკებში“ მოიაზრებიან [2, 57], რაც ჩვენ გადაჭარბებულად გვეჩვენება. პროფესორი ს. პაპასქირიც მიიჩნევს, რომ „ქართლის აზნაურობა და გუარანდუხტი ერთ ბანაკში არიან“ [18, 69]. „მატიანე ქართლისა“-ს ტექსტი, რომ „აზნაურთა ქართლისათა რომელთამე არა ენება გარდამოსლვა მისი (ბაგრატის - შ. გ.), რამეთუ თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა, დაღაცათუ იყვნეს მორჩილებასა შინა გუარანდუხტისასა“ უნდა ნიშნავდეს გურანდუხტის სისუსტეს; რომ მას თუმცა („დაღაცათუ“) [1, 129; 17, 205] კი ემორჩილებიან ქართლის აზნაურები, მაგრამ ეს არის ფორმალურად, ფაქტობრივად კი ისინი გურანდუხტის მმართველობის სისუსტის გამო თითოეულად განაგებენ „საქმეთა ქართლისათა“ და დამოწმებული ტექსტი არამც და არამც არ გვესმის ისე, თითქოს ქართლის აზნაურები გურანდუხტ დედოფალთან ერთად არიან ერთ ბანაკში ბაგრატის საწინააღმდეგოდ.

ბატონი სურაბ პაპასქირი არ გვეთანხმება იმაშიც, რომ გურგენ ბაგრატიონმა „მეფეთ-მეფის“ ტიტული მიიღო რადგანაც 994 წლიდან, ანუ ბაგრატ II-ის გარდაცვალებიდან მოყოლებული, „ქართველთა მეფის“ ტიტული დავით III კურაპალატს ჰქონდა [19, 324]. პატივცემული ოპონენტი მთლიანად ეყრდნობა სუმბატ დავითის ძისეულ ახსნას იმის თაობაზე, რომ გურგენის „მეფეთ-მეფობა“ განაპირობა მის გამეფებამდე საკუთარი ძის – ბაგრატის „აფხაზეთში“ გამეფებამ.

როგორც ცნობილია, 994 წ. გარდაიცვალა ბაგრატ II „ქართველთა მეფე“. მას ჰყავდა პირდაპირი მემკვიდრეები: შვილი გურგენი, შვილიშვილი ბაგრატ „აფხაზთა მეფე“, მაგრამ, როგორც ჩანს, „ქართველთა მეფე“ გახდა იმიერ ტაოს მფლობელი დავით III კურაპალატი. ათონის ერთ-ერთ ხელნაწერში ის იხსენიება „ქართველთა მეფის“ ტიტულით [21]. ბაგრატ III პირველად ამ ტიტულით იხსენიება 1002 წელს ხცისის წარწერაში (1001 წელს გარდაიცვალა დავით კურაპალატი) [27, 154]. გურგენი, რომელიც იყო პირდაპირი მემკვიდრე ბაგრატ II „ქართველთა მეფის“, მისი შვილი და ამ ტიტულის რეალური პრეტენდენტი, წყაროებში იხსენიება „მეფეთ-მეფედ“. ეს ყველაფერი, ჩვენი აზრით, ამყარებს ვარაუდს იმის თაობაზე, რომ 994 წლიდან 1001 წლამდე დავით III კურაპალატია „ქართველთა მეფეც“. ამის გათვალისწინებით ჩვენთვის გაუგებარი ხდება თუ რატომ იწოდება გურგენი „მეფეთა-მეფედ“. იქნებ მან ეს ტიტული, ამ ეტაპზე, დაუპირისპირა „ქართველთა მეფეს“? როგორც ვნახეთ, ბაგრატ II-ის შემდეგ „ქართველთა მეფე“ გამხდარა დავით III კურაპალატი. ეს ტიტული გვარში უფროსი მეფის შინაარსის მატარებელია. ისტორიულ წყაროებში, როგორც აღვნიშნეთ, გურგენი იხსენიება „მეფეთ-მეფედ“. ეს ტიტულიც მეფეთა შორის უპირველესს, უფროს მეფეს უნდა აღნიშნავდეს. იქნებ გურგენი ასე უპირის-

პირდება სწორედ დავით III კურაპალატსა და აწ უკვე „ქართველთა მეფეს“. „მეფეთ-მეფობით“ ის ერთგვარად ივსებს იმ დანაკლისს, რომელიც მას მიაყენა დავით III-მ „ქართველთა მეფის“ ტიტულის წართმევით. „მეფეთ-მეფობა“ არ არის უცხო ბაგრატიონთათვის. ამ ტიტულით თვით დავით კურაპალატიც იხსენიება 973 წ. „პარხლის ოთხთავის“ მინაწერში. მნიშვნელოვანია ერთი ანალოგია: მაშინ დავითმაც დაკარგა „ქართველთა მეფის“ ტიტული. ის იყო შვილიშვილი ბაგრატ I „ქართველთა მეფისა“ და კანონიერი მემკვიდრე მისი. მიუხედავად ამისა, „ქართველთა მეფე“ გახდა ბაგრატ II „რეგვენი“ (სწორედ მისი გარდაცვალების შემდეგ შეძლო დავითმა ამ ტიტულის მიღება). შესაძლოა, მაშინაც მოხდა ამ ტიტულების დაპირისპირება. დავით III-მ დაკარგა რა „ქართველთა მეფობა“, იწოდა „მეფეთ-მეფედ“, ანუ ამით ხაზი გაუსვა მის კანონიერ უფლებას - იყოს უპირველესი მეფეთა შორის [7, 42].

მიეუბრუნდეთ გურგენ „მეფეთა-მეფეს“. სუმბატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით, „ვიდრე გურგენის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს და ამისთჳს გურგენს მეფეთმეფობაჲ ეწოდა“ [20, 52]. აქ საქმე უნდა გვქონდეს ამ ფაქტის სუმბატისეულ გაგებასთან. მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ სუმბატს გურგენი წარმოდგენილი ჰყავს არა მხოლოდ „ქართველთა“ სამეფოში უპირველეს მეფედ, არამედ სხვადასხვა სამეფოების - „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფეების მეფედ და ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული სამეფოები ჯერ კიდევ არ არიან გაერთიანებულნი.

მაშასადამე, სუმბატისეული ახსნა გურგენის „მეფეთ-მეფობისა“ მიგვაჩნია არასწორად და შესაძლო შეგნებულ თავის არიდებად ბაგრატ III-სა და დავით III კურაპალატს შორის კონფლიქტის თემისაგან, რამაც საგარაუდოდ გამოიწვია დავითის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის აღება.

ბატონი ზურაბ პაპასქირი წერს: „მართალია, 994 წ. დავით კურაპალატის მიერ „ქართველთა“ მეფის ტიტულის მიღებას, გააჩნია საკმაოდ მყარი არგუმენტაცია . . . მაგრამ, ამ შემთხვევაში, მთავარია ის, რომ გურგენის მიერ „მეფეთ-მეფის“ ტიტულის მიღება არავითარ კავშირში არ იყო დავით კურაპალატის „ქართველთა მეფობასთან“. სუმბატ დავითის ძის სრულიად დამაჯერებელი განმარტებით „გურგენს მეფეთ-მეფე ეწოდა“ იმის გამო, რომ გურგენის გამეფებამდე მისი ძე „ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს“ [19, 324-325]. თუ მივიჩნევთ, რომ დავით კურაპალატის „ქართველთა მეფობას“ მყარი არგუმენტები გამოუჩნდა, მაშინ როგორ არ არის კავშირში გურგენის „მეფეთ-მეფობა“ ამ ფაქტთან? დიახ, სუმბატი წერს, რომ გურგენი „მეფეთ-მეფე“ გახდა იმიტომ, რომ მისი შვილი მასზე უფრო ადრე გახდა „აფხაზთა მეფეო“, მაგრამ, დავუშვათ არ გამხდარიყო ბაგრატი „აფხაზთა მეფე“; თუ ვუშვებთ შესაძლებლობას, რომ დავით III გახდა 994 წელს „ქართველთა მეფე“, გურგენი მაინც მიიღებდა ამ ტიტულს? და „ქართველთა სამეფოში“ ორი „ქართველთა მეფე“ იქნებოდა ერთდროულად? – დავით III და გურგენი? ეს ხომ გამორიცხულია.

სწორედ იმიტომ რომ: ვიზიარებთ 994 წლიდან დავით III-ის 1001 წლამდე „ქართველთა მეფობას“, პირდაპირ კავშირში მიგვაჩნია ამ საკითხთან გურგენის მიერ „მეფეთ-მეფის“ ტიტულის მიღება, „ქართველთა მეფის“ ტიტულის საპირისპიროდ.

პროფესორი ზურაბ პაპასქირი გამოთქვამს სინანულს იმის თაობაზე, რომ „აფხაზთა სამეფოს“ ეთნიკური ისტორიის შესახებ საუბრისას ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში „ასახვა ვერ ჰპოვა აკად. დ. მუსხელიშვილის მიერ ამ უკანასკნელ ხანს გამოთქმულმა მოსაზრებამ აფსილ-აფშილთა ეთნიკური ვინაობის შესახებ“ [19, 326]. ჩვენთვის ცნობილია აკადემიკოს და-

ვით მუსხელიშვილის აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ჟურნალ „არტანუჯში“ გამოქვეყნებული ნაშრომი. ვფიქრობთ, სწორედ ამ ნაშრომსია საუბარი პატივცემული ოპონენტის რეცენზიაშიც (ზ. პაპასქირი გამოქვეყნებული რეცენზიის სქოლიოში მიუთითებს ამ ნაშრომის რუსულ ვერსიას, რომელიც გამოქვეყნდა სპეციალურ კრებულში [26, 122-123]. ჩვენი დისერტაციის 147-ე გვერდზე გვაქვს მიმოხილული აგათია სქოლასტიკოსის ცნობა, რომელიც „აფსილთა“ და „მისიმიელთა“ მონათესავეობაზე მიუთითებს და იქვე ვაუწყებთ მკითხველს, რომ „ამ ცნობაზე დაყრდნობით აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი მიდის დასკვნამდე, რომ „აფსილებიც მისიმიელებივით სვანური ტომი უნდა ყოფილიყო“ და ვუთითებთ დავით მუსხელიშვილის ნაშრომს სათაურით: „აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის“, რომელიც გამოცემულია ჟურნალ „არტანუჯში“, 2000 წელს [16, 22]. შესაძლოა, პატივცემული ოპონენტი გულისხმობდა, რომ კარგი იქნებოდა თუ ჩვენს ნაშრომში დ. მუსხელიშვილის ამ გამოკვლევაზე უფრო ფართოდ წარიმართებოდა მსჯელობა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის აღნიშნული მოსაზრება დისერტაციაში ნამდვილად ასახული გვაქვს.

და ბოლოს, შენიშვნა, რომელიც პატივცემულმა ოპონენტმა აღნიშნა ჩვენი ნაშრომის რეცენზირებისას. მისი თქმით: „არასწორადაა გაგებული XVIII ს. არაბი ავტორის იაკუთის ცნობა აფხაზეთზე. კერძოდ, დისერტანტი უკრიტიკოდ იღებს ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ მოცემულ ამ ცნობის ინტერპრეტაციას და იაკუთის „აფხაზეთში“ შეცდომით გულისხმობს დღევანდელ აფხაზეთს“ [19, 326]. ჩვენ, წყაროსეული ცნობის მოხმობის დროს, ყოველთვის ვცდილობთ გავითვალისწინოთ გამომცემლის ვინაობა და კომპეტენცია. განსაკუთრებით ფრთხილად ვუდგებით საკითხს, რო-

დასაც უცხოენოვან წყაროს თარგმანთან გვაქვს საქმე. რიდესაც არაბი ავტორის – იაკუთის ცნობა შემოვიტანეთ ჩვენს ნაშრომში, ჩვენ ვეყრდნობოდით პროფესორ გოჩა ჯაფარიძისეულ თარგმანს და მის კომენტარს, როგორც არაბული ენის მცოდნის და უშუალო მთარგმნელისას. იაკუთის ცნობა, როგორც ოპონენტი აღნიშნავს, ცნება აფხაზეთში გულისხმობს მთელ საქართველოს და არა კონკრეტულად აფხაზეთს. ამის მიუხედავად, მაინც ფასეული და საგულისხმოა ჩვენთვის იაკუთის ინფორმაცია, რომ გვიან შუა საუკუნეებშიც კი ცნება აფხაზეთი მხოლოდ ქართულ შინაარსთან ასოცირდებოდა. მისი ცნობით, აფხაზეთი არის კავკასიონის (ალკაბკის) მთებზე ერთი მხარის სახელი, რომელიც დასახლებულია „ქრისტიანი ხალხით, რომლებსაც ქურჯებს უწოდებენ“ [22].

კიდევ ერთხელ, გვსურს ულრმესი მადლობა გადავუხადოთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ზურაბ პაპასქირს გულისხმიერებისთვის, ჩვენი ნაშრომის მაღალ პროფესიონალურ დონეზე განხილვისა და განსაკუთრებით რეცენზიის გამოქვეყნებისათვის, ზემოაღნიშნული შენიშვნებისა და ქების იმ სიტყვებისთვის, რომლებსაც აქ საუბარი არ გვქონია, მაგრამ რომლებიც უხვადაა გამოქვეყნებულ რეცენზიაში.

წყაროები და ლიტერატურა

1. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973
2. ს. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978.
3. შ. ბადრიძე, აფხაზთა სამეფოს წარმოშობის დროისა და პირობების შესახებ, თსუ შრომები, 4 (143), თბ., 1972.
4. შ. გლოველი, „აფხაზთა სამეფო“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2004.
5. შ. გლოველი, დასავლურ-ქართული სახელმწიფოს – „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბება (პრობიზანტიური და ანტიბიზანტიური პოლიტიკა), კრ. „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, X, თბ., 2008.
6. შ. გლოველი, „მეფეთა დივანი“ როგორც საისტორიო წყარო, კრ. „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, XI, თბ., 2009.
7. შ. გლოველი, ნ. გურგენიძე, ქართველ პოლიტიკოსთა ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის და „აფხაზთა სამეფო“, „საისტორიო შტუდიები“, IV, თბ., 2003.
8. ე. თაყაიშვილი, რას შეიცავდა ე. წ. აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლია იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარხთა ისტორიაში, „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, II, ტფ., 1913.
9. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, თბ., 1954.

10. იოანე საბანისძე, წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ჴელითა სარკინოზთაჲთა, გამოთქმული იოვანე ძისა საბანისი ბრძანებითა ქრისტჱს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, რედ. კ. კეკელიძე, ტფ., 1935.
11. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.), თბ., 1963.
12. მ. ლორთქიფანიძე, ქართული მიწების გაერთიანების საფუძვლები, წიგნ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, საქართველო IV-X საუკუნეებში, თბ., 1973.
13. მატიანე ქართლისა, „ქართლის ცხოვრება“, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955
14. გ. მელიქიშვილი, ისევ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №13, 1 აპრილი, 1994.
15. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973.
16. დ. მუსხელიშვილი, აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, ჟურნ. „არტანუჯი“, №10, 2000.
17. ს-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, აგტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1991.
18. ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990.

19. ზ. პაპასქირი, საინტერესო ნაშრომი „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიაზე. რეცენზია შალვა გლოველის საკანდიდატო დისერტაციაზე: „აფხაზთა სამეფო“, კრ. „საისტორიო ძიებანი“, VII, თბ., 2004.
20. სუმბატ დავითის ძე, ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ, თბ., 1990.
21. ც. ქურციკიძე, ათონზე გადაწერილი ერთი ხელნაწერის შესახებ, „მწიგნობარი“, თბ., 1980.
22. გ. ჯაფარიძე, ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები. კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ., 1993.
23. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, „ქართლის ცხოვრება“, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
24. Диль Ш., История Византийской империи, перевод с французского А. Е. Рогинской, под ред. и с предисловием Б. Т. Горянова. Москва, 1948
25. Лордкипанидзе М., Предпосылки объединения грузинских земель, кн. Очерки истории Грузии, II, Грузия в IV-X веках, Тб., 1988.
26. Мусхелишвили Д., Исторический статус Абхазии в грузинской государственности, Разыскания по истории Абхазии/Грузия, Тб., 1999.
27. Шмерлинг Р., Древний Цвимоетский храм близ сел. Хциси, „ქართული ხელოვნება“, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 4, თბ., 1955.

სარჩევი

ხათუნა იოსელიანი
გიორგი მამარდაშვილი

ტრადიციული კულტურის და
მენტალობის როლი
აფხაზეთის ტერიტორიაზე
არსებული კონფლიქტის მოგვარებაში.....3

Khatuna Ioseliani
Giorgi Mamardashvili

The role of traditional culture and mentality in settlement
of cinflicts on the Abkhasian
territory.....19

მედეა გოგოლაძე

პლატონ იოსელიანის მოსაზრება
ტოპონიმ „სარკინეთის“
შესახებ.....36

Medea Gogoladze

Platon Ioseliani's conjecture about the toponym of
Sarkineti/Sarkine.....43

მზია ტყავაშვილი

XIX საუკუნის დასაწყისის რუსული
ოფიციალური დოკუმენტები
ბათუმის ეკონომიკური და პოლიტიკური
მნიშვნელობის
შესახებ.....44

MziaTkavashvili

Russian official documents of the beginning
of the XIX century:
economic and political significance
of Batumi city.....56

ირმა კვაშილავა

„ქრისტესთვის სიკვდილსა“
(სოფელ ზემო ნიქოზის წარსულიდან) 57

Irma Kvashilava

“Search the Death for Christ”
(From the history of the village Zemo Nikozi).....85

პაპუნა გაბისონია

ბათუმის საკითხი XV საუკუნის
რამდენიმე ახლად აღმოჩენილი
იტალიური დოკუმენტის
მიხედვით.....86

Papuna Gabisonia

The question of Batumi with support of several Italian documents in XV century.....96

ხათუნა იოსელიანი
ირმა კვაშილავა

გიორგი XII – საქართველოს უკანასკნელი მეფის პორტრეტისათვის (პლატონ იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტის“ მიხედვით).....97

Khatuna Ioseliani
Irma Kvashilava

For the Portrait of the Last King of Georgia – Giorgi XII (According to "The Life of Giorgi XIII" by Platon Ioseliani).....115

დავით მერკვილაძე

საქართველოს პოლიტიკური ქცევის მოდელი და საქართველოს ისტორიის დამახინჯების მორიგი რუსული მცდელობა – გამოხმაურება ა. ეპიფანცევის ინტერნეტპუბლიკაციაზე: „იყო თუ არა საქართველო რუსეთის მოკავშირე? ქართული სახელმწიფოს გადარჩენის პოლიტიკური მოდელი“.....116

ხათუნა თოდაძე

დავით ალმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის
მონასტრისადმი და XI საუკუნის
ორი ანდერძი ბიზანტიური
სამონასტრო ცხოვრებიდან.....154

Khatuna Todadze

The will of David the builder to
Shiomgvime monasteri and two
wills from monastic life of Buzantine.....160

გია კვაშილავა

A ხაზოვანისა და მისი მონათესავე
დამწერლობებით შესრულებული
წარწერების ამოკითხვა
პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე.....161

Gia Kvashilava

DECIPHERMENT OF THE INSCRIPTIONS OF LINEAR A
AND ITS RELATED SCRIPTS IN
THE PROTO-KARTVELIAN- COLCHIAN LANGUAGE.....227

ზურაბ სულაბერიძე

იმერეთის სამეფოსა და აფხაზეთის
სამთავროს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან
XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.....311

Zurab Sulaberidze

History of the relationship between the Imereti Kingdomwith the Abkhazian Princedom in the second half of the XVIII century.....331

ნატო სონღულაშვილი

მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა საქართველოს სკოლებში (1918-1919 წლები).....332

Nato Songulashvili

National composition of Georgian schools in 1918-1919.....340

გიორგი გრძელიძე

თბილისისა და მისი მიდამოების ზოო ტოპონიმიკა.....341

შალვა გლოველი

„აფხაზთა სამეფოს“ შესახებ.....345

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

www.mtlgnobari.ge 0102, ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №40